

ჯ.რ.რ.

ტოლკინი

J.R.R. TOLKIEN

ჰურინის შვილები

THE CHILDREN OF HÚRIN



პრისტოფერ ტოლკინის რედაქცია
ალან ლის ილუსტრაციები



ჭურინის შვილები

ჰ.რ.რ. ტოლკინი

კრისტოფერ ტოლკინის რედაქცია

ალან ლის ილუსტრაციები

ინგლისურიდან თარგმნა

გიორგი გომართელმა

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თბილისი 2017

არსებობს შუახმელეთის თქმულებები, რომლებიც „ბეჭდების მბრძანებლამდე“ გაცილებით ადრე შეიქმნა. ამ წიგნში მოთხრობილი ამბავიც რუხი ნავსადგურის დასავლეთით მდებარე, უძველეს მინებზე მოხდა – იქ, სადაც ერთ დროს ხისწვერა დააბიჯებდა. ის მინები პირველი ეპოქის მინურულს დიდმა კატაკლიზმებმა ჩაძირა.

ადრეულ დღეთა იმ მონაკვეთში მორგოთს, პირველ ბნელ მეუფეს, ანგბანდის უვრცეს ციხესიმაგრეში, ჩრდილოეთში მდებარე რკინის ჯოჯოხეთში დაევანა; ხოლო ტურიინისა და მისი დის, ნიენორის ტრაგედია ანგბანდის შიშის აჩრდილის, ელფთა მინებისა და მათ საიდუმლო ქალაქების წინააღმდეგ მორგოთის მიერ წამონწყებული ომის ფონზეა გადმოცემული.

მათი ხანმოკლე და მძიმე ცხოვრება მორგოთის მძულვარების ქვეშ წარიმართა, რადგან ისინი ჰურიინის შვილები იყვნენ, ადამიანისა, რომელმაც გაბედა, პირისპირ გამოიწვია და შეურაცხყო მორგოთი. ამის გამო მან გლაურუნგი, თავისი უსასტიკესი მსახური, უფროთო, ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპის სხეულში ჩაბუდებული ძლევამოსილი

სული, გაგზავნა მათ წინააღმდეგ. სასტიკი ბრძოლებითა და მუდმივი ლტოლვით, ტყეებში მალვით, დევნითა და წინააღმდეგობის განწევის უიმედო მცდელობებით აღვსილ ამ ამბავში ბნელი მეუფე და დრაკონი შემზარავი სიცხადით წარმოჩინდებიან. გესლიანი და დამცინავი გლაურუნგი ცდილობს ტურინისა და ნიენორის ბედისწერაზე ეშმაკისებური გაიძვერობითა და სიცრუით მოახდინოს გავლენა, რათა მორგოთის წყევლა აღასრულოს.

ამ ამბის თავდაპირველი ვერსიები ჯ.რ.რ. ტოლკინმა მეორე მსოფლიო ომის მიწურულსა და მომდევნო წლებში დაწერა; თუმცა დიდი ხანი გავიდა და, „ბექდების მბრძანებლის“ დასრულების შემდგომ, იგი თავიდან გადაწერა და ნიშანდობლივად განავრცო სიუჟეტებითა და პერსონაჟებით: იგი იქცა შუახმელეთის შესახებ მის მიერ მოგვიანებით შექმნილ უმთავრეს ამბად, თუმცა დასრულება და მისთვის საბოლოო სახის მიცემა მან ვერ შეძლო. ხელნაწერთა ხანგრძლივი შესწავლის შემდგომ შევეცადე, თანამიმდევრული თხზულება, ყოველგვარი განვრცობისა და დამატებების გარეშე, მოცემული წიგნის სახით შემეკრა.

კრისტოფერ ტოლკინი
ჯ.რ.რ. ტოლკინის შვილი

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	7
შესავალი.....	13
თავი I. ტურინის ბავშვობა.....	33
თავი II. ურიცხვი ცრემლის ომი	56
თავი III. საშობარი ჰურინის და მორგოთისა	66
თავი IV. ტურინის გამგზავრება	72
თავი V. ტურინი დორიათში.....	88
თავი VI. ტურინი აბრაგთა შორის	109
თავი VII. ჯუჯა მიმის შესახებ.....	136
თავი VIII. მშვილდისა და მუზარადის მინა	159
თავი IX. ბელეგის აღსასრული.....	170
თავი X. ტურინი ნარგოთრონდში	178
თავი XI. ნარგოთრონდის დაცემა.....	192
თავი XII. ტურინის დაბრუნება დორ-ლომინში	204
თავი XIII. ტურინის მოსვლა ბრეთილში	215
თავი XIV. მორუნისა და ნიენორის გამგზავრება ნარგოთრონდში	222
თავი XV. ნიენორი ბრეთილში.....	239
თავი XVI. გლაურუნგის მოსვლა	247

თავი XVII. გლაურუნგის აღსასრული	262
თავი XVIII. ტურინის აღსასრული	277
გენეალოგიები	291
დანართები	297
1. უკველეს თქმულებათა ევოლუცია.....	299
2. ტექსტის შედგენის თაობაზე.....	312
სახელთა ნუსხა „ჰურინის შვილებში“	323
შენიშვნა რუკასთან დაკავშირებით	343
ილუსტრაციები	344

წინასიტყვაობა

ვერ უარვყოფთ, რომ „ბეჭდების მბრძანებლის“ მრავალი მკითხველისთვის, „ადრეულ დღეთა ლეგენდების“ შესახებ (რაც „სილმარილიონის“, „დაუსრულებელი ამბების“ და „შუახმელეთის ისტორიის“ სახით გამოქვეყნდა) ბევრი რამ უცნობია, რადგან უჩვეულო და საკითხავად მეტად რთული ტექსტების სახელი დაიგდო.

თუმცა ვფიქრობ, მომნიშვნელოა დრო, წარმოვადგინო „ჰურინის შვილების“ ლეგენდის გრძელი ვერსია, როგორც დამოუკიდებელი ნაშრომი შესავლით, ცალკეული შესწორებებითა და ძირითადი, განგრძობითი თხრობით, ძირეული ხარვეზებისა და ნყვეტების გარეშე და, თუ მოხერხდა, ტექსტის სახეცვლილებებისა და ჩამატებებისგან თავის არიდებით, ნაწარმოების იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც მამაჩემს დაუმთავრებელი დარჩა.

ვიფიქრე, თუ ამბავი ტურინის და ნიენორისა – ჰურინის შვილების – და მორუენის ბედისა ამ სახით იქნებოდა

მოთხრობილი, შესაძლებლობა მოგვეცემოდა, სარკმელი გაგვეხსნა გარდასულ საუკუნეთა შუახმელეთში, ლურჯი მთების გადაღმა მდებარე იმ მიწებზე, სადაც ჯერ კიდევ ახალგაზრდობის ჟამს ხისწვერა დააბიჯებდა, სადაც დორ-ლომინში ტურინ ტურამბარი ცხოვრობდა, ხოლო შორეული მიწების გადაღმა დორიათისა და ნარგოთრონდის ქალაქები და ბრეთილის ტყე მდებარეობდა.

ეს წიგნი უპირველესად იმ მკითხველისთვის დაინერა, რომელსაც კარგად ახსოვს, თუ როგორ იმალებოდა ბაბაჭუა მიწის სიღრმეებში, ხოლო „მისი ძლევა ადამიანთა ძალებს აღემატებოდა. თვით ბერენსა და ტურინსაც არ შესწევდათ ძალა, ელფთა ან ჯუჯათა ნაჭედი მახვილიც რომ სჭეროდათ ხელში“ – ლაპარაკი სწორედ შუაველში, ფროდოსთან საუბრისას, ელრონდის მიერ ნახსენებ ტურინზეა – მიუხედავად იმისა, რომ იგი „ერთ-ერთი ძლევა მოსილი ელფთა მეგობარი“ იყო, – როგორც ელრონდი უწოდებდა, თუმცა მასზე მეტი აღარაფერი ყოფილა მოთხრობილი.

როდესაც მამაჩემი ახალგაზრდა გახლდათ, – პირველი მსოფლიო ომის დროს და უფრო ადრეც, ვიდრე „ჰობიტის“ ან „ბეჭდების მბრძანებლის“ რაიმე ჩანასახი შეიქმნებოდა, – მან დაიწყო სხვადასხვა მცირე ისტორიის შეთხზვა, რომელსაც „დაკარგული ამბების წიგნი“ უწოდა. ეს იყო მისი პირველი ნამუშევარი საკუთარი გამოგონილი სამყაროს შესახებ და ასევე მთლიანი შემოქმედების არსებითი საწყისიც. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი დაუსრულებელი დარჩა, ჩვენ მაინც გვაქვს თოთხმეტი დასრულებული მოთხრობა. სწორედ „დაკარგული ამბების წიგნში“ გვხვდებიან პირველად ღმერთები, ანუ ვალარები, ასევე ელფები და ადამიანები, როგორც ილუვატარის (შემოქმედის) შვილები. მელკორი, იგივე მორგოთი – დიდი

მტერი; ბალროგები და ორკები; და ის მინები, რომელზე-დაც თქმულებები მოგვითხრობს, – ვალინორი „ღმერთების მინა“ დასავლეთის ოკეანის მიღმა და „დიდი მინები“ (შემდგომში „შუახმელეთად“ წოდებული), დასავლეთ და აღმოსავლეთ ოკეანეებს შორის.

„დაკარგულ ამბებს“ შორის გვხვდება სამი ყველაზე სრულქმნილი და ვრცელი მოთხრობა, რომელიც დაკავშირებულია ელფებთან და ადამიანებთან. ესენია: „თქმულება ტინუვიელზე“ (რაც მცირე სახით წარმოდგენილია „ბეჭდების მბრძანებელში“, როგორც ამბავი ბერენსა და ლუთიენზე, რომელიც არაგორნმა ავდარწვეროზე ჰობიტებს უამბო; მამაჩემმა ის 1917 წელს დაწერა), „ტურამბარი და ფოალოკე“ (ტურინ ტურამბარსა და დრაკონზე, 1919 წელს დაწერილი, თუ მანამდე არა.) და „გონდოლინის დაცემა“ (1916-17). 1951 წელს, „ბეჭდების მბრძანებლის“ გამოქვეყნებამდე სამი წლით ადრე დაწერილ, ერთ-ერთ საკმაოდ ვრცელ წერილში მამაჩემი საუბრობს საკუთარ შემოქმედებით ჩანაფიქრზე: „თავდაპირველად, იდეაში მსურდა (თუმცა დიდი ხანია, იმედი გადამეწურა) შემექმნა ლეგენდის მეტ-ნაკლებად დაკავშირებული ერთიანი სხეული – ფართო, კოსმოგონიური ამბებით დაწყებული და რომანტიკული, ზღაპრული ისტორიებით დამთავრებული; უფრო ფართო და მასშტაბური, დაფუძნებული შედარებით მცირეზე და, იმავდროულად, ორთავე დაკავშირებული სიცოცხლით სავსე ხმელეთთან. „მცირე“ – როგორც უკიდევანო კულისებიდან ბრწყინვალედ შესრულებული სცენარი. მსურდა, რამდენიმე ამბის სრულყოფილად შეთხზვა და, იმავდროულად, ბევრი სხვა რამის მონახაზებსა და ჩანახატებში ჩასმა“.

ამ წერილიდან კარგად ჩანს, რომ ადრევე არსებობდა ერთგვარი კონცეფცია, რომელიც მოგვიანებით იქცა

„სილმარილიონის“, როგორც ჩანაფიქრში არსებული ყველაზე ვრცელი ნაწარმოების, დაწერის მთავარ მოტივად; და ზუსტად 1951 წლით დათარიღებულ იმავე წერილში, იგი თვალნათლივ მიუთითებს იმ სამ ამბავზე, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენე, როგორც ყველაზე ვრცელი ამბები „დაკარგული ამბების წიგნში“.

ის საუბრობს თქმულებაზე ბერენისა და ლუთიენის შესახებ, როგორც „სილმარილიონის“ უმთავრეს თავზე, და ამბობს: „ეს ამბავი (ვფიქრობ, ძლიერი და წარმტაცია) არის ერთდროულად საგმიროც, ზღაპრულიცა და რომანტიკულიც. მიუხედავად იმისა, რომ მასში მხოლოდ ბუნდოვნად არის წარმოჩენილი მთლიანი ფონი, მაინც ფუნდამენტურ რგოლს წარმოადგენს ამბავთა ჯაჭვში, რომლის რგოლები ჯერ კიდევ ბოლომდე არ დაჰკავშირებია ერთმანეთს“. „კიდევ არსებობს სხვა ისტორიები, რომლებიც თითქმის თანაბრად მნიშვნელოვანნი არიან – განაგრძობდა იგი, – და თანაბრად თვითმყოფადნი, თუმცა კი მტკიცედ დაკავშირებულნი უმთავრეს ამბავთან“. ესენი არიან: „ჰურიანის შვილები“ და „გონდოლინის დაცემა“.

მამაჩემის სიტყვებიდან გამომდინარე, უდავოა, რომ თუ ის მივიდოდა ფინიშამდე და ყველა მოთხრობას ერთიან სივრცეში მოაქცევდა, ისე როგორც ეს თავად სურდა, მაშინ ადრეულ დღეთა სამი ყველაზე დიდი მოთხრობა („ბერენი და ლუთიენი“, „ჰურიანის შვილები“ და „გონდოლინის დაცემა“) უნდა ყოფილიყო ყოველმხრივ გასრულებული და თვითმყოფადი და არა მხოლოდ რიგითი შემადგენელი ნაწილი იმ მთლიანი სხეულისა, რომელსაც შემდგომში „სილმარილიონი“ ეწოდა. თუმცა სხვა მხრივ, როგორც მამაჩემი დასძენს, „ამბავი ჰურიანის შვილებისა“

შემაკავშირებელ ამბავს წარმოადგენს ადრეულ დღეთა ელფებისა და ადამიანებისათვის, ასევე იგი პირდაპირ კავშირშია იმ მოვლენებსა და გარემოებებთან, რაც ვრცელ ამბავში ხდება.

წიგნის მთავარ კონცეფციასთან ალბათ შეუთავსებელი იქნებოდა ნაწარმოების გადავსება და უამრავი შენიშვნის ჩამატება პერსონაჟებზე ან სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილზე, რომელსაც ნაკლები კავშირი აქვს მოთხრობილ ამბავთან. მიუხედავად ამისა, ურიგო არ იქნებოდა, თუ ზოგად წარმოდგენას შეიქმნიდა მკითხველი ამ ამბის საფუძვლებზე, ამიტომ მე დავურთე წიგნს შესავალი და მცირედი ინფორმაცია ადრეული დღეების ბელერიანდისა და იქ მცხოვრებ ხალხთა შესახებ, იმ დროს, როდესაც ტურინი და ნიენორი დაიბადნენ; ასევე, დავურთე რუკა ბელერიანდისა და ჩრდილოეთის მიწებისა. თანდართულ სახელთა ნუსხები შევარჩიე დიდი სიფრთხილითა და დაკვირვებით, მხოლოდ მათზე გავამახვილე ყურადღება, ვისაც პირდაპირი კავშირი აქვს ამბავთან, ხოლო ამით გენეალოგიათა ხაზი გავამარტივე.

წიგნის ბოლოში დანართებია, რომლებიც ორ ნაწილად იყოფა: პირველი მოიცავს მამაჩემისეულ მცდელობებს, შეექმნა სამივე თხზულების დასრულებული ფორმა, მეორე დანართი კი წარმოადგენს იმავე ამბის მსგავს, „დაუსრულებელ მოთხრობებში“ შესულ ვარიანტს, თუმცა არსებობს თვალსაჩინო განსხვავებები.

დიდად მადლობელი ვარ ჩემი ვაჟის, ადამ ტოლკინის, განეული ფასდაუდებელი დახმარებისათვის, შესავალსა და დამატებებში არსებული მასალის წესრიგში მოყვანის, წარმოდგენისა და წიგნის ხელმისაწვდომობის გამარტივებისათვის, მისი ჩაშვებით (ჩემთვის) შემაშფოთებელი ელექტრონული სამყაროს სივრცეებში.

შესავალი

ადრეულ დღეთა შუახმელეთში მცხოვრები ტურინი ხასიათითა და მანერებით საოცრად მიმსგავსებულია მამაჩემს. მისი პირდაპირი და უშუალო საუბრების მეშვეობით, მამაჩემმა საკუთარი ახალგაზრდობა გადმოსცა. მსგავსება შესამჩნევია შემდეგ დეტალებში: სიფიცხესა და ნაკლებ მხიარულებაში, სამართლიანობისა და შემწყნარებლობის მოზღვავებულ შეგრძნებებში; რაც შეეხება ჰურინს, ის იყო სხარტი, მხიარული და იმედებით აღსავსე, ხოლო დედა, მორუენი – თავდაჭერილი, მამაცი და ამაყი ქალი; მათი ოჯახი სახლობდა დორ-ლომინის ცივ მხარეში, ჯერ კიდევ შემზარავი შიშებით აღსავსე წლებში, სწორედ იმ დროს, როდესაც ტურინის დაბადებამდე მცირე ხნით ადრე მორგოთმა ანგბანდის ალყა გაარღვია.

ეს ყოველივე ადრეულ დღეებში მოხდა, მოულოდნელი ხიფათებით აღსავსე პირველ ეპოქაში. დროის იმ მონაკვეთის შესახებ, რომლის გამოც ეს ნაწარმოები წარსულ-

ში ღრმად იჭრება, „ბეჭდების მბრძანებელშია“ საუბარი. შუაველში გამართულ საბჭოზე ელრონდი საუბრობს „უკანასკნელ კავშირზე“, ასევე ელფებისა და ადამიანების გაერთიანებული ლაშქრით საურონის დამარცხებაზე. ის მოვლენები ხდებოდა მეორე ეპოქის მიწურულს, დაახლოებით სამი ათასი წლით ადრე; იმ ამბების გახსენებისას ელრონდი გაჩერდა და ამოიოხრა: „ახლაც თვალწინ მიდგას ადამიანთა და ელფთა დროშების ამაყი ფრიალი. მათმა დანახვამ მაშინ ადრეული დღეების დიდება და ბელერიანდის ჯარი გამახსენა. იმდენი სახელოვანი უფლისწული და სპასალარი იყო შეკრებილი... თუმცა რიცხოვნობითაც და ბრწყინვალეობითაც ჩამორჩებოდა იმ უძლიერეს ლაშქარს, რომელმაც აუღებელი ციხესიმაგრე თანგოროდრიმი დაანგრია; მაშინ ელფებს ეგონათ, ბოროტებას სამუდამოდ მოელო ბოლო, მაგრამ მწარედ შეცდნენ“.

„ახლაც თვალწინ გიდგათ? – წამოიძახა გაკვირვებულმა ფროდომ, – მაგრამ მეგონა... – ენა დაება, როცა ელრონდი მისკენ შემობრუნდა, – მეგონა, ეს ყველაფერი ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა“.

„მართლაც ასე იყო, – ცივად უპასუხა ელრონდმა, – მაგრამ ჩემი მეხსიერება ადრეულ დღეებსაც სწვდება. მაშინ ეარენდილი იყო. იგი გონდოლინში, მის დაცემამდე დაიბადა. დედაჩემი გახლდათ ელუინგი, ასული დიორისა, ძისა ლუთიენ დორიათელის. მე მოვსწრებივარ შუახმელეთის სამივე ეპოქას, მინახავს ბევრი მარცხი და ბევრი უნაყოფო გამარჯვება.“

ელრონდის საბჭომდე დაახლოებით ექვსი ათასი წლით ადრე, დორ-ლომინში დაიბადა ტურიანი, „ზამთრის ჟამს, – როგორც ბელერიანდის ჩანაწერებშია მოხსენიებული, – ნიშნად მწუხარებისა“.

თუმცა მისი ცხოვრების ტრაგიკულობა მხოლოდ ავის მომასწავებელ ნიშნებს არ უკავშირდება. ტურინის ცხოვრება დაუსრულებელი მახეებით არის აღსავსე, თითქოს რომელიღაც შეუცნობელი ძალის სიძულვილით აღსავსე წყევლა სწეოდეს. მართლაც, ეს იყო ყველაზე საშინელი და მძულვარე წყევლა, რომელიც მორგოთმა დაატეხა თავს ჰურინს, მორუენსა და მათ შვილებს, რადგან სწორედ ჰურინმა გამოიწვია იგი და უარყო მისი ნება. მორგოთმა, ბნელმა მტერმა – როგორც უწოდებდა მას თავისუფალი ხალხი, – გამოუცხადა საკუთარი ვინაობა მის წინაშე შეპყრობილ ჰურინს: „მე ვარ მელკორი, ვალართა შორის პირველი და ყველაზე ძლევამოსილი, რომელიც სამყაროს შექმნამდე არსებობდა“.

დროებით ხორცშესხმული გამხდარიყო, უზარმაზარი და დიდებული, თუმცა საზარელი მეუფე ჩრდილო-აღმოსავლეთ შუახმელეთისა. იგი ანგბანდის უვრცეს ციხედარბაზში განსხეულებულიყო, რკინის ჯოჯოხეთში, საიდანაც ამოტყორცნილი შავი ჯანლი სქლად შემოხვეოდა თანგოროდრიმის მთათა მწვერვალებს. შორიდანაც კი შეიმჩნეოდა, თუ როგორ ალაქავებდნენ ჩრდილოეთის ცას, მორგოთის მანქანებით, ანგბანდის გარშემო ამოზრდილი, ცამდე აწვდილი მთები. ბელერიანდის ჩანანერებში ნათქვამია, რომ „მორგოთის სიმაგრის კარიბჭიდან მენეგროთის ხიდანამდე ოდენ ას ორმოცდაათი ეჯი იდო სავალი: მანძილი გრძელი იყო, მაგრამ, იმავდროულად, მეტისმეტად მოკლე“. აქ მოხსენიებული ხიდი ელფი ხელმწიფის, თინგოლის სამყოფელისკენ მიემართებოდა, რომელმაც ტურინი შვილობილად გამოაცხადა; ეს სამყოფელი კი, მენეგროთი, ათასი გამოქვაბულის ქალაქი იყო და დორ-ლომინისგან შორეულ სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარეობდა.

მორგოთი განსხეულდა, მაგრამ იგი ისეთივე სახიფათო იყო, როგორც უნინ. მამაჩემი მასზე წერდა: „როდესაც მისი გული ბოლომდე ღვარძლით აივსო, გამოიხმო საკუთარ სხეულში ჩაბუდებული ბოროტება და გრძნეული ქვეშევრდომების გული სიცრუითა და მძულვარებით აავსო, თვითონ კი ამით თავისი ძალის ნაწილი დაკარგა, მიწიერებასთან მეტად მიიჯაჭვა და თავის ბნელ ციხესიმაგრეში უფრო საგულდაგულოდ შეიკეტა“. როდესაც ნოლდორთა უზენაესი ხელმწიფე ფინგოლფინი მარტო გაეშურა ანგბანდისაკენ, რათა მორგოთი ორთაბრძოლაში გამოეწვია, კარიბჭეს მიაღწია თუ არა, შედგა და შეჰყვირა: „გარეთ გამოდი, ლაჩართა ხელმწიფევ! საკუთარი ხელებით შემებრძოლე! სამალავთა მძებნელო, მონათა მეთაურო, ცრუ და მუხთალო! ღმერთებისა და ელფების მტერო, გიბრძანებ გამობვიდე! ერთი სული მაქვს, ვიხილო შენი კურდღელივით დამფრთხალი სახე“. ამის შემდეგ კი (როგორც მოთხრობილია) „მორგოთი გამოვიდა, რათა საკუთარ სარდალთა თვალში ლაჩრად არ წარმოჩენილიყო“. იგი იბრძოდა გრონდით, უზარმაზარი უროთი, რომელიც ყოველი დარტყმისას მიწაში ღრმა ორმოებს ტოვებდა და საბოლოოდ ფინგოლფინი ძირს დასცა, მაგრამ ვიდრე იგი სულს განუტევებდა, უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და მახვილი ჩასცა უზარმაზარ ფეხში. „შავი სისხლი გადმოინთხა ჭრილობიდან და გრონდის დარტყმისაგან წარმოქმნილი ორმოები პირთამდე ამოავსო. ბრძოლის კვალი კი სამუდამოდ დაემჩნა მორგოთს“. ასევე, როდესაც ბერენმა და ლუთიენმა მგლისა და ლამურის ფორმა მიიღეს, გაუყვნენ გზას ანგბანდის დარბაზებისკენ და იქ საკუთარ ტახტზე მჯდომარე მორგოთი დახვდათ, ლუთიენმა გამოიყენა საკუთარი გრძნეულება და მორგოთი მოაჯადოვა. „უეცრად ის გადმოვარდა, მთიდან დაშვებული ზვაავივით ჩამოიქცა,

ვით მეხი გადმოიტყორცნა სამეფო ტახტიდან და იატაკზე დაენარცხა. რკინის გვირგვინი კი ხმაურით გადმოუგორდა თავიდან“.

იმგვარი ქმნილების წყევლა, რომელიც აცხადებს: „ჩემი განზრახვათა აჩრდილი აწევს მთელ არდას (მსოფლიოს) და ყველა, ვინც მას ეკუთვნის, თანდათანობით, შეუქცევლად დაემორჩილება ნებას ჩემსას“, – შეუძლებელია, თავისი შემადრწუნებლობით მსგავსი წყევლა მოიძებნოს. მორგოთი არ წარმოადგენს ისეთ ბოროტებას, რომელიც მუდმივად ცდილობს, საკუთარი ძალის წარმოჩინებით სხვები დააშინოს, არც ჰურიანის ოჯახის თავს დატეხილი უბედურებაა მხოლოდ, რადგან იგი „არდის ბედისწერათა მბრძანებელია“, როგორც თავის თავს უწოდებს ჰურიანთან საუბრისას. მას სურს მოწინააღმდეგეთა საბოლოო გეგმები დაამსხვრიოს და ეს ყველაფერი საკუთარი უტეხილების ძალით მოახერხოს. ამგვარად ქმნის მათ მომავალს, რომელნიც სძულს და როგორც ჰურიანს ეუბნება: „ყველას, ვინც გიყვარს, ფიქრნი ჩემნი ბედისწერის ღრუბლებივით დაატყდება თავს, და ისინი ერთმანეთის მიყოლებით გადაცვივდებიან სასონარკვეთილების ბნელ მორევში“.

ტანჯვას, რომელიც მან ჰურიანს მოუწყო, ეწოდება „მორგოთის თვალებით ხედვა“. მამაჩემმა განმარტა, რას ნიშნავდა ეს: თუ ვინმეს აიძულებდნენ, ჩაეხედა მორგოთის თვალებში, დაინახავდა (შესაბამისად, მორგოთის გონებიდან გადავიდოდა გამოსახულებები მის გონებაში) მოვლენების განვითარების საეჭვო სურათებს, მორგოთის შავბნელი გონების მიერ გაყალბებულსა და დამახინჯებულს. არავის შეეძლო, თავი დაეცვა მისი გავლენისგან, ვერც ჰურიანმა შეძლო, თუმცა ამასაც ჰქონდა თავისი მიზეზი. ჰურიანის სიყვარული და მღელვარება თავისი მოდგმის მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ აიძულა, რაც შეიძლე-

ბოდა მეტი შეეცყო მათ ბედზე. ჰურიანი იმდენად უდრეკი გახლდათ, რომ სჯეროდა, შეეძლო მორგოთის დამარცხება ორთაბრძოლაში, შეეძლო თვალი გაესწორებინა მისი დამლუპველი მზერისათვის, ან როგორმე მისი გონების ბნელ კუნჭულებში შეეღწია და ერთმანეთისგან განეღრჩია სინამდვილე და მძულვარებით შეთხზული ტყუილი.

დორ-ლომინის დატოვების შემდეგ ტურიანის თავს გადახდენილი ყველა ამბავი და ასევე, მისი დის, ნიენორის ბედი, რომელსაც მამა არასდროს ენახა, თანგოროდრის უმაღლეს მწვერვალზე უძრავად მჯდომარე ჰურიანის ხვედრთან იყო დაკავშირებული, რომლის სატანჯველი თანდათან იზრდებოდა.

ტურიანზე მოთხრობილ ამბავში, რომელმაც თავის თავს ტურამბარი, ანუ „ბედისწერის მბრძანებელი“ უწოდა, მორგოთის წყევლა გაიგივებულია ბოროტ ძალასთან, რომელიც ტურიანის გავლით, სხვათა გაუბედურების გზებს ეძებს. მოთხრობილია კიდევ, რომ დაცემული ვალა ძლიერ შფოთავდა, რადგან „ტურიანი შესაძლოა იმდენად ძლევამოსილი გამხდარიყო, რომ წყევლისაგან თავი დაეღწია და იმ ბედისწერას გაჰქცეოდა, რომელიც მისთვის ასე საგულდაგულოდ მომზადდა“ (გვ. 166) და როდესაც გუინდორმა ნარგოთრონდში მისი ნამდვილი სახელი გაამხილა, ტურიანი გაბრაზდა, რადგან მალავდა საკუთარ სახელს, და ასე მიუგო: „უკეთური საქმე მიყავ, მეგობარო, ჩემი ნამდვილი სახელის გამოაშკარავებით თავს წყევლა დამატეხე, რომელსაც აქამდე გავურბოდი“ (გვ. 190). სწორედ გუინდორი გახლდათ ის, ვინც ტურიანს უამბო თავისივე ტყვეობის დროს ანგბანდში გავარდნილი ხმების შესახებ, რომ მორგოთმა დასწყევლა მამამისი ჰურიანი და მისი მოდგმა. თუმცა ამჯერად, ტურიანის რისხვას შემდეგნაირად უპასუხა: „წყევლა შენს სახელში კი არა, შენში დევს“.

ეს ამონარიდი მეტად მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია, რადგან თავდაპირველად მამაჩემს განზრახულიც კი ჰქონდა სხვა სახელი დაერქმია ამ მოთხრობისათვის: „ნარნ ე-‘რახ-მორგოთ“ ანუ „ამბავი მორგოთის წყევლისა“. მისი ხედვა კი შემდეგი სიტყვებით არის გადმოცემული: „ასე დამთავრდა ამბავი უიღბლო ტურინისა; ეს იყო ადრეულ წლებში მორგოთის მიერ კაცთა მოდგმის მიმართ ჩადენილი ყველაზე საშინელი ბოროტება“.

როდესაც ხისწვერა ფანგორნის ტყეში მიაბიჯებდა, ტოტებად გაფარჩხულ ხელებზე შესმულ მერისა და პიპინს თავის მოგონებებში დალექილ უძველეს ადგილთა და იმ ხეთა შესახებ უმღერდა, რომლებიც იქ იზრდებოდნენ:

ტასარინანის ტირიფების ტყეს ვსტუმრობდი ხშირად
გამოზაფხულზე.

ნან-ტასარიონის მწვანე ხედები მახსოვს მე დღესაც, აჰ!
სურნელი ტკბილი მათრობს მე კვლავაც.

ოსირიანდის თელიანებში დავსეირნობდი მე ყოველ
ზაფხულს.

აჰ, რა კარგი იყო ცეკვა-სიმღერა შვიდი მდინარის პირას,
იქ ყოფნას ვნატრობ მე კვლავაც.

სხვა არა სჯობდა შემოდგომაზე მიმოსვლას ნელდორეთში,
აჰ, ტაურ-ნა-ნელდორის ნიფუნარი! შრიალი ოქრო-წითელ
ფოთლების მესმის მე კვლავაც.

დორთონიონის მალლობებს შვენოდა ფიჭვნარი
მარადჟამმწვანე,

აჰ! ზამთრის სიცივე გადათოვლილ ოროდ-ნა-თონზე
მსუსხავს მე კვლავაც.

დღეს ყოველივე ტალღათ წალეკეს, შთაინთქა ზღვაში,
დამრჩა მე მხოლოდ ტაურემორნა, ალდალომე და ამბარონა,

ჩემი სამშობლო, ჩემი მიწები – ეს ტყე ფანგორნის, სადაც ფესვები მთათ უგრძესია და წლები მისი ისე ხშირია, როგორც ფოთლები ტაურემორნალომეში.

ხისწვერას მახსოვრობა, – „სამყაროს სიყრმის ჟამს დაბადებული ენტისა, მთებივით მხცოვანის“ – მართლაც რომ მრავლისმომცველია. მას ახსოვს უძველესი ტყეები გარდასულ დღეთა ბელერიანდისა, რომელიც ადრეული წლების დიდი ბრძოლის დროს წარმოქმნილი ნგრევისას განადგურდა. უკიდევანო ზღვა შემოიჭრა და მთლიანად დაფარა ლურჯი მთების დასავლეთით მდებარე მიწები; იმხანად ორ ნაწილად იყოფოდა ლურჯი მთები, ერედ-ლუინად და ერედ-ლინდონად. რუკა, რომელიც „სილმარილიონს“ ახლავს, აღმოსავლეთით, სწორედ ლურჯ მთებთან მთავრდება, ხოლო რუკა, რომელიც „ბეჭდების მბრძანებელს“ ერთვის, დასავლეთით, იმავე მთების ზოლით სრულდება; მთების დასავლეთით მოსაზღვრე ფორლინდონი და ჰარლინდონი (ჩრდილოეთი და სამხრეთი ლინდონი) ის მიწებია, რომელიც მესამე ეპოქაში ჯერ კიდევ შემორჩა იმ დიდებული ქვეყნისგან, რომელსაც უწოდებდნენ, როგორც ოსირიანდს, შვიდი მდინარის ქვეყანას, ასევე ლინდონს. სწორედ აქ, თელების ტყეში დააბიჯებდა ერთ დროს ხისწვერა.

იგი ასევე მიაღწებდა უზარმაზარ ფიჭვებს შორის, დორთონიონის მალლობებში („ფიჭვების მხარე“), რომელსაც შემდგომში ტაურ-ნუ-ფუინი, „ლამის ჩრდილებით მოცული ტყე“ უწოდეს, რადგან მორგოთმა აქცია ის „მოხეტიალეთა და უიმედოთა მომნუსხველ, შემზარავ და ბნელ მხარედ“ (გვ. 171). ასე მიაღწა ხისწვერა ნელდორეთს, დო-

რიათის ტყეთა ჩრდილოეთ მხარეს, საიდანაც თინგოლის სამეფო იწყებოდა.

სწორედ ბელერიანდსა და ჩრდილოეთის მიწებზე გათამაშდა ტურინის საშინელი ბედისწერის სცენა, ზუსტად დორთონიონისა და დორიათის მიწები, სადაც ხისწვერა დააბიჯებდა, იქცა სავალალოდ და საბედისწეროდ ტურინის ცხოვრებაში. ომის ქარცეცხლში დაიბადა იგი, ხოლო როდესაც ბელერიანდის ბრძოლათაგან ყველაზე საზარელი მიმდინარეობდა, მხოლოდ მცირეწლოვანი იყო. ალბათ იმ პერიოდთან დაკავშირებული მოვლენების მოკლე მოხილვა, თხრობის დროს გაჩენილ კითხვებსა და მიმართებებს უფრო ნათლად გასცემდა პასუხს.

ბელერიანდის ჩრდილოეთით მდებარეობდა ერედუეთრინი, იგივე „წყვდიადის მთები“, რომლის გადაღმა იყო დორ-ლომინი, ტურინის მშობლიური მიწები, რომელიც, თავის მხრივ, ჰითლუმის მხარის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. აღმოსავლეთი ბელერიანდი ლურჯი მთების მისადგომებთან მთავრდებოდა, ხოლო მთების გადაღმა მიწებზე მხოლოდ გაკვრით არის მოთხრობილი ადრეეპოქამდელი დღეების მატრიანეში; თუმცა ის ხალხი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა აქ მოთხრობილ ამბავში, სწორედ აღმოსავლეთიდან, ლურჯი მთების ბილიკებით გადმოვიდა ბელერიანდში.

ელფები ამ სამყაროს მოევლინნენ შორეულ აღმოსავლეთში, ტბის ნაპირებზე, რომელსაც კუივიენენი, იგივე გამოღვიძების ტბა ეწოდებოდა; შობის დღიდან უხმობდნენ მათ ვალარები, რომ დაეტოვებინათ შუახმელეთი და დიდი ზღვის გავლით, სამყაროს დასავლეთ კიდეში მდებარე, ამანის „კურთხეულ სამეფომდე“ მიეღწიათ. ელფების ნაწილმა, რომელთაც შეისმინეს ვალართა ძახილი, მოაწყვეს ხანგრძლივი მოგზაურობა კუივიენენის ტბიდან დიდი

ზღვის ნაპირებამდე, მთელი შუახმელეთის გადაკვეთით. მათ წინ მიუძღოდათ ვალა ორომე, დიადი მონადირე. ამ ელფებს ელდარები ეწოდათ, დიდი მოგზაურობის ელფები, იგივე უზენაესი ელფები. ხოლო მათ, ვინც ყურად არ იღო ვალართა ძახილი და შუახმელეთი არჩია სამუდამო საცხოვრისად და ბედისწერის აღსრულების ადგილად, ეწოდათ ნაკლოვანი ელფები, ავარები, იგივე არამოსურნენი. თუმცა ყველა ელფს, რომელმაც ლურჯი მთები გადალახა, როდი გაუცურავს ზღვის გაღმა. ისინი, ვინც ბელერიანდში დარჩენა გადაწყვიტა, სინდარებად მოიხსენებიან, რუხ ელფებად. სწორედ მათი უზენაესი ხელმწიფე გახლდათ თინგოლი (რაც ნიშნავს „რუხ მოსასხამს“), რომელიც მენეგროთიდან, ათასი გამოქვაბულის ქალაქიდან, მართავდა დორიასს.

დიდი ზღვის გადაკვეთის შემდეგ, არც ელდართაგან დარჩენილა ყველა ვალართა მიწაზე. რადგან ნოლდორები („სიბრძნით განსწავლულნი“) გამოეყვნენ დანარჩენ ელფებს და უკან, შუახმელეთში გაბრუნდნენ. ამის შემდეგ მათ განდევნილები ეწოდათ. ვალართა წინააღმდეგ აჯანყების წამომწყები გახლდათ ფეანორი, „ცეცხლოვანი სული“, ის იყო უფროსი ვაჟი ფინუესი, რომელიც ნოლდორთა შტოს წაუძღვა კუივიენენიდან აყრის ჟამს, თუმცა კი უკვე დაღუპული იყო იმხანად. ელფთა ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენები მამაჩემს მოკლედ აქვს გადმოცემული „ბეჭდების მბრძანებელში“, „მეფის დაბრუნების“ წიგნში მოყვანილ პირველ დანართში: ფეანორი ელდართაგან გამოირჩეოდა ოსტატობითა და განსწავლულობით. თუმცა იმავდროულად იყო მეტად ქედმაღალი და თავნება. მან შექმნა სამი ძვირფასი თვალი, სილმარილები, და აღავსო ისინი ორი ხის, ლაურელინისა და ტელპერიონის ბრწყინვალეობით, რომლებიც სინათლეს აფრქვევდ-

ნენ ვალართა მიწებზე. საყოველთაო მტერმა, მორგოთ-
მა, მოიპარა ისინი. შემდგომ, გაანადგურა რა ვალინორის
ორი ხე, სილმარილები შუახმელეთში, თანგოროდრიმში
წაიღო (ანგბანდის გარშემომსაზღვრელი მთები), თავის
ბნელ ციხესიმაგრეში. მიუხედავად ვალართა აკრძალვი-
სა, ფეანორმა დატოვა კურთხეული სამეფო და საკუთარ
თანამებრძოლებთან ერთად, შუახმელეთისაკენ გასწია.
სიამაყით დაბრმავებულმა გადაწყვიტა, ძალით წაერთ-
მია მორგოთისათვის მოპარული ძვირფასი თვლები. ამას
შედევად მოჰყვა ელდართა და ედაინთა უიმედო ომი თან-
გოროდრიმის წინააღმდეგ, რომელ ომშიც ისინი სასტიკად
დამარცხდნენ.

მას შემდეგ, რაც ნოლდორებმა შუახმელეთს მიაღ-
წიეს, მალევე ფეანორი ბრძოლაში დაეცა. მისმა შვიდმა
ვაჟმა საკმაოდ ვრცელი ტერიტორიები დაიკავა აღმოსავ-
ლეთ ბელერიანდში, დორთონიონსა (ტაურ-ნუ-ფუინი) და
ლურჯ მთებს შორის; თუმცა, მათი ძლიერება ურიცხვი
ცრემლის საზარელმა ბრძოლამ დააკნინა; ამ ბრძოლის
შესახებ მოთხრობილია „ჰურინის შვილებში“; ხოლო ამის
შემდეგ „ფეანორის ვაჟები ქარისგან წაღებული ფოთლე-
ბივით დაეხეტებოდნენ ქვეყნად“ (გვ. 66).

ფინუეს მეორე ვაჟს ერქვა ფინგოლფინი (ფეანორის
ნახევარძმა), რომელიც ნოლდორთა წინამძღოლი გახლ-
დათ; იგი საკუთარ ვაჟთან, ფინგონთან ერთად მართავდა
ჰითლუმს, რომელიც ერედ-უეთრინის, „წყვდიადის მთე-
ბის“, როგორც ჩრდილოეთით ასევე დასავლეთით მდებარე-
ობდა. ფინგოლფინი მითრიმში სუფევდა, იმავე სახელ-
წოდების ტბის ნაპირებზე. ხოლო ფინგონი დორ-ლომინს,
ჰითლუმის სამხრეთით მდებარე მიწებს მართავდა. მათ
მთავარ ციხესიმაგრეს ბარად-ეითელი ერქვა („წყაროს
კოშკი“), რომელიც ეითელ-სირიონში („სირიონის წყარო“)

იყო აგებული. აქედან იღებდა სათავეს მდინარე სირიონი და „წყვდიადის მთების“ აღმოსავლეთ მისადგომებთან მიედინებოდა; ჰურიანსა და მორუენს ჰყავდა ერთი მოხუცი კოჭლი მსახური, სადორი, რომელიც წლების განმავლობაში მსახურობდა ბარად-ეითელში, როგორც თავად უამბო ტურინს (გვ. 207). მორგოთთან ორთაბრძოლაში დაღუპული ფინგოლფინის შემდეგ, ნოლდორთა ხელმწიფე ფინგონი გახდა. ერთხელ იხილა ტურინმა იგი, როდესაც მან „თავის ამალითურთ გაიარა დორ-ლომინში და თეთრვერცხლისფრად მოლიცლიცე ნენ-ლალაითის ხიდი გადაკვეთა“ (გვ. 41).

ფინგოლფინის მეორე ვაჟი გახლდათ ტურგონი. ნოლდორთა დაბრუნების ჟამს, თავდაპირველად ის ვინიამარში დასახლდა, ზღვასთან ახლოს, ნევრასტის მხარეში, რომელიც დასავლეთიდან ესაზღვრებოდა დორ-ლომინს; მაგრამ ყველასგან მალულად ააგო ფარული ქალაქი გონდოლინი, რომელიც მდინარე სირიონის აღმოსავლეთით, ტუმლადენის ველის შუა წელზე ამოზრდილ, დიდ ბორცვზე იყო გაშენებული, გარშემო კი მთლიანად მთებით შემოსაზღვრული. როდესაც მრავალწლიანი მძიმე შრომის შემდეგ გონდოლინის მშენებლობა საბოლოოდ დასრულდა, ტურგონმა დატოვა ვინიამარი და, თავის ხალხთან, სინდარებთან და ნოლდორებთან ერთად, გონდოლინში გადასახლდა. საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ სილამაზით განთქმულ ელფურ ციხე-ქალაქს, დიდი გულისყურით დარაჯობდნენ მისკენ მიმავალ ერთადერთ საიდუმლო შესასვლელს, ისე, რომ არავის შეეძლო გარედან მასში შეღწევა, თვით მორგოთმაც კი არაფერი უწყოდა მის არსებობაზე. საიდუმლო მხოლოდ მაშინ გაცხადდა, როდესაც ვინიამარის დატოვებიდან სამი ათას ორმოცდა-

ათი წლის შემდეგ, ტურგონმა გახსნა გონდოლინის კარიბჭე და ურიცხვი ცრემლის ომში გაუძღვა თავის ლაშქარს.

ფინუეს მესამე ვაჟი, იმავდროულად ძმა ფინგოლფინისა და ნახევარძმა ფეანორისა, გახლდათ ფინარფინი. თავად შუახმელეთში არ დაბრუნებულა, თუმცა მისი ვაჟები და ქალიშვილი ფინგოლფინსა და მის ძეთ გამოჰყვნენ, სხვა ელფებთან ერთად, ვარსკვლავებით მოჭედულ მინებზე. ფინარფინის უფროს ვაჟს ფინროდი ერქვა. დორიათში ყოფნისას, მენეგროთის ბრწყინვალეებით მოხიბლულმა, თვითონაც ააგო მინისქვეშა ციხე-ქალაქი ნარგოთრონდი. ამის გამო მას ფელაგუნდი უწოდეს, რაც ადამიანთა ენაზე ითარგმნება, როგორც „გამოქვაბულთა მბრძანებელი“ ან „გამოქვაბულების მთლელი“ – ჯუჯათა ენაზე. ნარგოთრონდის კარი დასავლეთ ბელერიანდში, მდინარე ნაროგის ღრმა ხეობაში იღება. აქედან მდინარე ტაურ-ენ-ფაროთის, იმავე მაღალი ფაროთის შემალლებულ ბორცვებს შორის მიედინება; თუმცა ფინროდის სამფლობელო მხოლოდ იმ ტერიტორიებს არ მოიცავდა, ის აღმოსავლეთით მდინარე სირიონამდე, ხოლო დასავლეთით მდინარე ნენინგამდე ვრცელდებოდა, რომელიც თავის მხრივ, ეგლარესტის ყურეში ჩაედინებოდა და ზღვას ერთვოდა. საუბედუროდ, ფინროდს მორგოთის ყველაზე ძლევამოსილი მსახურის, საურონის დილეგში ენია აღსასრული. ამის შემდგომ ფინარფინის მეორე ვაჟი, ოროდრეთი იდგამს ნარგოთრონდის გვირგვინს. ეს ყველაფერი დორ-ლომინში ტურინის დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ ხდება.

ფინარფინის დანარჩენი ვაჟები, ანგროდი და აეგნორი დორთონიონში ცხოვრობდნენ და მათივე ძმის, ფინროდის, ხელქვეითები იყვნენ. ისინი განაგებდნენ ჩრდილოეთით მდებარე არდ-გალენის ვრცელ მინდვრებს. ფინროდის და, გალადრიელი, დედოფალ მელიანთან ცხოვრობდა

დორიათში. მელიანი იყო მათი, დიადი ძალის მქონე სული, რომელსაც ადამიანური ფორმები მიელო და ბელერიანდის ტყეებში დასახლებულიყო მეფე თინგოლთან ერთად. მელიანი გახლდათ დედა ლუთიენისა და დიდი ბებია ელრონდისა. ნოლდორების ამანიდან დაბრუნებიდან არც ისე დიდი ხნის შემდგომ, როდესაც ანგბანდიდან ურიცხვი ლაშქარი გამოიჭრა და სამხრეთით, ბელერიანდისკენ აიღო გეზი, მელიანმა (როგორც „სილმარილიონშია“ აღწერილი) „გამოიხმო ძალები თვისი, და უხილავ, ჩრდილოვან კედლად შემოარტყა სამფლობელოს. არავის ძალუძდა ამ სარტყლის გადალახვა მელიანის და თინგოლის ნების გარეშე, ვიდრე მათი მელიანზე აღმატებული ძალის მფლობელი არ გამოჩნდებოდა.“ ამის შემდგომ ეწოდა ამ მიწას დორიათი, „შემოზღუდული ქვეყანა“.

ნოლდორთა დაბრუნებიდან მეთექვსმეტე წელს, ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდის დასასრულს, უამრავი ორკი გამოვიდა ანგბანდიდან, თუმცა ნოლდორებმა სასტიკად დაამარცხეს ისინი. ეს ბრძოლა მოხსენიებულია, როგორც დაგორ აგლარები, „სახელოვანი ბრძოლა“; ელფმა ხელმწიფეებმა მოახლოებული საფრთხის სუნი იყნოსეს და ანგბანდს ალყა შემოარტყეს, რომელმაც ოთხას წელს გასტანა.

მოთხრობილია, რომ ადამიანები (ელფები მათ უწოდებდნენ ატანებს, „მეორეებს“, ასევე ჰილდორებს, „მომდევნოებს“) პირველად გამოჩნდნენ ადრეეპოქამდელი დღეების შორეულ აღმოსავლეთში. ბელერიანდში მათ თავდაპირველ მოსვლაზე ბევრი არაფერია ცნობილი, რადგან ეს მშვიდობიანობის უამს მოხდა, მაშინ, როცა ანგბანდი ალყაშემორტყმული იყო, ხოლო მისი კარიბჭენი დახშული. იმ ადამიანებს, რომელთაც ლურჯი მთები გადმოიარეს, წინამძღოლობდა ბეორ უხუცესი. პირვე-

ლად ნარგოთრონდის ხელმწიფემ, ფინროდ ფელაგუნდმა, იხილა ისინი. შეხვედრის დროს ბეორმა მათ განუცხადა: „წყვდიადი გამოწოლილა ჩვენ უკან; და მას ზურგი ვაქციეთ. იქ გაფიქრებითაც კი არ გვსურს დაბრუნება. გულმა დასავლეთისკენ გამოგვინია და გვჯერა, რომ აქ ვიპოვით სინათლეს“. ზუსტად ამ სიტყვებით უამბო ჰურინის მსახურმა სადორმა ყმანვილ ტურინს ეს ამბავი. ასევე მოთხრობილია, რომ მას შემდეგ, რაც მორგოთმა შეიტყო შუახმელეთზე კაცთა მოვლინების შესახებ, უკანასკნელად დატოვა ანგბანდი და აღმოსავლეთით გაემართა; და სწორედ იმ პირველმა ადამიანებმა, რომელთაც ბელერიანდში შეაბიჯეს, „უარყვეს ბნელი ძალა და აჯანყდნენ მის წინააღმდეგ. იმ დღიდან მათ ძლიერ ავიწროებდნენ და სასტიკად დევნიდნენ ისინი, ვინც განადიდებდა და მსახურებდა ბოროტს“.

ის ადამიანები სამ შტოდ იყოფოდნენ, ბეორის, ჰადორისა და ჰალეთის საგვარეულოებად. ჰურინის მამა, გალდორ მაღალი, ჰადორის შტოდან იყო, რომელიც მისი მამა გახლდათ; დედამისი ჰალეთის საგვარეულოს ეკუთვნოდა, ხოლო ცოლი მორუენი კი ბეორის გვარისა გახლდათ და ბერენს ენათესავებოდა.

ედაინები (ატანების ფორმა სინდარულ ენაში), რომელთაც ელფთა მეგობრებს უწოდებდნენ, სამ შტოდ იყოფოდნენ. ჰადორი ჰითლუმში სახლობდა და მეფე ფინგოლფინმა ის დორ-ლომინის მმართველად დანიშნა; ბეორის ხალხი დორთონიონში დასახლდა, ხოლო ჰალეთის ხალხმა იმხანად ბრეთილის ტყეში დაიდო ბინა. ანგბანდის ალყის დასრულების შემდეგ უამრავმა ადამიანმა გადმოლახა ლურჯი მთები, მათ, როგორც აღმოსავლელებს, ისე მოიხსენიებდნენ და ზოგიერთმა დიდი როლი ითამაშა ტურინის ამბავში.

ანგბანდის ალყა ენით გამოუთქმელი მწუხარებით დასრულდა (მიუხედავად იმისა, რომ კარგად მომზადებული გახლდათ) შუაზამთრის ერთ ღამეს, ალყის დაწყებიდან 395-ე წელიწადი მიდიოდა, როდესაც ცეცხლის მდინარეები გადმოაფრქვია მორგოთმა თანგოროდრიმიდან და მთლიანად გადაწვა დორთონიონის ჩრდილოეთით გადაჭიმული არდ-გალენის მწვანე ველ-მინდვრები. მას შემდეგ ის გადახრუკულ, გამომშრალ უდაბნოდ იქცა და ეწოდა ანფაუგლითი, „მხრჩოლავი მტკვერი“.

ამ მოულოდნელ იერიშს ეწოდა დაგორ-ბრაგოლახი, „უეცარი ცეცხლის ბრძოლა“. გლაურუნგი, დრაკონთა მამა პირველად გამოვიდა ანგბანდიდან და მთელი ძლიერებით წარდგა; ორკთა თვალუნვდენელი ლაშქარი ხანძარით მოედო სამხრეთს. დორთონიონის სამეფოს ელფი დიდებულები და ბეორის მეომართა უმეტესობა ბრძოლაში დაეცა. ფინგოლფინმა, თავის ვაჟ ფინგონთან და ჰითლუმელ მეომრებთან ერთად, ეითელ-სირიონის ციხესიმაგრისკენ დაიხია, „წყვდიადის მთების“ აღმოსავლეთ კალთებისკენ. მათ დაცვას შეეწირა ჰადორ ოქროსთმიანი, ამის შემდეგ კი გალდორი, ჰურიანის მამა გახდა დორ-ლომინის მმართველი. წყვდიადის მთებმა ანგბანდიდან წამოსული ცეცხლის ნიაღვარი შეაჩერა, რითაც ჰითლუმი და დორ-ლომინი უვნებლად გადარჩა.

ერთი წელი გასულიყო ბრაგოლახიდან, რომ რისხვითა და სასონარკვეთით მოცულმა ფინგოლფინმა მარტომ გასწია ანგბანდისკენ და მორგოთი ორთაბრძოლაში გამოიწვია. ორი წლის შემდგომ ჰურიანი და ჰუორი გაემართნენ გონდოლინისკენ, ხოლო ოთხი წლის განმავლობაში ჰითლუმზე გამუდმებული იერიშების შედეგად, გალდორი, ჰურიანის მამა, დაიღუპა ეითელ-სირიონის ციხესიმაგრეში.

მაშინ სადორი იქ იმყოფებოდა და მოგვიანებით ტურინს მოუყვა (გვ. 43), თუ როგორ „გადაიბარა მისი მმართველობა და ყოველი ბრძანებულება“ ჰურინმა (მაშინ მხოლოდ ოცდაერთი წლისა იყო).

ეს ამბავი სულ ახალი მომხდარი იყო დორ-ლომინში, მაშინ როდესაც ტურინი დაიბადა, უეცარი ცეცხლის ბრძოლიდან ცხრა წლის შემდგომ.

ჰურინის შვილები





თავი I

ჭურინის ბავშვობა

ჰადორ ოქროსთმიანი გახლდათ ედინთა წინამძღოლი და ელფები კეთილად იყვნენ მისდამი განწყობილი. იგი სიცოცხლის ბოლომდე ფინგოლფინის ვასალი იყო, რომელმაც დორ-ლომინის სახით ჰითლუმის მხარის ვრცელი მიწები გადასცა სამართავად. მისი ქალიშვილი გლორედელი ცოლად გაჰყვა ჰალდირს, ბრეთილელ ადამიანთა მთავრის, ჰალმირის ძეს; იმავე წვეულებაზე, მისივე ვაჟმა, გალდორ მალალმა, იქორწინა ჰარეთზე, ჰალმირის ასულზე.

გალდორსა და ჰარეთს ორი ვაჟი შეეძინათ, ჰურინი და ჰუორი. ჰურინი ძმაზე სამი წლით უფროსი იყო, თუმცა ნათესავ მამაკაცთაგან ყველაზე ტანდაბალი გახლდათ. ამ მხრივ იგი დედის ნათესავებს, სხვა დანარჩენში კი პაპამის ჰადორს დაემსგავსა, ფიზიკურად ძლიერსა და ხასიათით ფიცხს. თუმცა ცეცხლი მასში უცებ არ აღდებოდა და უტეხი ნებისყოფისა იყო. ჰურინი ჩრდილოელ ადამი-

ანთაგან ყველაზე უკეთ გახლდათ ჩახედული ნოლდორთა გეგმებში. მისი ძმა ჰუორი ყველა ედაინზე ტანმაღალი იყო, თუ არ ჩავთვლით თავისივე ვაჟ ტუორს, აგრეთვე გახლდათ მარდი მორბენალი, მაგრამ თუ გზა შორი იყო და რთულად სავალი, სახლში პირველი ჰურიანი მოდიოდა, რადგან იმავე შემართებით ასრულებდა სირბილს, რითიც იწყებდა. დიდი სიყვარული იყო ძმებს შორის და იშვიათად თუ მიატოვებდნენ ერთმანეთს ახალგაზრდობის ჟამს.

ჰურიანმა იქორწინა მორუენზე, ბარაგუნდ ბრეგოლასის ძის ასულზე, ბეორის საგვარეულოდან, ასე რომ, იგი ახლო ნათესავი გახლდათ ბერენ ცალხელასი. მორუენს მუქი ფერის თმა ჰქონდა და ტანმაღალი იყო. მომნუსხველი მზერისა და პირმშვენიერების გამო ადამიანები მას ელედუენს, *მწყაზარ ელფს* უწოდებდნენ. თუმცა ხასიათში სიმკაცრე და სიამაყე გამორეოდა. ბეორის ხალხის მწუხარება გულს უმძიმებდა, რადგან ბრეგოლასის ბრძოლის დამანგრეველი შედეგების შემდგომ იგი დორთონიონიდან დევნილად მოვიდა დორ-ლომინში.

ტურიანი გახლდათ სახელი ჰურიანის და მორუენის უფროსი შვილისა. იგი იმავე წელს დაიბადა, როდესაც ბერენმა დორიათში შეაბიჯა და იქ ლუთიენ ტინუვიელი, თინგოლის ასული იხილა. მორუენმა ქალიშვილიც გაუჩინა ჰურიანს, რომელსაც ურუენი დაარქვეს, თუმცა ლაღაითს ეძახდნენ, რაც „კისკისას“ ნიშნავს, იმას, რითიც იგი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში იცნობოდა.

ჰუორმა იქორწინა რიანზე, მორუენის ბიძაშვილზე. ის გახლდათ ქალიშვილი ბელეგუნდ ბრეგოლასის ძისა. მეტად მძიმე ხვედრი ერგო ავ დროში დაბადებულს, რამეთუ ძლიერ სათუთს ნადირობაცა და ომიც ერთნაირად უღონებდა გულს. მთელი თავისი სიყვარული ხეებსა და ველურ ყვავილებს უძღვნა, მომღერალი იყო და თვი-

თონაც თხზავდა სიმღერებს. მხოლოდ ორი თვე გასულიყო ჰუორთან ქორწინების დღიდან, როდესაც იგი თავის ძმას ნირნაეთ-არნოედიადში გაჰყვა და ამის შემდეგ ჰუორი მას აღარასდროს უხილავს.

თუმცა თხრობა ახლა ჰურინსა და ჰუორს და მათ ახალგაზრდობის წლებს უბრუნდება.

ცნობილია, რომ ჩრდილოელ ადამიანთა იმდროინდელი წეს-ჩვეულების თანახმად, გალდორის ვაჟები გარკვეული ხნით ბრეთილში თავიანთ ბიძასთან, ჰალდირთან ცხოვრობდნენ, როგორც მისი შვილობილები. ხშირად მიდიოდნენ ძმები ბრეთილელ კაცებთან ერთად ორკთა განსადევნად, რადგან ისინი ჩრდილოეთ საზღვრებს არბევდნენ. მიუხედავად ჩვიდმეტი წლის ასაკისა, ჰურინი მეტად ღონიერი გახლდათ, ხოლო ჰუორი ტანით უკვე ზრდასრული ბრეთილელი მამაკაცის სიმაღლისა იყო.

ერთხელაც, ჰურინი და ჰუორი მზვერავთა რაზმს გაჰყვნენ, თუმცა გზად ორკები ჩასაფრებოდნენ. რაზმის წევრები მოულოდნელობისაგან დაფრთხნენ და დაიფანტნენ. ბრიითიახის ფონამდე მისდიეს ორკებმა ძმებს. აქ კი, ან ტყვედ ჩავარდნა, ანდა სიკვდილი ემუქრებოდათ, რომ არა ულმო, რომლის გავლენა სირიონის წყლებშიც ვრცელდებოდა. ამბობენ, რომ უეცრად ნისლი ამოიზარდა მდინარის პირიდან და მტერთაგან უჩინარი გახდნენ ისინი. ასე მოახერხეს გაქცევა და ბრიითიახიდან დიშბარში გადავიდნენ. იქ კი კრისაეგრიმის სალ კლდეებს შორის, რის ვაი-ვაგლახით ცდილობდნენ გზის მომხრობას, ვიდრე მთლად თავგზა არ აებნათ იმ ლაბირინთებში, რადგან ველარ გაერკვიათ, წინ რომელი გზით წასულიყვნენ, ანდა უკან რომლით დაბრუნებულიყვნენ. ბედად, თორონდორმა შენიშნა ისინი და ორი არწივი აფრინა მათ დასახმარებლად. არწივებმა ორივე ჰაერში აიტაცეს, გარშემომსაზ-

ღვრელ მთებს გადაატარეს და ტუმლადენის საიდუმლო ველზე დასვეს, იქ კი მათ იხილეს დაფარული ქალაქი გონდოლინი, რომლის ბრწყინვალება იმ დღემდე არც ერთ ადამიანს თვალით არ ენახა.

ორივე დიდი სიხარულით მიიღო მეფე ტურგონმა, როდესაც მათი ვინაობის შესახებ შეიტყო, რადგან ჰადორი თვითონ ელფთა მეგობრად იწოდებოდა. ასეც რომ არა, თავად ულმომ შეატყობინა ტურგონს, რომ კეთილად მოპყრობოდნენ მის შთამომავალთ, რამეთუ საჭიროების შემთხვევაში მათი დახმარებაც დასჭირდებოდათ. ჰურიანი და ჰუორი მთელი წელი უზრუნველად ცხოვრობდნენ გონდოლინში. ცნობილია, რომ ამ ხნის განმავლობაში, ჰურიანმა, თავისი მახვილგონიერებითა და ცნობისმოყვარეობით ბევრი ცოდნა შეიძინა ელფთაგან, ასევე შეიტყო ხელმწიფის თათბირებისა და განზრახვათა შესახებ, რადგან ტურგონს ძლიერ მოეწონა გალდორის ვაჟები და დიდ დროს ატარებდა მათთან საუბარში. მას ნამდვილად სურდა, ძმათა გული მოეგო და ისინი გონდოლინში ამ ქალაქის სიყვარულით აღვსილნი დაეტოვებინა და არა მხოლოდ იმ კანონით შებოჭილნი, რომელიც ყოველ ელფსა თუ ადამიანს, რომელიც იპოვიდა გზას საიდუმლო ქალაქისაკენ, ან თუნდაც ერთხელ შეავლებდა მას თვალს, სამუდამოდ იქ დარჩენას აიძულებდა, ვიდრე თავად მეფე არ შეცვლიდა ბრძანებულებას და დაფარული სამეფოს ხალხი თავიანთ ადგილსამყოფელს არ გამოაშკარავებდა.

თუმცა ჰურიანსა და ჰუორს ყველაფერზე მეტად საკუთარ ხალხთან დაბრუნება და ომისა და მწუხარების მათთან ერთად გაზიარება ენადათ. ჰურიანი მიეახლა ტურგონს და უთხრა:

– მეუფეო, ვინ ვართ ჩვენ, თუ არა უბრალო მოკვდავნი ელდართაგან განსხვავებით. შესაძლოა ისინი დიდხანს, მოთმინებით დაელოდონ მტერთან შებრძოლების ჟამს, რომელიმე შორეულ დღეთა გარიჟრაჟზე; მაგრამ ჩვენ დღემოკლენი ვართ და, ჟამთა სვლასთან ერთად, იმედიცა და ბრძოლის ჟინიც ხელიდან გვეცლება. თანაც, ჩვენ არ გვიპოვია და არც გვინახავს გონდოლინისკენ მომავალი გზა და არც ის ვიცით დანამდვილებით, თუ სად მდებარეობს ქალაქი, რამეთუ აქამდე ზეციური გზებით მოვედით, აღვსილნი შიშითა და განცვიფრებით, ხოლო შეწყალების მომლოდინეთ თვალებზე ბინდი გადაგვეკრა.

ტურგონმა შეისმინა მათი ვედრება და თქვა:

– იმავე გზით გაბრუნდებით უკან, რომლითაც მოხვედით, თუ თორონდორი თანახმა იქნება. დავტირი ამ განშორებას; თუმცა ელდართა სათვალავით მხოლოდ მცირე ხნით გემშვიდობებით, რამეთუ შესაძლოა, ჩვენ კვლავ ვიხილოთ ერთმანეთი.

მხოლოდ მეფის დისწულს, მაეგლინს, რომელიც დიდებული გახლდათ გონდოლინში, დიდად არ სწყდებოდა გული მათი წასვლის გამო, რადგან შურდა მეფესა და მათ შორის გაღვივებული სიყვარულის და იმჟამიდან სამუდამოდ შეიძულა მთლიანად ადამიანთა მოდგმა; და ასე მიუგო ჰურინს:

– მეფის სათნოებით იმაზე მეტად ისარგებლეთ, ვიდრე ამას იმსახურებდით, და შესაძლოა, ზოგიერთი განცვიფრებას ვერ მალავდეს, თუ რად იქნა უგულუბელყოფილი უმკაცრესი კანონი ადამიანთა მოდგმის ორი არამზადა ნაშიერის გამო. ვფიქრობ, უფრო უსაფრთხო იქნებოდა სხვა გამოსავალი არ დარჩენოდათ, თუ არა სიცოცხლის ბოლომდე აქ, ამ ქალაქის მსახურებაში დარჩენა.

– ჭეშმარიტად უსაზღვრო არს მეფის სათნოება, – უპასუხა ჰურიანმა, – მაგრამ თუკი ჩვენი სიტყვები არ კმარა, მაშინ ფიცს დავდებთ. – და ძმებმა დაიფიცეს, რომ არასდროს არაფერს გაამხელდნენ ტურგონის თათბირთა შესახებ და სამუდამოდ გულში დაიმარხავდნენ ყველაფერს, რაც კი სამეფოში ნახეს და მოისმინეს. ამის შემდეგ მათ ქალაქი დატოვეს. არწივები მოფრინდნენ, ჰაერში აიტაცეს და ლამეული გზებით უკან დორ-ლომინში გადააფრინეს, სანამ განთიადი დადგებოდა.

მთელი ნათესაობა შეკრებილიყო ძმათა სანახავად, რამეთუ ბრეთილიდან ცნობები მოსულიყო მათი დაკარგვის შესახებ. თუმცა საკუთარ მამასაც კი ვერაფერს უამბობდნენ. მხოლოდ ის გაამხილეს, რომ ტყე-ღრეში დაეხეტებოდნენ გზააბნეულნი, შემდეგ კი არწივებმა გადაარჩინეს და უკან დააბრუნეს. მაგრამ გალდორმა მათ უთხრა:

– გამოდის, მთელი წელი ტყე-ღრეში დაეხეტებოდით? იქნებ არწივებმა შეგიფარეს თავიანთ ბუდეებში? მაგრამ როდესაც გიპოვეთ, თან საკვების მარაგიც გქონდათ და კარგი შესამოსელიც გეცვათ. უფლისწულებივით დაბრუნდით და არა ტყეში გზააბნეული უპოვრებივით.

– კმაყოფილი იყავ, მამა, – მიუგო ჰურიანმა, – ვინაიდან, დავბრუნდით; რამეთუ მხოლოდ უთქმელობის ფიცს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ისევ შევხვდით ერთმანეთს. ეს ფიცი კვლავ ძალაშია.

ამის შემდგომ გალდორს სიტყვა აღარ დაუძრავს, თუმცა ისიც და ბევრი სხვაც მიხვდა დაფარულ სიმართლეს, რამეთუ უთქმელობის ფიციცა და არწივებიც ტურგონზე მიუთითებდნენ.

გამოხდა ხანი და მორგოთის შიშთა ჩრდილები დაგრძელდა. თუმცა ოთხი ათას სამოცდაცხრა წელი გასულიყო ნოლდორთა შუახმელეთში დაბრუნებიდან და კვლავ

იმედის ცეცხლი გაღვივებულიყო ადამიანთა და ელფთა გულებში; რადგან მათ შორის ხმები გავარდნილიყო ბერენისა და ლუთიენის საგმირო საქმეებისა და იმ სირცხვილის შესახებ, რომელიც ანგბანდში, საკუთარ ტახტზევე ეჭამა მორგოთს. ზოგი ამბობდა, ლუთიენიცა და ბერენიც დღემდე ცოცხალნი არიანო, ზოგიც ამტკიცებდა, მკვდრეთით აღდგნენო. იმავე წელს მაედროსის თათბირებიც თითქმის გასრულდა და ელფთა და ედაინთა ძალების ხელახალი გაერთიანებით, მორგოთის წინსვლა აღკვეთილ იქნა. ორკებმა ბელერიანდიდან პირი იბრუნეს. ამგვარად, ზოგმა საუბარიც კი დაიწყო მომავალ გამარჯვებებზე, რომ ბრაგოლახში შელახული ღირსების აღდგენისათვის მაედროსი სათავეში ჩაუდგებოდა ყველა ჯურის ელფსა და ადამიანს და სამუდამოდ დაანგრევდნენ ანგბანდის კარიბჭეს.

მაგრამ ყველაზე ბრძენნი კვლავ სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ, რადგან შიშობდნენ, რომ მაედროსმა ნაადრევად გამოამჟღავნა თავისი ძალები, რითაც მორგოთს საკმარისი დრო მიეცა, შესაბამისი ზომები მიეღო მათ წინააღმდეგ. „ყოველთვის გამოიჩეკება ანგბანდში ახალ-ახალი ბოროტება, ელფთა და ადამიანთა ფიქრთაგან მიუწვდომლად“, – ამბობდნენ ისინი. და იმავე წლის შემოდგომით, დასტურად მათი სიტყვებისა, ავმა ქარმა დაუბერა ჩრდილოეთის ტყვიისფერი ცისქვეშეთიდან. ბოროტების სუნთქვა უწოდეს მას, რამეთუ მომწამვლელი იყო მონაბერი ჰაერი; ბევრი დაავადდა და მოკვდა იმ შემოდგომით ჩრდილოეთით, ანფაუგლითის საზღვრებთან მცხოვრები. მათ შორის უმრავლესად ბავშვები და მოზრდილნი იყვნენ ადამიანთა მოდგმიდან.

იმხანად ტურიზი ძე ჰურიზისა, მხოლოდ ხუთი წლის იყო, ხოლო მისი და, ურუენი, სამისა. გაზაფხულის დადგომისას ბალახში ამოზრდილ ყვითელ შროშანს წააგავ-

და მისი თმა, როდესაც მინდვრად დარბოდა, სიცილი კი მიუგავდა მხიარულ რაკრაკს ნაკადულისას, რომელიც შორეული გორაკებიდან იღებდა სათავეს და მამამისის სახლის შემოგარენში ლალად მოჩუხჩუხებდა. ნენ-ლალაითი შეარქვეს მას და ამის შემდეგ ახლობლები ბავშვს ლალაითს ეძახდნენ. სიხარულით ევსებოდათ გული, როდესაც იგი მათთან ერთად იმყოფებოდა.

ლალაითისგან განსხვავებით, ტურიანს ნაკლები სიყვარულით ეპყრობოდნენ. მას დედასავით შავი ფერის თმა ჰქონდა და ხასიათიც მისი გამოჰყოლოდა; რამეთუ მხიარულება არასდროს ემჩნეოდა და მეტად უთქმელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ლაპარაკი ადრევე დაიწყო და თავის ასაკთან შედარებით, დიდ შეხედულებას ტოვებდა. ტურიანი ძნელად თუ ივინყებდა უსამართლობასა და აბუჩად აგდებას; თუმცა მამამისში მოგიზგიზე ცეცხლი მასშიც ენთო და უეცარი აალება იცოდა. ამასთან, ადვილად ივსებოდა სიბრაღულით და ყოველი ცოცხალი ქმნილების ტკივილსა და მწუხარებას შეეძლო მისთვის გული აეჩუყებინა; ამ მხრივაც იგი მამამისს ჰგავდა, რადგან მორუენი მკაცრი გახლდათ, როგორც სხვათა მიმართ, ისე საკუთარ თავთანაც. უყვარდა დედა მისდამი გამორჩენილი გულახდილობისა და პირდაპირობის გამო; მამას კი იშვიათად ხედავდა, რადგან ჰურიანი გამუდმებით სახლს მონყვეტილი იყო და ფინგონის ხალხთან ერთად, ჰითლუმის აღმოსავლეთ საზღვრებს იცავდა, ხოლო როდესაც შინ ბრუნდებოდა მისი სწრაფი საუბარი, უამრავი გაუგებარი სიტყვა და ჟესტი ტურიანს აბნევდა და აფორიაქებდა. საკუთარ გულში დაგროვებულ სითბოს იმხანად მხოლოდ დას, ლალაითს თუ უწილადებდა, მაგრამ მასთან იშვიათად თამაშობდა და ერჩივნა, მალულად ეცქირა, როდესაც იგი ბალახებში დააბიჯებდა ან ხეთა ჩრდილებს ეფარებო-

და და თან ისეთ სიმღერებს მღერდა, რომელიც ედვინთა შვილებს ჯერ კიდევ მაშინ შეეთხზათ, როდესაც ელფებს სულ ახლად წარმოეთქვათ სიტყვები თავიანთ ენაზე.

– ელფი ბავშვივით მშვენიერია ლალაითი, – ეტყოდა ხოლმე ჰურიანი მორუენს, – აფსუს, რომ დღემოკლეა, თუმც მათზე მშვენიერიც არის ალბათ და მეტად ძვირფასიც.

ტურინს ესმოდა ეს სიტყვები, თუმცა ვერ მიმხვდარიყო მათ მნიშვნელობას, რადგან არასდროს ეხილა ელფი ბავშვები. არც ერთი ელფი არ სახლობდა იმხანად მამამისის მიწებზე, თუმცა მხოლოდ ერთხელ დაენახა ისინი, როდესაც მეფე ფინგონმა ამალითურთ გაიარა დორ-ლომინში და თეთრ-ვერცხლისფრად მოლიცლიცე ნენ-ლა-ლაითის ხიდი გადაკვეთა.

სანამ ის წელი მიილეოდა, მამამისის სიტყვები აცხადდა; რამეთუ ბოროტების სუნთქვა შემოიჭრა დორ-ლომინში და ტურინი დაავადდა. დიდხანს იწვა სიცხით გათანგული და ბნელი სიზმრებით მოცული, ხოლო როდესაც გამოჯანმრთელდა, რადგან ასეთი იყო ბედი, რომელმაც ძალა და გამძლეობა უხვად უბოძა, ლალაითი იკითხა. მომვლელმა კი უპასუხა:

– ნულარ ახსენებ მეტჯერ ლალაითს, ჰურიანის ძევ! თუმცა შენი დის, ურუენის ამბები დედაშენს უნდა გამოჰკითხო.

და როდესაც მორუენი მოვიდა მასთან, ტურინმა ჰკითხა:

– უკვე აღარ ვარ ავად და ურუენის ნახვა მსურს; მაგრამ, მითხარი, რად აღარ უნდა ვახსენო ამიერიდან ლალაითი?

– იმიტომ, რომ ურუენი გარდაიცვალა და სიცლიც მასთან ერთად მოკვდა ამ სახლში. – უპასუხა მან. – თუმცა, შენ ცოცხალი ხარ, მორუენის ვაჟო, ისევე როგორც მტერი ჩვენი, რომელმაც ეს უბედურება დაგვატეხა თავს.

ამიერიდან მორუენი შვებას არა ტურიინში, არამედ საკუთარ თავში ეძებდა; რადგან მწუხარებას მარტობითა და გულცივობით ებრძოდა ოდენ. ჰურიინი კი ღიად გლოვობდა. არფაც აილო, რათა გამოსათხოვარი სიმღერა შეეთხზა გარდაცვლილი შვილისათვის, მაგრამ ვერ შეძლო და დაამსხვრია. გარეთ გასული შედგა, ხელი ჩრდილოეთით გაიშვირა და შეჰყვირა:

– გამამწარებელო შუახმელეთისა! ნეტავ, შემეძლოს შენი გამონვევა, მაშინ ისევე გაგამწარებდი, როგორც მბრძანებელმა ფინგოლფინმა გააკეთა ეს!

ტურიინი კი ღამეულ მარტობაში ქვითინებდა და აღარასოდეს უხსენებია დედამისთან თავისი დის სახელი. ერთადერთი მეგობარი ჰყავდა იმხანად და მას უზიარებდა მწუხარებასა და დანაკლისის შეგრძნებას. ეს მეგობარი გახლდათ სადორი, ჰურიინის სახლეულის მსახური. კოჭლი იყო იგი და ყურადღების ღირსადაც კი არავინ თვლიდა. ტყისმჭრელად მუშაობდა ადრე და, უიღბლობისა თუ ცულის ასხლტომის გამო, მარჯვენა ტერფი გადაეჭრა. უტერფო ფეხი კი დასუსტებულიყო და დაპატარავებულიყო. ამის გამო ტურიინი მას ლაბადალს ეძახდა, რაც ასკინკილას ნიშნავს. სადორს არ სწყინდა, რადგან იცოდა, რომ ეს მეტსახელი თანაგრძნობის გამოხატულება იყო და არა დაცინვის. იგი ფარდულში მარტო შრომობდა და ისეთ ნივთებს აუკეთესებდა, რომელსაც აღარავინ იყენებდა, თანაც ხეზე მუშაობის მცირე გამოცდილებაც ჰქონდა, რაც საქმეში ადგებოდა. ტურიინი ეხმარებოდა მას და როდესაც რამე დასჭირდებოდა, მოსატანად ეგზავნებოდა, იცოდა რა, რომ გადაადგილება უჭირდა. ხანდახან კი ჩუმად მიჰქონდა სხვადასხვა ხელსაწყო ან იმგვარი ხის მასალა, რომელსაც დიდი გულისყურით არ უდარაჯდებოდნენ, ამავე დროს, თვითონ ფიქრობდა, რომ

მეგობარს საქმეში წაადგებოდა. ამაზე იგი გაუღიმიებდა, შემდეგ კი სთხოვდა ეს საჩუქრები თავის ადგილზე დაებრუნებინა: „უსასყიდლოდ გაეცი, მაგრამ ოდენ იგი რაც შენი კუთვნილია“, – ეტყოდა ხოლმე. მიუხედავად ამისა ყოველთვის შეძლებისდაგვარად ცდილობდა, ბავშვის ამგვარი მონდომება უყურადღებოდ არ დაეტოვებინა და ხან ადამიანის, ხანაც კი ცხოველის ფორმის ფიგურებს გამოუთლიდა, თუმცა ტურიზი ყველაზე მეტად სადორის ნაამბობი ისტორიებით იყო მოხიბლული. სადორი ბრაგოლახის ომის დროს ყმანვილკაცი გახლდათ, და უყვარდა ახალგაზრდობის იმ ხანმოკლე დღეებზე საუბარი, ვიდრე კოჭლი შეიქნებოდა:

– დიდებული ბრძოლა იყო, ხშირად იტყვიან ხოლმე, ჰურიზის ძევ. ტყეში ვშრომობდი, როდესაც მიხმეს; თუმცა, სამწუხაროდ, ბრაგოლახში არ ვყოფილვარ, სხვა შემთხვევაში, იქნებ ეს ფიზიკური ნაკლი ჩემს ღირსებადაც კი ქცეულიყო. ვინაიდან დავაგვიანეთ, შემდეგ კი საკუთარი ხელებით მომიწია ჰადორის საკაცის ტარებამ, იგი მეფე ფინგოლფინის დაცვის დროს დაიღუპა ბრძოლის ველზე. შემდგომ ამისა მრავალი წელი ჯარისკაცად ვმსახურობდი ეითელ-სირიონში, ელფთა დიდებულ სიმაგრეში. ყოველ შემთხვევაში, ახლა მგონია, რომ ის წლები იმდენად მოსაწყენი იყო, რომ მათზე ბევრი არაფერი მაქვს მოსათხრობი. ეითელ-სირიონში ვიყავი იმხანად, როდესაც ბნელმა მეუფემ სიმაგრეზე იერიში მოიტანა. პაპაშენი გალდორი მეთაურობდა მაშინ ციხესიმაგრის გარნიზონს. იგი ერთ-ერთი შემოტევის დროს დაიღუპა. მე დავინახე, როგორ გადაიბარა მამაშენმა მმართველობა და ყოველი ბრძანებულება ჯერ კიდევ ყმანვილკაცმა, თუმცა, როგორც ამბობენ, ისეთი ცეცხლი გიზგიზებდა მასში, რომ როდესაც ხმალი შემართა, წითლად ვარვარებ-

დაო. მისი მეთაურობით გულმოცემულებმა, ორკებს უკან დავახევინეთ და ხრიოკში გადავრეკეთ; ამის შემდეგ ველარც ბედავდნენ გალავნის შორიახლოს გამოჩენას. თუმც, ვაგლახ! ამის შემდეგ ომისკენ გული აღარ მიმინევდა, რამეთუ საკმარისი სისხლი და ჭრილობა ვიხილე. მივატოვე ყველაფერი და ისევ უკან, ტყეში დავუბრუნდი ჩემს საქმეს და სწორედ მაშინ დავკოჭლდი. ასეა, როდესაც ადამიანი საკუთარ შიშებს გაურბის, შესაძლოა, აღმოაჩინოს, რომ პირიქით, მხოლოდ მოკლეზე მოუჭრია მასთან შესახვედრად.

ასე საუბრობდნენ სადორი და ტურიანი ერთმანეთთან და რაც უფრო იზრდებოდა იგი, მით უფრო მეტი კითხვა უჩნდებოდა, რაზედაც სადორი ძნელად თუ მონახავდა პასუხებს და ურჩევდა თავის ახლობლებს დაჰკითხოდა. ერთ დღესაც კი ტურიანმა უთხრა:

– ნამდვილად ელფ ბავშვს ჰგავდა ლალაითი, როგორც მამაჩემი ამბობდა? და, ხომ არ იცი, რას გულისხმობდა, როდესაც მასზე თქვა, დღემოკლეაო?

– ძალიან კი წააგავდა, – მიუგო სადორმა, – რამეთუ ცხოვრების ადრეულ წლებში ადამიანნი და ელფნი ძლიერ ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ შემდგომ ადამიანთა შვილნი სწრაფად იზრდებიან და მათი ახალგაზრდობაც უცბადვე ქრება. ასეთია ჩვენი ბედი.

მაშინ ტურიანმა ჰკითხა:

– რა არის ბედი?

– ადამიანთა ბედზე, – მიუგო სადორმა, – მათ უნდა ჰკითხო, ვინც ლაბადალზე მეტად ბრძენია. მე კი მხოლოდ ის ვუნცი, რასაც ვხედავ. ჩვენ მალე ვიქანცებით და ვკვდებით. უბედობის გამო კი ბევრიც ძალიან ადრე იღუპება. ელფები კი, არც იქანცებიან და არც კვდებიან, თუ რამე დიდი ტკივილით არ შეეძრათ გული. იოლად იკურნე-

ბიან იმგვარი ქრილობისა თუ დარდისაგან, რაც ადამიანს ადვილად იმსხვერპლებდა. ხოლო ბევრი ამბობს, რომ გარდაცვალების შემდეგ უკან ბრუნდებიან. ჩვენ კი ასე არ ვართ.

– გამოდის, რომ ლალაითი აღარასდროს დაბრუნდება? – ჰკითხა ტურინმა. – სად წავიდა?

– აღარ დაბრუნდება, – მიუგო სადორმა, – თუმცა არავინ იცის, სად წავიდა. ეს არც მე ვუწყი.

– ყოველთვის ასე ხდებოდა? თუ რომელიმე გრძნეული ხელმწიფის წყევლა დაგვატყდა თავს, მაგალითად, როგორც ბოროტების სუნთქვა იყო?

– არ ვიცი. წყვდიადი ჩამონოლილა ჩვენ უკან, ხოლო მისი წიაღიდან მხოლოდ ცოტა თქმულებამ თუ გამოაღწია. შესაძლოა ჩვენმა მამათა მამებმა ბევრი რამ იცოდნენ, მაგრამ მათ არაფერი მოუყოლიათ. დღეს მათი სახელებიც კი დაკარგულია. მთები აღმართულან ჩვენსა და იმ მიწებს შორის, საიდანაც ისინი მოვიდნენ, თუმცა არავინ იცის რას გამოურბოდნენ იქიდან.

– შეშინებული იყვნენ? – დაეკითხა ტურინი.

– შესაძლებელია, – თქვა სადორმა, – ხშირად ხდება, რომ სიბნელის შიშს გავურბივართ, მაგრამ ყოველ ჯერზე ის კვლავ ჩვენს წინაშე დგას, გასაქცევი კი ზღვის გარდა არსად არის.

– მაშ, ამიერიდან ჩვენ აღარაფრის შეგვეშინდება, – თქვა ტურინმა, – თუმცა ყველაზე ვერ ვიტყვი. მამაჩემს არაფრისა ეშინია, და არც მე შემეშინდება; ან სულაც, დედასავით მოვიქცევი და შიშს დავმაღავ.

ამ დროს სადორმა თვალებში ჩახედა ტურინს და მიხვდა, რომ იმწამს ბავშვის თვალებს არ უცქერდა და თავისთვის გაიფიქრა: „მწუხარება ოდენ სანროთობია ძლიერთა გონებისათვის“. თუმცა ხმამაღლა ასე მიუგო:

– ჰურიინისა და მორუენის ძევ, რა უნდა იყოს ისეთი შენს გულში, რასაც მოხუცი ლაბადალი ვერ მიხვდეს; თუმცა იშვიათად და ცოტას თუ გაუმხელ შენს ნამდვილ გულისნადებს.

ტურიინმა კი უთხრა:

– შესაძლოა, ასე უკეთესიც იყოს, რადგან უმჯობესია, არ გაამხილო საკუთარი სურვილები, თუ მათი ასრულება შეუძლებელია. მე კი, ლაბადალ, ვისურვებდი ერთ-ერთი ელდართაგანი ვყოფილიყავი, მაშინ ლალაითიც შეძლებდა უკან დაბრუნებას და მიუხედავად სიმორისა, მე მას ბოლომდე დაველოდებოდი. როდესაც ამის დრო მოვა, მეც ელფთა ხელმწიფის სამსახურში ჩავდგები, ისევე, როგორც შენ მოიქეცი, ლაბადალ.

– ბევრ რამესაც შეიტყობ მათზე, – მიუგო სადორმა და თან ოხვრა ამოაყოლა. – მეტად სამართლიანი და დიდებულის ხალხია, და დიდი გავლენაც აქვთ ადამიანთა გულებზე. მაგრამ ხანდახან ფიქრი გამიელვებს. უკეთესი ხომ არ იქნებოდა, სულაც არასდროს შევხვედროდით მათ და უწინდებურად მოკრძალებულად გაგვეგრძელებინა ცხოვრება, ვინაიდან მათი სიბრძნე ძველთაძველია, მეტად ქედმაღალნი და ამტანნი არიან. მათი ბრწყინვალეების ქვეშ ვიჩრდილებით, მათზე უფრო სწრაფად გვედება წუთისოფლის ცეცხლის ალი, ხოლო საბოლოო ხვედრის სიმძიმესაც მათზე გაცილებით მწარედ შევიგრძნობთ.

– მაგრამ, მამაჩემს უყვარს ისინი, – თქვა ტურიინმა, – მათ გარეშე ბედნიერი არ არის. ხშირად უთქვამს, რომ რაც კი ვიცით თითქმის ყველაფერი მათგან ვისწავლეთ და მეტად წარმოსადეგნი გავხდითო. კიდევ ამბობს, რომ ის ადამიანები, რომლებიც მოგვიანებით გადმოვიდნენ ლურჯი მთებიდან, ორკებისაგან დიდად არც განსხვავდებიანო.

– სწორადაც უთქვამს, – მიუგო სადორმა, – ჭეშმარიტება არს, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთისთვის მაინც. მაგრამ მწვერვალზე ახობება მტკივნეულია ყოველთვის, იქიდან დაშვება კი იოლი.

ცხრა წლისა იყო იმ დროისთვის ტურინი. გუაერონის თვე იდგა ადამიანთა სათვალავით. იდგა წელი, რომლის დავინწყება შეუძლებელია.

ხალხში ხმა დაირხა, რომ მეომრებს მოუხმეს და მათი შეკრება დაიწყეს, ტურინმა კი ამის შესახებ არაფერი იცოდა; მხოლოდ ის შენიშნა, რომ მამამისი ხშირად გამყინავი მზერით შეხედავდა, როგორც ადამიანი შეხედავს მისთვის ისეთ ძვირფას ვინმეს, რომელთანაც განშორების გარდაუვალობას გრძნობს.

იცოდა რა, მისი გამბედაობისა და წინდახედულობის ამბავი, ჰურიანი ხშირად საუბრობდა მორუენტან ელფ-ხელმწიფეთა ჩანაფიქრებზე და რა მოხდებოდა მომავალში, თუ ყოველივე კარგად ან ცუდად მობრუნდებოდა. მისი გული იმედებით აღვსილიყო და არც ბრძოლის შედეგებზე ღელავდა დიდად, რადგან მისთვის არ არსებობდა ძალა, რომელსაც შეეძლო, წინ აღსდგომოდა ელდართა ძლევამოსილებასა და ბრწყინვალეობას.

– მათ იხილეს დასავლეთის სინათლე, – ამბობდა იგი, – და შიში წყვდიადისა სამუდამოდ გადაეფანტათ სახიდან.

მორუენი სანინაალმდეგოს არას ეუბნებოდა. ცდილობდა, მისთვის და მისი მეგობრებისათვის ხასიათი არ წაეხდინა, მაგრამ ელფური სიბრძნე მის გვარშიაც იდო და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– და მაინც, განა მათ არ აქციეს ზურგი სინათლეს, განა თავის ნებით არ მოსწყდნენ მას? შესაძლოა, დასავლელმა მეუფეებმა კიდევც გარიყეს ისინი თავიანთი ფიქრებიდან; და თუ ასეა, მაშ, როგორღა შეძლებენ უფროსი შვილნი წინ აღუდგნენ ამგვარ ძალას?

ასეთი ეჭვების აჩრდილი კი ჰურიან თალიონის ფიქრებს არ აბნელებდა. თუმცა გაზაფხულის ერთ დილას ისეთი უსიამო შეგრძნებით გამოელვოდა, შფოთიანი ძილის შემდგომ რომ გაელვოდა ადამიანს. ღრუბელი შემოსწოლოდა იმ დღეს მის გონებას. საღამოს კი, უეცრად, განაცხადა:

– როდესაც მიხმოხენ, მორუენ ელედუენ, შენს განკარგულებაში დავტოვებ ჰადორის მოდგმის შთამომავალთ. ხანმოკლე არს ადამიანთა სიცოცხლე, უბედურება კი მუდამ ჩასაფრებულია, მშვიდობიანობის ჟამსაც კი იცდის.

– ეს ყოველთვის ასე იყო, – უპასუხა მორუენმა, – თუმცა მითხარი, რა სათქმელი იმალება შენს სიტყვებში?

– წინდახედულობა და არა ეჭვი, – მიუგო ჰურიანმა; თუმცა იგი მაინც შეცბუნებული ჩანდა. – ის, ვინც მომავალს გაჰყურებს, ერთ რამეს ხედავს: ყველაფერი იცვლება და არაფერი რჩება უწინდებურად. მზადება მიმდინარეობს ძლიერი ნახტომისთვის, მაგრამ არსებობს საშიშროება, რომ უფსკრულში გადავეშვათ და თუ ელფთა ხელმწიფენი ამ ბრძოლაში დამარცხდებიან, მაშინ ედაინთა საქმეც ცუდად წავა და მტერთან ერთად მოგვინვეს ცხოვრება, რამეთუ ეს მიწებიც მათ მფლობელობაში გადავა. და თუ მართლაც ყველაფერი ასე შავბნელად წარიმართა, მაშინ არ გეტყვი – ნუ შეგეშინდება! რამეთუ სწორედ მისი და მხოლოდ მისი უნდა გეშინოდეს, რაც ნამდვილ საშიშროებას წარმოადგენს და ამ შიშმა თავგზა არ უნდა აგიბნოს. ამას კი ნამდვილად გეტყვი: არ დამელოდო! შესაძლოა, დავბრუნდე კიდევაც, თუ შევძელი, მაგრამ ნუ დამელოდები! სამხრეთში გაემგზავრე, როგორც კი მოახერხებ, თუ ცოცხალი ვიქენი, თქვენს კვალს გამოვყვები და მთელი ბელერიანდის შემოვლამაც რომ მომიწიოს, მაინც გიპოვით.

– ბელერიანდი ვრცელია და უდაბური დევნილთათვის,
– უთხრა მორუენმა, – საით უნდა წავიდეთ, ცოტანი ვი-
ყოთ თუნდაც ან მრავალნი?

შემდეგ ჰურიინი მცირე ხნით დადუმდა და ჩაფიქრდა.

– დედაჩემის ნათესავნი სახლობენ ბრეთილში, – თქვა
მან, – აქედან არნივის საფრენ მანძილზე ოცდაათი ლიგის
მოშორებით.

– თუკი მართლაცდა ასეთი ბნელი დროება დადგება,
რა შემწეობას უნდა ელოდნენ იქ ადამიანნი? – მიუგო
მორუენმა, – ბეორის საგვარეულო გამწყდარია. თუკი
ჰადორის საგვარეულოც გაქრება, ნეტავ რომელ სოროს
უნდა შეეფაროს ჰალეთის მცირერიცხოვანი შტო?

– იქ, სადაც შესვლას შეძლებენ, – უპასუხა ჰურიინმა,
– მაგრამ ნუ დააყენებ ეჭვქვეშ მათ სიმამაცეს, რადგანაც
მცირედნი არიან და ნაკლებ განსწავლულნი. სხვაგან, სად
უნდა ვეძიოთ იმედი?

– გონდოლინზე არაფერი გითქვამს – უთხრა მორუენმა.

– არა, რადგან ეგ სახელი არც არასდროს ამოთქმულა
ჩემს ბაგეთაგან, – მიუგო ჰურიინმა, – თუმცა, რაც მოის-
მინე, ჭეშმარიტება არის ყოველივე: მე იქ წამდვილად ვი-
ყავი. სიმართლეა ისიც, რაც ასევე არ წამომცდენია სხვე-
ბთან: მე არ ვიცი მისი ადგილმდებარეობის შესახებ.

– მაგრამ შენ მიხვდი და თითქმის სწორადაც, – უთხრა
მორუენმა

– შესაძლოა, მართალიც ხარ, – მიუგო ჰურიინმა, –
თუმცა სანამ თვითონ ტურგონი არ გამათავისუფლებს
ფიცისაგან, ვერაფერს გავამხელ, თვით შენთანაც კი;
ამგვარად შენი წადილი ჩემგან რამე გაიგო, ამაოა. რომც
გავცე საიდუმლო და ამით სირცხვილი ვჭამო, მაინც ვე-
რას გახდები, რადგან დახშული კარიბჭე გადაგილობავს
მისკენ მიმავალ გზას, რამეთუ სანამ ტურგონი არ გაე-

მართება საომრად (ამის შესახებ კი სიტყვაც არ თქმულა მისგან და არც იმედი ჰქონდა ვინმეს, რომ იტყოდა), მანამდე არც კარი გაიღება და ვერც ვერავინ გადააბიჯებს მის ზღურბლს.

– თუკი შენს ნათესავთ იმედი გადაეწურებათ, ხოლო მეგობრები უარგყოფენ, – უთხრა მორუენმა, – მაშინ მე თვითონ მომიწევს გამოსავალის ძიება. ამ შემთხვევაში კი დორიათი მახსენდება.

– ეს კი ნამდვილად რთული მიზანი დაგისახავს, – თქვა ჰურიინმა.

– ზედმეტად რთული, უმჯობესი ხომ არ იყო, გეთქვა? – მიუგო მორუენმა, – მაგრამ ერთი რამ ცხადია, თუკი მტერი ყველა ზღუდეს დაამსხვრევს, მაშინ მელიანის სარტყელი უკანასკნელი უნდა იყოს, ვფიქრობ. თანაც ბეორის საგვარეულოს აბუჩად ვერავინ აიგდებს დორიათში. მე ხომ კვლავაც ხელმწიფის ნათესავი ვარ, რამეთუ ბერენ ბარაჰირის ძე ბრეგორის შვილიშვილი იყო, ისევე როგორც მამაჩემი.

– ჩემი გული თინგოლისკენ არ იხრება, – თქვა ჰურიინმა, – არავითარ შემწეობას არ ელის მისგან მეფე ფინგონი. არც კი ვიცი რად, მაგრამ ნყვდიადი ეფინება ჩემს გულს, როდესაც დორიათს ახსენებენ.

– ბრეთილის ხსენებაზე კი ჩემს გულში ისადგურებს ნყვდიადი, – მიუგო მორუენმა.

შემდეგ, უეცრად, ჰურიინს სიცილი წასკდა და წარმოთქვა:

– დავმსხდარვართ აქ და ისეთ საკითხებს განვიხილავთ, რომელნიც მიუწვდომელ არს ჩვენი ნებისათვის და სიზმართაგან ამოზრდილ აჩრდილებს ვეთამაშებით. ყველაფერი ასე ცუდად არ დასრულდება. მაგრამ თუ ასე არ მოხდა, მაშინ ყველაფერი შენს სიმამაცესა და მახ-

ვილგონიერებაზე იქნება დამოკიდებული. ისე მოიქეცი, როგორც გული გიკარნახებს, თუმცა დროულად უნდა იმოქმედო. ხოლო თუ სასურველ მიზანს მივალნიეთ, მაშინ ელფთა ხელმწიფენი აღადგენენ ბეორის საგვარეულოს სამთავროებს, მათ მის მემკვიდრეთ მიაკუთვნებენ და შენ მოგიხმობენ, მორუენ ბარაგუნდის ასულო. ვრცელი მამულები იქნება ჩვენს განკარგულებაში, ჩვენი ვაჟი კი მდიდარ მემკვიდრეობას მიიღებს. დიადი მბრძანებელი გახდება იგი კაცთა შორის, თუ ჩრდილოეთიდან მომავალმა სიხარბემ და მძულვარებამ არ შეუშალა ხელი.

– ჰურიინ თალიონ! – მიმართა მორუენმა, – ასე განვსჯიდი შენს სიტყვებს: შენ ზეცას ასცქერი, მე კი შიში მიპყრობს უფსკრულში არ გადავეშვათ.

– მაგის ყველაზე ნაკლებად უნდა გეშინოდეს, – უთხრა ჰურიინმა.

იმ ღამით ტურიინი ძილღვიძრად იყო და მოეჩვენა, თითქოს დედამისი და მამამისი სასთუმალთან ედგნენ, ხელში სანთელი ეჭირათ და მას მკრთალ შუქზე დაჰყურებდნენ, თვითონ კი მათ სახეებს ვერ ხედავდა.

ტურიინის დაბადების დღის დილას, ჰურიინმა ელფების გამოჭედილი დანა აჩუქა თავის ვაჟს. ვადა ვერცხლისა ჰქონდა, ხოლო ქარქაში შავი იყო. თან უთხრა:

– ჰადორის საგვარეულოს მემკვიდრეე! მიიღე ეს სამახსოვრო საჩუქარი, მაგრამ გაუფრთხილდი! რამეთუ ბასრია იგი მეტად და მხოლოდ მას ემსახურება, ვინც მის მორჯულებას შეძლებს. შესაძლოა, შენც სურვილისამებრ გაგიჭრას ხელი, როგორც სხვას. – შემდეგ მაგიდაზე დააყენა ვაჟი, ეამბორა და უთხრა: – უკვე ჩემზე მალლა დგახარ, მორუენის ვაჟკაცო. სულ მალე საკუთარ ფეხებზე მდგომარეც ასე ამალღდები, აი, მაშინ კი მრავალი ძრწოლით შეხედავს შენს მახვილს.

ამის შემდეგ ტურინი ოთახიდან გაიქცა და განმარტოვდა, გული კი იმგვარი სითბოთი ჰქონდა სავსე, გაყინულ მიწას რომ მზე დააცხუნებს და ყოველგვარ ცოცხალსა და მწვანეს მოასულიერებს. თავისთვის იმეორებდა მამამისის ნათქვამ სიტყვებს – „ჰადორის საგვარეულოს მემკვიდრევ!“ იმავდროულად სხვა სიტყვებიც წამოუტივტივდა გონებაში – „უსასყიდლოდ გაეცი, მაგრამ ოდენ იგი, რაც შენი კუთვნილია“. მაშინვე სადორთან გაიქცა და შეჰყვირა:

– ლაბადალ, დღეს ჩემი დაბადების დღეა. დაბადების დღე, ჰადორის საგვარეულოს მემკვიდრისა! და საჩუქარი მოგიტანე ამ დღის აღსანიშნავად. აი, ეს დანა, სწორედ ისეთი, შენ რომ გჭირდებოდა. ყველაფრის გაჭრა შეუძლია, რასაც კი ისურვებ, თმასავით მოხდენილია.

სადორი მეტად შენუხდა, რადგან იცოდა, რომ ეს დანა ტურინმა საჩუქრად მიიღო დაბადების დღეზე. თუმცა ისიც იცოდა, რომ ადამიანები უპატივცემულობად თვლიდნენ საჩუქარზე უარის თქმას. ამიტომ ტურინს ცივად მიუგო:

– მეტად გულკეთილი ბრძანდებით, ტურინ ჰურიანის ძევ! ვფიქრობ, შენი საჩუქარი არ დამიმსახურებია, და არც მაქვს იმედი, რომ დარჩენილ სიცოცხლეში მის შესაფერისს მოვიმოქმედებ; თუმცა, ვფიცავ, რაც ხელმეწიფება ყველაფერს გავაკეთებ. – და როდესაც სადორმა ქარქაშიდან დანა ამოაგო, აღმოხდა: – ნამდვილად დიდებული საჩუქარია, ელფური ფოლადისაგან ნაჭედი მახვილი. დიდი ხანია, მათი ხელში დაჭერის პატივი აღარ მქონია.

ჰურიანმა მალევე შეამჩნია, რომ ტურინი დანას აღარ ატარებდა და ჰკითხა, ჩემმა გაფრთხილებამ ხომ არ დაგაფრთხოო. ტურინმა კი უპასუხა:

– არა. დანა სადორ ტყისმჭრელს ვუსაჩუქრე.

– გამოდის, მამაშენის საჩუქარს უპატივცემულოდ მოპყრობიხარ, – უთხრა მორუენმა. ტურინმა მიუგო:

– არა. მაგრამ მე მიყვარს სადორი და მებრალება იგი.

მაშინ ჰურინმა უთხრა:

– სამივე საჩუქარი შენს განკარგულებაში იყო და ვისაც გსურდა, უძღვნიდი, ტურინ: სიყვარული, სიბრალოელი და დანაც, სხვა თუ არაფერი.

– თუმცა ვეჭვობ, სადორი მათ იმსახურებდეს, – თქვა მორუენმა, – თვითონვე დაისახიჩრა თავი, საკუთარ გულისთქმას აყოლილმა. ყოველთვის ზანტად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს, რადგან უმნიშვნელო ნივთების კეთებასაა გადაყოლილი.

– მაინც გებრალებოდეს, – მიმართა ჰურინმა, – ოდენ წრფელი ხელები და კეთილი გული თუ ააცილებს სამიზნეს; და ხშირად წყენა უფრო რთულად ასატანია, ვიდრე მტრის ავი ნამოქმედარი.

– აი, შენ კი უნდა მოიცადო, სანამ ახალ მახვილს გაჩუქებენ, – უთხრა ტურინს მორუენმა, – ის კი ნამდვილი საჩუქარი იქნება, რადგან მხოლოდ დამსახურებით მიიღებ.

ამიერიდან, ტურინი ამჩნევდა, რომ სადორს მეტი პატივისცემით ეპყრობოდნენ და უფრო დიდებული სავარძლების საკეთებლადაც კი გაამწესეს, ისეთისა, რომელზეც მთავარი უნდა დაბრძანებულიყო დარბაზობისას.

ლოთრონის თვის ნათელი დილა იდგა, როდესაც ტურინი საყვირების ხმამ უეცრად გამოაღვიძა. როცა კარებთან მიიღბინა, გარეთ ბევრი ადამიანი დაინახა, ზოგი იდგა, ზოგიც კი ცხენებზე ამხედრებულიყო, თუმცა ყვე-

ლანი აბჯარასხმული იყვნენ, როგორც ომში მიმავალთ სჩვევიათ. მათთან ერთად იყო ჰურიანიც, კაცებს ესაუბრებოდა და ბრძანებებს გასცემდა. ტურიანი მიხვდა, რომ ისინი ბარად-ეითელისკენ მიემართებოდნენ.

იქ შეკრებილნი ჰურიანის მცველები და ქვეშევრდომნი იყვნენ. ყველას უხმეს, ვისი მოძიებაც ამ მიწებზე შეიძლებოდა. ნაწილი უკვე მამამისის ძმასთან, ჰუორთან ერთად წასულიყო, ხოლო ზოგიც გზად შეუერთდებოდა დორ-ლომინის მბრძანებელს და მისი დროშის ქვეშ ყველანი ერთად წარდგებოდნენ ხელმწიფის საომარ შეკრებაზე.

მორუენი ცრემლების გარეშე დაემშვიდობა ჰურიანს და უთხრა:

– თვალისჩინივით გავუფრთხილდები ყოველ შენს დანატოვარს, ვინც უკვე გვყავს და ვინც მომავალში გვეყოლება.


ჰურიანმა კი მიუგო:

– მშვიდობით, დორ-ლომინის ქალბატონო. მივემართებით უდიდესი იმედებით გულანთებულნი, იმგვარით, აქამდე რომ არ გვექონია. იმედი ვიქონიოთ, რომ შუაზამთრის წვეულება ისეთი მხიარული იქნება, როგორც გასულ წლებში იყო და დაე, ამის შემდგომ შიშებისაგან თავისუფალმა გაზაფხულმა შემოაბიჯოს! – დაასრულა თუ არა, ტურიანი მხრებზე შეისვა და მეომრებს შეჰყვირა: – დაე, თქვენი მახვილთა ელვარება დაინახოს ჰადორის საგვარეულოს მემკვიდრემ! – და მზეზე აბრჭყვიალდა ქარქაშიდან ამოგებული ორმოცდაათი მახვილი, შემდეგ საბრძოლო ყიჟინა დასცეს ჩრდილოელმა ედაინებმა:

– ლახო კალად! დრეგო მორნ! აენტე, მახვილო! გაქრი, ღამევ!

შემდგომ ჰურიანი უნაგირს მოახტა და ოქროსფერი დროშა ჰაერში აფრიალდა. კიდევ ერთხელ ჩაჰბერეს საყ-

ვირებში იმ დილით და ჰურინ თალიონი ნირნაეთ-არნოე-დიადს გაემართა. მორუენი და ტურინი დიდხანს უძრავად იდგნენ კარიბჭესთან, ვიდრე ქარმა შორეთში არ გაფანტა მარტოსული საყვირის სუსტი ხმა. ჰურინმა კი გორაკის კალთა ჩაიარა და მისი სახლ-კარიც საბოლოოდ თვალს მიეფარა.





თავი II

ურისხვი ცრემლის ომი

ბევრი სიმღერა შეითხზა და უამრავი თქმულებაც ითქვა ელფთა მიერ ნირნაეთ-არნოედიაღზე, ურიცხვი ცრემლის ომზე, სადაც ფინგონი დაეცა, ელდართა ყვავილი კი დაჭკნა. მთლიანი ამბის მოსასმენად, ალბათ, ადამიანის ცხოვრებასაც ვერ ვიმყოფინებდით, ამიტომ მხოლოდ იმაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებასა და თხრობას, თუ რა გადაიტანა ჰადორის საგვარეულომ, განსაკუთრებით კი ჰურიინ მედგარის შვილებმა.

მაედროსმა რიცხოვნობითა და ძლიერებით თვალსაჩინო ლაშქარი შეკრიბა შუაზაფხულის დილისთვის. იმ დღეს კი ელდარნი საყვირთა ბერვით შეეგებნენ ამომავალ მზეს. აღმოსავლეთით ფეანორის საგვარეულოს ალამი აღმართულიყო, დასავლეთით კი – ნოლდორთა მეფის, ფინგონისა.

ფინგონი ეითელ-სირიონის ქონგურებიდან შორეთს გაჰყურებდა. მის მეომრებს ერედ-უეთრინის აღმოსავ-

ლეთ კალთებზე ხეობები და ტყეები დაეკავებინათ და მტრის თვალისაგან შეუმჩნეველნი გამხდარიყვნენ, რაც ფინგონს დიდად ახარებდა. მათ თან ახლდნენ ჰითლუმელი ნოლდორები, რომელთან ერთადაც იყო მრავალი ელფი ფალასიდან და ნარგოთრონდიდან. ამასთანავე მხარში ედგნენ ადამიანთა დიდი ძალები დორ-ლომინიდან. მთელი სიმამაცით წარმდგარიყო ჰურინი და მის ძმა ჰუორი, ხოლო მათთან ერთად, მათი ნათესავი, ბრეთილელი ჰალდირი მოსულიყო, ტყეში მცხოვრებ თანამებრძოლებთან ერთად.

შემდეგ ფინგონმა აღმოსავლეთს გახედა თავისი ელფისებური მზერით. შორეთში მტვრის ბული და ლითონთა ელვარება შეამჩნია, ვითარცა ვარსკვლავთა ციალი ნისლში. მიხვდა, რომ მაედროსი მოდიოდა და გული სიხარულით აევსო. ახლა კი თანგოროდრიმისკენ მიაპყრო მზერა, ჩაჟამებული ღრუბლები შექუჩებულიყო მთების თავზე, ხოლო მათი წიაღიდან შავი კვამლი ხრჩოლავდა. ცხადი იყო, რომ მორგოთი მთლიანად მრისხანებას მოეცვა და მათი გამოწვევა მიელო. ეჭვთა აჩრდილი გადაეფინა ფინგონის გულს, თუმცა იმავე დროს, ყიჟინა გაისმა სამხრეთიდან და მინდორ-მინდორ, ექოდ გამოჰყვა ქარს ჩრდილოეთისკენ, ელფებმა და ადამიანებმა გაოცებისა და სიხარულისგან შეჰყვირეს, რამეთუ ყველასგან გადავინწყებულ და გადაკარგულ ტურგონს გონდოლინის კარიბჭე გაეხსნა და მათთან ერთად საბრძოლველად მოუძლოდა ათი ათას მეომარს. კამკაშა ჯავშნითა და გრძელი მახვილებით შეიარაღებული მოდიოდა ტყესავით ურიცხვი ლაშქარი. და როდესაც ფინგონის ყურამდე შორიდან მოაღწია ტურგონის საყვირთა ხმამ, აჩრდილი ჩამოეხსნა გულიდან და ხმამაღლა შეჰყვირა:

– უტულიე'ნ აურე! აია ელდალიე არ ატანატარნი, უტულიე'ნ აურე! მოანია ჟამმა! აჰა, იხილეთ, ელდარნო და ადამიანნო, დადგა ეს დღეც!

და ყველამ, ვინც მოისმინა ველ-მინდვრებში ექოდ გაჭრილი მისი ხავერდოვანი ხმა, ერთხმად შეჰყვირა:

– აუტა ი ლომე! ღამე გადაივლის!

დიდი ხანი აღარ გასულა ბრძოლის დაწყებამდე, რადგან მორგოთმა კარგად უწყოდა მტრის ჩანაფიქრი და უკვე მოქმედებებიც დაენყო, ვიდრე აქეთ შემოუტევენ. ანგბანდის სამხედრო ძალების ნაწილი ჰითლუმის საზღვრებს უახლოვდებოდა, ხოლო უფრო ძლიერი შენაერთი მაედროსის შესაჩერებლად გაემართა, რათა ელფ ხელმწიფეთა გაერთიანების მცდელობა თავიდანვე აელაგმათ. ხოლო ლაშქრის ის ნაწილი, რომელიც ფინგონის მეომრებისკენ გაეშურა, მსუბუქად იყო აღჭურვილი და ხმალიც კი არ გაუშიშვლებია, რადგან სანამ მის მიახლოებას შეიტყობდნენ, მანამდე დაიხიეს უკან, ანფაუგლითის ქვიშიანი გორაკებისაკენ.

ამით ნოლდორებს გული მიეცათ და მათმა სარდალმა გადაწყვიტა, ბრძანება გაეცა, მტერს დადევნებოდნენ, მაგრამ ფინგონმა შეაჩერა ისინი:

– უფრთხილდით მორგოთის სიმუხთლეს, ბატონებო! – უთხრა მათ, – მისი ძალა უფრო შემადრწუნებელია, ვიდრე იგი ავლენს. ნუ გამოააშკარავებთ საკუთარ თავს, დაე, მტერმა პირველი დარტყმა აღმოსავლეთიდან მიიღოს, რადგან ელფთა ხელმწიფეებმა ამგვარი გეგმა დასახეს, – თავდაპირველად, მაედროსმა მთელი ძალით უნდა შეუტიოს მტერს ანფაუგლითიდან ელფთა, ადამიანთა და ჯუჯათა გაერთიანებული ლაშქრით. და როდესაც გეგმისამებრ, მორგოთი თავის ძირითად არმიას მათ წინააღმდეგ გაგზავნის, მაშინ ფინგონი გამოვა მეომრებით დასავ-

ლეთიდან და მორგოთის ძალები ჩიხში მოექცევიან, როგორც უროსა და გრდემლს შორის, ისე გაიჭყლიტებიან და ნამსხვრევებად იქცევიან. ნიშნად ამისა კი დორთონიონში დიდი კოცონი აგიზგიზდება.

თუმცა მორგოთის ლაშქრის სარდალს დასავლეთ ფრონტზე უკვე ბრძანება მიელო, როგორმე ფინგონის არმია ბორცვებიდან გადაერეკათ. მანაც არ დააყოვნა და შეტევაზე გადავიდა, მაგრამ პირველი შენაერთი, ბარად-ეითელიდან დაწყებული, სერეხის ჭაობამდე, მთლიანად მდინარე სირიონში დაიხრჩო. ფინგონის გუშაგები მტრებს თითქმის თვალებში უყურებდნენ, თუმცა საპასუხო იერიშის ნიშანწყალს არ ავლენდნენ. ორკებს კი დამცინავი ღიმილი სახეზე შეეყინათ, როდესაც ციხის მდუმარე კედლებს ახედეს, და შორიახლო გორაკებიდან საფრთხის მოახლოება იგრძნეს.

ამიტომ მორგოთის სარდალმა მხედრები გაგზავნა მოსალაპარაკებლად. ბარად-ეითელის მოწინავე სიმაგრესთან მიაჭენეს მათ ცხენები. თან გაიყოლეს გელმირი, ძე გუილინისა, ნარგოთრონდელი თავადი. რომელიც ბრაგოლახის ომში დაეტყვევებინათ და თვალები დაეთხარათ. ერთ-ერთი მაცნე გამოეყო მათ და შეჰყვირა:

– ასეთი კიდევ უამრავი გვყავს სამშობლოში, მაგრამ უნდა იჩქაროთ, რამეთუ როდესაც უკან დავბრუნდებით, ყველას ამგვარად მოვეპყრობით. – ამის ნიშნად მკლავი და ფეხი მოსჩეხეს გელმირს და იქვე დატოვეს, თვითონ კი წავიდნენ.

ავად თუ კარგად, გუინდორი, ძე გუილინისა იდგა იმ დროს საგუშაგოზე ნარგოთრონდელ თანამოძმეებთან ერთად. მთელი ძალითა და რისხვით გამოინია საომრად, რადგან მეტად დამნუხრებულის დამს დაკარგვის გამო, ახლა კი მრისხანებისგან ცეცხლი მოსდებოდა. ცხენი გა-

მოაგელვა გარეთ და მისი მეომრებიც ცხენდაცხენ მიჰყვ-
ნენ. გზად წამოენივნენ ანგბანდის მაცნეებს და სიცოცხ-
ლე მოუსწრაფეს. ამის შემდეგ ყველა ნარგოთრონდელი
გამოიჭრა ციხესიმაგრიდან, მათ გაჰყვნენ და ანგბანდის
ბჭეებშიც კი შეაღწიეს. როდესაც ნოლდორებმა ეს იხ-
ილეს, ლამის ცეცხლი მოედოთ. თეთრი მუზარადი დაიხ-
ურა ფინგონმა და საყვირში ჩაჰბერა, ბორცვებს მიღმა
დამალულმა მეომრებმა უეცრად იხუვლეს და წინ გამოი-
ჭრნენ მოულოდნელი შეტევის დასაწყებად.

ჰაერში მოღვივლივე ნოლდორთა ხმლების ნათება ლე-
ლიანში მოთამაშე ცეცხლს ჰგავდა. იმგვარად უეცარი
და ელვისებური იყო მათი გამოჩენა, რომ მორგოთს
მზაკვრული გეგმები ლამის ჩაეფუშა. სანამ სატყუარად
გამოგზავნილი მისი არმია გონს მოეგებოდა, მანამდე
ალაგმეს, ხოლო ფინგონის აღმებმა ანფაუგლითს გადაუ-
ქროლეს და თვით ანგბანდის ქონგურებთან აისვეტნენ.

ბრძოლის წინა ხაზზე გაჭრილი გუინდორი და ნარ-
გოთრონდელი მეომრები თავშეუკავებლად მიიწევდნენ
წინ. გარეთა კარიბჭეში შეიჭრნენ და ანგბანდის დარბა-
ზებთან მცველები ამოხოცეს. ძლიერ შეძრწუნდა საკუ-
თარ ტახტზე მჯდომი მორგოთი, როდესაც კარზე ბრა-
გუნის ხმა გაიგონა. თუმცა გუინდორი მახეში გააბეს და
ცოცხლად შეიპყრეს, მისი ხალხი კი ერთიანად ამოხოცეს,
რადგან ფინგონმა ვერ შეძლო დასახმარებლად დროუ-
ლად მოსვლა. თანგოროდრიმის უამრავი საიდუმლო ჭიშ-
კრიდან გამოუშვა მორგოთმა თავისი ძირითადი არმიის
ნაწილები, რომლებიც მოთმინებით ელოდებოდნენ მის
ბრძანებას. დიდი დანაკარგებით დაახევინეს უკან ფინ-
გონს, ანგბანდის კედლებიდან შორს.

ამის შემდგომ ანფაუგლითის დაბლობზე, ბრძოლის
დაწყებიდან მეოთხე დღეს მოხდა ნირნაეთ-არნოედიანი,

რომლის მწუხარებასაც ვერც ერთი თქმულება ვერ დაიტევს. აღმოსავლეთის ფრონტზე მომხდართაგან გამოსარჩევია: ბელეგოსტელი ჯუჯების მიერ გლაურუნგის შეკავება, აღმოსავლელთა ღალატი, მაედროსის საგვარეულოს დამხობა და ფეანორის შვილების გაქცევა. აქ მეტი აღარაფერია მოსათხრობი, დასავლეთით კი ფინგონის ხალხი უკან იხევდა და ქვიშიანი დაბლობი უკვე თითქმის გადაევიდა, როდესაც დაეცა ჰალდირი, ძე ჰალმირისა, მისი ბედი გაიზიარა ბრეთილელ ადამიანთა დიდმა ნაწილმაც. მეხუთე დღეს, დაღამებისას, ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იმყოფებოდნენ ერედ-უეთრინამდე, როდესაც ანგბანდის ლაშქარმა ისინი უეცრად ალყაში მოაქცია. გათენებამდე ხელჩართული ბრძოლა მიმდინარეობდა, დილით კი დამხმარე ძალა გამოჩნდა, რამეთუ შორიდან მოესმათ ტურგონის საყვირთა ხმა, რომელიც თავისი ლაშქრის ძირითად ნაწილს მოუძღოდა მათკენ. მეომართა ნაწილი ნაჩქარევ შეტევაში არ ჩაუბამს და სირიონის სამხრეთ გადმოსასვლელების სადარაჯოდ დაეტოვებინა, თვითონ კი მოძმეთა დასახმარებლად მიიჩქაროდა. მედიდურად მოაბიჯებდნენ გონდოლინელი ნოლდორები, მათი აბჯარი ისე ბრჭყვიალებდა, როგორც ფოლადის მდინარე კაშკაშკა მზის ქვეშ. ხმლები და აღჭურვილობა მეომართა მხოლოდ მცირედი ნაწილისაც კი ადამიანთა ნებისმიერი ხელმწიფის ქონებაზე გაცილებით ღირებული გახლდათ.

მალე გამძვინვარებული ორკების გუნდი შეიჭრა მეფის ფალანგაში, მაშინ ტურგონმა ძმისკენ მიმავალი ჩახერგილი გზა მახვილით გაიკაფა და ნათქვამია, რომ დიდად გაიხარა, როდესაც შუა ბრძოლაში ფინგონის გვერდით მდგარი ჰურინი იხილა. ანგბანდელებს უკან დაახევინეს და ფინგონმაც განაგრძო უკან სვლა. მაგრამ რადგანაც აღმოსავლეთ ფრონტზე მორგოთი მაედროსის შეკავებას

ახერხებდა, ძალების დიდი ნაწილი დასავლეთისკენ გადმოესროლა. ამგვარად, ვიდრე ფინგონი და ტურგონი თავშესაფრამდე მიაღწევდნენ, რიცხოვნობით მათზე სამჯერ დიდი ლაშქარის ტალღა წამოეწიათ. გოთმოგი, ანგბანდის მთავარსარდალი გამოჩნდა. შავი სოლივით დაერჭო ფინგონის გარშემო შემოკრებილ ელფთა შორის, ხოლო ტურგონი და ჰურიანი გზიდან ჩამოიცილა და სერეხის ქაობისკენ განდევნა, შემდეგ კი ფინგონს მიუბრუნდა. ეს გახლდათ დუმილითა და სიძულვილით აღსავსე შეხვედრა. ფინგონი მარტო იდგა, მისი მცველები კი გარშემო უსულოდ ეყარნენ. მანამდე ებრძოლა გოთმოგს, სანამ ზურგიდან არ მოექცა ბალროგი და ფოლადის მათრახით არ შეუბორკა სხეული. შემდეგ აღმართა შავი ცული და მუზარადში ჩასცა ფინგონს. თეთრი ალი ავარდა მუზარადიდან და ფინგონის შუაზე გაჩეხილი სხეულის ნახევრები აქეთ-იქით გადაიყარა. ასე და ამგვარად აღესრულა ნოლდორთა მეფე. მანამდე სცემდნენ მტრები გურზებს მის უსიცოცხლო სხეულს, ვიდრე მტვრად არ იქცა. მისი ალამი კი, წინათ ლურჯ-ვერცხლისფრად შეფერილი, ახლა ორკების ფეხქვეშ გათელილიყო და საკუთარი ბატონის სისხლში ცურავდა.

ბრძოლა წაგებულ იყო. თუმცა ჰურიანი, ჰუორი და ლაშქრის სხვა ცოცხლად გადარჩენილი ნაწილი შეუდრეკლად იდგა ტურგონის გვერდით. მორგოთის მსახურებს სირიონის გასასვლელებთან ჯერ კიდევ ბრძოლა ჰქონდათ მოსაგები საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად. მაშინ ჰურიანმა ტურგონს უთხრა:

– ნადით, მეუფევე ჩემო, სანამ დროა! რამეთუ ფინგოლფინის საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი ხართ და თქვენში ღვივის ელდართა იმედი. ხოლო

სანამ გონდოლინი იარსებებს, მორგოთის გული მუდამ შიშებით შეპყრობილი იქნება.

– ამიერიდან გონდოლინი დიდხანს დამალული ველარ დარჩება. და თუ მიაგნებენ, დაეცემა, – თქვა ტურგონმა.

– თუ ცოტა ხანს მაინც იდგება, – მიუგო ჰურინმა, – მაშინ იმედიც იარსებებს ადამიანთა და ელფთათვის. ახლა კი, როდესაც სიკვდილს ჩავცქერი თვალებში, ამას გეტყვი, მეუფევ ჩემო: თუნდაც სამუდამოდ ვშორდებოდეთ ახლა ერთმანეთს და ველარასდროს ვიხილავდე შენს თეთრ კედლებს, შენგან და ჩემგან ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდება. მშვიდობით!

მაეგლინი, ტურგონის დისწული იდგა იქვე და მოისმინა რა ეს სიტყვები, არასდროს დაუვინყნია.

ტურგონმა შეისმინა ჰურინისა და ჰუორის რჩევა და თავის ხალხთან ერთად, სირიონის გადმოსასვლელისკენ დაიხია. უკან მიმავალთა მარჯვენა და მარცხენა ფლანგებს ექთელიონი და გლორფინდელი იცავდნენ, მტერი ხელიდან ვერ დაუსხლტებოდათ, რადგან იმ ადგილებში გამავალი ერთადერთი გზა მეტად ვიწრო იყო და სირიონის მოზვირთებულ ნაკადს დასავლეთის მხრიდან მიუყვებოდა. ჰურინისა და ჰუორის სურვილით, დორ-ლომინელები ზურგში განლაგდნენ, რადგან მათ ჩრდილოეთისკენ გული არ მიუწევდათ და უკან არ დაიხევდნენ. და თუ თავიანთი სამშობლოსკენ გზას ვერ გაიკვლევდნენ, მაშინ ადგილზევე შეხვდებოდნენ აღსასრულს. ასე გაიკაფა ტურგონმა გზა სამხრეთისაკენ, ჰურინი და ჰუორი კი თავის ხალხთან ერთად უკან მოჰყვებოდნენ და ზურგს უმაგრებდნენ. შემდეგ ის სირიონს დაუყვა სამხრეთისაკენ და მორგოთის თვალთახედვისა და გონებისაგან მიუწვდომლად მთებში გაუჩინარდა. ძმები კი ჰადორის საგვარეულოს გადარჩენილ ხალხს გაუძღვნენ და ნელ-ნელა

სერეხის ჭაობს მიუახლოვდნენ, აქ კი მდინარე რივილის წინააღმდეგობას წააწყდნენ და შეჩერება მოუხდათ.

მაშინ ანგბანდის მსახურებმა ერთად მოიყარეს თავი მათ წინააღმდეგ. მდინარეზე საკუთარი მკვდრებისგან ხიდი გადადეს და გადარჩენილ ჰითლუმელებს გარს შემოერთყნენ, როგორც კლდეს ზვირთები. მზე ნელ-ნელა ჩაესვენა და ერედ-უეთრინის ჩრდილები გამუქდა. მონამლული ისარი ესროლეს ჰუორს თვალში და უმაღვე სული განუტევა. მასთან ერთად დაეცა იქ მყოფი ჰადორის ყველა შთამომავალი. გროვად დახვავებულიყო გვამები, ორკები კი თავებს აჩეხდნენ და ოქროს მონეტებივით ალაგებდნენ ერთმანეთზე დაისის შუქზე.

ჰურიანი მარტოდმარტო დარჩა. ფარი გვერდზე მოისროლა, იქვე ორკთა სარდლის ცულს დასწვდა და ორივე ხელით მოიმარჯვა. როგორც სიმღერები გადმოსცემენ, გოთმოგის მცველ ტროლთა შავი სისხლით მოთხვრილი ნაჯახი მანამ ხრჩოლავდა, სანამ მთლიანად არ აორთქლდა, ყოველი მისი მოქნევისას ტურიანი ხმამალლა ყვიროდა:

– აურე ენტულუვა! დღე ისევ დადგება! – სამოცდაათჯერ აღმოხდა ეს სიტყვები, თუმცა ბოლოს მაინც ცოცხლად შეიპყრეს, რამეთუ მორგოთის ბრძანება ასეთი იყო. ის ფიქრობდა, რომ მისი გამწარება სიკვდილზე უარესი ხერხითაც შეეძლო. შიშველი ხელებით ცდილობდნენ მის გაკავებასა და შეპყრობას, მაგრამ ვინც მიუახლოვდა, ყველას მკლავები დააჩეხა ჰურიანმა. ყოველი დაცემული ორკის ადგილზე ახალ-ახალი მოდიოდა, ვიდრე საბოლოოდ არ გამოეცალა ძალები. მაშინ გოთმოგმა შებორკა ის და დაცინვით წაათრია ანგბანდში.

ასე დასრულდა ნირნაეთ-არნოედიადი, როდესაც მზე ზღვის მიღმა ჩაესვენა. უკუნი ჩამოწვა ჰითლუმში, დასავლეთიდან კი ქარიშხალი მოვარდა.

დიდი გამარჯვება მოიპოვა მორგოთმა, მიუხედავად იმისა, რომ მისი რისხვა ჯერ არ განელეებულიყო. ერთი ფიქრი მოპოვებული გამარჯვების სიტკბობას უნამლავდა და მოსვენებას უკარგავდა: მისთვის ყველაზე მეტად საძულველი მტერი, ტურგონი, ვისი შეპყრობა და განადგურება ყველაზე მეტად ენადა, ხელიდან დაუსხლტა. თანაც ტურგონი ფინგოლფინის საგვარეულო სამეფოს კანონიერი მემკვიდრე გახლდათ, მორგოთს კი სძულდა და ეჯავრებოდა ისინი, რადგან აბუჩად აიგდეს ვალინორში და მის მტერს ულმოს დაემოძმნენ. მორგოთს ყველაზე მწარედ მაინც ფინგოლფინისგან მიყენებული ჭრილობები ახსოვდა. ამგვარად, ტურგონი სძულდა მას ყველაზე მეტად, რამეთუ ვალინორის სინათლე იდგა მის თვალებში და მუდამ გზას უნათებდა, ხოლო როცა კი მიუახლოვდა, ნყვდიადი გაიცრიცა და მინავლდა. ავის მომასწავებელ ნიშნად ესახებოდა ეს მორგოთს, და კარგად უწყოდა, რომ რაც უფრო დიდხანს დაიმალებოდა იგი, მით მეტად მოიკრებდა ძალებს ანგბანდის დასამხობად.



თავი III

საშობარი ჰურიანის და მორგოთისა

მორგოთის ბრძანებით, ორკებმა მძიმე და დამლელი სამუშაო გასწიეს, მტრების გვამებს თავიანთი ალკაზმულობითა და საჭურველითურთ თავი მოუყარეს და ანფაუგლითის ხრიოკის შუაგულში დაახვავეს. შორიდანაც მოჩანდა ეს დიდი ხორაგი და ელდარებმა მას ჰაუდ-ენ-ნირნაეთი უწოდეს. მალე აქ ბალახი კვლავ ამოიზარდა და მთელ უდაბნოში მხოლოდ ეს ადგილი დარჩა ამწვანებული. მორგოთის ვერც ერთი მსახური ველარ ბედავდა იმ მიწაზე ფეხის დადგმას, სადაც ელდართა და ედაინთა ხმლებს ჟანგი სჭამდა. ფინგონის სამეფო აღარ არსებობდა, ხოლო ფეანორის ვაჟები ქარისგან წაღებული ფოთლებივით დაეხეტებოდნენ ქვეყნად. ჰადორის საგვარეულოს არც ერთ წარმომადგენელს არ მიუღწევია ჰითლუმამდე და არც რაიმე ამბავი მისულა ომის ბედის ან მათ მეუფეთა შესახებ. თუმცა მორგოთმა გაგზავნა იქ თავისი ქვეშევრდომნი, შავგვრემანი აღმოსავლელელები და ამ მიწებ-

ზე ყოფნა დაავალა სამუდამოდ ისე, რომ ვერასდროს დატოვებდნენ. მხოლოდ ეს გაიმეტა იმ მრავალ დაპირებათაგან, რომელიც მაედროსის ლალატისათვის აღუთქვა მათ – გაეძარცვათ და წაეზილნათ ჰადორის საგვარეულოს დარჩენილი ხალხი, მოხუცები, ბავშვები და ქალები. ჰითლუმელ ელდართა ის ნაწილი, რომელთაც მთებსა და ტყე-ღრეში გაქცევა ვერ მოასწრეს, შეიპყრეს და მონებად წაასხეს ანგბანდის მაღაროებში სამუშაოდ. ორკები დათარეშობდნენ მთელ ჩრდილოეთში და ბელერიანდის სამხრეთით მცხოვრებლებსაც აწიოკებდნენ. თუმცა დორიათი და ნარგოთრონდი ჯერ ისევ ხელუხლებელი რჩებოდა. რატომღაც მორგოთს მათთვის ჯეროვანი ყურადღება არ მიექცია. შესაძლოა, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მათ შესახებ ბევრი არაფერი უწყობდა, ანდა იცოდა, მაგრამ საგულდაგულო გეგმას ამუშავებდა მათთვის თავის ღვარძლიან გონებაში. თუმცა ამჯერად მისი საფიქრალი მხოლოდ ტურგონი გახლდათ.

ამგვარად, ჰურიანი მორგოთს მიჰგვარეს, რამეთუ საკუთარი გრძნეულებითა და ჯაშუშთა დახმარებით უწყობდა მისი და ტურგონის დამეგობრების შესახებ. თავიდანვე მიაპყრო მზერა და ცდილობდა, სულიერად გაეტეხა, თუმცა ჰურიანი ასე ადვილად დანებებას არ აპირებდა და წინააღმდეგობის განევა სცადა. მაშინ ჯაჭვით შებორკა მორგოთმა და დიდხანს აწამებდა. მცირე ხნის შემდგომ კვლავ მივიდა მასთან და წინადადება შესთავაზა – თუ ტურგონის ადგილსამყოფელს გაამხელდა, თავისუფლებას უბოძებდა და საითაც მოესურვებოდა, იქით წავიდოდა, ანდა შეეძლო ანგბანდში დარჩენილიყო და მორგოთის ერთ-ერთი ძლევა მოსილი სარდალი გამხდარიყო. მაგრამ ჰურიან მედგარმა დასცინა მას და უთხრა:

– ბრმა ყოფილხარ, მორგოთ ბაუგლირ, და მუდამ ბრმად დარჩები, რამეთუ ბნელში ჭვრეტ ოდენ. შენ არ უნცი, რა ამოდრავებს ადამიანთა გულებს და რომც იცოდე, მათთვის არაფრის მიცემა ძალგიდს. ბრიყვი არს იგი მხოლოდ, ვინც შენს ძღვენს დათანხმდება. როდესაც შენსას მიიღებ, პირობას გატეხ და სიკვდილს ვერ ავცდები, თუ იმას გიამბობ, რაც გნადია.

მაშინ მორგოთმა ჩაიციხა და მიუგო:

– შენი მოკვლა ჩემი მხრიდან გულმონყალების გამოჩენა იქნებოდა, – შემდეგ კი ჰაუდ-ენ-ნირნაეთში წაიყვანა ჰურიანი. ჯერ კიდევ ახალი აღმართული იყო გვამების ბორცვი და სიკვდილის სუნად ყარდა ირგვლივ ჰაერი. მის თავზე აიყვანა და აიძულა, დასავლეთით, ჰითლუმი-სკენ გაეხედა და საკუთარ ცოლ-შვილსა და ნათესავებზე ეფიქრა, – რამეთუ ისინი ახლა ჩემს მინებზე სახლობენ, – მიმართა მორგოთმა, – და მათი ბედი ჩემს ხელშია.

– არაფერია შენს ხელში, – მიუგო ჰურიანმა, – ცდები თუ ფიქრობ, რომ ტურგონზე მათგან რაიმეს შეიტყობ, რამეთუ მისი საიდუმლოს შესახებ არაფერი უნციან.

საშინლად განრისხდა მორგოთი, თუმცა არაფერი შეიმჩნია და უთხრა:

– მაშ, შენი წყეული ოჯახის კარს მოვადგები და ფოლადისგანაც რომ იყოთ ნაჭედნი, ჩემი ნების წინაშე მაინც გატყდებით. – იქვე დაგდებული გრძელი მახვილი აიღო და ხელით გადაამსხვრია, ერთი ნამტვრევი კი ასხლტა და ჰურიანს სახე გაუკანრა, თუმცა მას ბაგეთაგან ვაებაც არ დასცდენია. შემდეგ მორგოთმა გრძელი ხელი გაიშვირა დორ-ლომინისკენ და დასწყევლა მორუენი შვილებითურთ, – აჰა, იხილე! სადაც კი წავლენ ჩემს ფიქრთა აჩრდილი გზას დაუბნელებთ და მძულვარება ჩემი ქვეყნიერების ყველა კუნჭულში უკან გაჰყვებათ.



საშუბარი ჰურიინის და მორგოთისა

ჰურიინმა მიუგო:

– ამაოდ ირჯები სიტყვებით, რამეთუ ამ სიშორიდან, არც მათი დანახვა ძალგიძს და არც მათთვის ზიანის მიყენება. მით უარესი, როს განსხეულებულხარ და დედამიწაზე მბრძანებლობა ძეხორციელივით მოგისურვებია.

მაშინ მორგოთი შემოუტრიალდა და უთხრა:

– ადამიანთა ბრიყვო ნაშიერო, ნუთუ ჩემი სიტყვებიდან ვერა შეისმინე რა! ოდესმე ვალარნი თუ გიხილავს? ან მანუესა და ვარდას ძალა თუ გამოგიცდია? წარმოდგენა მაინც გაქვს, სადამდე სწვდება მათი ფიქრი? ან იქნებ გგონია, რომ ახლა ფიქრებით დაგტრიალებენ და ჩემგან დაგიხსნიან?

– არაფერი ვიცი, – მიუგო ჰურიინმა, – შესაძლოა, ასეც მოხდეს, თუ ისინი მოისურვებენ. რამეთუ დიად მეუფეთა ნებას წინ ვერავინ აღუდგება, ვიდრე არდა იარსებებს.

– ნუთუ ასეა, – დამცინავად გამოსცრა მორგოთმა, – ეს მე ვარ დიადი მეუფე, მეღკორი, პირველი და ყველაზე ძლევაგამოსილი ვალართა შორის, რომელიც სამყაროს წარმოშობამდე არსებობდა. ჩემი განზრახვათა აჩრდილი გადასწოლია მთელ არდას და ვინც კი მასზე დააბიჯებს, უცილობლად დაემორჩილება ნებას ჩემსას. ყველას, ვინც გიყვარს, ფიქრნი ჩემნი ბედისწერის ღრუბელივით დაატყდება თავს და ისინი ერთმანეთის მიყოლებით გადაცვივდებიან სასონარკვეთილების ბნელ მორევში. სადაც კი წავლენ ყველგან ბოროტებას დათესენ, ბაგეთაგან ამოთქმული ყოველი სიტყვა ავ მრჩევლად ექცევათ, მათი საქმეები კი მათვე წინააღმდეგ იღალადებს. უიმედოდ მოკვდებიან, სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც ერთნაირად წყეულნი.

ჰურიინმა კი ასე მიუგო:

– ვხედავ, დაგვიწყნია, ვის ესაუბრები. მსგავსი რამ ადრე ჩვენი მამებისთვისაც ბევრჯერ გითქვამს, თუმცა მაინც მოვახერხეთ შენს აჩრდილს გავქცეოდით. ახლა კი კარგად გიცნობთ, რამეთუ მათ სახეს შევავლეთ თვალი, რომელთაც სინათლე იხილეს და მანუეს ჟღერადი ხმა შეისმინეს. შესაძლოა, არდამდე არსებობდი, მაგრამ მხოლოდ შენ არ ყოფილხარ. ვით ხარ ყველაზე ძლევამოსილი, ოდეს ძალებს შენსას შენთვისვე ინახავ და სიცარიელეში უქმად კარგავ. არავინა ხარ, თუ არა ვალართა საპყრობილიდან გაქცეული მონა, რომელსაც კვლავ ჯაჭვით დაბმა ელის.

– ვხედავ, საკუთარ ბატონთა მოთხრობილი ზღაპრები კარგად დაგისწავლია, – უთხრა მორგოთმა, – თუმცა ამგვარი ბავშვური ცოდნა ველარას გარგებს, რამეთუ მათ გაგნირეს.

– ამასლა გეტყვი, მონავ! – მიუგო ჰურიანმა, – და ეს ელდართა სწავლებით ნაკარნახები არ გეგონოს, არამედ ჩემი გულიდან ამომავალი სიტყვებია. შენ ადამიანთა მბრძანებელი არ ხარ და ვერც ვერასდროს გახდები, მთელი არდაც რომ დაიპყრო და ყველანი მონებად გაიხადო. სამყაროს მიჯნებს მიღმა მათ ვერ გაედევნები, ვინც უარგყო.

– სამყაროს მიჯნებს მიღმა არავის დევნას არ ვაპირებ, რამეთუ იქ არაფერია, თუ არა სიცარიელე. თუმცა მის მიჯნებს შიგნით ვერც ვერავინ გამექცევა და ვერც ვერავინ დამემალება.


– ცრუობ! – უთხრა ჰურიანმა.

– შენივე თვალებით იხილავ და შენივე ბაგეთაგან აღიარებ, რომ მე არ ვცრუობ, – მიუგო მორგოთმა.

შემდეგ, ჰურიანი უკან, ანგბანდში დააბრუნა და თანგოროდრიმის უმაღლეს მწვერვალზე, კლდეში გამოკვეთილ სავარძელზე დასვა, საიდანაც შორეული დასავლეთ-

ით გადაშლილი ჰითლუმი და ბელერიანდის სამხრეთით მდებარე მიწები ჩანდა. იჯდა მორგოთის გრძნეულებით შებორკილი, ხოლო ის კი ისეთი წყევით წყევლიდა, რომ სკამიდან განძრევა აღარ შეეძლო, არც მოკვდებოდა, ვიდრე თვითონვე არ გაათავისუფლებდა.

– აქ იჯექი! – მიმართა მორგოთმა, – და უცქირე, თუ როგორ დაატყდება უბედურება და უიმედობა მათ, ვინც შენს გულსა და ფიქრებში არს. რამეთუ ჩემი აბუჩად აგდება განიზრახე და ეჭვქვეშ დააყენე ძლიერება მეღკორისა, არდის ბედისწერათა მბრძანებლის. ამიერიდან ჩემივე თვალებით იხილავ ყოველივეს, ჩემივე ყურებით შეისმენ და აღარაფერი იქნება შენგან დაფარული.



თაზი IV

ტურიზის გამგზავრება

მხოლოდ სამმა ადამიანმა მოახერხა ბრეთილში ჩაღწევა, ისიც ტაურ-ნუ-ფუინის ავბედითი გზის გავლით. დაროდესაც გლორედელმა, ჰადორის ასულმა, ჰალდირის დალუპვის ამბავი შეიტყო, მწუხარებას მიეცა და დარდმა გადაიყოლა.

დორ-ლომინში ცნობები არ მისულა. თავგზააბნეული რიანი, ჰუორის ცოლი, უკაცრიელ ადგილებში გადაიხვეწა. მითრიმელმა რუხმა ელფებმა იპოვეს იგი და დაეხმარნენ, ხოლო მისი ვაჟი ტუორი დაბადებისთანავე იშვილეს. თავად რიანი ჰაუდ-ენ-ნირნაეთს გაეშურა, იქ მისული კი მიწაზე დაწვა და მიიცივალა.

მორუენ ელედუენი ჰითლუმში დარჩა, სიჩუმესა და მწუხარებაში. ტურიზი მეცხრე წელში იყო, როდესაც დედამისი კიდევ ერთ ბავშვს ელოდებოდა. მაგრამ მისი ორსულობის დღეები მეტად ავბედითი გამოდგა. აღმოსავლელეები შემოიჭრნენ და სასტიკად მოეპყრნენ

ჰადორის ხალხს. ძარცვით ნაჰგლიჯეს ყოველი, რაც თვალში მოუვიდათ, ხოლო ხალხი მონებად წაასხეს. ყველა, ვისი გამოყენებაც რაიმე მიზნით შეიძლებოდა, წაიყვანეს, თვით ყმანვილი გოგო-ბიჭებიც. მოხუცები კი დახოცეს ან შიმშილით ამოსძვრათ სული. დორ-ლომინის ქალბატონისათვის კი ვერც ხელის ხლება გაბედეს და ვერც სახლიდან გაძევება. რადგან ხმები დადიოდა, რომ იგი საშიში გრძნეული იყო და თეთრ ავსულებთან დაეჭირა საქმე. ასე ეძახდნენ ისინი ელფებს სიძულვილისა და, უფრო მეტად, შიშის გამო. ამიტომ მთებსაც ერიდებოდნენ, სადაც ბევრმა ელდარმა შეაფარა თავი, განსაკუთრებით კი სამხრეთის მთიანეთს. ამგვარად, როდესაც ძარცვა-გლეჯას მორჩნენ, კვლავ უკან, ჩრდილოეთში გაბრუნდნენ, რადგან ჰურიზის სახლი დორ-ლომინის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მთებთან ახლოს მდებარეობდა. ნენ-ლალაითი იღებდა სათავეს ამონ-დართირის ჩრდილქვეშ, რომლის ციცაბო კალთაზეც ბილიკი გადიოდა. გულად ადამიანს იმ გზით ერედ-უეთრინის გადაკვეთა და გლითუის წყაროების გავლით ბელერიანდში გადასვლა შეეძლო. თუმცა გზა აღმოსავლელებისათვის უცნობი იყო, ისევე როგორც მორგოთისათვის, რადგან სანამ ფინგოლფინის საგვარეულო არსებობდა, ეს მხარე მისგან დაფარული და კარგად დაცული იყო, ისე, რომ არც ერთ მის მსახურს აქ ჯერ ფეხი არ დაედგა. ამიტომ მორგოთს სჯეროდა, რომ მთებით გარშემორტყმულ მინებზე სამხრეთიდან თავდასხმა შეუძლებელი იყო და ჩრდილოეთიდანაც ვერავინ მოახერხებდა გაქცევას. ასევე სჯეროდა, რომ არ არსებობდა არანაირი გასასვლელი უფროთო არსებათათვის სერეხსა და შორეულ დასავლეთს შორის, საიდანაც დორ-ლომინი ნევრასტს ესაზღვრებოდა.

ისე მოხდა, რომ აღმოსავლელთა პირველი შემოსევისას მორუენი უვნებლად გადარჩა. თუმცა ახლომახლო მაინც შემორჩენილიყვნენ ტყეში მოხეტიალე ადამიანები, ამიტომ სახლიდან შორს წასვლა მაინც სახიფათო იყო. მორუენის მფარველობის ქვეშ ჯერ კიდევ იყვნენ სადღორი და სხვა მსახური მოხუცი ქალები და კაცები, ასევე, მისი ვაჟი ტურიანი, თუმცა თანდათანობით ჰურიანის მეურნეობა გაღარიბდა და მოსავალი გამწირდა. ბევრს შრომობდა მორუენი, მაგრამ უფრო და უფრო ღატაკდებოდნენ. მალე ალბათ შიმშილობასაც დაიწყებდნენ, რომ არა აერინი, ნათესავი ქალი ჰურიანისა, რომელმაც მათ დახმარების ხელი მალულად გაუწოდა. აერინის ქმარი, ბროდა, ერთ-ერთი აღმოსავლელი იყო, რომელმაც მოიტაცა ის და იძულებით შეირთო ცოლად. რთული გახლდათ მონყალების მიღება მორუენისათვის, მაგრამ ტურიანისა და ჯერ კიდევ უშობელი ბავშვის გამო დასთანხმდა. და – იმიტომაც, რომ ეს დახმარება, როგორც შეიტყო, თავად აერინისგან მოდიოდა. ეს სწორედ ის ბროდა იყო, რომელმაც სურსათ-სანოვაგე და პირუტყვი გაიტაცა ჰურიანის სახლ-კარიდან და მიითვისა. გაბედული კაცი იყო, თუმცა სანამ ჰითლუმში მოვიდოდნენ, თავისი ხალხი დიდად არ აფასებდა. სიმდიდრის მოსახვეჭად მზად იყო, მიწებიც ემართა, მაშინ როცა მისი ხალხი მსგავს რამეს არ ეშურებოდა. ერთხელ იხილა მორუენი, როდესაც მის სახლზე სათარეშოდ მიემართებოდა, თუმცა მისი გამოხედვით გამონვეულმა ძრწოლამ შეაჩერა. ფიქრობდა, რომ თეთრი ალქაჯის გრძნეულ თვალებში ჩაიხედა, რის გამოც სიკვდილის შიშმა მოიცვა და სხეულში ავი სულები შეუძვრნენ. ამიტომ სახლში შეჭრა ვერ გაბედა და ვერც ტურიანი აღმოაჩინა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰურიანის მემკვიდრის სიცოცხლე ალბათ ხანმოკლე გამოდგებოდა.

მონად გაიხადა ბროდამ ჩალისთავიანები, როგორც ჰადორის მოდგმის ხალხს უწოდებდა, და ჰურიზის სახლის ჩრდილოეთით, ხის სასახლის მშენებლობაზე გაამნესა ისინი, იქ სადაც თვითონ დაედო ბინა. ჯგროდ ამწყვდევედნენ შემორაგულში და როგორც პირუტყვს, ისე ეპყრობოდნენ, თუმცა დიდი გულისყურით არ დარაჯობდნენ. ზოგიერთ მათგანს კვლავ შემორჩენოდა გამბედაობა და მიუხედავად საფრთხისა, მაინც მზად იყო, დორ-ლომინის ქალბატონისათვის დახმარების ხელი გაეწოდებინა. სწორედ მათგან იღებდა მორუენი საიდუმლო ცნობებს გარშემო მომხდარი ამბების შესახებ. ცნობები კი არც ისე სახარბიელო და საიმედო ჩანდა. ბროდამ აერინი წაიყვანა, მაგრამ არა მონად, არამედ ცოლად, რადგან არც ისე ბევრი ქალი იყო მის სამსახურში და თანაც, ედაინთა ასულს ვერავინ შეედრებოდა. იმედი ჰქონდა, რომ მალე ამ მხარეებზე გაბატონდებოდა და მემკვიდრეც ეყოლებოდა.

მორუენი არაფერს უყვებოდა ტურიზს იმ ამბებზე, რაც ხდებოდა ან რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, ტურიზიც ერიდებოდა, რამე ეკითხა და მისი მდუმარება დაერღვია. ხოლო როდესაც აღმოსავლელები პირველად შემოვიდნენ დორ-ლომინში, დედამისს უთხრა:

– როდის მოვა მამაჩემი, რომ ამ საძაგელ ქურდბაცაცებს კუდით ქვა ასროლინოს? რატომ არ ბრუნდება?

მორუენმა კი უპასუხა:

– არაფერი ვიცი. შესაძლოა, იმიტომ, რომ ცოცხალი აღარ არის, ანდა ტყვედ ჩაიგდეს. ან შესაძლოა, ძალიან შორს მოუწია წასვლამ და ახლა უკან ველარ ბრუნდება, რადგან გარშემო მტერი დაძრწის.

– მაშ, ვფიქრობ, რომ მოკვდა, – თქვა ტურიზმა და ცრემლები შეიკავა, რათა დედამისს არ შეემჩნია, – ცოცხ-

ალი რომ იყოს, ქვეყნად ვერავინ დააკავებდა, უთუოდ მოვიდოდა და გვიშველიდა.

– დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი, შვილო ჩემო, – მიუგო მორუენმა.

რაც დრო გავიდა, მორუენი მით უფრო გულცივი გახდა ტურიანის, დორ-ლომინისა და ლადროსის მემკვიდრის მიმართ, რადგან ხსნას ვერსად ხედავდა და ეშინოდა, რომ აღმოსავლელთა მონობისთვის იქნებოდა განწირული სიბერემდე. ამასთან, ჰურიანთან საუბარი ახსენებოდა ხშირად და დორიათზე დაიწყო ფიქრი. ბოლოს გადაწყვიტა, ტურიანი საიდუმლოდ გაემგზავრებინა, თუკი მოახერხებდა, და თინგოლისთვის ეთხოვა მისი მფარველობა. და როდესაც დიდხანს იჯდა და თავს იმტვრევდა, როგორ უნდა მოეგვარებინა საქმე, უეცრად ჰურიანის სიტყვები გაახსენდა: „სწრაფად წადი! მე ნუ დამელოდები!“ მაგრამ ბავშვის გაჩენის ჟამი მოახლოებულიყო და მისთვის გზა მეტად რთული და სახიფათო შეიძლებოდა გამომდგარიყო, ხოლო რაც დრო გადიოდა, მით მეტად იკლებდა გაქცევის შესაძლებლობაც. გულში მაინც იმედის ნაპერწკლები უკვესავდა, შინაგანი ხმა კარნახობდა, რომ ჰურიანი ცოცხალი იყო. უძილო ღამეებში მისი ნაბიჯების ხმაც კი ესმოდა. ხანდახან, მცირე ხნით ჩაძინებული ფეხზე წამოვარდებოდა ხოლმე, რადგან ძილში ჰურიანის რაშის, აროხის ჭიხვინის ხმა ჩაესმოდა. მიუხედავად იმისა, რომ თანახმა იყო მისი ვაჟი სხვა სამეფოში შეეფარებინათ, მით უმეტეს ასეთი ძნელბედობის ჟამს, სიამაყე მაინც არ აძლევდა ნებას, მოწყალების მთხოვნელი გლახაკივით ვინმეს კარზე მიმდგარიყო, თუნდაც ხელმწიფისა. ამგვარად, ჰურიანის ხმა იყო თუ, უბრალოდ, მოჩვენება, მისი რჩევა უკუაგდო და ამით პირველი კვანძიც შეიკრა ტურიანის საბოლოო ბედისწერის აღსასრულებლად.

შემოდგომა ახლოვდებოდა გლოვის წელიწადისა, როდესაც მორუენმა საბოლოო გადანყვეტილება მიიღო და ამჯერად ძლიერ ჩქარობდა, რამეთუ მცირე დრო ჰქონდათ მგზავრობისთვის მოსამზადებლად. შიშობდა, რომ თუ ტურინი დაზამთრებამდე არ წავიდოდა, მას უთუოდ შეიპყრობდნენ. აღმოსავლელეები მგლებივით დაძრწოდნენ სახლის გარშემო და მასზე ფხიზელი თვალი ეჭირათ. ერთხელაც მოულოდნელად მორუენმა ტურინს უთხრა:

– მამაშენი აღარ მოვა. ამიტომ სწრაფად უნდა გაეცალო აქაურობას. მისი სურვილიც ეს იქნებოდა.

– წავიდეთ? – აღმოხდა ტურინს, – კი მაგრამ, სად? მთები გადავიაროთ?

– დიახ, – მიუგო მორუენმა, – სწორედ მთების გადავლით, შორს, სამხრეთისკენ უნდა წახვიდე. სამხრეთი ერთადერთი მხარეა, სადაც შესაძლოა იმედი მოიძებნოს. მაგრამ ჩვენ არა, ჩემო შვილო, შენ უნდა წახვიდე მხოლოდ, მე კი ვრჩები.

– მარტო ვერსად წავალ! – თქვა ტურინმა, – მარტო არ დაგტოვებ. ერთად რად არ მივდივართ?

– ვერ გამოგყვები, – უთხრა მორუენმა, – თუმცა, მარტო არ წახვალ. გეტრონი წამოვა შენთან და შესაძლოა, გრითნირიც დაგადევნოთ.

– არ შეიძლება, ლაბადალი გამოუშვა? – იკითხა ტურინმა.

– არა, რადგან სადორი კოჭლია, – უთხრა მორუენმა, – გზა კი რთული იქნება. შენ ჩემი ვაჟი ხარ და იცი, რა ავიდროება გვიდგას, ამიტომ არაფერია დასამალი. შესაძლოა ამ გზაზე დაილუპო კიდევაც, თუმცა უკვე გვიანდება და თუ აქ დარჩები, უარესი გელის: მონად გაგიხდიან. და თუ გსურს, მომავალში ნამდვილი ვაჟკაცობა გამოიჩინო.

ნო, ისე მოიქცევი, როგორც მე შემოგითვლი, როდესაც ამის დრო მოვა.

– კი მაგრამ, აქ მხოლოდ სადორი, ბრმა რაგნირი და მოხუცი ქალები რჩებიან, – მიუგო ტურიანმა, – განა მამჩემი სულ იმას არ გაიძახოდა, რომ მე ჰადორის საგვარეულოს მემკვიდრე ვარ? მემკვიდრე კი იმისთვისაა, რომ დარჩეს და სამკვიდრო დაიცვას. ახლა ვნანობ, დანა რომ გავაჩუქე.

– დიახ, მისი ვალია, დარჩეს, მაგრამ ახლა ეს შეუძლებელია. – უთხრა მორუენმა, – თუმცა, იქნებ ერთ დღეს დაბრუნდე კიდევაც. ამჯერად კი მაგრად დადექ! თუ საქმეები უარესად წარიმართა, უკან დაგედევნები, თუკი შევიძელი.

– როგორ მიპოვი ტყე-ღრეში დაკარგულს? – თქვა ტურიანმა, უცაბედად კი გული ველარ შეიმაგრა და ატირდა.

– თუ ასეთ ქვითინს მოჰყვები, შესაძლოა, უამურმა არსებებმა გიპოვონ ყველაზე ადრე, – უთხრა მორუენმა, – ვიცი, საით მიდიხარ და თუ იქ ნამდვილად ჩააღწევ და დარჩები, მაშინ აუცილებლად გიპოვი, თუკი შევიძელი. თანაც მეფე თინგოლთან გგზავნი დორიათში. ნუთუ მეფესთან სტუმრობას მონად ყოფნა გირჩევნია?

– არც კი ვიცი, – მიუგო ტურიანმა, – არც კი ვიცი, რას ნიშნავს მონა.

– ამიტომაც გიშვებ აქედან შორს, რომ ვერასდროს შეიტყო, თუ რას ნიშნავს, – უპასუხა მორუენმა.

შემდეგ წინ დაისვა, თვალებში ისე ჩაჰყურებდა, თითქოს მათში რაღაც გამოცანას კითხულობსო. ბოლოს კი განელილად უთხრა:

– რთულია, ტურიან, ჩემო შვილო. არა მარტო შენთვის. მძიმეა ჩემთვისაც ასეთი ძნელბედობის ჟამს განვსაჯო, რა არს უმჯობესი შენთვის. მაგრამ ვიქცევი ისე, როგორც

ტურინის გამბზავრება

მიმაჩნია სწორად. მაშ, რა მაიძულებს განვეშორო ჩემს სისხლსა და ხორცს, რომელიც ყველაზე ძვირფასია მათგან, ვინც კი დამრჩა?

მეტად აღარ უსაუბრიათ ამის შესახებ. ტურინი მოიღუშა და განმარტოვდა. დილით სადორის მოსაძებნად წავიდა, ის შეშას ჩეხდა ცეცხლის დასანთებად, შეშა კი თანდათან ილეოდა, რადგან ტყეში შესვლას ველარავინ ბედავდა. თვითონ ახლა ყავარჯენს დაყრდნობოდა და ჰურინისთვის დამზადებულ დიდ სავარძელს დასჩერებოდა, რომელიც დაუმთავრებელი იდგა კუთხეში.

– ამის ჯერია, – თქვა სადორმა, – ისედაც უსარგებლოა და დღეს უკვე აღარავინ იყენებს.

– ნუ დაამტვრევ, – უთხრა ტურინმა, – შეიძლება დაბრუნდეს და როდესაც ნახავს შენს ნაკეთობას, ნასიამოვნები დარჩება.

– ცრუ იმედები თავად შიშზე უარესია, – თქვა სადორმა, – თანაც ისინი ცივ ზამთარში ვერ გაგვათბობენ. შემდეგ თითებით შეეხო სავარძელზე დატანილ ჩუქურთმას და ამოიოხრა, – ფუჭად დავხარჯე დრო, თუმცა მსიამოვნებდა, როცა ვაკეთებდი. ასეთი ნივთები დიდხანს ვერ ცოცხლობს. ვფიქრობ, მათი მთავარი დანიშნულება შემქმნელისთვის სიამოვნების მინიჭებაა მხოლოდ და მეტი არაფერი. ახლა მგონი, დროა, შენი საჩუქარიც უკან დაგიბრუნო.

ტურინმა ხელები წაიღო და უკან დაიხია.

– ადამიანი გაცემულ საჩუქარს არ იბრუნებს, – უთხრა სადორს.

– და თუ ეს ჩემი კუთვნილებაა, მაშ, არ მაქვს უფლება, ვისაც მსურს, მას მივცე იგი? – მიუგო სადორმა.

– დიახ, – უპასუხა ტურინმა, – შეგიძლია, ვისაც გსურს, მას მისცე, მაგრამ არა მე. და რატომ გსურს მისი გაჩუქება?

– არ მაქვს იმედი, რომ კიდევ შევძლებ, ღირებული მიზნებისთვის მის გამოყენებას, – უთხრა სადორმა, – ამერიიდან, სიცოცხლის ბოლომდე მონა ვიქნები მხოლოდ.

– რას ნიშნავს მონა? – ჰკითხა ტურიმა.

– ადამიანი, რომელიც უნინ ადამიანი იყო, ახლა კი ისე ეპყრობიან, როგორც ცხოველს, – უპასუხა სადორმა, – მხოლოდ იმიტომ აჭმევენ, რომ იცოცხლოს, იცოცხლოს, რათა ვირივით იშრომოს, ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ტკივილისა და სიკვდილის შიშით არის შეპყრობილი. ხოლო ამ ავაზაკებმა ტკივილი ადამიანს შესაძლოა, მხოლოდ გასართობად მიაყენონ. მსმენია, ცალფეხებს გაქცევას აიძულებენ და შემდეგ ძაღლებს მიუქსევენ. მათ ორკებისაგან უფრო ადვილად გადმოიღეს ჩვევები, ვიდრე ჩვენ – ახოვანთა მოდგმისაგან.

– ახლა უფრო ცხადად გავიგე ბევრი რამ, – თქვა ტურიმა.

– ძალიან მწყინს, რომ ასეთ ასაკში მოგინია მსგავსი რამის გააზრებამ, – უთხრა სადორმა, შემდეგ კი ტურიანის სახეზე უცნაური გამომეტყველება შენიშნა, – რა არის ახლა შენთვის ცხადი?

– ის, თუ რატომ მგზავნის დედაჩემი აქედან შორს, – თქვა თუ არა, თვალები აუნწყლიანდა.

– აჰ! – აღმოხდა სადორს და შემდეგ თავისთვის ჩაილაპარაკა, – საკითხავია, რას ელოდებოდა ამდენ ხანს? – შემდეგ ტურიანს მიუტრიალდა და უთხრა, – ჩემთვის ეს სიახლე არ არის, მაგრამ დედაშენის გეგმებზე ასე ღიად ნურავისთან ისაუბრებ, ნურც ჩემთან. დღეს კედლებსაც კი ყურები აქვს, თანაც იმგვარი, კეთილ ადამიანს რომ არასდროს გამოეზრდება.

– მაგრამ ვინმესთან ხომ უნდა ვილაპარაკო! – თქვა ტურიმა, – ყოველთვის გიმხელდი ჩემს გულისნადებს.

არ მინდა შენი მიტოვება, ლაბადალ, არც ამ სახლისა და არც დედაჩემის.

– თუ ამას არ იზამ, მალე აქ აღარავინ დარჩება, ხოლო ჰადორის საგვარეულო აღიგეება პირისაგან მიწისა და ამას უნდა ხვდებოდე. სადორს შენი წასვლა არ ახარებს, თუმცა როგორც ჰურინის მსახურს, გამიხარდება, თუ აღმოსავლელეები მისი ვაჟისაგან შორს იქნებიან. რაც უნდა იყოს, ყველაფერი გადაწყვეტილია, ჯობს ერთმანეთს გამოვემშვიდობოთ. იმედი მაქვს, ამ დანას ახლა მაინც მიიღებ, როგორც საჩუქარს განშორების ნიშნად.

– არა! – მიუგო ტურინმა, – დედაჩემი ამბობს, რომ ელფებთან მივდივარ, დორიათის მეფესთან, იქ კი ალბათ მსგავსი ნივთი ბლომად იქნება. თუმცა ველარ შევძლებ შენთვის სამახსოვროდ რაიმეს გამოგზავნას, ლაბადალ, რადგან აქედან ძალზე შორს მომიწევს ყოფნა და თან სულ მარტოდმარტოს.

ეს თქვა თუ არა, ტურინი ატირდა, მაგრამ სადორმა დაამშვიდა და უთხრა:

– ჰე, სად წავიდა ტურინის ვაჟი, რომელიც ერთ დროს ამბობდა, როცა ამის შესაძლებლობა მექნება, მეც ელფების ხელმწიფესთან ერთად გავემართები საომრადო.

მაშინ ტურინმა ცრემლები მოიწმინდა და თქვა:

– მაშ, კარგი, თუ ეგ ნამვილად ჰურინის ვაჟის სიტყვებია, უნდა შესრულდეს კიდევაც. მაგრამ წინასწარ როცა ვიტყვი, აუცილებლად უნდა გავაკეთო-მეთქი, საქმე საქმეზე რომ მიდგება, სხვაგვარად ჩანს ყოველი. ახლა უკვე აღარაფრის სურვილი დამრჩენია, ამიტომ შემდეგში, თუკი კიდევ დავაპირებ მსგავსი რამის თქმას, უფრო მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენ.

– ნამდვილად უკეთესი იქნებოდა, – უთხრა სადორმა, – ადამიანებს კარგად ეხერხებათ სხვების დარიგება, მა-

გრამ თვითონ ცოტა თუ სწავლობს ჭკუას. დაე, წინასწარ შეუცნობელი დარჩეს დღენი მომავლისა, რამეთუ ანმყოს შეცნობაც საკმარისზე მეტია ჩვენთვის.

ტურიანი მზად იყო გასამგზავრებლად. გამოემშვიდობა დედას და თავის ორ მეგზურთან ერთად საიდუმლო გზას დაადგა. ხოლო როდესაც უკანასკნელად შემოტრიალდა და მამამისის სახლეულს შეავლო თვალი, განშორებით გამონვეული სევდის გამოუთქმელმა ძალამ დაუარა სხეულში და შეჰყვირა:

– მორუენ, მორუენ, როდის ვიხილავთ ისევ ერთმანეთს? – ზღურბლზე მდგარმა მორუენმა მხოლოდ მისი ხმის ექო გაიგონა, ტყიან გორაკთა შორის გატყორცნილი და ისე მაგრად ჩაებლაუჭა კარის საბჯენს, რომ თითები დაუსკდა. ეს გახლდათ პირველი მწუხარება ტურიანისა.

ტურიანის წასვლიდან ერთი წელი გასულიყო, როდესაც მორუენმა ბავშვი შობა. მას სახელად ნიენორი დაარქვა, რაც გლოვას ნიშნავს. ტურიანი უკვე ძალიან შორს იმყოფებოდა, როცა ის დაიბადა. გრძელი და ავბედითი გამოდგა გასავლელი გზა, რადგან მორგოთის წყვდიადი შორეულ მიწებსაც სწვდებოდა. მეგზურად გეთრონი და გრითნირი ჰყავდა. ჰადორის მმართველობის დროს ახალგაზრდები იყვნენ ისინი, ახლა კი ასაკში შესულიყვნენ, თუმცა სიმამაცე არ აკლდათ და შორეულ მიწებსაც კარგად იცნობდნენ, რამეთუ ადრეულ წლებში ხშირად უმოგზაურიათ ბელერიანდის სხვადასხვა მხარეს. ამგვარად, ბედის კარნახითა და თავიანთი მოხერხებულობით, „წყვდიადის მთები“ გადაიარეს და დალლილ-დაქანცულებმა სირიონის მიმდებარე მიწებზე შეაბიჯეს. გაიარეს ბრეთილის ტყე და დორიათის ზღუდეებს მიაღწიეს, თუმცა აქ გზა დაებნათ, დედოფლის შექმნილ ლაბირინთში დაიკარგნენ და მანამ-

დე იხეტიალეს უბილიკო ტყეებში, სანამ საჭმელ-სასმელი არ გამოელიათ.

სასიკვდილოდ იყვნენ განწირული, თანაც ამას ჩრდილოეთიდან მოსული ზამთრის გამყინავი სუსხიც დაემატა. მთლად ასე სწრაფადაც არ ეწერა აღსრულება ტურინს – მაშინ, როდესაც მიწაზე უიმედოდ ეყარნენ, შორიდან საყვირის ხმა შემოესმათ. ბელეგ მშვილდმაგარი ნადირობდა იმ მხარეში. დორიათის სამეფოს განაპირა ტყეებში სახლობდა ბელეგი და იმ დღეებში ყველაზე განთქმული მეტყევე გახლდათ. მათი ხმა შემოესმა და დასახმარებლად გამოეშურა. ხოლო როდესაც საჭმელი აჭამა და ცოტა სული მოათქმევინა, უთხრეს, ვინ იყვნენ და საიდან მოდიოდნენ, ბელეგი კი ძლიერ გაოცდა და იმავდროულად მწუხარებამ მოიცვა. შემდეგ მოწინებით შეხედა ტურინს, რადგან დედის სილამაზე და მამის თვალები გამოჰყოლოდა, ემჩნეოდა, რომ ძლიერი იყო და მეტად შეუპოვარი.

– რა საქმე გაქვს, მეფე თინგოლთან? – უთხრა ბელეგმა ბიჭს.

– მინდა მისი ერთ-ერთი მხედარი გავხდე და მორგოთის წინააღმდეგ საბრძოლველად გავემართო, რათა მამაჩემის გამო შური ვიძიო, – მიუგო ტურინმა.

– შესაძლოა, ასეც მოხდეს, როდესაც წლები მოგემატება, – უთხრა ბელეგმა, – ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ხარ, თუმცა ვხედავ, სიმამაცე არ გაკლია. ნამდვილად იმსახურებ ჰურინ მედგარის შვილობას, თუკი ეს სიმართლეა. – ასე ამბობდა, რადგან ჰურინის სახელს ყველა მოწინებით ახსენებდა ელფთა მიწებზე. ამის გამო ბელეგი სიხარულით დათანხმდა მოხეტიალეთა მეგზურობას და წაუძღვა თავისი ქოხისკენ, რომელიც მონადირეთა თავშესაფარს წარმოადგენდა იმხანად. იქ შეიცადა, ვიდრე

წარგზავნილი მაცნე ჩავიდოდა მენეგროთში და ახალ ამბავს მიიტანდა. ხოლო როდესაც პასუხად მეფისა და დედოფლის თანხმობა მოვიდა, ბელეგმა ისინი საიდუმლო გზებით წაიყვანა დაცული სამეფოსაკენ.

ასე მიაღწია ტურინმა ესგალდუინის დიდ ხიდამდე და თინგოლის დიდებულ დარბაზებში შეაბიჯა. ჯერ კიდევ ბავშვმა, თვალი შეავლო მენეგროთის საოცრებებს, რაც ბერენის გარდა, სხვა ადამიანს არ ეხილა. ამის შემდეგ გეტრონი წარდგა თინგოლისა და მელიანის წინაშე და მორუენის გამოგზავნილი შეტყობინება გადასცა. მაშინ კეთილად მიიღო ისინი თინგოლმა, ხოლო ტურინი კალთაში ჩაისვა მამამისის, ჰურიანის, როგორც ძღვევამოსილი ადამიანისა და მათი თანამოდმე ბერენის პატივისცემის ნიშნად. ძლიერ გაოცდა ყველა, რადგან ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ თინგოლმა ტურინი შვილობილად გამოაცხადა. ამგვარი რამ მანამდე არც ერთი მეფის დროს არ მომხდარა და არც შემდგომში გამოუჩენია არც ერთ ელფ ხელმწიფეს მსგავსი დიდსულოვნება ადამიანთა მიმართ. მაშინ თინგოლმა ტურინს უთხრა:

– აქ იქნება შენი სახლი, ჰურიანის ძევ, და თუმცა ადამიანთა მოდგმისა ხარ, ამიერიდან მთელი შენი ცხოვრება ისე მოგეპყრობიან, როგორც ჩემს შვილს. იმაზე მეტი სიბრძნე მოგეცემა, ვიდრე მოკვდავი ინატრებდა, ხოლო ნებისმიერი ელფური იარაღი, რომელსაც ისურვებ, შენს განკარგულებაში იქნება. შესაძლოა მოვიდეს დრო, როდესაც კვლავ დაიბრუნებ მამაშენის მინა-წყალს ჰითლუმში, მანამდე კი აქ იცხოვრე, მზრუნველობასა და სიმშვიდეში.

ამიერიდან, ტურინი დორიათში იცხოვრებდა. ცოტა ხნით კვლავ დარჩნენ მასთან მისი მცველები, გეტრონი და გრიტნირი, მაგრამ აუცილებლად უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ, დორ-ლომინში, თავიანთ ქალბატონთან. თუმცა

ასაკმა და ავადმყოფობამ უნია გრითნირს და ტურინთან დარჩა, მცირე ხანში კი გარდაიცვალა. გეტრონი კი უკან გაეშურა, თინგოლმა თანმხლებნი გააყოლა, რათა დაეცვათ იგი და იმავდროულად მორუენისთვის გადაეცათ მეფის დანაბარები. როდესაც გრძელი გზის გავლის შემდგომ ჰურიზის სახლს მიაღწიეს და მორუენმა შეიტყო, რომ ტურინი თინგოლის დარბაზებში პატივით მიიღეს, დარდი შეუმსუბუქდა. ელფებმა მელიანისგან გაგზავნილი მრავალი საჩუქარი და მისი შემონათვალი გადასცეს, – თინგოლის ხალხს გამოჰყევი და დორიათში წამოდიო. მელიანი მეტად ბრძენი და შორსმჭვრეტელი გახლდათ და იმედოვნებდა, რომ შეძლებდა თავიდან აეცილებინა ის ბოროტი განზრახვა, რომელიც მორგოთის გონებაში ნელ-ნელა ფრთებს ისხამდა. თუმცა მორუენი ასე იოლად არ განეშორებოდა საკუთარ სახლს, რადგან მისი გული არ შეცვლილიყო და არც უწინდელი სიამაყე დაჰკარგვოდა. თანაც, ნიენორი ჯერ კიდევ ძუძუთა ჰყავდა.

ამგვარად, ელფებს მადლობა გადაუხადა და დაემშვიდობა, ხოლო საჩუქრად უბოძა მცირე ოქროს ნაკეთობა, რამეთუ ამის მეტი აღარაფერი დარჩენოდა უწინდელი სიმდიდრისგან და ამით სილატაკის დამალვას შეეცადა. იმავდროულად სთხოვა მათ, თინგოლთან წაელოთ ჰადორის მუზარადი. ტურინი კი დიდხანს მოუთმენლად ელოდა თინგოლის მაცნეებს, ხოლო როდესაც ისინი მარტონი დაბრუნდნენ, ტყეში გაიქცა და ატირდა, რადგან გაეგო მელიანის შენათვალის შესახებ და იმედი ჰქონდა, რომ მორუენი მათ წამოჰყვებოდა. ეს გახლდათ ტურინის მეორე მწუხარება. როდესაც მაცნეებმა მორუენის პასუხი შეატყობინეს, მელიანის გონება სევდამ მოიცვა, რადგან ხვდებოდა, რომ იმ ბედისწერას, რომლის აღსრულებაში

მორუენის ბედიც ჩანნულიყო, ასე ადვილად წინ ვერავინ აღუდგებოდა.

ჰადორის მუზარადი თინგოლს გადასცეს. იგი რუხი ფოლადისგან იყო ნაჭედი, გარედან ოქროთი მოვარაყებულნი, ზედ კი გამარჯვების გამომსახველი რუნები ამოეტივიფრათ. ისეთი ძალა იდო მასში, რომ ყველა, ვინც მას მოირგებდა ქრილობებისა და სიკვდილისგან დაცული ხდებოდა, რამეთუ ერთხელ, როდესაც მას ხმლის პირი მოხვდა, ეს უკანასკნელი გადატყდა, ასევე გვერდზე გასხლტა მუზარადს მოხვედრილი ისარიც. ტელხარს, ნოგროდელ მჭედელს გამოეჭედა იგი, მისი ნაჭედობანი კი საქვეყნოდ გახლდათ განთქმული. მუზარადს წინაფრა ჰქონდა (ჯუჯათა ნაკეთი მუზარადების მსგავსად, რითაც ბრძოლის დროს თვალებს იცავდნენ), ხოლო მისი მომრგების სახე, მის შემხედვარეთა გულეებში შიშს თესავდა, თვითონ კი დაცული იყო ისართა და ხელშუბთაგან. მტრის შესაძრწუნებლად მუზარადის თავზე ოქროსაგან ჩამოსხმული დრაკონის, გლაურუნგის გამოსახულებიანი ნაკეთობა დაემაგრებინათ, რამეთუ თვითონ მუზარადი მცირე ხანში შეიქმნა მას შემდეგ, რაც გლაურუნგი პირველად გამოვიდა ანგბანდის კარიბჭეთაგან. ჰადორი და შემდეგ გალდორი ხშირად ირგებდნენ მას ბრძოლებში და როდესაც ჰითლუმელები შუა ბრძოლის დროს წამომართულ მუზარადს დაინახავდნენ, ძალები ემატებოდათ და გამეტებით შეჰყვირებდნენ: „დორ-ლომინის დრაკონი უფრო ძლევამოსილია, ვიდრე ანგბანდის ოქროებში შემძვრალი გველი“. თუმცა ჰურიანი ბრძოლის დროს დრაკონის თავიან მუზარადს არ იყენებდა და ცდილობდა, არც არასდროს დაეხურა თავზე, რადგან ასე იტყოდა ხოლმე, – უმჯობეს არს, მტერთ ჩემი ნამდვილი სახე ვუჩვენო.

მიუხედავად ამისა, მუზარადს მაინც ერთ-ერთ უძვირფასეს საგვარეულო რელიკვიად მიიჩნევდა.

უამრავი იარაღი და საჭურველი მოეგროვებინა თინგოლს მენეგროთის სიღრმეებში. თევზის ქერცლის მსგავსად განყობილი აბჯრები მთვარის შუქზე მოლიცლიცე ნყალსავით ბრჭყვიალებდა; ხმლები და ნაჯახები, ფარები და მუზარადები, თვით ტელხარისა და მისი მასწავლებლის, გამილ ზირაკ უხუცესის ხელით ნაჭედი, ან კიდევ უფრო ადრეც, სხვა მეტად გამოცდილ ელფთა მიერაც კი, ამის შესახებ არავინ უწყის. ზოგი რამ ვალინორიდანაც ჰქონდა სახსოვრად მეფეს, თავად ფეანორის ნაჭედი, რომლის დარი მჭედელი ადრეეპოქამდელ დღეებში არსად მოიძებნებოდა. ახლა კი იმ ხორაგს, ჰადორის მუზარადიც შემანტებოდა და მიუხედავად ამდენი ქონებისა, მეფე მას მაინც დიდი მონინებით ეპყრობოდა და ამბობდა:

– ამაყი იქნება იგი, ვინც ამ მუზარადს მოირგებს, რამეთუ ერთ დროს ის ტურიზის წინაპართა თავს ამშვენებდა.

შემდეგ ერთი აზრი მოუვიდა და ტურიზს უხმო. უამბო, რომ ეს მუზარადი დედამისმა გამოუგზავნა, როგორც ძვირფასი ნივთი და მამამისის რელიკვია.


– აილე ეს ჩრდილოელი დრაკონის თავი, – უთხრა მას, – და როდესაც ამის დრო მოვა, კეთილად იმსახურე.

მაგრამ ტურიზი ჯერ ისევ ყმანვილი იყო მის ხელში დასაჭერად და არც ყურადღება მიუქცევია, რადგან გული კვლავ უწინდელი დარდით ჰქონდა სავსე.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE



თავი V

ტურინი დორიათში

დორიათის სამეფოში გატარებულ სიყმანვილის წლებში ტურინზე მელიანი ზრუნავდა, ისე, რომ თვითონ ამას ვერც კი ამჩნევდა. ერთი ქალწული ცხოვრობდა ტყეში, სახელად ნელასი, რომელიც მელიანის დავალებით ტურინს თვალს ადევნებდა, რათა ტყეში ხეტიალისას გზა არ დაბნეოდა და არ დაკარგულიყო. ხშირად ხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს, თითქოს შემთხვევით. თამაშობდნენ და ხელიხელჩაკიდებული დადიოდნენ. სწრაფად იზრდებოდა ტურინი, ნელასი კი მისთვის მხოლოდ თანატოლ გოგონად რჩებოდა და ასევე დარჩა ელფებთან გატარებული დროის ბოლომდე. ტურინმა ნელასისაგან ბევრი რამ შეიტყო დორიათის საჭირბოროტო ამბების გარშემო, მისგან შეისწავლა სინდართა ენაც, თანაც ისეთი, უნინ რომ საუბრობდნენ სამეფოში, გაცილებით ძველი, მაღალფარდოვანი და სიტყვაკაზმული. თანდათან ტურინს ხასიათიც გამოუკეთდა, ვიდრე კიდევ ერთხელ არ დაანვა

მძიმე აჩრდილი გულზე და ეს მეგობრობაც გაზაფხულის დილასავით არ განქარდა. რამეთუ ნელასი მენეგროთში წასვლას უარობდა, არ სურდა ცხოვრება ქვის ჭერქვეშ გაეტარებინა. და რაც უფრო მეტად გამოდიოდა ტურიანი სიყმანვილიდან და კაცობაში შედიოდა, მით უფრო იშვი-ათად ახსენდებოდა იგი, სანამ საბოლოოდ არ გადაავი-წყდა მისი არსებობა. თუმცა ნელასი მაინც აგრძელებდა ტურიანის თვალთვალს, ამჯერად ამას მის შეუმჩნევლად აკეთებდა.

ცხრა წელი ცხოვრობდა ტურიანი მენეგროთში და ამ ხნის განმავლობაში ფიქრებით ისევ საკუთარ ხალხს უბრუნდებოდა, ხშირად მოსდიოდა ცნობები მათ შესახ-ებ და ამით ცოტათი გულს იმშვიდებდა. თინგოლი ხშირ-ად გზავნიდა მაცნეებს მორუენთან, ის კი მათ სათქმელს ატანდა შვილთან. აქედან შეიტყო, რომ მორუენის მდგო-მარეობა უმჯობესდებოდა, ხოლო ნიენორი იზრდებოდა და მშვენიდებოდა, ვითარცა ყვავილი ჩრდილოეთის მო-ქუფრული ცის ქვეშ. ტურიანმა ტანი მალე აიყარა და უკვე კაცთა საზომით მაღალი ეთქმოდა, დორიათელი ელფე-ბიც კი დაჯაბნა სიმაღლით. თავისი ძალისა და სიმამაცის მეშვეობით კი სახელი გაითქვა თინგოლის სამეფოში. ამ წლების განმავლობაში იგი დიდად განისწავლა ელფე-ბისაგან, ყურადღებით ისმენდა უძველეს დღეთა და გმირო-ბათა ამბებს, ამან კი უფრო გულჩათხრობილი და სიტყ-ვაძუნნი გახადა.

ბელეგ მშვილდმაგარი სტუმრობდა მას ხშირად მენე-გროთში და შემდეგ ერთად მიდიოდნენ შორეული ტრა-მალებისკენ, სადაც ტურიანს ნადირობისა და ტყეში ცხ-ოვრების გამოცდილებას უზიარებდა, ასევე მშვილდის სროლასა (რაც მას ყველაზე მეტად მოსწონდა) და ხმლის მოქნევაშიც ახელოვნებდა. თუმცა ხელობაში მოიკოჭ-

ლებდა ტურიანი, რადგან ძალიან მძიმედ რწმუნდებოდა საკუთარ ძალებში და რასაც კი შექმნიდა, ყველაფერი უმაღვე ხელში შეატყდებოდა ხოლმე. ცხადი იყო, რომ ბევრ რამეში არ უმართლებდა, რასაც კი გონებაში დაისახავდა, ყველაფერი უმრუდდებოდა და ვერასდროს იღებდა იმას, რაც გულით ეწადა. ვერც ვერავის უმეგობრდებოდა ადვილად, რადგან მხიარულება არ ეტყობოდა და იშვიათად თუ გაიცინებდა. მუდამდღე წყვილიადა გადაჰფენოდა მის ახალგაზრდობას. თუმცა ყველა, ვინც კი ახლოს იცნობდა სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა, ასეც რომ არა, იგი მეფის შვილობილი გახლდათ.

მენეგროთში ცხოვრობდა ერთი მისი მოშურნე. და რაც უფრო ვაჟკაცდებოდა ტურიანი, ეს შურიც მით უფრო იზრდებოდა. საეროსი ერქვა სახელად, ქედმაღლობით გამოირჩეოდა და ყველას ზემოდან დაჰყურებდა, ვისაც წოდებრივად თავისზე დაბლა მიიჩნევდა. დაერონ მენესტრელთან მეგობრობდა იგი, რამეთუ თავადაც კარგად მღეროდა, ხოლო ყველაზე მეტად ადამიანები სძულდა, და მით უმეტეს ისინი, ვისაც რაიმე ნათესაობა აკავშირებდა ბერენ ცალხელასთან. „უცნაურია, რომ ჩვენს მიწებზე დღემდე ხსნილია გზა ამ უბედური ერისათვის. განა საკმარისად არ იწვინია მათ გამო დორიათმა?“, – იტყოდა ხოლმე. ტურიანის გაკეთებულ ყოველ საქმეს ალმაცერად უმზერდა და მუდამ ავად მოიხსენიებდა. თუმცა დღენი-ადაგ გადაკრულად საუბრობდა და ამით თავის ღვარძლს საგულდაგულოდ ნიღბავდა. როდესაც ტურიანს განმარტოებით ესაუბრებოდა, თავის ქედმაღლობას არასდროს მალავდა და ბოლომდე ავლენდა მისდამი სიძულვილს. ტურიანი კი მეტად გაბეზრდა მის გამო, მიუხედავად იმისა, რომ მისკენ მიმართულ ყოველ ავ სიტყვას დუმილით

ხვდებოდა, რადგან საეროსი დორიათის ერთ-ერთი დიდებული და იმავდროულად მეფის მრჩეველი გახლდათ. საეროსს კი ტურინის მღუმარებაც ისევე ლახვარივით ესობოდა გულზე, როგორც მისი საუბარი.

ჩვიდმეტი წლის ასაკში მწუხარებამ კვლავ შეახსენა თავი, რადგან იმ დროისათვის დორ-ლომინიდან უკვე აღარაფერი ისმოდა. მორგოთის გავლენა წლიდან-წლამდე იზრდებოდა და უკვე მთელ ჰითლუმს გადასწვდომოდა მისი აჩრდილი. ზუსტად იცოდა ჰურინის ხალხისა და მის ნათესავთა ამბები, ამიტომ მცირე ხნით ყველას ჩამოსცილდა, რათა საკუთარი გეგმები მშვიდად განესრულებინა. ახლა კი კვლავ თავის განზრახვებს მიჰბრუნებოდა და „წყვდიადის მთების“ გასწვრივ მზვერავები დაეყენებინა, ისე, რომ ვერც ვერავინ შევიდოდა ჰითლუმში და ვერც ვერავინ დატოვებდა მას. ორკებით წალეკილიყო ნაროგისა და ტეიგლინის წყაროები, ისევე როგორც სირიონის მთელი ზედა წელი. ერთხელაც თინგოლის მაცნეები უკან აღარ დაბრუნდნენ, ამის შემდეგ აღარავინ გაუგზავნია მას. ყოველთვის წინააღმდეგი იყო, დაცული საზღვრების შიგნით ვინმე შემოეშვა, დორ-ლომინისკენ მიმავალ სახიფათო გზებზე მაცნეთა გაგზავნით კი უდიდეს სულგრძელობას იჩენდა ჰურინის ოჯახისადმი.

ტურინს კი გული ჰქონდა დამძიმებული, რადგან არ იცოდა, რა განსაცდელი ელოდა წინ და შიშობდა, რომ შესაძლოა, უბედურება უკვე დასტყდომოდათ თავს მორუნსა და ნიენორს. დიდი ხანი მღუმარებაში გაატარა და მუდამ ერთი რამ უმძიმებდა გულს, ფიქრი ჰადორის საგვარეულოსა და ჩრდილოელი ხალხის დამხობაზე. ერთხელაც ადგა და თინგოლის მოსაძებნად წავიდა. ჰირილორნის, მენეგროთის დიდი წიფლის ქვეშ მსხდომარენი იპოვა ის და მელიანი.

თინგოლმა გაოცებით შეხედა ტურინს, რადგან მის წინაშე კარგად ნაცნობი შვილობილი და იმავდროულად უცხო ადამიანი იდგა – მაღალი, მუქი ფერის თმით, თეთრი პირისახიდან მომზირალი უძირო თვალებით, მკაცრი და ქედუხრელი, თუმც მდუმარედ მდგარი ერთ ადგილზე.

– გამანდე შენი წადილი, ჩემო შვილობილო. – უთხრა თინგოლმა, იმავდროულად იცოდა, რომ ის რაიმე უმნიშვნელოს სათხოვნელად არ მოვიდოდა.

– აბჯარი, ხმალი და ფარი ჩემი საკადრისი, მეფეო, – მიუგო ტურინმა, – მსურს ჩემს წინაპართა დრაკონის მუზარადიც დამიბრუნოთ.

– როგორც მოისურვებ, – უთხრა თინგოლმა, – თუმცა, რა საჭიროება გაქვს ასეთი აღჭურვილობის ტარებისა?

– საჭიროება ადამიანისა და შვილისა, რომელსაც საკუთარი ხალხი ჰყავს დასაცავი, – მიუგო ტურინმა, – გარდა ამისა, შეჭურვილი მამაცი მეომარი მჭირდება მეგზურად.

– ჩემს ხმლოსან მხედრებთან გაგამწესებ, რამეთუ ამიერიდან ხმალი იქნება მუდამ შენი მსახური, – უთხრა თინგოლმა, – მათთან ერთად საზღვრების დასაცავად გაემართები, რაკი ასე გნადია.

– დორიათის საზღვრებს გარეთ ბრძოლისკენ მიმიწევს გული, – მიუგო ტურინმა, – რადგან თავდაცვას, მტრის წინააღმდეგ ღიად გალაშქრებას ვარჩევ.

– მაშინ მარტოს მოგიწევს წასვლა, – თქვა თინგოლმა, – ანგბანდის წინააღმდეგ ომს მე ჩემებურად ვანარმოებ, ტურინ ჰურიანის ძევ. არც ერთ მეომარს არ გავუშვებ ამჟამად დორიათის საზღვრებს გარეთ საბრძოლველად და არც შემდგომში, როგორც ამას ჩემი გონება მკარნახობს.

– თუმცა შენ თავისუფალი ხარ და შეგიძლია, სადაც მოგესურვება, იქ წახვიდე, მორუენის ვაჟო, – მიმართა მე-

ლიანმა, – მელიანის ზღუდე წინ ვერ აღუდგება მათ, ვინც ჩვენივე სიყვარულით შემოაბიჯა მის მიჯნებში.

– ვიდრე ბრძნული რჩევა არ შეგაცვლევინებს აზრს, – დაუმატა თინგოლმა.

– და რა იქნება თქვენი რჩევა, მეფეო? – ჰკითხა ტურინმა.

– ერთი შეხედვით, მონიფული კაცი ხარ, სხვებზე მეტადაც ალბათ, – უპასუხა თინგოლმა, – თუმცა, ჯერ არ განგისრულებია კაცობაში გარდამავალი წლები და სანამ ეს არ მოხდება, მოცდა მოგიწევს, მანამდე უფრო მეტად გამოსცდი ძალებს, შემდეგ კი შეგიძლია, შენს ხალხზეც იფიქრო, მაგრამ დაიხსომე, ძლიერ მწირი არს იმედი იმისა, რომ ბნელ მეუფესთან მარტოხელა ბრძოლით მეტი ზიანი მიაყენო მას, ვიდრე ელფ ხელმწიფეთა თავდაცვაში დახმარებით, ვიდრე მათი ზღუდე გაძლებს.

მაშინ ტურინმა უთხრა:

– ჩემმა ნათესავმა ბერენმა მეტის გაკეთება შეძლო.

– ბერენმა და ლუთიენმა, – ჩაერთო მელიანი, – შენი სიტყვები ლუთიენის მამასთან საუბრისათვის ზედმეტად თამამად ჟღერს. ვფიქრობ, არც ისეთ სიდიადეს გიქადის შენი ბედისწერა, ტურინ, ძევ მორუენისა, თუმცა კი სიდიადე შენშიც დევს და შენი ბედი ელფთა ბედზეც არის გადაჯაჭვული, ხოლო ავად თუ კარგად, ეს არავინ უწყის. უფროთხილდი საკუთარ თავს, ვინძლო სიავემ დაივანოს მასში. – მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა, შემდგომ კი მელიანი კვლავ მიუბრუნდა ტურინს: – ახლა კი წადი, შვილობილო, და ყურად იღე მეფის რჩევა, რამეთუ იგი შენი გონებისგან ნაკარნახებზე ბრძნული იქნება ყოველთვის. თუმცა ვშიშობ, ამიერიდან დიდხანს აღარ უერთგულეხ დორიათს და როცა კაცობაში შეხვალ, დაგვტოვებ. და როდესაც ეს უამი დადგება, დაიხსომე

ჩემი სიტყვები, ისინი მხოლოდ კეთილად წაგადგებიან: ორივეს უფრთხილდი, შენი გულის მხურვალეხასაც და სიცვივესაც და მეტი მოთმინება გამოიჩინე, თუკი შეძლებ.

მაშინ ტურიანმა თავი დაუკრა მათ და წავიდა. სულ მალე კი დრაკონის მუზარადი დაიხურა, შეიარაღდა და ჩრდილოეთისკენ მიმავალ ელფ მეომრებს შეუერთდა, რომელთაც ორკებთან და მორგოთის სხვა უწმინდურ არსებებთან ომი გაეჩაღებინათ. ამგვარად, ყმანვილკაცობიდან ახალგამოსულ ტურიანს შესაძლებლობა მიეცა, გამოეცადა და შეეფასებინა საკუთარი ძალები. ყოველთვის ახსოვდა ტანჯვა, რაც მისმა ხალხმა გადაიტანა, მუდამ დაწინაურებით იბრძოდა ბრძოლის ველზე და უშიშრად ხვდებოდა მტერს. ბევრი ჭრილობა მიიღო შუბების, ისრებისა და ორკული იატაგანებისაგან. მაგრამ ბედისწერა მუდამ სიკვდილისგან იცავდა. ტყეებში და შორს, მათ მიღმაც ხმა გავარდნილიყო, დრაკონისთავიანი მუზარადი ბრძოლის ველზე კვლავ გამოჩნდაო. მაშინ ბევრი გაოცებით იტყოდა ხოლმე: „ნუთუ ადამიანის მკვდრეთით აღდგომა შესაძლებელია. ან იქნებ ჰითლუმელი ჰურიანი მართლა დაეხსნა ჯოჯოხეთს?“

ერთადერთი ადამიანი, რომელიც თინგოლის საზღვრის მცველ მეომართაგან იმხანად ტურიანს ძლიერებით შეედრებოდა, ბელეგ მშვილდმაგარი გახლდათ. ტურიანი და ბელეგი თანამებრძოლები იყვნენ, მხარდამხარ იდგნენ ყოველი გასაჭირის ჟამს და ერთად დაეხეტებოდნენ ტყეთა სიღრმეებში.

სამმა წელმა განვლო და ამ დროის განმავლობაში ტურიანი იშვიათად თუ შეაბიჯებდა თინგოლის დარბაზებში. ის აღარც გარეგნობაზე ზრუნავდა და არც ჩაცმულობაზე წუხდა, მუდამ დაუვარცხნელი დაიარებოდა, აბჯარზე

შემოცმული რუხი მოსასხამი ავდრისაგან დალაქავებოდა და გახუნებოდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ მისი წასვლიდან მესამე ზაფხულს, როდესაც უკვე ოცი წელი შეუსრულდა, კვლავ მენეგროთში მოუწია დაბრუნებამ, რადგან სურდა, დაესვენა და მჭედლის დახმარებაც ესაჭიროებოდა საჭურველის განსაახლებლად. და ერთ საღამოს შეაბიჯა კიდევაც დარბაზებში. თინგოლი ქალაქში არ იმყოფებოდა, მელიანთან ერთად საზღვრებს გასცილებოდა და მწვანე ტყეში წასულიყო, რამეთუ ამგვარი ჩვეულება ჰქონდა შუაზაფხულის ჟამს. ტურიანმა თავისუფალი ადგილი შენიშნა, დიდად არ დაჰკვირვებია, რადგან გზამ გადაღალა და თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. უბედობით სწორედ იქ ჩამოჯდა, სადაც სამეფოს დიდებულნი სათათბიროდ შეკრებილიყვნენ და შემთხვევით საეროსის ადგილი დაიკავა. გვიან შემოვიდა საეროსი და როდესაც ეს დაინახა, ძლიერ განრისხდა, დარწმუნებული იყო, რომ ტურიანი ასე განზრახ მოიქცა, რათა აბუჩად აეგდო იგი და სხვათა თვალში დაეკინებინა. ხოლო რისხვა გაუორმაგდა, როდესაც ამის გამო მას არათუ უსაყვედურეს, არამედ სიხარულით შეეგებნენ, როგორც თანასწორს.

საეროსმა ყველას თავი მოაჩვენა, თითქოს მასაც გაუხარდა ტურიანის ხილვა, შემდეგ კი ის ადგილი აირჩია დასაჯდომად, რომელიც ტურიანის მოპირდაპირედ იყო.

– იშვიათად გვაქვს საზღვრების მცველთა ხილვის პატივი, – უთხრა საეროსმა, – რას არ გავილებდი მათთან საუბრისათვის, თუნდაც ჩემთვის განკუთვნილ ადგილს.

მაგრამ ტურიანი მონადირე მახლუნგთან საუბრით იყო გართული და არ წამომდგარა, მხოლოდ მოკლედ მიუგო:

– მადლობას მოგახსენებთ.

შემდეგ საეროსმა შეკითხვა შეკითხვაზე მიაყარა საზღვრებთან მიმდინარე ამბებისა და მის ველურ მინებზე

საქმიანობის შესახებ. ერთი შეხედვით, მის სიტყვებში უჩვეულო არაფერი ჟღერდა, თუმცა რთული იყო, არ შეგემჩნიათ მისი საუბრიდან მომდინარე დაცინვა. მეტად გაბეზრდა ტურინი, უყურებდა მას და გრძნობდა, რაოდენ მძიმე იყო დევნილის ხვედრი. ელფური დარბაზების სინათლესა და მხიარულებაში მჯდარს ისევ ბელეგი და ტყეში გატარებული დღეები გაახსენდა, შემდეგ ფიქრებით იქიდან შორს, დორ-ლომინში, მორუენტან გადაინაცვლა, მშობლიური კერა მოაგონდა და სახე მოეჭუფრა, რადგან უწინდელი დარდი შემოაწვა გულზე და საეროსისთვის პასუხი აღარ გაუცია, მან კი ამგვარი საქციელი ისევ შეურაცხყოფად მიიღო და რისხვამაც დიდხანს აღარ დააყოვნა, ოქროს სავარცხელი აიღო და ტურინის წინ დააგდო, თან შესძახა:

– ჰითლუმელო ადამიანო, გვესმის, რომ ძლიერ მოიჩქაროდი აქ მოსასვლელად და ამიტომ არაფერი გვითქვამს შენს დაგლეჯილ მოსასხამზე, თუმცა ნამდვილად არ არის აუცილებელი, მაყვლის ბურქივით განენილი და მოუვლელი თმით იარო. ვიმედოვნებ, ყურებზე არაფერი გეფარება და ეს სიტყვები კარგად შეისმინე.

ტურინს არაფერი უთქვამს, მხოლოდ გამოხედა და მისი თვალების წყვილიაღში მცირედი ნათება გაკრთა. თუმცა საეროსმა არად ჩააგდო ეს გაფრთხილება და ზიზღიანი მზერა დაუბრუნა უკან, შემდეგ კი ყველას გასაგონად წარმოთქვა:

– თუ ყველა ჰითლუმელი მამაკაცი ასეთი ველური და ზნედაცემულია, მაშ, საინტერესოა რაგვარნი არიან იქაური ქალები? ირმებივით დახტიან და შიშველ სხეულს თმის გარდა არაფერი უფარავთ?

მაშინ ტურინმა ფიალა აიღო და საეროსს სახეში ესროლა, ის კი უკან გადავარდა და ტკივილისაგან დაიკრუნჩხა. ტურინმა ხმალი ამოაგო და მისკენ გაიწია, თუმცა

მაბლუნგმა შეაკავა. შემდეგ, როგორც იქნა, წამოდგა საეროსი, სისხლს აფურთხებდა მაგიდაზე და თან ცდილობდა, გაგლეჯილ ბაგეთაგან სიტყვები გასაგებად წარმოეთქვა:

– როდემდე უნდა შევიფაროთ ეს ტყიურები? ვინ არის აქ პასუხისმგებელი? მეფის კანონი უმკაცრესად სჯის მას, ვინც თავის ბატონს დარბაზში ზიანს მიაყენებს. ხოლო მას, ვინც ხმალს ამოაგებს, უკეთეს შემთხვევაში სამეფოდან გაძევება ემუქრება. ამ დარბაზებს გარეთ საკადრის პასუხს მოგაგებდი, ტყიურო!

მაგრამ როდესაც ტურიზმა მაგიდაზე დაღვრილი სისხლი იხილა, ვნება გაუნელდა. შემდეგ მაბლუნგს დაეხსნა და უსიტყვოდ გავიდა დარბაზიდან.

მაშინ მაბლუნგმა საეროსს უთხრა:

– რა ეშმაკი შეგიჩნდა ამ ღამეს? შენ მიგიძღვის ბრალი ამ სიავეში და შესაძლოა, მეფის კანონმა სწორედ შენივე ბაგენი დაადანაშაულოს იქიდან ამომავალი გამქირდავი სიტყვების გამო.

– თუ მაგ ლეკვს რამე საჩივარი აქვს, დაე, მიმართოს მეფეს, – მიუგო საეროსმა, – მაგრამ აქ ხმლის ამოღება არავის ეპატიება, რა მიზეზიც არ უნდა ჰქონდეს. და თუ ამ დარბაზებს მიღმა ეგ ტყიური კვლავ ხმლის შიშველ პირს მიჩვენებს, მაშინ მე მას მოვკლავ.

– შესაძლოა, ყოველივე სხვაგვარად წარიმართოს. – უთხრა მაბლუნგმა, – თუმცა რომელიც უნდა დაიღუპოს, არც ერთ შემთხვევაში კარგად არ წაგვადგება. მსგავსი სიავე ანგბანდს უფრო შეჰფერის, ვიდრე დორიათს, და ცუდად მოგვიბრუნდება უკან. ვგრძნობ, ჩრდილოეთიდან წამოსული წყვდიადის საცეცები მოგვწვდა ამ ღამეს. ფხიზლად იყავი, საეროს, ვინძლო შენი სიამაყით მორგოთის ნების აღსრულებას შეუწყო ხელი და გახსოვდეს, რომ შენ ელდა ხარ და არასდროს დაივიწყო ეს.

– არ დავივინყებ. – მიუგო საეროსმა, თუმცა მის რისხვას არაფერი დაჰკლებია, იმ ღამის შემდეგ მეტადაც კი გახელდა და ეს ღვარძლი მალამოდ ეფინებოდა ნაიარევზე.

დილით ტურიანმა მენეგროთი დატოვა და კვლავ მესაზღვრეებისაკენ გაემართა, მაგრამ გზად საეროსი ჩაუსაფრდა. ბევრი არ გაუვლია, როდესაც ხმალამოლებული და ფარმომარჯვებული წამოენია ზურგიდან, მაგრამ ტურიანი კარგად იყო განაფული და მუდამ ფრთხილობდა. თვალის კუთხიდან შეამჩნია იგი, შემდეგ კი უეცრად განზე გახტა და ხმალმომარჯვებული მეტოქის წინ აესვეტა.

– მორუენ! – შესძახა მან, – შენი სახელის აბუჩად ამგდები ახლა საკადრისად დაისჯება! – ეს თქვა თუ არა, სცა მახვილი საეროსს და ფარი დააგდებინა. მაშინ ორთავემ ხმლები მოიმარჯვეს და შეიბნენ.

თუმცა ტურიანს დიდი დრო გაეტარებინა სხეულის წვრთნაში და ელფებივით მოქნილი გამხდარიყო, იმავდროულად მათზე ღონიერიც გახლდათ. მალე დაწინაურდა კიდევაც, რადგან საეროსი მარჯვენაში დაჭრა და ხმალი დააგდებინა, რითაც მისი ბედი უკვე ხელთ ეპყრა. შემდეგ ფეხი დაადგა ძირს დაგდებულ ხმალს და მიმართა:

– საეროს, წინ დიდი მანძილი გიძევს სარბენად და ვფიქრობ, ტანისამოსი დაგაბრკოლებს მხოლოდ. თმის სიმძიმეც გეყოფა სატვირთად, – თქვა თუ არა, ძირს დასცა და ტანსაცმელი შემოაძარცვა. მაშინ საეროსმა იგრძნო ტურიანის შემზარავი ძალა და შეშინდა, თუმცა მან ფეხზე წამოაყენა და შეუძახა: – გაიქეცი, გაიქეცი, ქალთა გამქირდავო! გაიქეცი, მე კი უკნიდან გიჩხვლევ, ვიდრე ირემივით არ აკუნტრუშდები.

მაშინ სატევარი წვერით სცა საეროსის უკანალში, ის კი გაშმაგებით გაიქცა ტყისკენ, თან ველურივით გაჰყვი-

როდა და შველას ითხოვდა. თუმცა ტურიანი კვალში მიჰყვებოდა მაძებარი ძალღივით და სატევარი მუდამ შემართული ჰქონდა, საითაც უნდა გაქცეულიყო ან გადაეხვია.

მისი განწირული ყვირილი სხვებსაც ესმა და უკან დაედევნენ, თუმცა მათ შორის ყველაზე ფეხმარდს შეეძლო მხოლოდ მორბენლებს დასწეოდა. მახლუნგი გაიჭრანინ ძლიერ შეწუხებული, რადგან ვინმეს დამცირება ყველაზე დიდ სიავედ მიაჩნდა. ასე იტყოდა ხოლმე:

– დილით წამომდგარი სისასტიკე, მორგოთს ღამის დადგომამდე ამხიარულებსო. – გარდა ამისა, მიუღებელი იყო ელფთა შერცხვენა და რა მიზეზითაც უნდა ჩაედინა ეს ვინმეს, მაინც სასტიკად დაისჯებოდა. თუმცა არავინ იცოდა, რომ სწორედ საეროსი დაესხა თავს პირველად ტურინს და რომ არ ემარჯვა, შეიძლებოდა მოეკლა კიდეც.

– შეჩერდი, შეჩერდი, ტურინ! – დაუყვირა, – ამგვარი მოქცევა ორკებს სჩვევიათ ტყეში.

– ორკული მოქცევა უკვე ვიხილეთ, ეს კი მხოლოდ ორკული თამაშობანია, – გადმოსძახა ტურინმა. ვიდრე მახლუნგი გამოჩნდებოდა, ტურინს გადანყვეტილიც კი ჰქონდა, თავი დაენებებინა საეროსისათვის, მაგრამ ახლარატომღაც კვლავ აგრძელებდა დევნას. თვითონ საეროსს კი ყველაფრის იმედი გადასწუროდა, შეშლილივით გარბოდა და თან ფიქრობდა, რომ სასიკვდილოდ იყო განწირული, ვიდრე ერთ ქარაფს არ მიადგა, მის ძირში, მაღალ კლდეებს შორის, მდინარე ესგალდუინის ერთ-ერთი შენაკადი მიედინებოდა. ხევი იმდენად ფართო იყო, რომ მასზე გადახტომა ირემსაც გაუჭირდებოდა. გონებაარეულმა საეროსმა კი სწორედ ეს სცადა, მაგრამ მეორე მხარეს ფეხი ვერ უწია და ხრამში ღრიალით გადაეშვა. ერთი დიდი ლოდი ამოშვერილიყო მდინარიდან, მასზე

დაენარცხა და ძვლებში გადაიმსხვრა. ასე დასრულდა მისი სიცოცხლე დორიათში, სული კი მანდოსმა მიიბარა.

ტურიანი ზემოდან დაჰყურებდა მდინარის ტალღებზე მოტივტივე საეროსის სხეულს და ფიქრობდა: „უიღბლო სულელი! არადა კვლავ მენეგროთში ვაპირებდი მის გაშვებას, ახლა კი დამნაშავე გამოვდივარ, რომელსაც ბრალი არაფერში მიუძღვის“.

შემდეგ შემობრუნდა და მოქუფრულმა შეხედა მაბლუნგსა და მის თანამოძმეებს, რომელთაც მის წინ ერთად მოეყარათ თავი. მცირეხნიანი დუმილი მაბლუნგმა დაარღვია და ცივად თქვა:

– ვაი, რომ ასეა! თუმცა ახლა უმჯობეს იქნება ჩვენთან ერთად წამოხვიდე, რამეთუ მეფემ უნდა განსაჯოს მომხდარი ამბები.

მაშინ ტურიანმა მიუგო:

– სამართლიანი მეფე უდანაშაულოდ მცნობდა. მაგრამ იგი ხომ მისი მრჩეველი იყო? რად უნდა დაიმეგობროს სამართლიანმა მეფემ გულღრძონი? ამიტომ დღეიდან ვგმობ მის კანონსაც და მის მსაჯულებასაც.

– მეტად ქედმაღლურად ჟღერს შენი სიტყვები. – უთხრა მაბლუნგმა, თუმცა კი ძლიერ ებრალებოდა ახალგაზრდა კაცი. – გონივრულად მოიქეცი! ნუ გაიქცევი. როგორც მეგობარი, გირჩევ, ჩემთან ერთად წამოხვიდე. ბევრი მოწმე არსებობს, და როდესაც მეფე სიმართლეს შეიტყობს, შესაძლოა, შეგინყალოს კიდევაც.

მაგრამ ტურიანს ძლიერ მოჰბეზრებოდა ელფურ დარბაზებში ცხოვრება, თანაც შიშობდა, რომ უთუოდ საპყრობილეში უკრავდნენ თავს. ამიტომ მაბლუნგს უთხრა:

– უარს ვამბობ შენს რჩევაზე. არ ვაპირებ მეფე თინგოლის პატიებას ტყუილად ველოდო. იქ წავალ, სადაც მისი განაჩენი ვერ მომწვდება, თქვენ კი ორი არჩევანი

გაქვთ, ან გამიშვებთ, ანდა აქვე შემებრძოლებით, თუ ეს თქვენს კანონს შეეფერება, რამეთუ ჩემს ცოცხლად შესაპყრობად ზედმეტად ცოტანი ხართ.

მის თვალებში ანთებულმა ცეცხლმა ყველა დაარწმუნა, რომ მართალს ამბობდა, ამიტომ გზიდან ჩამოეცალნენ.

– ერთი ცხედარიც საკმარისია, – წარმოთქვა მაბლუნგმა.

– არ მსურდა ამგვარად მომხდარიყო, თუმცა მის გამო გლოვას არ ვაპირებ. – მიუგო ტურიანმა. დაე, მანდოსმა განსაჯოს ყველაზე სამართლიანად. და თუ ოდესმე იგი ამქვეყნად დაბრუნდება, დაე, მეტი სიბრძნე გამოეჩინოს. მშვიდობით!

– გზა მშვიდობისა! – უთხრა მაბლუნგმა, – რამეთუ ასეთია შენი ნება, ხოლო მეტად რთულია განვჭვრიტო, რა გიძევს გზაზე. ნყვდიადი დაგდევს და როდესაც კვლავ შევხვდებით, იმედია, მასში ჩანთქმული არ იქნები.

ტურიანს ამაზე აღარაფერი უთქვამს, უბრალოდ, წავიდა, სწრაფად გაეცალა იქაურობას, ხოლო საით მიდიოდა, არავინ იცოდა.

როდესაც ტურიანი დორიათის ჩრდილო საზღვრებთან არ დაბრუნდა და არც არაფერი ისმოდა მასზე, ბელეგმა გადაწყვიტა, მენეგროთში წასულიყო მოსაძებნად. მეტად დაუმძიმდა გული, როდესაც მომხდარი ამბებისა და მისი გაქცევის შესახებ შეიტყო. მცირე ხანში თინგოლი და მელიანიც დაბრუნდნენ დარბაზებში, რამეთუ ზაფხული უკვე ილეოდა. და როდესაც ხელმწიფეს ყველაფერი მოახსენეს, მან თქვა:

– მეტად სამწუხარო ცნობები შემატყობინეთ, თუმცა უფრო დაწვრილებით უნდა მოვისმინო ყოველი. მართალია, ჩემი მრჩეველი საეროსი დაიღუპა, ხოლო შვილობილი ტურიანი გაიქცა, ხვალ მაინც სამსჯავროს გავმართავ

და ყველაფერს იქ მოვისმენ, რათა მართებული განაჩენი გამოვიტანო.

მეორე დღეს მეფე თავის სამსჯავრო ტახტზე დაჯდა და გარშემო შემოიკრიბა დორიათის დიდებულნი და უხუცესნი. მრავალი მონმე დაჰკითხეს, თუმცა მათ შორის ყველაზე ცხადად და გასაგებად მაბლუნგმა ისაუბრა. როდესაც დარბაზში გამართული შეხლა-შემოხლის შესახებ ჰყვებოდა, მეფემ შენიშნა, რომ მაბლუნგის გული ტურიინისაკენ იხრებოდა.

– შენ ისე საუბრობ, როგორც მეგობარი ტურიინ ჰურიინის ძისა, – უთხრა თინგოლმა.

– დიახ, მე ვიყავ მისი მეგობარი, თუმცა ჩემთვის ჭეშმარიტება მეგობრობაზე მაღლა იდგა ყოველთვის, – უპასუხა მაბლუნგმა, – გთხოვთ ბოლომდე მომისმინოთ, მეფეო!

როდესაც ყოველი ითქვა, ტურიინის მიერ წასვლისას წარმოთქმული სიტყვების ჩათვლით, მეფემ ამოიოხრა, შემდეგ იქ მყოფთ გადახედა და თქვა: ვაი, რომ ჩრდილებს ვხედავ თქვენს სახეზე. როგორ მოხდა, რომ ისინი ჩემს სამეფოშიც შემოძვრნენ? ნუთუ ჩვენც წყევლა გვეწია. საეროსს ყოველთვის ბრძნად და ერთგულად მივიჩნევდი, თუმცა ამჟამად ცოცხალი რომ იყოს, ჩემს რისხვას ვერ ასცდებოდა, რამეთუ დამცინავი სიტყვების წარმოთქმით სიავე ჩაიდინა და დარბაზში მომხდარ უსიამოვნებაში სწორედ მას ვადანაშაულებ და ტურიინს ვპატიობ. თუმცა მისი შემდგომი ნამოქმედარის პატიება არ შემიძლია, თანაც მაშინ, როდესაც, წესით, მრისხანება უნდა მიმცხრალიყო. საეროსის შერცხვენა და დევნით მისი სიკვდილამდე მიყვანა, გაცილებით შემადრწუნებელია, ვიდრე უბრალოდ, დამცირება. გადამეტებულმა ქედმაღლობამ და სიჯიუტემ მიიყვანა ისინი ამგვარ დასასრულამდე.

თინგოლი მცირე ხნით ფიქრებში ჩაიძირა, ბოლოს კი დანანებით წარმოთქვა:

– მეტად უმადური შვილობილი და ქედმაღალი ადამიანი არს იგი. რაგვარ შევიფარო ის, ვინც ლაფში გასვარა სახელი ჩემი და კანონი ამ სამეფოსი, ვითარ მივუტევო მას, რომელიც არც კი ინანიებს? ამგვარი იქნება ჩემი განაჩენი: ტურიანი გაძევებულ იქნეს დორიათიდან. თუ ოდესმე სამეფოს საზღვრებში შემოსვლას შეეცდება, შეიპყრონ და მომგვარონ, და ვიდრე ჩემს ფერხთით მუხლებზე დაცემული პატიებას არ მთხოვს, მანამდე იგი აღარც ჩემი შვილობილი იქნება. თუ ამ გადაწყვეტილებას ვინმე უსამართლოდ მიიჩნევს, დაე, ხმა ამოილოს!

მაშინ სირუმემ დაისადგურა დარბაზში და როდესაც თინგოლმა ხელი აღმართა, რათა საბოლოო განაჩენი გამოეტანა, უეცრად საიდანღაც ბელეგი გამოჩნდა და შეჰყვირა:

– მეუფეო, ნება მომეცით, ჯერ მე წარმოვთქვა.

– დააგვიანე, – უთხრა თინგოლმა, – განა შენც სხვებთან ერთად არ იყავი მოხმობილი?

– მართალს ბრძანებთ, მეფეო! – უპასუხა ბელეგმა, – თუმცა შევყოვნდი, რადგან ერთ ნაცნობს დავეძებდი, ახლა კი იგი თქვენთან მოწმედ მოვიყვანე, რათა მოუსმინოთ მას, ვიდრე საბოლოო განაჩენს წარმოთქვამდეთ.

– ყველა მოვიხმე, ვისაც რაიმეს თქმა შეეძლო, – მიუგო ხელმწიფემ. – რა უნდა თქვას მან იმგვარი, რაც აქამდე არ მომისმენია?

– მაშინ განსაჯეთ, როდესაც მოუსმენთ, – თქვა ბელეგმა, – გთხოვთ დამდეთ პატივი, თუ კი, საერთოდ, თქვენს კეთილგანწყობას ვიმსახურებ.

– შენი გულისთვის დავუშვებ ამას, – მიუგო მეფემ. მაშინ ბელეგი გავიდა დარბაზიდან და ტყეში მცხოვრებ

ქალწულ ნელასთან ერთად დაბრუნდა, რომელსაც აქამდე არასდროს დაედგა ფეხი მენეგროთში, ამიტომ მეტად დამფრთხალი ჩანდა, როგორც ქვის ჭერქვეშ მოქცეული სვეტებიანი დარბაზების, ასევე მისკენ მოჩერებული უამრავი თვალის ხილვისგან. ხოლო როდესაც თინგოლმა უბრძანა ელაპარაკა, მან წარმოთქვა:

– ხეზე ვიჯექი, მბრძანებელო, მაგრამ ხელმწიფის ხილვით გამონვეულმა დაბნეულობამ იძალა და ხმა ჩაუნყდა.

ამაზე კი მეფეს გაეღიმა და უთხრა:

– სხვებიც მოიქცნენ უნინ მსგავსად, თუმცა, ვფიქრობ, ამის მოყოლა საჭირო არ არის.

– ნამდვილად, იყვნენ სხვებიც, – მიუგო ნელასმა, მისი ღიმილით შეგულიანებულმა, – თუნდაც ლუთიენი! სწორედ მასზე და ბერენზე ვფიქრობდი ამ დილით.

ამაზე კი თინგოლს აღარაფერი უთქვამს, სახიდან ღიმილი გაუქრა და ელოდებოდა, როდის განაგრძობდა საუბარს ნელასი.

– რამეთუ ტურიმა ბერენი გამახსენა, – როგორც იქნა, ხმა ამოიღო, – მსმენია, რომ ისინი ერთმანეთს ენათესავებიან, ეს ერთი შეხედვითაც თვალსაჩინოა მათთვის, ვინც სხვებზე ახლოს გაიცნობს მათ.

თინგოლს მოთმინების ფიალა აევსო და მიუგო:

– შესაძლოა, ასეც არის. თუმცა ტურინი ძე ჰურიანისა აქედან ისე გაიქცა, რომ ჩემს სახელს ჩირქი მოსცხო. ამიერიდან ველარასდროს იხილავ, თუნდაც მისი ნათესავური ფესვების გამოსარკვევად. რადგან ამჟამად მხოლოდ განაჩენის გამოტანას ვაპირებ.

– ჩემო მბრძანებელო, – აღმოხდა ნელასს, – გთხოვთ, მცირე ხნით მომიტმინოთ, რათა ორიოდ სიტყვა ამოვთქვა. ხეზე ვიჯექი და თვალს ვადევნებდი ტურიანის წასვლას. შემდეგ კი უეცრად დავინახე, ბურქებიდან როგორ

გამოძვრა საეროსი და ფარხმალმომარჯვებული მისკენ გადმოხტა.

დარბაზი ბუტბუტის ექომ მოიცვა. მეფემ კი ხელი აღმართა და წარმოთქვა:

– იმაზე მეტად შემაშფოთებელი ამბავი შეისმინა ჩემმა ყურებმა, ვიდრე მოველოდი. კარგად გაიაზრე, რას ამბობ, რამეთუ ელფთა სამსჯავროზე სიცრუის თქმა მომაკვდინებელი ცოდვაა.

– აქ ბელეგის თხოვნით მოვედი. – უპასუხა მან, – ვინაიდან არ მსურს ტურინი უსამართლოდ დაისაჯოს. მამაცია იგი და იმავდროულად, შემწყნარებელიც. ისინი იბრძოდნენ, მეფეო, ორთავე იბრძოდა, სანამ ტურინმა ფარი და ხმალი არ დააგდებინა, მაგრამ არც მაშინ მოუკლავს. ამიტომ არ მჯერა, რომ მისი სიკვდილი სურდა. და თუ საეროსს სირცხვილი აჭამა, ვფიქრობ ეს იმიტომ, რომ მან ეს დაიმსახურა.

– აქ მე ვწყვეტ, ვინ რას იმსახურებს, – მიუგო თინგოლმა, – თუმც ჩემს გადაწყვეტილებაზე შენი ამბავიც გავლენას იქონიებს. – შემდეგ ნელასს უფრო დანვრილებით გამოჰკითხა ყოველი და როდესაც დაასრულეს, კვლავ მბლუნგს მიუტრიალდა, – მეტად უცნაურად მეჩვენება, რომ ამ ყველაფრის შესახებ ტურინს შენთან სიტყვაც არ დასცდენია.

– ნამდვილად არაფერი უთქვამს, – უთხრა მბლუნგმა, – რომ ეთქვა აუცილებლად მოგახსენებდით და თვითონ მასთანაც განსხვავებული საუბარი მექნებოდა ჩვენი განშორების ჟამს.

– და სწორედ რომ განსხვავებული იქნება ახლა ჩემი განაჩენი, – წარმოთქვა, – მომაპყარით ყურნი! თუკი ტურინი აქამდე რამეში დამნაშავედ ვცანი, ამიერიდან უდანაშაულო და შეწყალებულია, რამეთუ მას უპატივცემუ-

ლოდ მოეპყრნენ და ვერაგულად გამოიწვიეს. და ვიდრე ეს განაჩენი ძალაში არს, მას აღარ მოუწევს პატიების თხოვნა. სადაც უნდა იყოს ყველგან მოვძებნი და ხმას მივანვდენ, რომ შეუძლია კვლავ უწინდელი პატივით შემოაბიჯოს ჩემს დარბაზებში.

და როდესაც განაჩენი გამოტანილ იქნა, უეცრად ნელასი აქვითინდა.

– სადღა უნდა იპოვოთ იგი? მან უკვე დატოვა ეს მინები, სამყარო კი ვრცელია.

– ჩვენ მას ვიპოვით. – თქვა თინგოლმა, ხოლო შემდეგ ფეხზე წამოდგა. ბელეგი კი ნელასს წაუძღვა და მენეგროთიდან გააცილა, თან გზად უთხრა:

– ნუ სტირი! თუ ტურიანი კვლავ ქვეყნიერებაზე დააბიჯებს, მე მას აუცილებლად ვიპოვი, მაშინაც კი, თუ სხვები ამას ვერ შეძლებენ.

მეორე დღეს ბელეგი თინგოლისა და მელიანის წინაშე წარდგა, ხოლო მეფემ მას უთხრა:

– მირჩიე, რა მოვიმოქმედო, ბელეგ, რამეთუ მეტად შეცბუნებული ვარ. ჰურიანის ვაჟი საკუთარ შვილად მივიღე და ასეც იქნება, სანამ თავად ჰურიანი არ დაბრუნდება წყვდიადიდან და არ მოითხოვს იმას, რაც ეკუთვნის. ტურიანი არავის გაუქცევია ტყე-ღრეში უსამართლოდ და დიდი სიხარულით შევეგებები, თუკი დაბრუნებას მოისურვებს, რამეთუ ძლიერ მიყვარს იგი.

– გთხოვთ, ნება მომეცით წავიდე, – უთხრა ბელეგმა, – თუ ნებას დამრთავთ შევეცდები, სიავე გამოვისყიდო. რამეთუ საცოდაობა არს ასეთი ვაჟკაცი ველურ მინებზე უმიზნოდ დაეხეტებოდეს. დორიათს ის სჭირდება და ეს საჭიროება უფრო მეტად გაიზრდება. თანაც იგი მეც მიყვარს.

მაშინ თინგოლმა ბელეგს უთხრა:



– ახლა კი ნამდვილად იმედი ჩამესახა! წადი და თან გაიყოლე ჩემი კეთილი სურვილები და თუ მას იპოვი, დაცავი და მხარში დაუდექი, როგორც შეძლებ. ბელეგ კუთალიონ, დიდი ხნის განმავლობაში ყველაზე მედგრად იცავდი ჩვენი სამეფოს საზღვრებს და შენი სიმამაცითა და სიბრძნით ბევრჯერ დაგიმსახურებია ჩემი კეთილგანწყობა. თუმცა ამჯერად შენთვის ყველაზე დიდ გამონწვევად ტურიანის პოვნას მივიჩნევ. ამ განშორების ჟამს კი ნებას გრთავ, ნებისმიერი რამ მთხოვო, რაც მოგესურვება, უარს არაფერზე გეტყვი.

– მაშ, თუ ასეა, განსაკუთრებულ ხმაღს გთხოვდით, – თქვა ბელეგმა, – რამეთუ ორკები მეტად მომრავლდნენ და უკვე იმდენად ახლოს მოდიან, მხოლოდ მშვილდ-ისრით მათ ველარ ვუმკლავდები, ხოლო ჩემი მახვილი მათ აბჯარს ვერას აკლებს.

– აირჩიე ნებისმიერი მახვილი, მათგან რაც გამაჩნია, – მიუგო თინგოლმა, – გარდა ჩემი ხმლის, არანრუთისა.

მაშინ ბელეგმა ანგლახელს დაადო ხელი. ის დიდებული და სახელგანთქმული მახვილი იყო, და ასე იმიტომ უწოდებდნენ, რომ ციდან ჩამოვარდნილი ცეცხლმოკიდებული ვარსკვლავისაგან გამოჭედეს და მიწაში ნაპოვნი ლითონისაგან ნაჭედი ყველა ხმლის გაკვეთა შეეძლო. ერთადერთი ხმალი არსებობდა შუახმელეთში, რომელიც მას შეედრებოდა, ეს ხმალი ჩვენს თბზულებში ნახსენები არ არის, თუმცა ისიც იმავე მჭედელმა გამოჭედა, მჭედელს ეოლი ერქვა და იგი ბნელი ელფი გახლდათ. მან ცოლად ითხოვა არედელი, ტურგონის და, სწორედ მან უბოძა ანგლახელი თინგოლს, როგორც გამოსასყიდი, რათა კვლავ უკან, ნან-ელმოთში გაეშვა. თუმცა სანამ გადასცემდა, ხმალი დაწყევლა. მასთან ერთად ნაჭედი


კიდევ ერთი ხმალი, ანგურიელი კი თავისთვის დაიტოვა, ვიდრე საკუთარმა ვაჟმა, მაეგლინმა არ მოჰპარა.

როდესაც თინგოლმა ანგლახელის ვადა გაუწოდა ბელეგს, მელიანმა მახვილს დაჰხედა და წარმოთქვა:

– ბოროტება ძევს ამ მახვილში. მჭედლის გული ძგერს კვლავ მასში და იგი ბნელით არის მოცული. არავის ხელს არ შეიყვარებს და არც დაემორჩილება. ის არც შენ გიერთგულებს დიდხანს.

– რამდენ ხანსაც შევძლებ, ვიმსახურებ, – მიუგო ბელეგმა. შემდეგ მეფეს მადლობა მოახსენა, ხმალი აიღო და წავიდა. მთელი ბელერიანდი შემოიარა მის ძებნაში და ბევრი გასაჭირიც გამოიარა, თუმცა ტურიანის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ამასობაში ზამთარიც გავიდა და გაზაფხული დადგა.





თავი VI

ტურინი აბრაბთა შორის

ახლა კი თხრობა კვლავ ტურინს უბრუნდება. ღრმად დარწმუნებული, იმაში რომ კანონგარეშედ გამოაცხადებდნენ და მეფე მის ძეხნას დაიწყებდა, ბელეგთან ჩრდილოეთ საზღვრებზე აღარ დაბრუნებულა, დასავლეთისკენ აიღო გეზი, ყველასგან მალულად გადალახა დაცული საზღვრები და ტეიგლინის სამხრეთ ტყეებში გადავიდა. ნირნაეთის ბრძოლამდე ბევრი ადამიანი სახლობდა იქ მიმოფანტულ კარ-მიდამოებში, ისინი, ძირითადად, ჰალეთის გვარიდან იყვნენ, თუმცა ბატონი არ ჰყავდათ და თავისუფლად ცხოვრობდნენ. ნადირობითა და მიწათმოქმედებით ირჩენდნენ თავს. ღორები მოეშენებინათ, რადგან ირგვლივ რკო უხვად მოიპოვებოდა, ტყისპირეთში კი ყანებს ამუშავებდნენ, რომლებიც გარეულ ცხოველთაგან მაღალი მესრით იყო დაცული. თუმცა კარ-მიდამოთა უმრავლესობა გავერანებულიყო და იქ მცხოვრებნი ბრეთილში გაქცეულიყვნენ. ორკებისა და

აბრაგების სათარეშო გამხდარიყო მთელი მხარე, რადგან იმჟამინდელ ნგრევის წლებში, უამრავი უსახლკარო, უიმედო და გზას აცდენილი ადამიანი დაიარებოდა – ომში გადარჩენილნი, თუმცა დამარცხებულნი, მიწები კი ირგვლივ გაველაკებულიყო. ზოგიერთი მათგანი, ტყე-ღრეში გაჭრილი, ავ საქმეებსაც სჩადიოდა. უმეტესობა ნადირობით ირჩენდა თავს და იმით, რასაც ყოველდღიურად ზეცა უწყალობებდათ, ზოგმა აბრაგობას მიმართა და უფრო სასტიკი საქმეებისკენაც წასცდებოდათ ხელი, როდესაც შიმშილით ან სხვა რაიმე წადილით იყვნენ შეპყრობილი. ისინი ყველაზე სახიფათონი ზამთრიანობის ჟამს იყვნენ, როგორც მგლები, და სწორედ გაურუაითს, მგელკაცებს ეძახდნენ მათ ისინი, ვინც შემორჩენილიყო და თავის სახლ-კარს იარაღმომარჯვებული იცავდა. სამოცამდე ადამიანი ერთიანდებოდა ერთ ჯგუფად და დორიათის დასავლეთ საზღვრებთან დაეხეტებოდა. ორკებივით სძულდათ ისინი და უფრთხოდნენ, რადგან მათ შორის ბევრი აბრაგი იყო, რომელიც გულით დაატარებდა მძიმე წყევას მოძმეთა მიმართ.

მათ შორის ყველაზე გულღრძოს ანდროგი ერქვა, რომელიც დორ-ლომინიდან ქალის მკვლელობის გამო გააძევეს. სხვებიც იყვნენ გადმოხვენილი იმ მხარიდან, ბებერი ალგუნდი, ყველაზე მხცოვანი მათ საძმოში, რომელიც ნირნაეთის ბრძოლიდან გამოქცეულიყო. ასევე ფორუეგი, როგორც იგი თავის თავს უწოდებდა, ქერათმიანი კაცი, მუდამ მოუსვენრობის ნაპერწკლები რომ უკვესავდა თვალებში, მაღალი და გაბედული, თუმცა უკვე დიდი ხანია, ჰადორის გვარის ედაინთა გზას ასცდენოდა, მიუხედავად ამისა, სიბრძნისა და დიდსულოვნების ნიშნები შერჩენოდა, ამიტომაც საძმოს მეთაური გახლდათ. რთუ-

ლი პირობებისა თუ შიდა გარჩევების გამო, მათი რიცხვი უკვე ორმოცდაათამდე შემცირებულიყო, ამიტომ უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენდა და, ფხიზლობდნენ თუ ეძინათ, მუდმივად გუშაგებს აყენებდა მათ გასაკონტროლებლად. ასე რომ, იოლად შეიტყვეს, როდესაც ტურინი მათ ტერიტორიაზე შეეხეტა, კვალში მიჰყვნენ და წრე შემოარტყეს, ისე, რომ როდესაც მდინარის პირას კორდზე გავიდა, უეცრად აღმოაჩინა, რომ ადამიანთა ალყაში მოქცეულიყო, რომელთაც მშვილდები უკვე მისკენ მოეზიდათ და სატევრებიც მოემარჯვებინათ.

ტურინი შეჩერდა, თუმცა შიში არ დასტყობია.

– ვინ ხართ? – იკითხა მან, – აქამდე მეგონა, მხოლოდ ორკები ესხმოდნენ თავს ადამიანებს, თუმცა ვხედავ, რომ შევმცდარვარ.

– შესაძლოა, ეგ შეცდომა ძვირადაც დაგიჯდეს, – მიუგო ფორუეგმა, – რადგან ეს მიდამოები ჩვენს მფლობელობაშია და ჩემი ხალხი არავის აძლევს აქ შემოსვლის უფლებას. ყველას ვიჭერთ და სიცოცხლეს მანამ ვუნარჩუნებთ, სანამ გამოსასყიდს არ მივიღებთ.

მაშინ ტურინმა პირქუშად ჩაიციინა და უთხრა:

– ვერაფერს მიიღებთ განდევნილის სანაცვლოდ. შესაძლოა, სიკვდილის შემდგომ ჩემი გვამი გაძარცვოთ, თუმცა გაფრთხილებთ, ეს მეტად ძვირი დაგიჯდებათ, რადგან ჯერ ბევრი თქვენგანის აღსასრული დადგება.

მიუხედავად ამისა, იგი სიკვდილის ზღვარზე იდგა, რადგან მისკენ მოზიდული უამრავი მშვილდი მეთაურის ბრძანებას მოთმინებით ელოდა. მართალია, ელფურ აბჯარს ტანსაცმელი და რუხი მოსასხამი უფარავდა, მის სხეულზე ზოგიერთს მაინც ეპოვა სასიკვდილო წერტილები. თანაც არც ერთი მათგანი არ იდგა ხმლით მისაწვდომ მანძილზე.

თუმცა, უეცრად ტურიინი დაიხარა, რადგან მდინარის პირას ფეხებთან რამდენიმე ქვა შეეთვალალებინა. მაშინ მისი ქედმაღლური სიტყვებით გახლებულმა ერთ-ერთმა აბრაგმა სახეში დაუმიზნა მშვილდი და გაისროლა, ისარი მიზანს ასცდა და გვერდით ჩაუარა. ტურიინი გატყორცნილი ისრის სისწრაფით წამოიმართა, შესაშური სიზუსტითა და სიძლიერით ესროლა ქვა მშვილდოსანს და ის თავგატეხილი ძირს უსულოდ დაეცა.

– ვფიქრობ, თუ ამ უიღბლო კაცს ჩავანაცვლებ, მაშინ ცოცხალს მეტი სარგებლის მოტანა შემეძლება თქვენთვის, – თქვა ტურიინმა. შემდეგ ფორუეგისკენ მიტრიალდა და მიმართა, – თუ შენ მეთაური ხარ, მაშინ ბრძანების გარეშე, თვითნებური მოქმედების უფლებას არ უნდა აძლევდე შენს მეომრებს.

– ასეც არის, – მიუგო ფორუეგმა, – და მან სწრაფადაც მიიღო ამის გამო საზღაური. შემიძლია მის ადგილზე გაგამწესო, თუ ჩემს ბრძანებებს მასზე უკეთ შეასრულებ.

– ასეც იქნება, – მიუგო ტურიინმა, – სანამ მეთაური ხარ და სანამ შენს სიტყვას ფასი აქვს. თუმცა, ვფიქრობ, ახალი წევრის მიღება თქვენს რიგებში მხოლოდ ერთი კაცის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს და სხვათა აზრსაც უნდა ითვალისწინებდეთ. არის აქ ვინმე ისეთი, ვინც ჩემს მოსვლას ეწინააღმდეგება?

მაშინ ორმა აბრაგმა ხმა აიმაღლა მის წინააღმდეგ. ერთი დაღუპული მშვილდოსნის მეგობარი გახლდათ და ულრადი ერქვა სახელად.

– უცნაური გზა აგირჩევია ჩვენს საძმოში შემოსასვლელად, – უთხრა ტურიინს, – შენ ერთ-ერთი საუკეთესო ჩვენიანი მოკალი.

– მე ის უმიზეზოდ არ მომიკლავს, – მიუგო ტურიინმა, – თუმცა, შეგიძლიათ გამომცადოთ, ორივეს გაგიმკლა-

ვდებით, გინდ იარალით, გინდ შიშველი ხელებით. ვნახოთ, რამდენად ვიმსახურებ ერთ-ერთი საუკეთესო თქვენნიანის ადგილს. თუმცა თუ მშვილდ-ისრით გამოხვალთ, მაშინ, სამართლიანობა მოითხოვს, თანაბარი ძალებით ვიბრძოლოთ.

ეს თქვა თუ არა მათკენ გაიწია, თუმცა ულრადმა უკან დაიხია და ბრძოლაზე უარი განაცხადა. მეორემაც დაადლო მშვილდი და ტურიანთან შესახვედრად გაემართა. ეს კაცი ანდროგი გახლდათ, დორ-ლომინიდან. მის წინ დადგა და აათვალიერ-ჩაათვალიერა.

– სულაც არა ვარ ლაჩარი, – თავის ქნევით წარმოთქვა მცირე ხანში, – თუმცა შენთან ვერას გავხდები. მეტიც, ვფიქრობ, აქ მყოფთაგან ვერავინ შეძლებს შენს დამარცხებას. თანახმა ვარ, ჩვენს საძმოში შემოხვიდე, თუმცა უცნაურ ციალს ვხედავ შენს თვალებში, გატყობ სახიფათო კაცი ხარ. შენი სახელი გვითხარი!

– ნეითან შეურაცხყოფილს ვუნოდებ ჩემს თავს, – ასე მიუგო ტურიანმა და ამის შემდგომ ყველა ნეითანს ეძახდა. მიუხედავად იმისა, რომ თავს უსამართლობის მსხვერპლად მიიჩნევდა, დაწვრილებით არავისთან არაფერს ჰყვებოდა თავისი ცხოვრებასა და წარმომავლობაზე. მათ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ უწინდელი დიდება და სახელი დაეკარგა, რადგან მართალია, ბევრი არაფერი ებადა, აბჯარი და საჭურველი ელფური ჰქონდა, მალე ყველას ნდობა მოიპოვა, რადგან ძლიერი და მამაცი გახლდათ და ტყეში ცხოვრების გამოცდილებაც მათზე მეტი ჰქონდა. ენდობოდნენ, რადგან ხარბი არ იყო და თავისთვის მცირედს ითხოვდა მხოლოდ. იმავდროულად, უფრთხოდნენ კიდევაც, ვინაიდან უეცარი აფეთქება იცოდა და ვერასდროს იგებდნენ მისი ამგვარი სიფიცხის მიზეზს.

ტურიანი დორიათში არ დაბრუნდებოდა, საკუთარი სიამაყე ამის უფლებას არ მისცემდა. ნარგოთრონდში, ფელაგუნდის დაცემის შემდეგ, აღარავინ დარჩენილიყო, ჰალეთის ხალხთან, ბრეთილში კი თავად არ სურდა წასვლა. დორ-ლომინში გამგზავრებას ვერ ბედავდა, რადგან ფიქრობდა, რომ „წყვდიადის მთების“ გადალახვას მარტო ვერ შეძლებდა. ამიტომ არჩევანი არ ჰქონდა და აბრაგთა შორის აგრძელებდა ცხოვრებას, თანაც სხვებთან ერთად უფრო ადვილი იყო ტყეში თავის გატანა და რადგანაც სურდა, მშვიდად ეცხოვრა და უთანხმოება არავისთან მოსვლოდა, მათ ჩადენილ სიავებზეც თვალს ხუჭავდა. ამგვარად, რთული და სასტიკი ცხოვრების უღლის სიმძიმე მისთვის სულ უფრო და უფრო საგრძნობი გახდა, თუმცა ხშირად სიბრაღისა თუ უკმაყოფილების გრძნობა იღვიძებდა მასში და კვლავ ბრაზით წამოენთებოდა ხოლმე. ასეთი სახიფათო და უსიამო ყოფით იცხოვრა ტურიანმა წლის ბოლომდე, სანამ შიმშილიანი და სუსხიანი ზამთარი არ გავიდა და საამური გაზაფხული არ დადგა.

როგორც შეიტყო, ტეიგლინის ტყეთა მიმდებარედ ჯერ კიდევ სახლობდნენ ადამიანები, მეტად გამძლენი და ფრთხილნი, თუმცა ცოტანი იყვნენ. მართალია, მგელკაცები გულზე არ ეხატებოდნენ, მაინც ცდილობდნენ, მკაცრი ზამთრიანობის დროს საკვების დანაზოგი ისეთ ადგილას მოეგროვებინათ, სადაც გაურუაითები ადვილად მიაგნებდნენ, თანაც ფიქრობდნენ, რომ ამგვარად დამშეულთა ჯგუფურ თავდასხმებს აირიდებდნენ. მაგრამ მაინც მხეცთაგან და ფრინველთაგან უფრო მეტი დაფასება ჰქონდათ, ვიდრე აბრაგთაგან, და მხოლოდ მაღალი მესრისა და ძაღლების წყალობით იყვნენ მათგან დაცულნი. ყველა კარ-მიდამოს მაღალი ღობე-ყორე იცავ-

და, მათ გარშემო კი წყლით სავსე თხრილი შემოევლოთ. ბილიკები გადიოდა მათ შორის და საჭიროების შემთხვევაში საყვირის საშუალებით შეეძლოთ, ერთმანეთისთვის დახმარება ეთხოვათ.

თუმცა, გაზაფხულის დადგომასთან ერთად, გაურუაითებისათვის სულ უფრო სახიფათო ხდებოდა იმ სახლებთან მიახლოება, რადგან იქ მცხოვრებთ მათი შეპყრობა და მოკვლაც შეეძლოთ. ამიტომ ტურინს უკვირდა, რად არ მიჰყავდა ფორუეგს იქიდან თავისი ხალხი. სამხრეთში მეტი საკვების მოძიება შეიძლებოდა, თანაც, იქ ყოფნა უფრო უსაფრთხო იყო და ადამიანიც არ სახლობდა. ერთ დღესაც ტურინმა ფორუეგი და მისი მეგობარი ანდროგი მოისაკლისა და იკითხა, თუ სად იყვნენ წასულნი. მაშინ მათ თანამოძმეებს გაეცინათ.

– ვგონებ, შორს წავიდნენ, საქმეებზე, – უთხრა ულრადმა, – ალბათ მალე მოვლენ და შემდეგ ავიბარგებით, და რაც მალე ვიზამთ ამას, უკეთესი იქნება. იმედი ვიქონიოთ, რომ თან გახელეებულ ფუტკრებს არ მოიყოლებენ, როდესაც დაბრუნდებიან.

მზე ანათებდა და ყმანვილი ფოთლები მწვანედ ხასხასებდა. ტურინს ძლიერ მოჰბეზრებოდა აბრაგთა ბინძურ ბანაკში ყოფნა და ტყის სიღრმეში შეაბიჯა. თვითონაც ვერ ხვდებოდა, რატომ, მაგრამ დაცული სამეფო გაახსენდა, მოეჩვენა თითქოს დორიათის ყვავილთა სახელები ექოდ ისმოდა ძველ, თითქმის ყველასაგან მივიწყებულ ენაზე. ამ დროს ტირილის ხმა შემოესმა და უეცრად თხილნარიდან ყმანვილქალი გამოვარდა, ეკლებისაგან შესამოსელი დაჰგლეჯოდა და ძლიერ შეშინებული ჩანდა. იქვე წაბორძიკდა და აქოშინებული მიწაზე დავარდა.

მაშინ ტურინი თხილნარისკენ გადახტა, ხმალი იშიშვლა და იმწამს იქიდან გადმომხტარ კაცს ჩასცა, რომელ-

იც ქალს მოსდევდა. მხოლოდ ხმლის მოქნევის დროს იცნო ფორუეგი ტურიინმა. და როდესაც სისხლით მოსვრილ ბალახს გაშტერებული დაჰყურებდა, ანდროგი მოვარდა და ისიც მოულოდნელობისგან გაშეშდა:

– ეს რა სიავე ჩაგიდენია, ნეითან! – ამოიგმინა და ხმალი ამოაგო.

თუმცა ტურიინს სიფიცხემ გადაუარა და ანდროგს მიუგო:

– აბა, სად არიან ორკნი? მის დასახმარებლად ყველა უკან ჩამოიტოვეთ?

– ორკნი? – თქვა ანდროგმა, – ბრიყვო! შენს თავს აბრაგს უწოდებ. აბრაგი კი კანონებს არ ცნობს, მხოლოდ საკუთარს, საკუთარი მოთხოვნისას. შენს საქმეს მიხედე, ნეითან, და ჩვენც გვაცადე.

– ასეც მოვიქცევი, – უთხრა ტურიინმა, – თუმცა დღეს ჩვენი გზები გადაიკვეთა. ან ამ ქალს თავს დაანებებ და მე დამიტოვებ, ანდა ფორუეგის ბედი გენევა.

ანდროგს გაეცინა და უთხრა:

– თუ ყველაფერი მის გამო მოხდა, დაე, იყოს ისე, როგორც გსურს. მარტო არ ვაპირებ შენს გამონვევას, მაგრამ ნამდვილად არ მოეწონებათ, როდესაც ჩვენი თანამოძმენი შენი ნამოქმედარის შესახებ შეიტყობენ.

შემდეგ ქალი ფეხზე წამოდგა და ტურიინს მხარზე, მკლავით დაეყრდნო. დახედა ბალახზე სისხლს და მერე ტურიინს შეხედა. აღფრთოვანების შუქმა გადაუარა თვალებზე და უთხრა:

– მოკალი, ჩემო ბატონო! ისიც მოკალი! შემდეგ კი ჩემთან ერთად წამოდი. თუ მამაჩემს, ლარნახს, მათ თავებს მიუტან, იგი დიდად გაიხარებს. ორი „მგლის თავისათვის“ უხვად დაგაჯილდოებს.

მაგრამ ტურიანმა ანდროგს მიმართა:

– რამდენად შორს არის მისი სახლი?

– ნახევარი ეჯი იქნება ალბათ, – უპასუხა მან, – იქ ერთი მესრით დაცული სახლ-კარია. ის კი მის შორიახლოს დაეხეტებოდა.

– მაშ, იჩქარე, – თქვა ტურიანმა და ქალისკენ მიტრიალდა, – მამაშენს უთხარი, რომ ამიერიდან უფრო გულისყურით გიდარაჯოს. არ ვაპირებ, ჩემს ამხანაგს მხოლოდ იმიტომ მოვკვეთო თავი, რომ ვინმეს მოწონება დავიმსახურო, ან თუნდაც სხვა მსგავსი მიზეზით.

შემდეგ ხმალი დაუშვა.

– ნავედით! – მიმართა ანდროგს, – უკან ვბრუნდებით, თუმცა თუ შენი მეთაურის დაკრძალვა გსურს, ჯობია, იჩქარო, რადგან შესაძლოა, მალე განგაში ატეხონ. მოაგროვე მისი საჭურველი!

ქალი ტყეს შეერია და სანამ თვალთახედვიდან გაუჩინარდებოდა, ბევრჯერ მოიხედა უკან, ბოლოს კი ხეებს მიღმა ჩაიკარგა. მაშინ ტურიანი უსიტყვოდ დაადგა თავის გზას. ანდროგი ისეთი გამომეტყველებით მისჩერებოდა თითქოს რაღაც თავსატეხის ამოხსნას ცდილობსო.

როდესაც აბრაგთა ბანაკს მიაღწია, ხალხი დაქანცული და იმავდროულად გაავებული დახვდა, რადგან უკვე დიდი ხანია, საგულდაგულოდ დაცული სახლების შორიახლოს ამაოდ იმყოფებოდნენ და ფორუეგის წინააღმდეგ ყველა ერთიანად ალაპარაკებულიყო.

– ხათაბალაში ჰყოფს თავს და მერე ყველაფერი ჩვენს კისერზე გადადის, – ასე ამბობდნენ, – მაგის სიამოვნება ბევრს ძვირად უჯდება.

– მაშ, თუ ასეა ახალი მეთაური აირჩიეთ! – უთხრა მათ ტურიანმა, – ფორუეგი კი ამიერიდან ველარ გინინამძლოლებთ, რამეთუ იგი მკვდარია.

– შენ საიდან იცი? – უთხრა ულრადმა, – შენც მასთან ერთად ხომ არ ეძებდი თაფლს? ფუტკრებმა დანესტრეს?

– არა, – მიუგო ტურიმა, – ერთი ნესტარიც საკმარისი გამოდგა. მე მოვკალი იგი. თუმცა ანდროგს სიცოცხლე შევუნარჩუნე და მალე დაბრუნდება.

შემდეგ მათ ყველაფერი უამბო, რაც მოხდა და ყველას უსაყვედურა, ვინც მსგავს საქციელს სჩადიოდა. ჯერ კიდევ საუბრობდა, როდესაც ანდროგი დაბრუნდა, თან ფორუეგის საჭურველი მოჰქონდა.

– ხედავ, ნეითან! – შეჰყვირა, – განგაშიც არ აუტეხავთ. ალბათ მას კვლავ შენთან შეხვედრის იმედი აქვს.

– თუ ჩემი გამასხარავება განგიზრახვს, მაშინ ვინანებ, რომ თავი მხრებზე დაგიტოვე და მას არ გავატანე. ახლა კი თქვი შენი სათქმელი, ოღონდ სწრაფად.

მაშინ, ანდროგი ყველაფერს მოჰყვა, რაც თავის თვალთ იხილა:

– აქამდე ვერ მივმხვდარვარ, რა ესაქმებოდა იქ ნეითანს, – თქვა მან, – ცხადია, რომ არაფერი ჩვენთვის სასიკეთო, რამეთუ როდესაც ადგილზე მივედი, ფორუეგი უკვე განგმირული ჰყავდა. ქალმა ეს საქციელი ძალიან მოუწონა და მასთან ერთად წასვლა და ჩვენი თავების თან წაღება შესთავაზა, როგორც საქორწილო გამოსასყიდი. მაგრამ თვითონ არ მოისურვა და ქალს წასვლა დააჩქარა. არ ვიცი, რა ჯავრი ედო გულში ჩვენს მეთაურზე, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ თავი ისევ მხრებზე მაქვს, რისი მადლიერიც ვარ, თუმც მისი ამგვარად მოქცევის მიზეზიც ვერ გამიგია.

– თუ ასეა, მაშინ ამაოა საუბარი იმაზე, რომ ჰადორის გვარისა ხარ, – მიუგო ტურიმა, – ვგონებ, ულდორ ნყეულის მოდგმისა უფრო ხარ და უმჯობესია, ანგბანდის ლაქიათა რიგებში ეძიო შენი ბედი. მაგრამ ამჯერად ყველამ

მისმინოს! – წამოიძახა ყველას გასაგონად, – ასეთ არჩევანს გთავაზობთ, ან ფორუეგის მაგივრად მე ამირჩევთ მეთაურად, ან აქედან წასვლას დამანებებთ. ან ახლავმართავ ამ საძმოს, ან არადა სამუდამოდ დაგშორდებით. ხოლო თუ ჩემი მოკვლა გნადიათ, ბრძოლაში გინვევთ! მანამდე ვიბრძოლებ, სანამ არ მოვკვდები, ან თქვენ არ გაგისტუმრებთ საიქიოს.

მაშინ იარაღს ჩაავლო ბევრმა ხელი, თუმცა ანდროგმა შეუძახა:

– არამც! თავი, რომელიც მოკვეთას გადაურჩა, არც ასეთი უჭკუოა. თუ ბრძოლას გავმართავთ არა ერთი, არამედ გაცილებით მეტი ადამიანი დაილუპება, სანამ ჩვენ შორის საუკეთესოს სიცოცხლე აღესრულება. – შემდეგ ჩაიცინა, – ზუსტად ისე ხდება ყოველივე, როგორც მისი მოსვლის ჟამს. ის კლავს, რათა ადგილი გამოითავისუფლოს. ეს ხერხი დღემდე ამართლებდა და იმედი ვიქონიოთ, რომ ახლაც გაამართლებს. ვინ იცის, იქნებ სწორედ იგი გაგვიძღვეს უკეთესი მომავლისკენ და მოვრჩეთ ამ უთავბოლო წანწალსა და სხვათა სიბინძურეში ხელების ფათურს.

ბებერმა ალგუნდმაც თქვა თავისი სიტყვა:

– საუკეთესოა იგი ჩვენ შორის. იყო დრო, როდესაც ჩვენც იმავს გაკეთება გვმართებდა, მაგრამ ვერ გავბედეთ, რადგან ბევრი რამ დავივიწყეთ წინარე ცხოვრებიდან. იქნებ მან მაინც გაგვიკვლიოს სახლისკენ მიმავალი გზები.

სწორედ ამ დროს ტურინს ახალი აზრი გაუჩნდა, რომ ეს მცირე ჯგუფი შესაძლოა მალე გაზრდილიყო და მათში თავისუფალი, უბატონო მმართველობა დამყარებულიყო, ისეთი, როგორიც თავის ფიქრებში წარმოედგინა, მაგრამ შემდეგ ალგუნდსა და ანდროგს შეხედა და თქვა:

– სახლიო, ამბობთ, არა? ცივად და უძრავად აზიდულა წყვედიადის მთები ჩვენსა და ჩვენს სახლებს შორის. მათ მიღმა კი ულდორი დათარეშობს ანგბანდის ურიცხვ ლაშქართან ერთად. თუ მსგავსი რამენი შიშს არა გგვრით, შვიდჯერ შვიდო ადამიანო, მაშინ შესაძლოა სახლისაკენ გამგზავრებაც გაგვებედა. თუმცა საკითხავი ის არის, რამდენად შორს ვიმყოფებით ჩვენივე აღსასრულისაგან?

ყველა დადუმდა. მაშინ ტურიმა კვლავ წარმოთქვა:

– მაშ, დამნიშნავთ თქვენს მეთაურად თუ არა? თუ ასე იქნება, პირველ რიგში, უფრო ღრმად გაგიძღვებით ტყეში, რათა ადამიანებს მოვცილდეთ. შესაძლოა, გაგვიმართლოს და უკეთეს ყოფაშიც აღმოვიჩნდეთ, შესაძლოა, პირიქითაც მოხდეს, მაგრამ რაც მთავარია, ამით ჩვენივე ჯურის ხალხის სიძულვილს ამოვიშანთავთ გულიდან.

მაშინ იქ მყოფი ჰადორის ხალხი გარს შემოეჯარა და სიხარულით მიეგება, როგორც თავიანთ მეთაურს, დანარჩენებმა კი უხალისოდ გამოუცხადეს მხარდაჭერა.

მალევე აიყარნენ, ტურიანი გაუძღვა მათ და იმ მიწებიდან შორს წაიყვანა.

ბევრი მაცნე აფრინა თინგოლმა ტურიანის მოსაძებნად, როგორც დორიათში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც, თუმცა მთელი წელი ამაოდ ეძებეს, ვინაიდან არავინ არაფერი უწყოდა მის შესახებ და ვერც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ის აბრაგთა და ადამიანთა მტრად შერაცხილთა შორის ცხოვრობდა. როდესაც ზამთარი მოდგა, ყველანი უკან დაბრუნდნენ, გარდა ბელეგისა. იგი მარტოდმარტო აგრძელებდა ტურიანის ძიებას.

დიმბარიდან და ჩრდილო საზღვრებიდან შემაშფოთებული ცნობები მოდიოდა. დრაკონის მუზარადი და მშვილდმაგარი აღარსად ჩანდნენ, ამიტომ ორკებს გული მისცემოდათ, რიცხობრივადაც გაზრდილიყვნენ და ისეთი

გამბედავები გამხდარიყვნენ, ვითარცა არასდროს. როს ზამთარი გაილია და გაზაფხული დადგა, მათ თავდასხმე-ბი განაახლეს. დიმბარი მთლად ააოხრეს, იქაური ადამი-ანები კი შიშით ძრწოდნენ, რამეთუ ბოროტება დაეხეტე-ბოდა მათ საზღვრებთან. მხოლოდ სამხრეთში სუფევდა შედარებითი სიმშვიდე.

ერთი წელი იწურებოდა ტურიანის გაქცევიდან, ბელეგს კი მისი პოვნის იმედი თანდათან ეწურებოდა. ჩრდილოე-თის მიმართულებით განაგრძობდა ძებნას და როდესაც ტეიგლინის გადასალახებს მიაღწია, უსიამოვნო ცნობე-ბი შეიტყო. ორკები ტაურ-ნუ-ფუინიდან ახალი გზით გადმოსულიყვნენ ბელერიანდში. ბელეგმა უკან იბრუნა პირი და შემთხვევით, ტყის მკვიდრთა სახლებს მიადგა, ტურიანს სულ ახალი დატოვებული ჰქონდა ეს მიწები. აქ კი მან მოისმინა უცნაური ამბავი, რომელიც იქ ყვე-ლას პირზე ეკერა. მაღალი, წარმოსადეგი მამაკაცი, ზო-გი მას ელფ-მეომარსაც უწოდებდა, ტყეში გამოჩენილა, ერთ-ერთი გაურუაითი მოუკლავს და ლარნახის ქალიშ-ვილი გადაურჩენია, რადგან მას კვალში ედგნენ და მის-დევდნენ.

– მამაცი გახლდათ მეტად, – უთხრა ლარნახის ქალიშ-ვილმა ბელეგს, – ნათელი თვალები ჰქონდა და ზედაც არ მიყურებდა. თუმცა, მგელკაცთ თანამოძმეებად მიიჩნე-და და იქვე მდგარი მეორე კაცისათვის ხელიც არ უხლია. მისი სახელიც ვიცი, რამეთუ ნეითანად მოიხსენიეს იგი.

– შეგიძლია ამ თავსატეხის ამოხსნა? – ჰკითხა ლარ-ნახმა ელფს.

– ვაი, რომ შემიძლია, – მიუგო ბელეგმა, – ადამიანი ვისზედაც საუბრობთ, სწორედ ის გახლავთ, ვისაც ამდენი ხანია დავეძებ. – ამის მეტი არაფერი მოუყოლია ტყის ბინა-

დართათვის ტურიანის შესახებ, თუმცა ყველანი გააფრთხილა, რომ ჩრდილოეთით უნმინდური არსებები იკრიბებოდნენ. – მალე ორკები შემოესევინ და წალეკავენ ამ მიწებს, თქვენ მათ ვერ აღუდგებით, – უთხრა მათ, – ამ წელს ან საკუთარ თავისუფლებას დათმობთ, ან სიცოცხლეს. ბრეთილს მიაშურეთ, სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ არის.

ბელეგმა სწრაფად განაგრძო გზა და აბრაგთა ყოველი ბუნაგი გადააქოთა, იქნებ მათი კვალი ეპოვა ან გაეგო, თუ საით გაემართნენ. კვალი იპოვა, თუმცა ტურიანი აქედან უკვე რამდენიმე დღის სავალზე იმყოფებოდა და სწრაფად მიდიოდა, რათა ტყის ხალხნი არ დასწეოდნენ. ყველანაირ ცოდნასა და გამოცდილებას იყენებდა, რაც კი რამ გააჩნდა, რათა ყველასთვის გზა აებნია, ვინც კი კვალში ჩაუდგებოდა. დასავლეთისკენ წაიყვანა თავისი ხალხი, ტყის მკვიდრთაგან და დორიათის საზღვრებიდან შორს, ვიდრე დიდი მალლობების ჩრდილოეთ დასალიერს არ მიადგა, რომელიც მდინარე სირიონისა და ნაროგის ხეობებს შორის ამოზრდილიყო. აქაური მიწა გამომშრალი იყო, ხოლო ქედის განაპირას ტყე უეცრად მთავრდებოდა. დაბლა სამხრეთის უძველესი გზა მოჩანდა, რომელიც ტეიგლინის გადასალახებიდან აღმა მიძვრებოდა, რათა დასავლეთით გამოჩრილი ჭაობის საცეცების გავლით, ნარგოთრონდამდე მიეღწია. გარკვეული ხნით აქ დაბანაკდნენ აბრაგნი, თუმცა ყურადღებას არ ადუნებდნენ. ერთ ადგილას ორი ღამით იშვიათად რჩებოდნენ და მათი იქ ყოფნის მხოლოდ უმნიშვნელო ნიშანწყალს თუ დატოვებდნენ, იმგვარად, რომ თვით ბელეგიც ამაოდ ცდილობდა მათ მოხელთებას.

სხვადასხვა ნიშანს, რის წაკითხვასაც მოახერხებდა და ტყის იმ ველურ არსებათა მოარულ ხმებს მიყოლილი, რომელთაც ჩავლილი ადამიანები ენახათ, ხშირად უახ-

ლოვდებოდა მათ ადგილსამყოფელს, თუმცა ყოველ ჯერზე იგი დაცარიელებული და მიტოვებული ხვდებოდა, რამეთუ მათ გუშაგები ჰყავდათ დაყენებული დღისით და ღამით, და თუ ყურს მოჰკრავდნენ, რომ ვინმე შორიახლო დაეხეტებოდა, უმალ აიყრებოდნენ და გზას დაადგებოდნენ. „აფსუს! – აღმოხდებოდა ხოლმე – ზედმეტად კარგად შევასწავლე ადამიანის შვილს ველურ პირობებში ცხოვრების ხელოვნება! ზოგი იფიქრებდა კიდევაც, რომ ამ ადგილას ელფნი იმყოფებოდნენ“. ისინი კი თანდათან ხვდებოდნენ, რომ კვალში დაუღწეველი მღევარი ედგათ, რომელსაც ვერც ხედავდნენ და ვერც ვერას მოიმოქმედებდნენ მის წინააღმდეგ, რის გამოც მოსვენება დაჰკარგოდათ.

სულ მცირე ხანში ბელეგის შიშები გამართლდა, ორკები მოეჯარნენ მთელ ბრითიასს. ყველა შემოიკრიბა ბრეთილელმა ჰანდირმა, ვისი მოხმობაც შეძლო. ორკები ტეიგლინის გადასალახებისაკენ გაემართნენ საძარცვავად და გზას სამხრეთისაკენ დაუყვნენ. ბევრ მეტყევეს ყურად ელო ბელეგის გაფრთხილება და ცოლ-შვილი ბრეთილში გაეგზავნა თავშესაფრის სათხოვნელად. ისინი გადარჩნენ, რადგან დროულად გადალახეს ტეიგლინი, ხოლო მათ უკან მომავალ შეჭურვილ მამაკაცებს კი ორკები წამოეწიენ და დახოცეს. მხოლოდ ცოტამ თუ გაიკვლია გზა ბრძოლით და ბრეთილს მიაღწია. უამრავი დაიღუპა, ბევრიც შეიპყრეს და დაატყვევეს. შემდეგ მათი სახლები-საკენ გაემართნენ ორკები, დაანგრიეს ისინი და ცეცხლს მისცეს. ბოლოს, დასავლეთისკენ იბრუნეს პირი და უკან დასაბრუნებელი გზების ძიება დაიწყეს, რათა ნაქურდლთა და ტყვეებით სწრაფადვე ჩაეღწიათ ჩრდილოეთში.

თუმცა აბრაგთა მზვერავებმა მალევე შეიტყვეს მათ შესახებ და მიუხედავად იმისა, რომ ტყვეებზე დიდად

გული არ შესტკიოდათ, ტყის მკვიდრთა ქონების ხელში ჩაგდების შესაძლებლობამ გული სიხარბით აუვსო. ტურიანი კი სახიფათოდ მიიჩნევდა ორკებთან დაპირისპირებას, ვიდრე მათ რაოდენობას არ შეიტყობდა. თუმცა აბრაგნი მის მოწოდებას ყურად არ იღებდნენ, რადგან ველურ მინებზე ყოფნისას ბევრი რამის საჭიროება ჰქონდათ. ზოგი უკვე მის წინამძღოლად არჩევასაც ნანობდა. ამიტომ ტურიანი ორკების დასაზვერად გაემართა და მეგზურად მხოლოდ ერთი კაცი, ორლეგი წაიყვანა, მთელი რაზმის მეთაურად კი ანდროგი დანიშნა და დაავალა, მჭიდროდ და შეუმჩნევლად დამალულიყვნენ ორკების წასვლამდე.

ორკები აბრაგთა ბანაკიდან ჯერ კიდევ შორს იმყოფებოდნენ, თანაც მათ ისეთ მინებზე დაედგათ ფეხი, სადაც მანამდე შესვლას ვერ ბედავდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ გზის გადაღმიდან ტალათ-დირნენის დაცული დაბლობი იწყებოდა, სადაც ნარგოთრონდის მზვერავები და ჯაშუშები გუშაგობდნენ. ეშინოდათ მათგან მომავალი საფრთხისა, ამიტომ სიფრთხილეს იჩენდნენ, უჩუმრად დაძვრებოდნენ ხეთა ქვეშ, ტყის განაპირა ზოლზე. სწორედ ამ დროს შენიშნეს დამალული ტურიანი და ორლეგი, რადგან ორკთა სამმა მზვერავმა ლამის ზედ გადაუარა. ორი მათგანი განგმირეს, მესამე კი გაიქცა, თან გზად ყვიროდა: „გოინგ!“

გოინგ! – ასე უწოდებდნენ ისინი ნოლდორებს. მაშინვე ორკებით გაივსო ტყე. ჩუმად დაიფანტნენ და ყველა კუნჭულში დაიწყეს მათზე ნადირობა. ტურიანმა შენიშნა, რომ გაქცევის მხოლოდ მცირე შესაძლებლობა ჰქონდა, ამიტომ გადაწყვიტა, როგორმე თავისიანთა ბანაკისგან შორს გაეტყუებინა ისინი. იმასაც მიხვდა, რომ „გოინგ!“ ნარგოთრონდელი მზვერავების შიშით გამონვეული შეძახილი

იყო და დასავლეთისკენ აიღო გეზი ორლეგთან ერთად, მდევრებიც მაშინვე ფეხდაფეხ მიჰყვნენ და ტყის დასალიერისკენ გამოდევნეს, სადაც უკვე ორთავე შენიშნეს და როდესაც გზის გადაკვეთას ლამობდნენ, სწორედ მაშინ ორლეგი ისრებით ჩაცხრილეს, ტურიანი კი ელფურმა აბჯარმა იხსნა, გადაღმა მდებარე მინდვრებისაკენ გაიქცა და თავს უშველა. თავისი სისწრაფითა და მოხერხებულობით, ხელიდან დაუსხლტა მტერს და მისთვის იქამდე უცნობ მინებზე შედგა ფეხი. ორკებს ძლიერ ეშინოდათ, ნარგოთრონდელ ელფებს მათი იქ ყოფნა არ შეეცყოთ, ამიტომ ტყვეები ამოხოცეს და სწრაფად იბრუნეს პირი ჩრდილოეთისაკენ.

უკვე სამი დღე გასულიყო, ტურიანი და ორლეგი კი არსად ჩანდნენ. ზოგიერთ აბრაგს გული აღარ უჩერდებოდა იმ გამოქვაბულში, სადაც იმალებოდნენ და წასვლა სურდა. თუმცა ანდროგმა მათ სასტიკი უარი განუცხადა და როდესაც კამათით იყვნენ გართულნი, უეცრად მათ წინ რუხი ფიგურა აისვეტა. როგორც იქნა, ბელეგს ეპოვა ისინი. წინ გადმოდგა ნაბიჯი, უიარალოდ იყო და ხელები მაღლა აენია. მიუხედავად ამისა, ყველა შიშით შედრკა, ანდროგმა კი ზურგიდან მოუარა და სხეულზე მარყუჟი ჩამოაცვა, ისე, რომ მხრებში მოუჭირა და მკლავები შეუბორკა.

– თუ სტუმრიანობას უფრთხით, მაშინ უკეთესი გუშაგის დაყენება გმართებთ. – უთხრა მათ ბელეგმა. – რატომ მეპყრობით ამგვარად? მე მოვედი ვითარცა მეგობარი და მეგობარს ვეძებ ოდენ. ყური მოვკარი, რომ ნეითანის სახელი ახსენეთ.

– ის აქ არ არის, – მიუგო ულრადმა. – თუმცა მის სახელს ხანგრძლივი დაზვერვისა და მოყურადების გარეშე ვერ გაიგებდი.

– უკვე დიდი ხანია, რაც გვზვერავს – თქვა ანდროგმა, – ეს სწორედ ის აჩრდილია, რომელიც კვალში დაგვყვება. შესაძლოა, ახლა მაინც შევიტყოთ მისი ნამდვილი ზრახვანი. – მაშინ ბრძანება გასცა გაებანრათ ბელეგი და ხეზე მიებათ. და როდესაც საიმედოდ შებორკილი დაიგულეს, მის დაკითხვას შეუდგნენ. თუმცა ყოველ მათ შეკითხვას ბელეგი ერთნაირად პასუხობდა:

– მას შემდეგ ნეითანის მეგობარი ვარ, რაც პირველად ტყეში შევხვდით, მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი იყო. მხოლოდ სიყვარულით ვეძებ მას და მსურს, სასიკეთო ცნობები ვაუწყო.

– მოდი, მოვკლათ იგი და ამით მისი თვალთვალისც დამთავრდება, – თქვა ანდროგმა, თან ბელეგის დიდ მშვილდს დახედა და მისი დაუფლების სურვილი აღეძრა, რამეთუ თვითონაც მშვილდოსანი გახლდათ.

თუმცა სხვა უფრო კეთილი გულის მქონენი შეესიტყვნენ, ალგუნდმა თქვა:

– შეიძლება, მეთაური მალე დაბრუნდეს და განანებინოს, თუ შეიტყო, რომ მის მეგობარსა და კარგი ცნობების მომტანს უდიერად მოეპყარი.

– არ მჯერა ამ ელფის მოყოლილი ზღაპრების, – თქვა ანდროგმა, – ის დორიათის მეფის მსტოვარია. და თუ მართლა რაიმე ცნობები მოაქვს, მაშინ ჯერ ჩვენ უნდა გვიამბოს, მათი მოსმენის შემდეგ კი გადავწყვეტოთ, სიცოცხლე შევუნარჩუნოთ თუ არა.

– მე თქვენს მეთაურს დაველოდები, – უთხრა ბელეგმა.

– აქ იდგები, სანამ არ ალაპარაკდები, – მიუგო მას ანდროგმა.

შემდეგ, ანდროგის სურვილისამებრ, ხეზე მიბმული ბელეგი წყლისა და საკვების გარეშე დატოვეს. თვითონ კი იქვე ახლოს დასხდნენ და ჭამას შეუდგნენ. ამგვარად გამოხდა ორი დღე და ორი ღამე. მოთმინების ფიალა

აევსო ყველას, გულს კი შიშის ჭია უღრღნიდათ და წასვლას ჩქარობდნენ. უმრავლესობა უკვე მზად იყო, ელფი სასიკვდილოდ გაეწირა. როდესაც ღამე ჩამოწვა, ყველანი მის გარშემო შეიკრიბნენ. უღრადმა გამოქვაბულის პირას ანთებული პატარა კოცონიდან შანთი ამოიღო, თუმცა სწორედ ამ დროს ტურიანი დაბრუნდა. უჩუმრად მოვიდა, როგორც სჩვეოდა, წრეზე დამდგარ ადამიანთა უკან, ჩრდილს შეეფარა და ღონემიხდილი ბელეგის სახე დალანდა მხურვალე შანთის სინათლეზე. მაშინ გატყორცნილი ისარივით გადმოხტა, თითქოს ყინული გამლღვალის უეცრად, თვალები ცრემლებით ამოევსო და ხისკენ გაიქცა.

– ბელეგ! ბელეგ! – შესძახა მან, – როგორ მოხვედი აქამდე? ან რად ხარ შებორკილი? – მაშინვე გადაჭრა თოკები და ბელეგი პირდაპირ მის მკლავებში ჩავარდა.

როდესაც ტურიანმა ყველაფერი შეიტყო, განრისხდა და მწუხარებას მიეცა. თუმცა თავდაპირველად ბელეგს მიაქცია ყურადღება. ყველანაირად ზრუნავდა, როგორც შეეძლო, ის დღეები გაახსენდა, როდესაც ტყეში მასთან ერთად ცხოვრობდა და საკუთარ თავზე ბრაზი მოუვიდა, რადგან ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც აბრაგები მათი ბანაკის შორიახლო შეხეტებულ უცნობებს უსაფრდებოდნენ და ხოცავდნენ, ამგვარად რომ მომხდარიყო, ტურიანი ველარას გააწყობდა. თანაც ხშირად აძაგებდა თინგოლსა და რუხ ელფებს მათ წინაშე, ასე რომ, თუ ისინი ერთავეს მტრად შერაცხავდნენ, მისი ბრალიც იქნებოდა. მაშინ მიუბრუნდა იქ მყოფთ და გაცხარებით მიუგო:

– სასტიკად მოქცეულხართ. თანაც სრულიად უმიზეზოდ. აქამდე არასდროს გვინამებია ტყვე. თუმცა სწორედაც რომ ჩვენმა ცხოვრების წესმა გვიბიძგა ამგვარი ორკული საქციელის ჩადენისაკენ. უსამართლო და უნაყ-

ოფო იყო ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ქმედებანი, რამეთუ მხოლოდ საკუთარ თავს ვმსახურებდით და ჩვენს გულებს სიძულვილის ულუფებით ვაძლებდით.

მაშინ ანდროგმა უთხრა:

– კი მაგრამ, სხვას ვის უნდა ვმსახურებდეთ თუ არა საკუთარ თავს? ვინ უნდა შევიყვაროთ, როდესაც ყველას ვძულვართ?

– სხვა თუ არაფერი, ამიერიდან აღარასდროს აღვმართავ ხელს ელფსა და ადამიანზე, – თქვა ტურინმა, – ამისათვის ანგბანდის მსახურნიც იკმარებენ. თუ სხვები უარზე არიან ამგვარი აღთქმა დადონ, მაშ, მე მარტო გავუყვები ჩემს გზას.

მაშინ ბელეგმა თვალი გაახილა და თავი წამოსწია:

– შენ მარტო არ იქნები! – წარმოთქვა მან, – ბოლოს და ბოლოს, ვფიქრობ, საშუალება მომეცა, ცნობები გაუნყო. შენ აღარ ხარ განკვეთილი და სახელი ნეითანიც შეუფერებელია შენთვის ამიერიდან. ყველანაირი ბრალდება მოგეხსნა, თუკი რაიმე გქონდა. მთელი წელი გეძებდნენ, რათა პატივითა და დიდებით დაებრუნებინეთ ხელმწიფის სამსახურში. დიდი ხანია, რაც დრაკონის მუზარადის დანაკლისი დაეტყო სამეფოს.

მაგრამ ტურინს სიხარულიც კი არ გამოუხატავს ამ ამბის მოსმენისას და დიდხანს ჩუმად იჯდა, რამეთუ ბელეგის სიტყვებმა კვლავ წყვილი მოჰგვარა მის გულს.

– ჩაიაროს ამ ღამემ, – სიტყვები განელა ტურინმა, – შემდეგ მივიღებ გადაწყვეტილებას. ასეც რომ არა, ხვალ აქაურობა უნდა დავტოვოთ, რადგან, ვინც დაგვეძებს, ყოველი როდია კეთილი.

– ნამდვილად ასეა, – წარმოთქვა ანდროგმა და მტრული მზერა მიაპრო ბელეგს.

დილით ბელეგი სწრაფად მომჯობინდა, როგორც ეს

ელფთა უძველეს მოდგმას სჩვეოდა და განმარტოებით გაესაუბრა ტურინს.

– მეგონა ჩემი ცნობები მეტ სიხარულს მოგგვრიდა, – უთხრა მას, – მითხარი, ხომ დაბრუნდები დორიათში? – ყველანაირად სთხოვდა და ემუდარებოდა როგორც შეეძლო, ხოლო რაც უფრო მეტად უჩიჩინებდა, მით უფრო უკან იხევდა ტურინი. თუმცა დანვრილებით გამოჰკითხა თინგოლის სამსჯავროს ამბები. ბელეგმა ყველაფერი უამბო, რაც კი რამ უნყოდა.

ბოლოს კი ტურინმა თქვა:

– გამოდის, მაბლუნგმა დაამტკიცა, რომ ღირსეული მეგობარია, როგორც ეს ერთ დროს ჩანდა?

– სიმართლის მეგობარი უფრო გამოდის. – თქვა ბელეგმა, – საერთო ჯამში, კი ალბათ ასე უმჯობესიც იყო, თუმცა განაჩენი მაინც ნაკლებსამართლიანი იქნებოდა, ნელასი რომ მოწმედ არ გამოსულიყო. რატომ, ტურინ, რატომ არაფერი უამბე მაბლუნგს საეროსის თავდასხმაზე? მაშინ ყოველი სხვაგვარად წარმართებოდა და... – თქვა თუ არა იქვე, გამოქვაბულის შესასვლელთან გაშხლართულ კაცს შეხედა და დაამატა, – შენი მუზარადი კვლავ მაღლა აღმართული იქნებოდა და არა ასე დამხობილი.

– შესაძლოა, მართალიც ხარ, თუ ამას დამხობას უწოდებ, – თქვა ტურინმა. – შეიძლება ასეც არის. მაგრამ ამგვარად მოხდა ყველაფერი; ყელში გამეჩხირა სიტყვები, უთქმელად მოღალადე საყვედური ამოვიკითხე მის თვალებში, რამეთუ ეს არ იყო საამაყო საქციელი. ქედმაღალი იყო ჩემი ადამიანური გული, როგორც ეს ელფთა ხელმწიფეს უთქვამს, და ის კვლავ ასეთად რჩება, ბელეგ კუთალიონ. ისევ შემიძლია მენეგროთში დაბრუნება და ცვალებადი ყმანვილის გამოსასწორებლად მომართული, სიბრალულითა და მიტევებით მოჩერებულ მზერათა

ატანა, თუმცა მე უნდა ვუტევებდე მათ და არა პირიქით. თანაც აღარც ყმანვილი ვარ, უკვე კაცი მეთქმის ჩემი ხალხის საზომით. კაცი, რომელსაც ბედმა მძიმე ხასიათი არგუნა.

მაშინ ბელეგი შენუხდა.

– მაშ, რას აპირებ? – ჰკითხა მას.

– გზა მშვიდობისა, – თქვა ტურინმა, – ასეთი სიტყვებით გამაცვილა მახლუნგმა ჩვენი განშორების ჟამს. ვფიქრობ, თინგოლის სათნოება არ გადმომწვდომია, როდესაც ბედმა თანამგზავრად ეს ხალხი მარგუნა. ვერ განვეშორები მათ ჯერჯერობით, თუ თავად არ სურთ ჩემგან წასვლა. ჩემებურად მიყვარან ისინი, მათ შორის ყველაზე უკანასკნელიც კი. ჩვენ ერთი ფესვები გვაქვს და ყოველ მათგანში ჯერ კიდევ ხარობს სიკეთის ყლორტი, რომლის გაზრდაც შესაძლებელია. ვფიქრობ, ისინი ჩემს გვერდში დადგებიან.

– ჩვენ სხვადასხვა თვალებით ვიხედებით, – უთხრა ბელეგმა, – თუ ცდილობ მათგან ბოროტება გამოდევნო, ვშიშობ, რომ ისინი დაგაღალატებენ. მათში ეჭვი მეპარება, ერთ-ერთ მათგანში კი ყველაზე მეტად.

– როგორ უნდა განსაჯოს ელფმა ადამიანი? – თქვა ტურინმა.

– ისევე, როგორც იგი განსჯის, სხვათა გაკეთებულ სიკეთეს, – მიუგო ბელეგმა. თუმცა მეტი არაფერი უთქვამს, არც ანდროგის სისასტიკეზე დაუსვლელია სიტყვა, რომლის ავგულობაც ყველაზე მეტად იწვინია. იცოდა მისი ხასიათი და რადგან შიშობდა, რომ არ დაუჯერებდა და ამით მათ დიდი ხნის მეგობრობას საფრთხე დაემუქრებოდა, კვლავ მრუდე გზაზე დაბრუნება დაანება ტურინს.

– გზა მშვიდობისა, შენ ამბობ, ტურინ, ჩემო მეგობარო. – თქვა მან. – რა გაქვს განზრახული?

– მინდა ჩემს ხალხს გავუძღვე და ომი ჩემებურად ვანარმოო, – უპასუხა ტურიანმა. – და კიდევ, ბოლოს და ბოლოს, ჩემი გული ერთ რამეში შეიცვალა: ვინანიებ ყოველ უგვან საქციელს, გარდა ადამიანთა და ელფთა მტრების წინააღმდეგ ჩადენილისა, და ყველაფერზე მეტად შენ გვერდით ყოფნა მსურს. დარჩი ჩემთან!

– თუ შენთან დავრჩები, მაშინ სიყვარულით განვსჯი ყოველივეს და არა გონებით, – უთხრა ბელეგმა, – გული მაფრთხილებს, რომ უმჯობეს არს დორიათში დავბრუნდეთ. სხვაგან, ყველგან წყვდიადი აწევს ჩვენს გზას.

– მე იქ არ დავბრუნდები, რაც უნდა მოხდეს, – თქვა ტურიანმა.

– სამწუხაროა! – აღმოხდა ბელეგს, – თუმცა ყაბულსა ვარ, ისევე როგორც შვილების მოყვარული მამა, რომელიც მათ წადილს საკუთარ გულისთქმაზე მაღლა აყენებს. თუ მთხოვ, მაშინ მე დავრჩები!.

– მაშ, ძალიან კარგი, თუ ასეა! – თქვა ტურიანმა. შემდეგ კი უეცრად დუმილში ჩაიძირა, თითქოს თვითონაც უწყოდა იმ წყვდიადის შესახებ და საკუთარ სიამაყეს ებრძოდა, რომელიც უკან დახევას არ ანებებდა. დიდხანს იყო ამ ყოფაში და წარსული წლების უსიამო ფიქრები წამოშლოდა გონებაში.

შემდეგ უეცრადვე გამოერკვა ფიქრებიდან, ბელეგს შეხედა და უთხრა:

– იმ ელფ-ქალწულის ვალში ვარ, რომლის სახელს რატომღაც ახლაც ვერ ვიხსენებ. რატომ მითვალთვალეხდა იგი?

მაშინ ბელეგმა უცნაური მზერა მიაპყრო:

– რატომო, კითხულობ? – უთხრა მას, – ტურიან, შენ ხომ გულითა და ნახევარი გონებით ყოველთვის სხვაგან იყავი. ბავშვობაში ნელასთან ერთად ტყეში დასეირნობდი.

– ალბათ ეს დიდი ხნის წინათ იყო, – თქვა ტურიინმა, – ან შესაძლოა, დღეს ამგვარად აღვიქვამ ჩემი ბავშვობის წლებს. ნისლი გადაჰფენია მას, – მხოლოდ დორ-ლომინში, მამაჩემის სახლში გატარებული დღეები შემორჩა ჩემს მეხსიერებას. რისთვის დავდიოდი ტყეში ელფ ქალწულთან ერთად?

– ალბათ იმისათვის, რომ მას შენთვის რამე ესწავლებინა, – მიუგო ბელეგმა. – თუნდაც ორიოდ ტყის ყვავილის სახელი მაინც ელფების ენაზე. მათი სახელებიც ხომ არ დაგავიწყდა? აფსუს! ადამიანის შვილო, მხოლოდ შენს მწუხარებას არ იტევს შუახმელეთი, უამრავი ჭრილობაც არსებობს, რომელიც იარაღით მიყენებული არ არის. მართლაც, უკვე მეფიქრება კიდევაც, რომ ადამიანისა და ელფის ერთად ყოფნა შეუძლებელია.

ტურიინს არაფერი უთქვამს, მხოლოდ სახეზე აკვირდებოდა ბელეგს, თითქოს მისი სიტყვების ლაბირინთში ლამობდა გზის გაკვლევას. დორიათის მკვიდრ ნელასს კი აღარასდროს უხილავს იგი და მისი აჩრდილიც სამუდამოდ ჩამოეხსნა გონებიდან. ახლა კი ბელეგი და ტურიინი სხვა საქმეებს მიუბრუნდნენ და იმაზე დაიწყეს მსჯელობა, თუ სად უნდა ეცხოვრათ ამიერიდან.

– დიმბარში დავბრუნდეთ, ჩრდილოეთ საზღვრებთან, სადაც ადრე ერთად დავდიოდით. – თქვა ბელეგმა აღტაცებით. – ჩვენ საჭირონი ვართ იქ. თანაც ამ ბოლო დროს ორკებმა ახალი გზა იპოვეს და ტაურ-ნუ-ფუინიდან ანახის ვინრობის გავლით გადმოდიან.

– არ მახსენდება ეგ ადგილები, – თქვა ტურიინმა.

– არა, ჩვენ ამდენად შორს არ ვყოფილვართ საზღვრებიდან, – უთხრა ბელეგმა. – მაგრამ ვგონებ გიხილავს კრისაეგრიმის შორეული მწვერვალები, ხოლო მათგან

აღმოსავლეთით – გორგოროთის ბნელი კედლები. მათ შორის ძევს ანახი, მინდების დიდი წყლების ზემოთ. რთული და სახიფათო გზაა, თუმცა, როგორც ჩანს, ბევრი მაინც ახერხებს მის გავლას. დიმიბარში აქამდე სიმშვიდე სუფევდა ახლა კი მტრის შავბნელი ხელი გადმოსწვდომია, ბრეთილელი ხალხიც გასაჭირში იმყოფება. ამგვარად, დიმიბარისკენ გიხმობ!

– არა. ერთსა და იმავე წყალში ორჯერ არ შევტოპავ, – თქვა ტურიანმა, – თანაც, დიმიბარამდე მისვლაც სახიფათო საქმეა. სირიონი არის განოლილი ჩვენ შორის, არც ხიდია სადმე და არც ფონი ბრითიახის დაყოლებაზე, შორეული ჩრდილოეთის მიმართულებით. მეტად სახიფათოა მისი გადაკვეთა, დორიათის მხარეს თუ არ ჩავთვლით, რადგან დორიათში შესვლას და თინგოლის ფერხთით გართხმას არ ვაპირებ.

– მძიმე ხასიათისად მოიხსენიებ თავს, ტურინ. გეთანხმები, თუკი ამით შენს სიჯიუტეზე მიუთითებ. ახლა კი ჯერი ჩემზეა. მე წავალ, როგორც კი შევძლებ და გამოგემშვიდობები. თუ ნამდვილად გსურს, მშვილდმაგარი კვლავ შენ გვერდით იხილო, მაშინ დიმიბარში მომძებნე.

ტურინს აღარაფერი უთქვამს.

მეორე დღეს ბელეგი გზას დაადგა. ტურიანმა ბანაკიდან ისრის სასროლ მანძილზე გააცილა, თუმცა გზად ხმა არ ამოუღია.

– მაშ, ჩვენი განშორების ჟამი დამდგარა, არა, ჰურიანის ძევ? – თქვა ბელეგმა.

– თუ ნამდვილად გსურს შენი დანაპირები დაიცვა და ჩემთან ერთად დარჩე, – მიუგო ტურიანმა, – მაშინ ამონრუდში მომძებნე, – თუმცა, როდესაც ამას ამბობდა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მისთვის შეუცნო-

ბელი იყო, რა ელოდა წინ, – თუ ასე არ მოხდა, მაშინ ეს ნამდვილად ჩვენი საბოლოო განშორება იქნება.

– იქნებ, ასე უმჯობესიც იყოს, – თქვა ბელეგმა და წავიდა.

ცნობილია, რომ ბელეგი მენეგროთში დაბრუნდა, თინგოლისა და მელიანის წინაშე წარდგა და ყოველივეს მოჰყვა, რაც თავს გადახდა, მხოლოდ ტურიანის დაჯგუფების წევრის ვერაგობა დამალა. მაშინ თინგოლმა ამოიოხრა და თქვა:

– ჰურიანის ვაჟის მამობა ვიტვირთე და სიყვარულისა თუ სიძულვილის გამო არ ვაპირებ ამ ტვირთზე უარის თქმას, სანამ თავად მამაცი ჰურიანი არ დაბრუნდება. სხვარის გაკეთება ძალმიძს?

მაშინ მელიანმა წარმოთქვა:


– საჩუქარი მმართველს, კუთალიონ, განეული სამსახურისა და სიმამაცისათვის. არაფერი გამაჩნია ამაზე მეტად ღირებული. – და ვერცხლისფერ ფოთლებში გახვეული ელფური საგზალი, ლემბასი გაუნოდა მას. ძაფები, რომლითაც იგი შეეკრათ მარყუჟად ერთდებოდა და დედოფლის შტამპით, ტელპერიონის ყვავილის ფორმის თეთრი ცვილის ფირფიტით დაელუქათ. ელდალიეთა წესის თანახმად, ამ საკვების შენახვაც და გაცემაც მხოლოდ და მხოლოდ დედოფლის ნება გახლდათ.

– ეს საგზაო პური, ბელეგ, – ამბობდა ის, – შენი შემწე იქნება უდაბურ ადგილებში, ზამთრიანობის ჟამს და ასევე მათი დამხმარეც, ვისაც მას უწილადებ. მისი განაწილება შენთვის მომინდვია.

ამ საჩუქარზე მეტ დიდსულოვნებას მელიანი ტურიანის მიმართ ვერც გამოიჩინდა. რამეთუ აქამდე ელდართ არასდროს დაუდვიათ პატივი ადამიანთათვის ამ საგზაო

პურის გასინჯვისა და ამის შემდგომაც იშვიათად თუ იზამდნენ ამას.

შემდეგ ბელეგმა დატოვა მენეგროთი და ჩრდილოეთ საზღვრებს დაუბრუნდა, სადაც საკუთარი ქოხი და უამრავი მეგობარი ეგულეობდა. მაგრამ როდესაც ზამთარი დადგა და ომიანობა ჩაცხრა, თანამებრძოლებმა ბელეგი მოისაკლისეს და ამის შემდეგ აღარც აღარასდროს უხილავთ იგი.





თავი VII

ჯუჯა მიმის შესახებ

ახლა კი თხრობა გადადის მიმზე, ჩია-ჯუჯაზე. დიდი ხანია, ჩია-ჯუჯანი დავიწყებას მიეცნენ და მიმიც ერთ-ერთი უკანასკნელი მათგანი იყო. უძველეს დღეებშიც კი მხოლოდ მცირედი გახლდათ ცნობილი მათ შესახებ. ნიბინ-ნოგრიმებს უწოდებდნენ მათ ბელერიანდელი ელფები უხსოვარ დროს, თუმცა კი გულზე არ ეხატებოდათ. არც არავის უყვარდა ჩია-ჯუჯები, გარდა თავიანთი თავისა. თუ მათ ეჯავრებოდათ ორკები და უფრთხოდნენ, ასევე ეჯავრებოდათ ელდარნი და მთლიანად ყველა დევნილი, რადგან როგორც ამბობდნენ, სწორედ ნოლდორებმა მოსტაცეს მათ მიწები და მშობლიური სახლები წაართვეს. ჩია-ჯუჯებმა მიაგნეს პირველად ნარგოთრონდს და მისი გათხრა დაიწყეს, გაცილებით ადრე, ვიდრე ფინროდ ფელაგუნდი ზღვის გაღმადან მოვიდოდა.

ზოგი ამბობდა, რომ ისინი აღმოსავლეთით მდებარე ჯუჯათა ქალაქებიდან იყვნენ გამოძევებულნი ადრეულ

დღეებში. მორგოთის დაბრუნებამდე დიდი ხნით ადრე მოეხეტებოდნენ დასავლეთისკენ. უბატონოდ დარჩენილები და მცირერიცხოვანნი ძნელად თუ იპოვიდნენ ლითონის მადანს, რის გამოც მათი მჭედლური ცოდნა თანდათან დავიწყებას მიეცა, ხოლო იარაღის მარაგი შემცირდა. ამიტომ მალული ცხოვრების წესს მიჰყვეს ხელი და დროთა განმავლობაში როგორღაც თავიანთ აღმოსავლელ თანამოძმეებზე ტანმორჩილნი გახდნენ. მხრებში მოხრილნი დაიარებოდნენ და სწრაფად და უხმაუროდ გადაადგილდებოდნენ. თუმცა, ჯუჯათა საერთო თვისება არ დაუკარგავთ, იმაზე გაცილებით ღონიერები და გამძლენი იყვნენ, ვიდრე მათი აგებულებიდან ჩანდა. ყველაზე რთულ პირობებშიც კი შეეძლოთ თავის გატანა. თუმცა ბოლოს, რიცხოვნობად იმდენად შემცირდნენ, რომ მათი სახსენებელი შუახმელეთიდან მთლიანად გაქრა, მხოლოდ მიმი და მისი ორი ვაჟიღა დარჩენილიყვნენ. ძალიან მხცოვანი გახლდათ მიმი, თვით ჯუჯების სათვალავითაც კი. მხცოვანი და მივიწყებული.

ბელეგის წასვლის შემდგომ (ტურინის მიერ დორიათის დატოვებიდან მეორე ზაფხულს) ცუდად წაუვიდათ საქმეები აბრაგებს. წლის ბოლო წვიმიანი გამოდგა. დიდი რაოდენობით ორკი გადმოვიდა ჩრდილოეთიდან, როგორც არასდროს აქამდე, ტეიგლინის გადმოდმა, სამხრეთის უძველეს გზას დაუყვნენ და დორიათის დასავლეთ საზღვრებთან ტყეებში დიდი შფოთი ატეხეს. მოსვენება არ იყო და ყველგან საფრთხე იმალებოდა, რაზმის წევრები აქამდე თუ მონადირეები იყვნენ, ახლა ნანადირევად ქცევა ემუქრებოდათ.

ერთ ღამეს, როდესაც უცეცხლო სიბნელეში იმალებოდნენ, ტურინმა თავის განვლილ ცხოვრებას გადაავ-

ლო თვალი. იმედოვნებდა, რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ყველაფერი უკეთესობისაკენ შემობრუნებულიყო. „უკეთ დაცული თავშესაფარი უნდა ვიპოვო სადმე, – ფიქრობდა ის, – და საკვები მოვიმარაგო ზამთრისა და შიმშილიანობის ჟამისათვის“. თუმცა არ იცოდა, სად ეძია ყოველივე ეს.

მეორე დღეს სამხრეთისაკენ გაუძღვა თავის ხალხს, გაცილებით შორ მანძილზე, ვიდრე ტეიგლინიდან და დორიათის საზღვრებიდან გამოიარეს; სამდღიანი ხეტიალის შემდგომ კი სირიონის ხეობისპირა ტყეთა დასავლეთ მისადგომებთან დაბანაკდნენ. ხოლო როდესაც ჭაობებს აღმა აუყვნენ, მიწა გამომშრალი და გაძარცვული გახდა.

მალევე, წვიმიანი დღის რუხი სინათლე თანდათან გაიცრიცა და ტურიანმა, თავის ხალხთან ერთად, ბაძგნარს შეაფარა თავი. მათ მიღმა ხეებისგან დაცლილი სივრცე მოჩანდა, მხოლოდ მიწიდან დამრეცად ამოჩრილი დიდი ლოდები დახვავებულიყო უნესრიგოდ. ირგვლივ სინყნარე სუფევდა, ოდენ ფოთლებიდან ჩამონადენი წვიმის წვეთების ხმა ისმოდა.

უეცრად გუშაგმა ნიშანი მისცა და როდესაც ფეხზე წამოხტნენ, რუხ სამოსში გამოწყობილი სამი ჩაჩიანი ფიგურა შეამჩნიეს ლოდებს შორის ფეხაკრებით მიმავალნი. ზურგზე მძიმე ტომრები აეკიდებინათ, თუმცა მაინც სწრაფად მიაბიჯებდნენ. ტურიანმა შეუძახა, რათა შეჩერებულიყვნენ, კაცები კი მაშინვე ძაღლებივით გავარდნენ მათკენ, მაგრამ ისინი გზას აგრძელებდნენ, ანდროგმა მშვილდიდან ესროლა, თუმცა ორი მათგანი ბინდში გაუჩინარდა.

ერთი ჩამორჩენოდათ, რადგან ან სხვებსავით ფეხმარდი ვერ იყო, ანდა მათზე მძიმე ტვირთი აეკიდებინა. მალევე დაენივნენ და შეიპყრეს. ბევრი ხელი აკავებდა, რადგან მათგან თავის დაღწევას ცდილობდა და თან მხ-

ეცივით იკბინებოდა. ტურინიც მოვიდა და თავის ხალხს უსაყვედურა.

– ვინ გყავთ მანდ? – მიმართა მათ, – რად ექცევით ასე უხეშად? ის მოხუცია და თანაც ტანდაბალი. რა ხიფათი უნდა იყოს მასში?

– იკბინება, – თქვა ანდროგმა, თან თავის დასისხლიანებულ ხელს წამლობდა. – იგი ან ორკია, ან კიდევ რალაც მისი მსგავსი არსება. მოკალით!

– ჩვენი იმედების გაცრუებისათვის მეტს არც იმსახურებს, – გამოექომაგა მეორე, რომელსაც ტომარა აელო ხელში. – აქ არაფერია, გარდა ფესვების და კენჭებისა.

– არა, – თქვა ტურინმა, – წვერიანია. მგონი, ჯუჯაა მხოლოდ. ფეხზე წამოაყენეთ და ათქმევინეთ სიტყვა.

ამგვარად შეაბიჯა ჯუჯა მიმმა ჰურინის შვილების ამბავში. მის ფერხთით დაემხო და შეწყალებას სთხოვდა.

– მოხუცი ვარ. – ამბობდა ის – და უქონელი. ნამდვილად ჯუჯა გახლავართ, როგორც თქვენ ბრძანეთ, ორკი არა ვარ. მიმი მქვია. ნუ მისცემ მათ უმიზეზოდ ჩემი მოკვლის ნებას, ბატონო, ორკებივით ნუ მოიქცევით.

მაშინ ტურინს გულით შეებრაღა იგი, თუმცა ასე მიუგო:

– უქონელი ჩანხარ, მიმ, თუმცა ეს ცოტა უცნაურიც კი არის ჯუჯის კვალობაზე; ვგონებ ჩვენ შენზე მეტად გაჭირვებულნი ვართ, უსახლკარონი და მეგობართაგან განწირულნი. და თუ გეტყვი, რომ დიდ ჭირ-ვარამგამოვლილებმა მხოლოდ სიბრალულის გამო არ შეგიწყალეთ, რისი შემოთავაზება შეგიძლია შენი სიცოცხლის სანაცვლოდ?

– არ ვიცი, რა გნადიათ, ჩემო ბატონო, – დიდი სიფრთხილით მიუგო მიმმა.

– ჯერჯერობით მცირედიც საკმარისია, – უთხრა ტურინმა, თან წვიმით ამოვსებული თვალებიდან მწველი მზერა მიაპყრო, – უსაფრთხო ადგილი გვესაჭიროება

დასაძინებლად, თანაც შორს ამ ნოტიო ტყისგან. ეჭვიც არ მეპარება, ასეთი ალაგი გექნება შენთვის შერჩეული.

– მაქვს, – მიუგო მიმმა, – მაგრამ მისი დათმობა გამოსასყიდის სანაცვლოდ არ შემიძლია. უკვე ზედმეტად მოხუცი ვარ ღია ცის ქვეშ ძილისთვის.

– შენი მეტად დაბერების საჭიროებას ვერც ვხედავ. – დაამატა ანდროგმა, თან დაუზიანებელ ხელში დანა დაეკავებინა. – შემიძლია, ამაზე ვიზრუნო.

– ბატონო! – ძლიერი შიშისგან აღმოხდა მიმს და ტურინს ფეხებზე შემოეხვია. – თუ სიცოცხლეს გამომასალმებთ, მაშინ თავშესაფარს გამოესალმებით, რადგან ჩემ გარეშე მას ვერ მიაგნებთ. მე ვერ დაგიტომობთ მას, თუმცა შემიძლია გინილაღოთ. დღეს იქ გაცილებით მეტი ადგილია, ვიდრე აქამდე იყო, რამეთუ უამრავი სამუდამოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. – თქვა თუ არა, აქვითინდა.

– სიცოცხლე შეგინარჩუნდება, მიმ. – მიუგო ტურინმა.

– ყოველ შემთხვევაში, სანამ მის სამყოფელში მივალთ, – დაამატა ანდროგმა.

მაშინ ტურინი მისკენ მიტრიალდა და უთხრა:

– თუ მიმი თავის სახლამდე უღალატოდ მიგვიყვანს, რაც ნამდვილად მისასალმებელი იქნება, მაშინ მის სიცოცხლეს გამოსყიდულად ჩავთვლი. ვერც ერთი ადამიანი, ვინც მე მომყვება, ვერ გაბედავს მის მოკვლას. ვფიცავ, ასე იქნება.

მაშინ ფეხები დაუკოცნა მას მიმმა და უთხრა:

– მეგობრად მიგულე, ჩემო ბატონო. თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ ელფი იყავი, რადგან ხმითა და საუბრის მანერით მიგამსგავსე. თუ ადამიანი ხარ, მაშინ უკეთესია, რადგან მიმს ელფები არ უყვარს.

– შენი სახლი სადღაა? – ჰკითხა ანდროგმა, – ალბათ საკმაოდ კარგია, რადგან ჯუჯასთან მიწვევს მისი გაზი-

არება. ანდროგს ჯუჯები გულზე არ ეხატება. მისმა ხალხმა არც ისე კარგი ამბები გამოიყოლა ამ მოდგმის შესახებ აღმოსავლეთიდან.

– უარესი ამბები თავიანთი თავის შესახებ კი უკან მოიტოვეს, – მიუგო მიმმა. – მაშინ განსაჯე ჩემი სახლი, როდესაც იხილავ. მაგრამ გზად სინათლე დაგჭირდებათ, გაჭირვებულთა ადამიანებო. საჭირო დროს დავბრუნდები და გაგიძღვებით. შემდეგ წამოდგა და ტომრის აკრეფას შეუდგა.

– არა, არა! – წამოიძახა ანდროგმა, – ამას ნამდვილად ვერ დაუშვებთ, არა, მეტაურო! ველარასდროს იხილავ ამ არამზადას.

– უკვე ბნელდება, – თქვა ტურინმა, – პირობის ნიშნად რამე დაგვიტოვოს და წავიდეს. შეიძლება, შენი ტომარა თავის ბარგიანად დავიტოვოთ, მიმ?

ამის გაგონებაზე ჯუჯა კვლავ მუხლებზე დაემხო და აღელდა.

– თუ მიმს დაბრუნება არ აქვს განზრახული, მაშინ მცენარის ფესვებით სავსე ძველი ტომრის გამო, რად უნდა მობრუნდეს უკან, – ამბობდა ის, – დავბრუნდები. გემუდარებით, გამიშვით!

– ვერ გაგიშვებ, – მიუგო ტურინმა, – თუ ტომარასთან გამოთხოვება გეძნელება, მაშინ მასთან ერთად დარჩენა მოგიწევს. იქნებ, მინაზე გატარებულმა ღამემ ჩვენი გასაჭირი უკეთ გაგრძნობინოს.

მალევე ტურინმა და ასევე, სხვებმაც შენიშნეს, რომ მიმმა ტომარა გამოუსადეგარი ტვირთით გაავსო, რათა მისი სიმძიმე სხვებისთვის უფრო შესამჩნევი ყოფილიყო.

თავიანთი უამური ბანაკისაკენ წაიყვანეს ჯუჯა და როდესაც მიდიოდნენ, იგი გზად უცნაურ ენაზე ბუტბუტებდა, რომელიც უძველესი სიძულვილით გაჯერებუ-

ლი ჩანდა. მაგრამ როდესაც ფეხებზე ხუნდები დაადეს, უეცრად დადუმდა. იმ ღამით გუშაგებმა, ქვასავით უსიტყვოდ და უძრავად მჯდომარეს უდარაჯეს, მხოლოდ მისი მოუხუჭავი თვალები კვესავდა უკუნ სიბნელებში.

წვიმა დილამდე შეწყდა და ქარი ხეებს შეერია. განთიადი, ბოლო დღეებთან შედარებით, უფრო ნათელი დადგა და სამხრეთიდან მონაბერმა მსუბუქმა ჰაერმა ცის გული გახსნა, მზის ამოსვლისას ის ფერმკრთალი და დაწმენდილი ჩანდა. მიმი კვლავ უძრავად იჯდა და ერთი შეხედვით მკვდარი გეგონებოდათ, რადგან თვალები მძიმე სარქველებით დაეხურა, ხოლო მზის სინათლეს წლებისგან მიმჭკნარი და დანაოჭებული მისი სახე გამოეჩინა. ტურინი იდგა და მას დაჰყურებდა:

– სინათლე უკვე საკმარისად გვაქვს, – თქვა მან. მაშინ მიმმა თვალები გაახილა და ხუნდებზე მიუთითა; ხოლო როდესაც მისგან გაათავისუფლეს გამოსცრა, – შეიგნეთ, ბრიყვნო! არასდროს დაადოთ ჯუჯას ბორკილები! ის ამას არასდროს გაპატიებთ. არ მსურს სიკვდილი, თუმცა თქვენი საქციელის გამო, ჩემი გული გახელებულია. უკან მიმაქვს დანაპირები.

– მე კი, არა, – მიუგო ტურინმა, – შენს სახლამდე მიმიყვან, მანამდე კი სიკვდილზე სიტყვას არ დავძრავთ. ასეთია ჩემი სურვილი. – შეუდრეკლად გაუყარა თვალი თვალში ჯუჯას, ხოლო მიმმა მის მზერას ვერ გაუძლო. მხოლოდ ცოტას თუ შეეძლო წადილით ან რისხვით აგზნებული ტურინის მზერის გამოწვევა მიეღო. მალევე გაატრიალა მან თავი და წამოდგა:

– წამომყევით, ჩემო ბატონო! – თქვა.

– კარგია! – მიუგო ტურინმა, – თუმცა ერთ რამეს დავამატებ: მესმის შენი სიამაყის. მოკვდები, მაგრამ არავის დაანებებ, კვლავ ბორკილებში ჩაგსვან.



– ნამდვილად ასეა, – მიუგო მიმმა, – მაგრამ ახლა წასვლის დროა! – შემდეგ იმ ადგილამდე გაუძღვა მათ, სადაც შეიპყრეს, იქ მისულმა კი დასავლეთისკენ მიუთითა. – აი, ჩემი სახლი! – წარმოთქვა მან, – ვფიქრობ, უამრავჯერ შეგივლიათ მასზე თვალი, რამეთუ მაღალია იგი. შარბჭუნდს ვუნოდებდით, ვიდრე ელფებმა ყველაფერს სახელი არ გადაარქვეს.

მაშინ იხილეს მათ, რომ იგი ამონ-რუდისკენ მიუთითებდა, მოტიტვლებული ბორცვისკენ, რომლის ქოსა თხემი უამრავი ლიგის მანძილზე გაჰყურებდა ველურ მიწებს.

– გვინახავს, თუმცა ახლოს არასდროს მივსულვართ, – თქვა ანდროგმა. – რა უსაფრთხო თავშესაფარი უნდა იყოს იქ, ან წყალი და სხვა ჩვენი საჭიროებისათვის აუცილებელი რამ? მგონია, ჩვენს გაცურებას ცდილობენ. ადამიანები ხომ არ იმალებიან იმ ბორცვის წვერზე?

– გუმანი მკარნახობს, რომ ტყე-ღრეში მალვაზე გაცილებით უსაფრთხო უნდა იყოს. – თქვა ტურინმა. – ამონ-რუდი შორ მანძილზე დიდ სივრცეს გაჰყურებს. მაშ, გაგვიძეხი, მიმ, მოგყვები, ვნახოთ, რის ჩვენებას აპირებ ჩვენთვის. რამდენი ხანი დაგვჭირდება გაჭირვებულ ხალხს იქ მისასვლელად?

– თუ ახლავე გავუყვებით გზას, დაბინდებამდე მივალწევთ, – უპასუხა მიმმა.

მალევე რაზმი დასავლეთისკენ გაემართა, ტურინი მიმთან ერთად მიუძღოდა მათ. ტყე უკან ჩამოიტოვეს თუ არა, ფრთხილად განაგრძეს გზა, თუმცა ირგვლივ სულიერის ჭაჭანება არ იყო და მღუმარება სუფევდა. მიწიდან ამოჩრილი ლოდები უკან მოიტოვეს და აღმასვლას შეუდგნენ; რამეთუ ამონ-რუდი ჭაობთა მაღლობების აღმოსავლეთ კიდესთან მდებარეობდა, მდინარეების, სირიონისა და ნაროგის ხეობათა შორის რომ ამოზრდილიყო.

მისი გვირგვინი ქვიანი მიწიდან, მისი საძირკვლებიდან ათასი ფუტით მაღლა აზიდულიყო. აღმოსავლეთის მხრიდან უსწორმასწორო ნიადაგი მაღალი ქედისკენ მიიკვლევდა გზას, ერთმანეთში გადახლართული ცირცელის, არყისა და ქვებზე ფესვმოკიდებულ ეკლის ხეებს შორის. ჭაობებისა და ამონ-რუდის დაბალი ფერდობების ზემოთ ხარობდა აეგლოსის ბუჩქები. თუმცა მისი რუხი და ციცაბო თავი მოშიშვლებული გახლდათ, მხოლოდ წითელი სერეგონი გადავლილიყო ქვებზე.

როგორც კი მზე გადაიხარა, აბრაგები ბორცვის განშტოებებს მიუახლოვდნენ. ჩრდილოეთიდან მოდიოდნენ, რადგან მიმი ამ მხრიდან მოუძლოდა მათ. დასავლეთით ჩამავალი მზის სხივები დაეცა ამონ-რუდის გვირგვინს და სერეგონის ყვავილი წითლად ააელვარა.

– შეხედეთ! ბორცვის თხემი სისხლით არის მოსვრილი,
– თქვა ანდროგმა.

– ჯერ არა, – მიუგო ტურიანმა.

მზე ჩადიოდა და მისი სინათლე ნაპრალებში ინთქმებოდა. ბორცვი ახლა მათ ცხვირწინ აღმართულიყო და თავზე დასჩერებოდათ. ვერ გაეგოთ, რაში სჭირდებოდათ მეგზური ასეთ ხრიოკ ადგილებში. მაგრამ როდესაც მიმი მათ გაუძღვა და უკანასკნელი ციცაბოც აიარეს, მიხვდნენ, რომ უძველესი წესით ან საიდუმლო ნიშნებით გაკვალულ ბილიკს მიუყვებოდნენ. იგი ხან წინ და ხანაც უკან იჭრებოდა, როდესაც გვერდებზე გაიხედავდნენ, ხან ბნელ ღარტაფებს დაანვდენდნენ თვალს, ხანაც ფართოდ გახსნილ ნაპრალებს. ზოგჯერ კი ბუმბერაზ ლოდებს მიღმა მიმალულ, გადასაჩეხებითა და ღრმულებით სავსე ალაგებს ჩაუვლიდნენ, ცირცელითა და ეკლებით შენიღ-

ბულს. მეგ ზურის გარეშე მრავალი დღე მოუნევდათ გზის გასაგნებად წვალეზა და კლდეებზე ბლოტიალი.

მოგვიანებით ოღროჩოღრო, თუმცა გავაკებულ მიწაზე გავიდნენ. ძველისძველ ცირცელის ხეთა ჩრდილქვეშ მიაბიჯებდნენ, შემდეგ კი აეგლოსის ტანმალალ ხეთა ტალანს გაუყვნენ: ირგვლივ გამეფებული დაღვრემილობა ტკბილსურნელებას აევსო. უეცრად მათ წინ ქვის კედელი აღიმართა, გლუვი და განიერი, ალბათ ორმოცი ფუტი სიმაღლისა, თუმცა ზეცას უკვე ბინდი გადაჰფენოდა და ზუსტი გამოცნობა ჭირდა.

– აქ არის შენს სახლში შესასვლელი კარიბჭე? – იკითხა ტურინმა. – მსმენია, რომ ჯუჯებს ქვა ძლიერ უყვართ. – ახლოს მივიდა მიმთან, ვაითუ, რაიმე ხრიკს გვიწყობსო.

– სახლის კარები არა, თუმცა მთავარი ეზოს კარიბჭე არის. – მიუგო მიმმა. შემდეგ მარჯვნივ შეტრიალდა და კლდეს გაუყვა. ოცი ნაბიჯი რომ გადადგა, შეჩერდა. ტურინმა დაინახა, რომ გამრჯე ხელებისა თუ ამინდის მანქანებით ნაკვეთი კლდის ერთი პირი მეორეს გადაჰფარებოდა, ხოლო მათ შორის ღიობი დარჩენილიყო და მარცხენა მხრიდან იჭრებოდა კლდეში. შესასვლელი მცირე ნაპრალებში ჩარგულ მცენარეებს შეენილბა, ხოლო შიგნით ციცაბო ბილიკი მალლა მიიწევდა და სიბნელეში უჩინარდებოდა. წყალი ჟონავდა ღიობიდან და წუმპე იდგა.

ერთიმეორეზე მიყოლებით აუყვნენ ბილიკს. როდესაც მალლა ავიდნენ, ბილიკმა მარჯვნივ გაუხვია, შემდეგ კი კვლავ სამხრეთისაკენ, ბოლოს ეკლიანი ბუჩქების გავლით, მწვანე ვაკეზე გავიდა და ჩრდილებს შეერია. ასე მიაღწიეს მიმის სახლს, ბარ-ენ-ნიბინ-ნოეგს, რომლის სახელი მხოლოდ ნარგოთრონდისა და დორიათის უძველეს თქმულებებს თუ ახსოვდა და რაც მთავარია, ის ადამიანის თვალს არასდროს ენახა. თუმცა უკვე ღამდებოდა

და ვარსკვლავებისგან დაცარიელებული ზეცის ფონზე რთული იყო, რიგიანად შეეველოთ თვალი ამ უცნაური ადგილისათვის.

ამონ-რუდს გვირგვინი ედგა. ბუმბერაზი ქვის თავსაბურავი ბოლოს მოშიშვლებული ბრტყელი თხემით მთავრდებოდა. ჩრდილოეთის მხრიდან მას კლდოვანი ბაქანი გამოზრდოდა, ბრტყელი და ოთხკუთხედი. იგი ძირიდან არ ჩანდა, რადგან მის უკან ბორცვი კედელივით აღმართულიყო, ხოლო მისგან აღმოსავლეთის და დასავლეთის მიჯნებზე ქარაფი ბორცვის ძირამდე იჩეხებოდა. მხოლოდ ჩრდილოეთიდან, საიდანაც თვითონ მოვიდნენ, გახლდათ შესაძლებელი ადვილად აქამდე მოღწევა მათთვის, ვინც გზა კარგად იცოდა. „კარიბჭიდან“ მომავალმა ბილიკმა მალე ისინი არყის ხეებით დაჩრდილულ ჭალაში შეიყვანა, სადაც ქვაში გამოკვეთილ აუზში სუფთა გუბურა კამკამებდა. მასში კედლის ძირიდან გამომავალი ნაკადული ჩაედინებოდა და კვებავდა, ხოლო აქედან, თავის კალაპოტში მომდინარე, თეთრი ძაფივით მოიკლაკნებოდა და ბაქნის დასავლეთ კიდიდან იღვრებოდა. ხეების მიღმა, ნაკადულთან ახლოს, ორ ქვის საბჯენს შორის კი გამოქვაბული იყო. ერთი შეხედვით, პატარა მღვიმეს ჰგავდა, გაბზარული თალით, თუმცა შიგნით უფრო და უფრო ღრმავდებოდა და ჩია-ჯუჯათა ნელი, თუმცა მოუღალავი ხელების მრავალწლიანი შრომის შედეგად შორს, ბორცვის შუაგულში იჭრებოდა. მაშინ გამოეკვეთათ იგი, როდესაც აქ ცხოვრობდნენ და რუხ ელფებს მათთვის სიმშვიდე ჯერ კიდევ არ დაერღვიათ:

უკვე საკმაოდ დაბინდებულიყო, როდესაც, მიმის მეგზურობით, იმ გუბურის ნაპირი გადაიარეს, რომლის ზედაპირზე, არყის ტოტების ჩრდილებთან ერთად, ფერ-

მკრთალი ვარსკვლავებიც ირეკლებოდა. გამოქვაბულის შესასვლელს რომ მიაღწიეს, იგი მოტრიალდა და ტურინს თავი დაუკრა:

– შებრძანდით, ბატონო! – უთხრა მას, – ბარ-ენ-დანუედში, სახლ-გამოსასყიდში, რამეთუ ამიერიდან ამგვარად ეწოდება მას.

– შესაძლოა, ასეც იყოს, – მიუგო ტურინმა. – პირველი მე შევავლებ თვალს, – შემდეგ მიმთან ერთად შიგნით შეაბიჯა, იხილეს რა მისი გამბედაობა, დანარჩენებიც მიჰყვნენ, თვით ანდროგიც კი, რომელიც ყველაზე მეტად არ ენდობოდა ჯუჯას, უკან გაჰყვა მათ. მალე წყვდიადში ჩაიკარგნენ, თუმცა მიმმა ტაში შემოჰკრა და კუთხეში პატარა სინათლე აკიაფდა, გამოქვაბულის შემოსასვლელ ტალანში კიდევ ერთი ჯუჯა შემოვიდა, ხელში პატარა ლამპარი ეჭირა.

– აჰა! ცოტაც და, მოვისაკლისებდი. ყველაფერი ისე ხდება, როგორც ვფიქრობდი. – თქვა ანდროგმა. მიმი კი სწრაფად ესაუბრებოდა მეორე ჯუჯას თავიანთ მოუხეშავ ენაზე და როგორც ჩანდა, ის ახალ ამბებს განერისხებინა, შემდეგ უეცრად გასასვლელს მიცვივდნენ და გაუჩინარდნენ. ანდროგი წინ გასაჭრელად ემზადებოდა: – პირველებმა შევუტიოთ! – იძახდა. – შეიძლება ბევრნი არიან, თუმცა – ტანდაბლები.

– ვფიქრობ, მხოლოდ სამნი არიან. – მიუგო ტურინმა და გზას მიჰყვა. მის უკან მდგარი აბრაგები მოუსვენრობას შეეპყრო, რადგან ყოველი მხრიდან ქვის უხეშ კედლებში მოქცეულიყვნენ. კლდე ბევრ ადგილას გამოშვერილიყო და ბასრი პირი ტალანისკენ ექნა. თუმცა მალე, ბოლოს და ბოლოს, შორიდან სინათლე გამოკრთა და ჭერმალალ დარბაზში გავიდნენ, რომელიც კედლებზე დაკიდებულ, ჯაჭვებით დამაგრებულ ლამპრებს გაენათებინა.

მიმი არსად ჩანდა, თუმცა მისი ხმა ისმოდა. ტურინი ხმას მიჰყვა და კარებს მიადგა, რომელიც დარბაზის უკანა ოთახში იღებოდა. როდესაც შიგნით შეიხედა, მუხლებზე დამხობილი მიმი დაინახა. მის გვერდით ლამპრიანი ჯუჯა უძრავად იდგა; თუმცა შორეულ კედელთან, ქვის სავარძელზე კიდევ ერთი ჯუჯა იწვა. „კჰიმ, კჰიმ, კჰიმ!“ – ღრიალებდა მოხუცი ჯუჯა და წვერს იგლეჯდა.

– შენ მიერ ნატყორცილი ყველა ისარი როდი გაფრენილა უმისამართოდ, – უთხრა ტურინმა ანდროგს. – და ეს ერთი იქნებ ძვირადაც დაგვიჯდეს. მეტად უდრტვინველად ისვრი ისრებს, თუმცა შესაძლოა, იმდენ ხანს ვერც იცოცხლო, რომ საკუთარ შეცდომებზე ისწავლო.

ტურინმა ყველა მიატოვა, უხმაუროდ შევიდა ოთახში, მიმის უკან დადგა და დაელაპარაკა:

– რა ამბავია ჩვენს თავს, მგეზავო? – უთხრა მას, – განკურნების ცოდნა მაქვს, შეიძლება, დაგეხმაროთ?

მიმმა თავი მოატრიალა, თვალებში მენამული ცეცხლი ენთო.

– მაშინ შეძლებ ჩემს დახმარებას, თუ დროს უკან დააბრუნებ და შენს ხალხს სასტიკ ხელებს ძირში მოჰკვეთ, – უპასუხა, – ეს ჩემი შვილია. ისარი გულში აქვს მოხვედრილი. უკვე გვიანია, მზის ჩასვლისას განუტევა სული. შენი ბორკილები რომ არა, მე მას გადავარჩენდი.

დიდი ხნით გადავინწყებულმა სიბრალულმა კვლავ ამოხეთქა მისი გულიდან და კლდიდან გადმონადენი წყალივით გადმოიღვარა.

– აფსუს! – აღმოხდა ტურინს. – რომ შემეძლოს, გატყორცილ ისარს უკან გამოვიხმობდი. ახლა კი ბარ-ენდანუედი, სახლი-გამოსასყიდი თავის სახელს ნამდვილად ამართლებს, რამეთუ ამიერიდან აქ ვიცხოვრებთ თუ არა,

მაინც შენს ვალში ვიქნები; თუ ოდესმე დიდძალ სიმდიდრეს ჩავიგდებ ხელში, ოქროთი დამძიმებული დავბრუნდები და შენი ვაჟის გამო, დანუედს გადავიხდი ნიშნად მწუხარებისა, თუნდაც ამით შენი გული ველარ გავახარო.

მაშინ მიმი წამოდგა და ტურინს დიდხანს უცქირა:

– შევისმინე შენი სიტყვები, – უთხრა მან, – ჯუჯათა უძველესი ხელმწიფეებივით საუბრობდი და სწორედ ამან განმაცვიფრა. ახლა ჩემი გული განელდა, თუმცა კი სიხარულს ვერ ვგრძნობ. გამოსასყიდს გადავიხდი, ამგვარად, შეგიძლიათ, აქ იცხოვროთ, თუმცა ერთს დავამატებ: მან ვინც ლარი მოზიდა, საკუთარი მშვილდი და ისარი უნდა დაამსხვრიოს, ჩემი ვაჟის ფერხთით დაალაგოს და ამიერიდან აღარასდროს აილოს ხელში. და თუ ასე არ მოიქცა, დაე, ისრითვე განიგმროს. ჩემი წყევლა ეწეოდეს მას.

ანდროგი შეშინდა, როდესაც წყევლა მოისმინა. მართალია, როცა ამას იქმოდა, გული ზიზღით ჰქონდა სავსე, მაინც დაამსხვრია მშვილდ-ისარი და მკვდარი ჯუჯის ფერხთით დაალაგა. თუმცა, როდესაც პალატიდან გამოვიდა, ავი მზერა მიაპყრო მიმს და ჩაიდუდუნა:

– ამბობენ, ჯუჯის წყევლა არასდროს კვდებაო; თუმცა არც ადამიანის წყევლას აქვს ნაკლები ძალა. დაე, ყელში შუბგაყრილმა დალიოს სული!

იმ ღამით დარბაზში დანვნენ, თუმცა მიმისა და მისი მეორე ვაჟის, იბუნის ტირილის გამო, შფოთიანად ეძინათ. ვერავინ იტყოდა, როდის შეწყდა გოდება, თუმცა როდესაც გაიღვიძეს, ჯუჯები წასული დაუხვდათ, პალატა კი ლოდით ამოქოლილი. დღეს კვლავ მშვენიერი პირი უჩანდა. დილის მზის სხივების შუქზე აბრაგებმა გუბურაში დაიბანეს და საუზმედ ის საჭმელი მიირთვეს, რაც ჯერ კიდევ შემორჩენოდათ. და როდესაც ჭამდნენ, მიმი მოვიდა და მათ წინ დადგა.

ტურინს თავი დაუხარა. – ის აღარ არის და ყველაფერი წესისამებრ გაკეთდა. – წარმოთქვა მან, – ახლა თავის წინაპრებთან განისვენებს, ხოლო ჩვენ იმ ცხოვრებას უნდა დავუბრუნდეთ, რაც დაგვრჩენია, შესაძლოა, ჩვენი დღეები უკვე დათვლილიცაა. როგორ მოგწონთ მიმის სახლი? არის თუ არა გამოსასყიდი გადახდილი და მიღებული?

– არის, – მიუგო ტურინმა.

– მაშ, თუ ასეა, ყველაფერი თქვენს განკარგულებაშია, შეგიძლიათ ისე მოაწესრიგოთ თქვენი სამყოფელი, როგორც მოგესურვებათ. თუმცა მხოლოდ დახურულ პალატას ვერ გააღებს ვერავინ, ჩემ გარდა.

– ყველაფერი გასაგებია, – მიუგო ტურინმა. – ჩვენი სიცოცხლე აქ დაცულია, ან ჩანს, რომ ასეა. თუმცა საკვები გვჭირდება, ისევე, როგორც სხვა ბევრი რამ. როგორ უნდა გავიდეთ გარეთ, და უფრო მეტიც, როგორ უნდა შემოვიდეთ იქიდან?

მათ საფიქრალზე მიმმა ხრინწიანად ჩაიციხა.

– გეშინიათ, რადგან ობობას ქსელის შუაგულში შეჰყევით, არა? – უთხრა მათ მიმმა. – არა, მიმი ადამიანის ხორცს არ ჭამს. ობობასაც კი გაუჭირდებოდა ერთბაშად ოცდაათ კრაზანასთან გამკლავება. თანაც, შეიარაღებული ხართ, მე კი შიშველი ხელებით ვდგავარ. არა, ჩვენ ყველაფერი უნდა გავიზიაროთ: სახლი, საკვები, ცეცხლი და სხვა მონაპოვარიც. იმედია, სახლს დაიცავთ და, ისევ და ისევ თქვენი საჭიროებისათვის, საიდუმლოდ შეინახავთ მის ადგილსამყოფელს, მაშინაც კი, როდესაც გასასვლელი და შემოსასვლელი გზები გეცოდინებათ. ნელ-ნელა დაისწავლით, თუმცა მანამდე მიმი გაგინევთ მეგზურობას, ან იბუნნი, მისი ვაჟი, როდესაც გარეთ გასვლას

დააპირებთ; ყველანი ერთად გახვალთ და შემოხვალთ, ანდა იქ დაელოდებით ერთმანეთს, სადაც უმეგზუროდ შეგეძლებათ სვლა. თუმცა ეს ყოველთვის სახლის სიახლოვეს მოხდება.

ტურიზმა თანხმობა მისცა და მადლობა გადაუხადა. უმრავლესი მისი ხალხისა გახარებული იყო, რამეთუ შუაზაფხულს, დილის მზის სხივებქვეშ იქაურობა მშვენივრად გამოიყურებოდა საცხოვრებლად. მხოლოდ ანდროგი ჩანდა უკმაყოფილო.

– რაც უფრო მალე ვიქნებით საკუთარი ნაბიჯების განმგებელნი, მით უკეთესი. – ამბობდა იგი, – არასდროს გვყოლია ისეთი ტყვე, რომელიც ჩვენი წასვლა-წამოსვლის გამო საჩივარს გამოთქვამდა.

იმ დღეს დაისვენეს, საჭურველი განმინდეს და მოაწესრიგეს; საკვები ელეოდათ, მხოლოდ ორი დღის სამყოფილა დარჩენოდათ, მიმმა მათ თავისი საკვები უწილადა, სამი დიდი ქვაბი და მუგუზალი მისცა; შემდეგ კი ძველი ტომარა გამოათრია.

– ხარახურა, – თქვა მან, – არც ღირს მოსაპარავად. მხოლოდ ველური ფესვებია.

თუმცა, როდესაც გაასუფთავეს, ფესვები გათეთრდა და კანთან ერთად მადის აღმძვრელად გამოიყურებოდა. მოხარშული, საჭმელად კარგი გამოდგა, გემოთი პურს წააგავდა. აბრაგებმა დიდად გაიხარეს, რადგან დიდი ხანი გასულიყო მას შემდეგ, რაც ბოლოს პური ეჭამათ, ისიც მაშინ, როდესაც იპარავდნენ.

– ველურმა ელფებმა მათ შესახებ არა უწყიან, რუხ-ელფებს ჯერ ვერ მიუგნიათ, ხოლო ზღვის გაღმეთიდან მოსული ქედმაღალი ელფები ზედმეტად ამაყნი არიან, რომ მიწის ჩიჩქნა დაიწყონ, – თქვა მიმმა.

– რა ჰქვია ამ მცენარეებს? – ჰკითხა ტურიზმა.

მიმმა ირიბად გამოხედა.

– მათ სახელები არ აქვთ. მხოლოდ ჯუჯათა ენაზე, რომელსაც არავის ვასწავლოთ. – მიუგო მან. – ადამიანებს არც მათ ადგილსამყოფელს ვასწავლით, რადგან ხარბები არიან და მომჭირნეობა არ იციან. სანამ მთლიანად არ ამოგლეჯენ ყველას, მანამ მოსვენებას ვერ პოვებენ. ახლა კი მათ, უბრალოდ, გვერდზე ჩაუვლიან ტყე-ღრეში ხეტიალისას. ჩემგან მეტს ვერაფერს შეიტყობთ, თუმცა ჩემ მიერ მოტანილი სანოვაგე თქვენც გეყოფათ, ვიდრე კეთილად მოიქცევით და მასზე თვალთვალს არ დაინწყებთ ან მოპარვას არ შეეცდებით. – შემდეგ კვლავ ხრინწიანად გაიცინა. – მეტად ღირებული რამეა, – თქვა, – ოქროზე ძვირად ფასობს ზამთრის შიმშილიანობის ჟამს, რადგან ციყვის მოგროვებული თხილებივით შეგვიძლია დავახვავოთ და მოვიხმაროთ, როდესაც გამოშრება და საჭმელად ვარგისი შეიქნება. თუმცა ბრიყვები ყოფილხართ, თუ ფიქრობთ, რომ მას ვერ განვეშორები, თუნდაც სასიცოცხლოდ აუცილებელი იყოს.

– ვხედავ, – მიუგო ულრადმა, რომელიც ტომარას ამონებდა, მაშინ როდესაც მიმი შეპყრობილი ჰყავდათ. – ახლაც კი ვერ შორდები მათ და შენი სიტყვები უფრო მეტად მაკვირვებს.

მიმი მოტრიალდა მისკენ და პირქუშად შეხედა.

– ისეთი ბრიყვი ხარ, ზამთარში რომ მოკვდე, გაზაფხულიც აღარ გამოგიგლოვებს. – უთხრა მას, – უკვე ვთქვი ჩემი სათქმელი. უკან უნდა დავბრუნებულიყავი, მსურდა ეს თუ არა, ტომრით თუ ტომრის გარეშე. დაე, ურჯულო და ურწმუნო ადამიანმა იფიქროს ის, რაც სურს! მაგრამ არასდროს განვეშორები ჩემს საკუთრებას მაშინ, როდესაც ვილაც შეჩვენებულნი ძალით ცდილობენ მის წართმევას, თუნდაც ეს მხოლოდ ფეხსაცმლის ზონარი იყოს.

გგონია, არ მახსოვს? შენი ხელები სწორედ იმ ხელებს შორის ერია, რომელთაც შემბორკეს და შემაყოვნეს, რის გამოც ჩემი შვილისთვის, მისი სიკვდილის წინ, სიტყვის თქმაც ველარ მოვასწარი. ვიდრე ჩემი მარაგიდან მიწისპურს გინილადებდით, შენ უკვე გამოკლებული მყავდი სათვალავიდან და თუ მის ჭამას მოინდომებ, მაშინ შენს მოძმეთ მიმართე, რათა გინილადონ. მე ნურაფერს მთხოვ.

მიმი წავიდა; ულრადმა კი, რომელიც მისი რისხვისაგან შემდრკალიყო, თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ფიცხი სიტყვებია! თუმცა იმ ბებერ გაიძვერას კიდევ ჰქონდა რალაც ტომარაში. რალაც უფრო მკვრივი და მძიმე. გარდა მიწისპურისა, იმ მიდამოებში შესაძლოა, ისეთი რამე მოიპოვება, რის შესახებაც ელფებმა არ უწყიან, ხოლო ადამიანებმა არ უნდა იცოდნენ.

– შესაძლოა, ასეც იყოს, – უთხრა ტურინმა. – თუმცა ჯუჯა მართალი იყო, როცა ბრიყვი გინოდა. შენს ფიქრებს ხმამაღლა რატომ იძახი? თუ კეთილი სიტყვა ყელზე გადგება, ჯობს დადუმდე, რამეთუ დუმილი, საბოლოოდ, ყველაზე კარგ სამსახურს გაგვიწევს.

იმ დღემ მშვიდად ჩაიარა. არც ერთ აბრაგს არ მოუწადინებია სამყოფელს გარეთ გასვლა.

ტურინი ხშირად დააბიჯებდა ბაქნის მწვანე მოლზე და მის ნაპირებთან ბოლთას სცემდა; იხედებოდა აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. სურდა გაეგო, რამდენად შორს იყო ის ადგილები, რომლის ხედებიც კრიალა ჰაერში მოჩანდა. დაუჯერებლად ახლოს ჩანდა ჩრდილოეთით ბრეთილის ტყე და მის სიმწვანეში ამოზრდილი ამონ-ობელი. ამ მხარისკენ იმაზე ხშირად გაურბოდა თვალი, ვიდრე თავად სურდა, თუმცა ამის მიზეზს ვერ მიმხვდარიყო; ალბათ იმიტომ, რომ გული ყოველთვის ჩრდილო-დასავლეთისკენ ეწეოდა, სადაც უამრავი

ლიგის მოშორებით, შორეულ ჰორიზონტზე, „წყვდიადის მთების“ სილუეტი იკვეთებოდა და სამშობლოს საზღვრები იწყებოდა. თუმცა მზის ჩასვლისას ტურინმა დასავლეთისკენ გაიჭვრიტა. ნისლში გახვეულ შორეულ ნაპირებთან მზე წითლად ჩადიოდა, მათ შორის მოქცეული ნაროგის ხეობა კი წყვდიადში ჩაძირულიყო.

ასე დაიწყო ტურინის, ჰურიანის ძის, ხანგრძლივი ცხოვრება მიმის დარბაზებში, ბარ-ენ-დანუედში, სახლ-გამოსასყიდში.

აბრაგები მათდა გასახარად, შესანიშნავ ყოფაში იყვნენ. საკვებიც ბლომად ჰქონდათ და რიგიან თავშესაფარშიც ცხოვრობდნენ, სითბოსა და სიმშრალეში. უამრავი სენაკიც მათ განკარგულებაში გახლდათ; როდესაც გამოქვაბული გამოიკვლიეს, დაადგინეს, რომ ის კიდევ ასსა და მეტ, მათსავით შეჭირვებულს დაიტევდა. სიღრმეში კიდევ ერთი მცირე დარბაზი იყო გამოკვეთილი. ერთ ადგილას კერია მოეწყობა, მის თავზე, კლდეში ეშმაკურად დატანილ ხვრელში, საკვამური მიძვრებოდა და ბორცვის ერთ მხარეს, ნაპრალიდან ამოდიოდა. დარბაზის მიღმა უამრავი პალატის კარი იღებოდა და მათი დამაკავშირებელი ტალანები გადიოდა. ზოგიერთი პალატა საცხოვრებელს წარმოადგენდა, ზოგიც სამუშაოს და საწყობს. დასაწყობებაში მიმს მათზე მეტი გამოცდილება ჰქონდა. გარშემო უამრავი ქვის ჭურჭელი და ზანდუკი ელაგა, შეშა უამრავი ეწყობა, ეტყობა, იქ უხსოვარ დროს მოეტანათ. თუმცა პალატების უმრავლესობა დაცარიელებული იყო. იარაღის საწყობში ბევრი ნაჯახი და სხვადასხვა საჭურველი ეკიდა, ყველა დაჟანგული და მტვერნაყრილი. თაროები დაცარიელებული ჩანდა, სამჭედლოები – მინავლებული და უქმი. მხოლოდ ერთი პალატა იყო მოქმედი, ის შიდა დარბაზს უკავშირდებოდა. მასში კერია იყო, ხოლო საკვამური დარ-

ბაზში შემავალ, მთავარი საკვამურის ხვრელს უკავშირდებოდა. მიმი ხშირად მუშაობდა იქ, თუმცა სხვებს მასთან ყოფნის უფლებას არ აძლევდა; ასევე, არავის ეუბნებოდა იმ საიდუმლო კიბის შესახებ, რომელიც მისი სახლიდან მალლა, ამონ-რუდის თხემზე ადიოდა. მხოლოდ ანდროგი გადააწყდა ერთხელ მას შემთხვევით, როდესაც დამშეული დაიარებოდა ოთახებში, რათა მიმის საკვების მარაგისთვის მიეგნო. ამ დროს გამოქვაბულის ლაბირინთებში დაიკარგა, თუმცა საკუთარი აღმოჩენა საიდუმლოდ შეინახა.

იმ წლის განმავლობაში არანაირი თარეში არ განუხორციელებიათ და თუ გარეთ სანადიროდ ან საკვების შესაგროვებლად გასვლა უნევდათ, ძირითადად, მცირე ჯგუფებად მიდიოდნენ. დიდი ხანი ბილიკის დამახსოვრება უჭირდათ, თუმცა ტურინთან მყოფი ექვსი კაცი სულ უფრო ადვილად იგნებდა გზას. ყოველ შემთხვევაში, აშკარა იყო, რომ მიმის დახმარების გარეშე აღწევდნენ თავშესაფრამდე. ჩრდილოეთ კედლის ღიობთან დღისით და ღამით გუშაგი დააყენეს. სამხრეთიდან არანაირ ხიფათს არ ელოდნენ, რადგან იმ მხრიდან ამონ-რუდზე ვერავინ ამოძვრებოდა. დღის უმეტეს დროს კი გუშაგი გვირგვინის თავზე იდგა, საიდანაც ყველაფრის დანახვა შეიძლებოდა. მართალია, გვირგვინს გვერდები ციცაბო ჰქონდა, მის თხემზე ასვლა მაინც შეიძლებოდა. გამოქვაბულის შესასვლელიდან აღმოსავლეთით, უსწორმასწორო კიბე იყო გამოკვეთილი, რომლის გავლით თხემზე ასვლა დაუხმარებლად შეიძლებოდა.

ასე გაიღია წელიწადი, მოულოდნელობებისა და უსიამოვნებების გარეშე. მაგრამ დღე დღეს მიერეკებოდა და გუბურა რუხად შეიფერა, მის თავზე გადმოკიდებულ არყის ხეებს შესამოსელი შემოედარცვათ და დიდი წვიმი-

ანობაც დაიწყო. უმეტეს დროს ყველანი თავშესაფარში ატარებდნენ. თანდათან უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენდნენ ბორცვქვეშ გამეფებული წყვდიადისა და მკრთალად განათებული დარბაზების მიმართ; უკვე ბევრ მათგანში ის აზრიც მომწიფებულიყო, რომ მიმის გარეშე აქ ცხოვრება გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

ხშირად, იგი გამოქვაბულის რომელიმე ჩაბნელებულ კუთხეში გაჩნდებოდა ან შემოსასვლელიდან შემოვიდოდა, მაშინ, როცა წასული ეგულებოდათ; როდესაც ახლო-მახლო იმყოფებოდა, ყველას მოუსვენრობა იპყრობდა და ერთმანეთს მხოლოდ ჩურჩულით ესაუბრებოდნენ.

თუმცა, მათთვის უცნაური ის გახლდათ, რომ ტურინთან საპირისპირო რამ ხდებოდა. ჯუჯას სულ უფრო უმეგობრდებოდა და ხშირად მის რჩევებსაც უგდებდა ყურს. მთელი მომდევნო ზამთარი საათობით იჯდა და მის მიერ მოყოლილ სიბრძნეებსა და ცხოვრებისეულ ამბებს ისმენდა; მაშინაც კი არ ძრავდა კრინტს, როდესაც ის ელდარებს აუგად მოიხსენიებდა. მიმიც მოხარული ჩანდა და სამაგიეროდაც იჩენდა პატივისცემას მის მიმართ; მხოლოდ მას რთავდა ნებას, დროდადრო სამჭედლოში შესვლისას, სადაც წყნარად ბაასობდნენ ხოლმე.

თუმცა, შემოდგომა გავიდა და მკაცრი ზამთარი დაატყდათ თავს. იულეს დადგომამდე თოვლი მოვიდა ჩრდილოეთიდან, იმაზე უხვი, ვიდრე ეს მდინარეთა ხეობაში სჩვეოდა; ამიერიდან და მას შემდეგ, რაც უფრო იზრდებოდა ანგბანდის გავლენა, ზამთარი მით უფრო გაუსადღისი ხდებოდა ბელერიანდში. ამონ-რუდი მთლიანად თოვლს დაეფარა და მხოლოდ თავზე ხელაღებული თუ გაბედავდა ამ დროს გარეთ გასვლას. ზოგი ავად გახდა, ზოგიც შიმშილმა დაასუსტა.

შუაზამთრის დღის მიმქრალ ბინდში უეცრად ვილაც გამოჩნდა, ერთი შეხედვით ადამიანს წააგავდა, თეთრ მოსასხამსა და ჩაჩში გამოწყობილს, მძიმედ მორთულ-მოკაზმულს. როგორღაც გუშაგს ხელიდან დასხლტომოდა და ყველასგან შეუმჩნევლად და უხმაუროდ ცეცხლთან დამდგარიყო. როდესაც ფეხზე წამოხტნენ, გადაიხარხარა და ჩაჩი თავიდან გადაიძრო. შეხედეს და ბელეგ მშვილდმაგარი იცნეს. ფართო მოსასხამის ქვეშ მძიმე ტვირთი მოჰქონდა, რათა მათთვის დახმარების ხელი გაეწვდინა.

ასე და ამგვარად, ბელეგი ტურინთან დაბრუნდა. სიბრძნე განეგდო და სიყვარულს მიჰყოლოდა. ტურინი, რა თქმა უნდა, ძლიერ გახარებული იყო, რადგან ხშირად ნანობდა თავის სიჯიუტეს. ამჯერად მისი გულის წადილი ისე ასრულებულიყო, რომ არც თავის დამცირება უწევდა და არც საკუთარი თავისათვის ანგარიშის განწევა. მაგრამ ტურინის სიხარულს არ იზიარებდა ანდროგი და არც ზოგიერთი მისი მეგობართაგანი. მათთვის ცხადი იყო, რომ ბელეგსა და მათ მეტაურს ახლო ურთიერთობა აკავშირებდათ, მათ კი უმაღლავდნენ; ანდროგი ეჭვით აღვსილი უცქერდა მეგობრებს, როდესაც გვერდიგვერდ ისხდნენ და საუბრობდნენ.

ბელეგმა ჰადორის მუზარადი მოუტანა; ფიქრობდა რა, რომ ეს მაინც მისცემდა ბიძგს, დაევიწყებინა ადამიანთა ეს მცირე ჯგუფი და საკუთარი ცხოვრების უფრო ღირებულ მხარეებზე ეფიქრა.

– შენი საკუთრება დაგიბრუნე, – უთხრა ტურინს, როდესაც მან მუზარადი აიღო ხელში. – თან მქონდა ჩრდილოეთ საზღვრებზე; თუმცა ვფიქრობ, რომ მისი არსებობა დღემდე არ დაგვიწყნია.

– ლამის დამავიწყდა, – მიუგო ტურინმა. – თუმცა აღარაფერი იქნება უწინდებურად, – თქვა და მდუმარებაში

ჩაიძირა. შორეთს გაჰყურებდა გონების თვალთ, ვიდრე ბელეგის მოტანილ კიდევ ერთ ნივთს არ მოჰკრა თვალი. ეს გახლდათ მელიანის ძღვენი; ვერცხლისფერ ფოთლებს ცეცხლის შუქზე მენამული შეფერილობა მიელო. ხოლო როდესაც ტურიანმა ბეჭედს შეხედა, თვალთ დაუბნელდა.

– რა გაქვს მანდ? – დაეკითხა ბელეგს.

– უძვირფასესი ძღვენი მათთვის, ვინც გიყვარს, და ვისთვისაც იგი გემეტება, – უპასუხა ბელეგმა. – ეს ლემბასია, ინ-ელიდი, ელდართა საგზაო პური, რომლის გემოც ადამიანს არასდროს გაუსინჯავს.

– ჩემს წინაპართა მუზარადს გამოგართმევ, შენივე კეთილი ნებით შენახულს. – უთხრა ტურიანმა. – თუმცა დორიათიდან გამოგზავნილ არანაირ ძღვენს ხელს არ ვახლებ.

– მაშ, უკან დააბრუნე შენი მახვილი და საჭურველი, – მიუგო ბელეგმა. – ასევე, სიყმანვილეში მიღებული იქაური სწავლებანი და დარიგებანი. შენს ერთგულ ხალხს (როგორც ირწმუნები) სასიკვდილოდ იმეტებ ამ უდაბურ ადგილას, რამეთუ ქედმაღლობა მათი დახმარების ნებას არ გაძლევს! ეს საგზაო პური მე მიძღვნეს და არა შენ. უფლება მაქვს, ისე მოვეპყრა, როგორც მომესურვება. ნუ შეჭამ, თუ ყელში გაგეჩხირება; თუმც ვფიქრობ, სხვანი შენზე მეტად დამშეულნი და ნაკლებ ქედმაღალნი არიან.

ტურიანს თვალეები აუელვარდა, თუმცა როდესაც ბელეგს შეხედა, მათში აგიზგიზებული ცეცხლი მინავლდა და გაიცრიცა. შემდეგ ძლივს გასაგონად ამოთქვა:

– მიკვირს, მეგობარო, როგორ დაბრუნდი უკან, ჩემნაირ უკმეხთან. შენგან ყველაფერს მივიღებ, რასაც მოისურვებ, საყვედურსაც კი. ამიერიდან, იმ გზით ვივლი, რომელსაც შენ მირჩევ, გარდა დორიათისკენ მიმავალი გზისა.



თავი VIII

მშვილდისა და მუზარადის მინა

მომდევნო დღეებში ბელეგი თავდაუზოგავად შრომობდა რაზმის სასარგებლოდ. ყოველ სნეულსა და დაჭრილს მკურნალობდა და ისინიც მალევე იკურნებოდნენ, რამეთუ რუხი ელფები დიდებული მოდგმისანი იყვნენ, ფლობდნენ განუზომელ ძალასა და სიბრძნეს და კარგად იყვნენ განსწავლულნი ცოცხალი ქმნილებების მოპყრობაში. ვალინორიდან დევნილ ელფებს ცოდნითა და ოსტატობით ჩამოუვარდებოდნენ, თუმცა მათი ცოდნა ადამიანთა გონებისაგან მაინც მიუწვდომელი იყო. ამგვარად, ბელეგ მშვილდოსანი გამორჩეული გახლდათ დორიათის სამეფოში; იგი იყო ძლიერი, ამტანი და შორსმჭვრეტელი, როგორც თვალით, ასე გონებითაც. ბრძოლაშიც არ ჰყავდა ბადალი, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვდა, რადგან არა მხოლოდ გრძელ მშვილდსა და ისრის სისწრაფეს ეყრდნობოდა, იმავე ოსტატობით ხმარობდა თავის სახელგანთქმულ ხმალს – ანგლახელსაც. სულ უფრო

იზრდებოდა მიმის გულში ჩაბუდებული სიძულვილი მის მიმართ, რომელსაც ყველა ელფი ჭირივით ეზიზღებოდა და ყოველთვის ეჭვიანი თვალებით უყურებდა ბელეგის მიმართ ტურიონის სიყვარულს.

როდესაც ზამთარი გაიღია და საგაზაფხულო ფაციფუცი ატყდა, აბრაგებს მძიმე სამუშაოების ჩატარების დრო დაუდგათ. მორგოთი კვლავ ამოქმედებულიყო და როგორც ბნელში მოფათურე გრძელი თითები, ისე დაეხეტებოდნენ აღმა-დაღმა მისი მალემსრბოლნი და ბელერიანდში გადმოსასვლელ გზებს იკვლევდნენ. ვინ იცის, რა სიავე უტრიალებდა მორგოთს თავში? განა ვის ძალუძს გაზომოს ფიქრთა სიშორე მელკორისა, ძლევამოსილი სიმღერის მომღერალ ანურთაგან უდიდესის, რომელიც ჩრდილოეთში საკუთარ შავბნელ ტახტზე წამომჯდარიყო და განუზომელი სისასტიკით წონიდა მაცნეთა თუ მოღალატეთა მოტანილ ყოველ ამბავს. გონების თვალთა ჭვრეტდა მტერთა განზრახვებსა და მოქმედებებს და თვით ყველაზე ბრძენნიც კი ძრწოდნენ მისი შიშით, გარდა დედოფალი მელიანისა. ხშირად აღწევდა მისი ფიქრები დედოფლამდე, მაგრამ ისინი მაშინვე ბუნდოვანებაში ინთქმებოდა.

იმ წელს რისხვა სირიონის აღმოსავლეთით მდებარე მიწებისაკენ მიმართა, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილიყო ძალა, რომელსაც შეეძლო წინ აღდგომოდა მას. გონდოლინი სიჩუმეში ჩაძირულიყო და დამალულიყო. დორიათის შესახებ უწყობდა, თუმცა იქ შეჭრას ვერ ახერხებდა. უფრო მოშორებით კი ნარგოთრონდი ეგულებოდა, რომლისკენაც მიმავალი გზა ჯერჯერობით ვერც ერთ მის მსახურს ვერ გაეკვლია და ამ სახელის ხსენებისას ყველანი შიშით ძრწოდნენ; იქ ჯერ კიდევ ცხოვრობდა ფინროდის ხალხი და თავის ძალებს ზოგავდა. შორეუ-

ლი სამხრეთისკენ, ნიმბრეთილის არყნარის თეთრი ტყის გადაღმა, არვერნიენის ნაპირებიდან და სირიონის შესართავებიდან ხმები დაირხა ნავსაყუდლისა და იქ მდგარ ხომალდთა შესახებ. თუმცა იქამდე იგი ვერ მისწვდებოდა, სანამ ყოველს არ აღგვიდა პირისაგან მიწისა.

ამიტომაც, დიდი რიცხოვნობით დაიძრნენ ორკები ჩრდილოეთიდან. ანახიდან გადმოვიდნენ და დიშბარი დაიკავეს. დორიათის ჩრდილო საზღვრებს ჭირივით მოედვნენ და უძველეს გზაზე გამოვიდნენ, რომელიც სირიონის ვიწრო ხეობას მიუყვებოდა, კვეთდა კუნძულს, სადაც ფინროდის მინას-ტირითი წამომართულიყო და სირიონსა და მალდუინს შორის გადაჭიმულ მიწებს მიუყვებოდა ბრეთილის მისადგომების გავლით, ტეიგლინის გადასალახებამდე. იქედან კი ძველი გზა დაცულ დაბლობში შედიოდა და მალლობებს მიუყვებოდა, რომელთაც თავზე ამონ-რუდი გადმოჰყურებდა. გზა ნაროგის ხეობაში ჩადიოდა და ბოლოს, ნარგოთრონდთან სრულდებოდა. თუმცა ორკები ამ გზით ასე შორს წასვლას ჯერ ვერ ბედავდნენ; რადგან ველურ მიწებზე მათთვის საშიშროება იმალებოდა, ხოლო წითლად შეფერილი ბორცვის თავზე მრავალი თვალი ფხიზლობდა, რომელთა შესახებ მათ ჯერ არაფერი უწყოდნენ.

იმ გაზაფხულს ტურინმა კიდევ ერთხელ მოირგო ჰადორის მუზარადი და ბელეგმაც დიდად გაიხარა. რაზმში სულ ორმოცდაათამდე ადამიანი ირიცხებოდა, თუმცა ბელეგის ოსტატობისა და ტურინის სიმამაცის წყალობით, მტრების თვალში გაცილებით მრავალრიცხოვანნი ჩანდნენ.

ორკთა მზვერავეებს იჭერდნენ, მათ ბანაკებს უთვალთვალეზდნენ, ხოლო თუ სადმე ვიწრობში ჯგუფად გადაადგილდებოდნენ, უეცრად ლოდებს ამოფარებული ან ხეთა

ჩრდილებში მიმალული მაღალი და მრისხანე დრაკონის მუზარადი არსაიდან ჩნდებოდა თავის ხალხთან ერთად, საყვირში ჩაბერვისთანავე მტრის მეთაურები უკან იხევდნენ და ორკებიც უკანმოუხედავად გარბოდნენ, სანამ ისარი გაიზუზუნებდა, ან ხმლები ქარქაშიდან ამოეგებოდა.

უკვე ითქვა, რომ როდესაც მიმმა ამონ-რუდის საიდუმლო სამყოფელი ტურინსა და მის რაზმს უწილადა, სანაცვლოდ მოითხოვა, მშვილდის მომზიდავსა და მისი ვაჟის სასიკვდილოდ გამმეტებელს, მშვილდიც და ისრებიც დაემსხვრია და კჰიმის ფერხთით დაეწყო; ეს ადამიანი კი ანდროგი გახლდათ. დიდი უკმაყოფილებითა და იძულებით, ანდროგი მიმის მოთხოვნისამებრ მოიქცა. უფრო მეტიც, მიმმა მას განუცხადა, რომ შემდგომაც აღარასოდეს უნდა აელო ხელში მშვილდ-ისარი და დანყევლა, – საპირისპიროდ მოქცევისას, უთუოდ სიკვდილი ეწეოდა.

იმავე წლის გაზაფხულზე ანდროგმა არად ჩააგდო მიმის წყევლა, კვლავ მშვილდი აიღო ხელში და ბარ-ენდანუედიდან განხორციელებულ იერიშში ჩაება; იერიშის დროს ორკებმა იგი მონამლული ისრით დაჭრეს და უკან ტკივილებით გათანგული, მომაკვდავი მოიყვანეს. თუმცა ბელეგმა უწამლა და სიკვდილს გადაარჩინა. მიმის სიძულვილი კი მის მიმართ ერთი-ორად გაიზარდა, რადგან მან წყევლის ახდენას შეუშალა ხელი. თუმცა მაინც ჩაილაპარაკა: „კვლავ გაინევს იგი საკბენად“.

იმავე წელს ხმები გავრცელდა და მთელ ბელერიანდს მოედო. ტყეებში, მდინარეებსა და ბორცვებზე ხმები მშვილდსა და მუზარადზე ჰყვებოდნენ, – დიმბარში დაეცნენ (როგორც ყველა ფიქრობდა), თუმცა ახლა მკვდრეთით აღმდგარებივით კვლავ გამოჩნდნენო. უამრავ ელფსა და ადამიანს, უმეთაუროდ დარჩენილს, უფლებამართმეულს, თუმცა კვლავ გაუტეხლად მდგარს, დამარცხ-

ებულს, თუმცა ბრძოლაში გადარჩენილს და უშენ მინებზე მცხოვრებს კვლავ გული მისცემოდა და ორი მეთაურის საძებნელად წამოსულიყო. თუმც არ იცოდნენ, სად უნდა ეძიათ მათი ციხესიმაგრე. ტურინი სიხარულით იღებდა რაზმში ყველას, ვინც ამის სურვილს გამოთქვამდა, თუმცა ბელეგის რჩევით, ახალმოსულებს ამონ-რუდის საიდუმლო სამყოფელს არ უმხელდა (რომელიც უკვე „ეხად ი სედრინად“, რწმენით აღსავსეთა ბანაკად იწოდებოდა); იქამდე მიმავალი გზა, მხოლოდ რაზმის ძველმა წევრებმა იცოდნენ და მათ გარდა, სხვა არავინ დაიშვებოდა. თუმცა ბევრი ახალი საგუშაგო და თავდაცვითი შენობა აიგო ახლომახლო, ტყეში, მაღლობებზე და სამხრეთით. მეთედ-ენ-გლადიდან („ტყის დასალიერი“), ტეიგლინის გადასალახებიდან ბარ-ერიბამდე, ამონ-რუდის სამხრეთით რამდენიმე ლიგაში, ნაროგსა და სირიონის ჭაობნარს შორის მდებარე, ერთ დროს ნაყოფიერ მინებამდე მათ ზღუდე გადაჭიმეს. ყველა იმ ადგილიდან შესაძლებელი იყო ამონ-რუდის გვირგვინის დანახვა და სხვადასხვა მინიშნებით სიახლეებისა და ბრძანებების მიღება.

ასე და ამგვარად, სანამ ზაფხული მიიწურებოდა, ტურინის გარშემო თანამებრძოლთა რაოდენობა სულ უფრო გაიზარდა და ანგბანდის მსახურებმა დიდი ძალებით იწყეს უკან დახევა. ცნობებმა ამის შესახებ ნარგოთრონდამდეც მიაღწია და ყველას საფიქრალი გაუჩნდა, – ამბობდნენ, თუ აბრაგს მტრისათვის ამგვარი დარტყმების მიყენება ძალუძს, მაშ, ნაროგის მბრძანებელი რად უქმობსო. თუმცა ნარგოთრონდის მბრძანებელი ოროდრეთი საკუთარ გადაწყვეტილებას არ ცვლიდა. იგი ყველაფერში თინგოლთან თანამშრომლობდა და კავშირები ჰქონდა მაცნეთა საიდუმლო გზების მეშვეობით; გარდა ამისა, მეტად

ბრძენი ხელმწიფე გახლდათ იმ მეფეთა კვალობაზე, ვინც უპირველეს ადგილზე საკუთარ ხალხს აყენებდა და მათ სიცოცხლესა და ქონებას ბოლომდე დაიცავდა გაუმაძღარი ჩრდილოეთისგან.

ასე რომ, საკუთარ ხალხს ტურიანთან წასვლა აუკრძალა. მაცნეები დაგზავნა მასთან და აუწყა, რომ როგორც უნდა წარემართა ომი, ნარგოთრონდისაგან და მისი მიწებისაგან თავი მაინც შორს უნდა დაეჭირა და არც ორკები უნდა გამოედევნა ამ მხარეში. სამხედრო დახმარებას უარობდა, თუმცა სხვა ყველაფერში ორივე მეთაურს თანადგომას უცხადებდა (სავარაუდო იყო, რომ მას თინგოლმა და მელიანმა უბიძგეს ამგვარად მოქცეულიყო).

მორგოთმა თავისი საცეცების ფათური ხშირ-ხშირი, თვალთმაქცური იერიშების შემდგომ მალევე შეაჩერა. იმედოვნებდა, რომ იოლი გამარჯვებების მოპოვებით ამბოხებულები უფრო თავდაჯერებული გახდებოდნენ, რასაც მიაღწია კიდევაც, რადგან ტურიანმა საკუთარი მიწები მონიშნა ტეიგლინსა და დორიათის დასავლეთ საზღვრებს შორის და მათ დორ-კუართოლი უწოდა; თავი მმართველად გამოაცხადა და თვითონაც ახალი სახელი, გორთოლი, საზარელი მუზარადი დაირქვა; იგი თავს მეტად ამაღლებულად გრძნობდა. თუმცა, ბელეგი სხვაგვარად ფიქრობდა, თვლიდა, რომ ტურიანთან ერთად მუზარადიც თითქოს სხვაგვარად გადაჭედილიყო, მოვლენები ისე არ ვითარდებოდა, როგორც იმედოვნებდა; და უჭკრეტდა რა მომავალ დღეებს, დარდი ემატებოდა.

ზაფხულის მიწურულს ის და ტურიანი ეხადში ისვენებდნენ, ხანგრძლივი გარე ბრძოლებისა და აურზაურის შემდგომ. ამ დროს ტურიანმა ბელეგს ჰკითხა:

– რად ხარ ასეთი დარდიანი და ჩაფიქრებული? ნუთუ შენი დაბრუნების შემდგომ, ყველაფერი კარგად არ მიდის? ვინძლო ჩემი განზრახვანი ცუდად წარმოვაჩინე?

– ყველაფერი რიგიანად არის, – მიუგო ბელეგმა. – ჩვენი მტერი კვლავ დაბნეული და შეშინებული ჩანს. ყოველი დღე კარგს გვიქადის, ჯერჯერობით მაინც.

– მაშ, რაშია საქმე? – ჰკითხა ტურინმა.

– ზამთარში, – მიუგო ბელეგმა, – და შემდგომ წელიწადში, რომელიც გადასატანი გვაქვს.

– მაინც ვერ მიგიხვდი სათქმელს.

– ანგბანდის წყევლა. ჩვენ მხოლოდ თითის წვერები დავუწვით შავ ხელს, თუმცა დროებით. ამიერიდან, ის უკან აღარ დაიხვეს.

– განა, მორგოთის განრისხება არ იყო ჩვენი განზრახვა და სიამოვნება? – უთხრა ტურინმა, – კიდევ, რის გაკეთებას მთხოვ?

– თვითონაც კარგად უწყი ყოველი, – მიუგო ბელეგმა. – მაგრამ ამ გზის შესახებ საუბარი ამიკრძალე. თუმცა ახლა მისმინე. მეფეს ან მთავარს, რომელსაც მრავალი ხალხის წინამძღოლობა ევალება, უამრავი საჭიროება აქვს. ხალხს უსაფრთხო თავშესაფარი სჭირდება; აუცილებელია სიმდიდრის დაუნჯება და ასევე ადამიანები, ვინც არა მხოლოდ ბრძოლა იცის, არამედ სხვა აუცილებელ საქმეშიც დახელოვნებულია. რიცხოვნობასთან ერთად დგება მათი გამოკვების საკითხიც, საკვები იმაზე გაცილებით მეტია საჭირო, ვიდრე ამას ტყე აძლევს მონადირეებს. დაბოლოს, დგება საიდუმლოების საკითხი. ამონ-რუდი მცირერიცხოვანთათვის კარგი სამალავია – მას თვალებიც აქვს და ყურებიც, მაგრამ განმარტოებით დგას და მისი შემჩნევა საკმაოდ შორიდანაც შეიძლება; საჭირო არ არის მის გარშემო ბევრი ადამიანი იყოს თავ-

მოყრილი – ისინიც სრულიად საკმარისია, ვინც ამჟამად მას იცავს, უკვე ისედაც ბევრნი ვართ და, შესაძლოა, მალე აქ კიდევ ბევრნი მოვიდნენ.

– და მაინც, მე ჩემი ხალხის წინამძღოლად დავრჩები. – თქვა ტურინმა, – და თუ დავმარცხდები, დაე, ასე იყოს. მე მორგოთს წინსვლის საშუალებას არ მივცემ და სანამ აქ ვდგავარ, ის ვერასდროს შეძლებს სამხრეთის გზის გამოყენებას.

ამბები დრაკონის მუზარადის სირიონის აღმოსავლეთით ყოფნის შესახებ სწრაფად მივიდა მორგოთის ყურამდე და მას ჩაეცინა, რადგან ტურინი, რომელსაც აქამდე მელიანის ჩრდილები და საბურველი იფარავდა კვლავ გამოაშკარავებულ იყო მის წინაშე. თუმცა ჯერ კიდევ აშინებდა ის გარემოება, რომ ტურინი შესაძლოა იმდენად ძლევამოსილი გამხდარიყო, რომ წყევლისგან თავი დაეღწია და იმ ბედისწერას გაჰქცეოდა, რომელიც მისთვის ასე საგულდაგულოდ მომზადდა, ან სულაც, უკან დაეხია დორიათისკენ და კვლავ გაუჩინარებულ იყო მისი თვალსაწიერიდან. ჯერჯერობით მორგოთს ტურინის შეპყრობა ეწადა და მისი იმგვარად დატანჯვა, როგორც მამამისი ტანჯა, სურდა, უფრო ძლიერადაც კი ეწამებინა და დაემონებინა.

სიმართლე თქვა ბელეგმა ტურინთან საუბრისას, – მათ შავი ხელის მხოლოდ საცეცები დაწვეს და ამიერიდან, ის უფრო გაშმაგდებოდა. მაგრამ მორგოთი მალავდა თავის განზრახვებს და იმ დროისათვის მხოლოდ გამოცდილ მსტოვართა გაგზავნით კმაყოფილდებოდა; და იქიდან მოყოლებული, ამონ-რუდი ჯაშუშებით გაივსო, შეუმჩნევლად დაეხეტებოდნენ ველურ მიწებზე და მათ აკვირდებოდნენ.

მხოლოდ მიმმა იცოდა ამონ-რუდის ირგვლივ მოთარეშე ორკთა შესახებ და მის გულში დავანებულმა სიძულვე-

იღმა ბელეგისადმი აიძულა, უკეთური გადანყვეტილება მიელო. წლის მიწურული იდგა, როდესაც ერთ დღეს მიმმა ბარ-ენ-დანუედში მყოფთ განუცხადა, რომ თავის ვაჟთან, იბუნთან ერთად, გარეთ მიდიოდა ველური ფესვების ზამთრის მარაგის შესავსებად; სინამდვილეში, მისი განზრახვა მორგოთის მსახურთა მოძებნა და ტურინის სამალავისკენ მათი წაძლოლა გახლდათ. ყველაფრის მიუხედავად, ის მაინც შეეცადა გარკვეული მოთხოვნები წაეყენებინა ორკების წინაშე, რაზედაც ხორხოცი დააყარეს, მიმმა კი საპასუხოდ მიუგო, რომ ძალიან ცოტა რამ იცოდნენ ჩია-ჯუჯათა შესახებ და მწარედ ცდებოდნენ თუკი ფიქრობდნენ, რომ წამებით შეძლებდნენ მისგან რამე დაეტყუებინათ. მაშინ დაეკითხნენ, თუ რა მოთხოვნები ჰქონდა და მიმმაც მოითხოვა, რომ ყოველი შეპყრობილი კაცის წონა რკინით გადაუხდიდნენ, ხოლო ტურინისა და ბელეგის შემთხვევაში – ოქროთი; როდესაც ტურინისა და მის რაზმს გააუვნებლებდნენ, მიმს სახლი დარჩებოდა და თვითონაც ხელშეუხებელს დატოვებდნენ; ბელეგს გაბანრავდნენ და მის ბედს მიმს მიანდობდნენ, ხოლო ტურინს გაუშვებდნენ.

მორგოთის მსახურები ამ მოთხოვნებს უმაღვე დათანხმდნენ, თუმცა, რასაკვირველია, არც ერთი მათგანის შესრულებას არ აპირებდნენ. ორკთა მეთაური ფიქრობდა, რომ ბელეგის ბედის¹ მიმის ხელში მიბარება შესაძლებელი იყო; თუმცა მიმმა ანგბანდში ტურინის ცოცხლად გაშვებაზე უარი თქვა და მოთხოვნების შეჯერებისას ორკთა ბელადმა იბუნის თავდებად დატოვება მოითხო

¹ თუმცა, არსებობს კიდევ ერთი ამბავი, რომლის მიხედვითაც მიმი ორკებს განზრახ არ შეხვედრია. საქმე მისი ვაჟის შეპყრობასა და დაშანტაჟებას ეხებოდა, თუ მიმი ლალატზე არ წავიდოდა, იბუნს ანამებდნენ.

ოვა, რამაც მიმი დააფრთხო და მან განზრახვის უკან წაღება, ანდა სულაც, გაქცევა მოინდომა. მაგრამ ორკებს მისი ვაჟი ხელთ ჰყავდათ, რამაც მიმი აიძულა, ისინი ბარ-ენ-დანუედისაკენ წაეყვანა. ასე გაიცა სახლ-გამოსასყიდის ადგილსამყოფელი.

უკვე ითქვა, რომ ამონ-რუდს თავზე არსებულ კლდოვან მასას, რომელიც მის გვირგვინს წარმოადგენდა, ბრტყელი, მოშიშველებული ზედაპირი ჰქონდა. მის ციცაბო კედლებზე ასვლა და გვირგვინის თხემზე აღწევა მხოლოდ კლდეში გამოკვეთილი კიბეებით გახლდათ შესაძლებელი, რომელიც მიმის სახლის შესასვლელთან გამოზრდილ შვერილს აღმა მიუყვებოდა. ზემოთ გუშაგები იდგენენ და ვინმეს მოახლოებაზე ნიშანს იძლეოდნენ. მაგრამ მიმის წყალობით, ისინი შვერილზე ავიდნენ, კარიბჭემდე მიაღწიეს და ტურინი და ბელეგი ბარ-ენ-დანუედის შესასვლელისკენ გამოდევნეს. ვინც კი კლდეში გამოჭრილი კიბეებით ზევით ასვლა განიზრახა, ორკებმა ისრებით ჩახოცეს.

ტურინმა და ბელეგმა კვლავ მღვიმისკენ დაიხიეს და გასასვლელი უზარმაზარი ლოდით ჩახერგეს. სწორედ ასეთ რთულ დროს გაუმხილა ანდროგმა მათ საიდუმლო კიბის არსებობა, რომელიც ამონ-რუდის გვირგვინის თავზე ადიოდა და, როგორც მოთხრობილი იყო, მაშინ აღმოაჩინა, როდესაც მღვიმეში დაკარგული დაეხეტებოდა. ტურინი და ბელეგი, სხვა მრავალ თანარაზმელთან ერთად, კიბეებით ზემოთ ავიდნენ და ბორცვის თავზე მოექცნენ, ორკთა იმ მცირე ჯგუფის გასაკვირად, რომელთაც გარეთა კიბეებით ესარგებლათ გვირგვინის თავზე ასასვლელად. მცირე ხანი უმკლავდებოდნენ კლდეზე ამომძვრალ ორკებს, თუმცა გვირგვინის წვერზე ვერაფერს შეეფარებოდნენ, ამიტომ ბევრი მათგანი ქვემოთ

მდგარმა ორკმა მშვილდოსნებმა დახოცეს... მათ შორის, ყველაზე თავდადებული ანდროგი გახლდათ, რომელსაც გარეთა კიბეზე მდგარი ორკი მეისრისგან ნასროლი, სასიკვდილო ისარი თავში მოხვდა.

ტურინმა და ბელეგმა ცოცხლად დარჩენილ ათ კაცთან ერთად მწვერვალის შუაგულისკენ დაიხიეს, იქ, სადაც ლოდი იდო. მის გარშემო წრე შეკრეს, რათა თავი დაეცვათ, თუმცა ორკებმა ყველანი ამოხოცეს, მხოლოდ ტურინი და ბელეგი გადარჩნენ, მაგრამ მათ ბადე ესროლეს და შეიპყრეს. ტურინი გაბანრეს და წაათრიეს; დაჭრილი ბელეგიც შებორკეს, თუმცა რკინის ბორკილებით ხელ-ფეხშეკრული ლოდზე მიაბეს.

შეიტყვეს რა მწვერვალზე ამომავალი საიდუმლო კიბის შესახებ, ორკებმა კვლავ პირი იბრუნეს და ბარ-ენ-დანუედს მიაშურეს, რომელიც წაბილწეს და ააოხრეს. მღვიმეებში მიმალული მიმი ვერ იპოვეს. ის მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როდესაც ორკები წავიდნენ და იქით გაემართა, საითაც მინაზე გართხმული ბელეგი უძრავად იწვა. უყურებდა ღვარძლიანი მზერით და დანას ლესავდა.

თუმცა მხოლოდ მიმი და ბელეგი არ იყვნენ ცოცხლად გადარჩენილი იმ კლდოვან მალლობზე.

სასიკვდილოდ დაჭრილი ანდროგი დაცემულთა გვამებს გადმოახოხდა და ხელში მომარჯვებული ხმალი მიმისკენ ისროლა.

მოულოდნელობისგან დამფრთხალი ჯუჯა კლდის ნაპირისაკენ გაიქცა და ქარაფიდან გაუჩინარდა: თხის ციცაბო ბილიკით დაეშვა დაღმა, რომლის შესახებაც მხოლოდ თვითონ იცოდა. ანდროგმა კი უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, ბელეგის ხუნდები გადაჭრა და გაათავისუფლა; მომაკვდავმა ბოლოს ეს სიტყვები თქვა: „ჩემი ჭრილობები იმდენად მძიმეა, რომ შენი კურნებაც კი უძლურია“.



თავი IX

ბელეგის აღსასრული

ბელეგი დაღუპულთა შორის დაეძებდა ტურინს, რათა დაემარხა; თუმცა მის ცხედარს ვერსად მიაკვლია. მოგვიანებით შეიტყო, რომ ჰურინის ვაჟი ცოცხალი გადარჩა და ანგბანდის გზას გაუყენეს. თუმცა ბელეგი ჯერ უძლური იყო, რამე ელონა. ბარ-ენ-დანუედში დარჩა, ვიდრე ქრილობები არ მოიშუშა, შემდგომ კი მცირე იმედებით გაუდგა გზას, რომ სადმე ორკების კვალი მაინც ეპოვა. ტეიგლინის გადასალახებთან წააწყდა მათ კვალს. აქ ის რამდენიმე ნაწილად იყოფოდა, ზოგი მათგანი ბრეთილის ტყის მისადგომებს მიუყვებოდა ბრითიახის ფონის მიმართულებით. დანარჩენი ნაკვალევი კი დასავლეთისკენ მიდიოდა; ბელეგისათვის ცხადი იყო, რომ ანახის ვინრობის გავლით ჩრდილოეთისკენ მოჩქარეთა კვალს უნდა გაჰყოლოდა. ასე და ამგვარად მან დიშბარი გადაიარა, შემდგომ ანახის ვინრობს ერედ-გორგოროთის, შემზარავი მთების გავლით აღმა აუყვა და ბოლოს ტაურ-ნუ-ფუინის

მალლობებში შეაბიჯა, ღამის ჩრდილებით მოცულ ტყეებში, მოხეტიალეთა და უიმედოთა მომნუსხველ შემზარავ და ბნელ მხარეში.

იმ ავის მომასწავებელ მინებზე შემოაღამდა. სწორედ ამ დროს, ბედად, მცირე ნათებას მოჰკრა თვალი ხეებს შორის, მიჰყვა რა ნათებას, ადგილზე მისულს ელფი დახვდა, რომელიც მძინარე მიწოლილიყო უზარმაზარი გადამხმარი ხის ქვეშ: თავთან ლამპარი ედგა, რომელსაც საბურველი წასძრობოდა. ბელეგმა მძინარე გამოაღვიძა და ლემბასი უწილადა, შემდგომ კი გამოჰკითხა, თუ რა უბედობამ მოიყვანა ასეთ საშინელ ადგილას; ელფმა საკუთარ თავს გუინდორი ძე გუილინისა უწოდა.

ბელეგი მოლუშული შესცქეროდა, რამეთუ უწინდელი მტკიცე და მედგარი გუინდორისაგან ახლა მოხრილი და დაბეჩავებული აჩრდილიდა დარჩენილიყო, ურიცხვი ცრემლის ომში, ნარგოთრონდელმა დიდებულმა ანგბანდის კარიბჭეშიც კი შეაღწია, სადაც ის საბოლოოდ ტყვედ ჩაიგდეს. დატყვევებულ ნოლდორთა მხოლოდ მცირე ნაწილს გამოუტანა მორგოთმა სასიკვდილო განაჩენი, რადგან ისინი შესანიშნავად იყვნენ განსწავლული ლითონთა და ძვირფას თვალთა მოპოვების საქმეში; გუინდორიც გადაურჩა სიკვდილს და ჩრდილოეთის მაღაროებში გაამწესეს სამუშაოდ.

ნოლდორები უამრავ ამგვარ ფეანორისეულ ლამპრებს ფლობდნენ, რომლებიც ჯაჭვისაგან ლამაზად ნაქსოვ ბადეში დაკიდებულ კრისტალებს წარმოადგენდნენ. კრისტალებს უქრობი ლურჯი ფერის გამოსხივება ჰქონდათ და იგი საუცხოო ნივთი გახლდათ ბნელ ღამეში ან გამოქვაბულში გზის გასაგნებად; თუმცა ამ საკვირველი ლამპრების წარმოშობის საიდუმლო თვითონაც არ უწყოდნენ. მისი წყალობით უამრავმა ელფმა გაიკვლია გზა მაღარ-

ოებში და გაქცევა მოახერხა; გუინდრომა კი ხანჯალიც მიიღო საჩუქრად ერთი იქაური მჭედლისაგან და ერთხელაც, როდესაც სხვებთან ერთად მაღაროში ქვას ამტვრევდა, უეცრად მცველები მოიჭრნენ და ყველა ალყაში მოაქციეს. მან გაქცევა მოახერხა, თუმცა ცალი ხელი მოჰკვეთეს, და ახლა არაქათგამოცლილი ესვენა ტაურ-ნუფუინის მაღალ ფიჭვებქვეშ.

ბელეგმა გუინდორისაგან შეიტყო, რომ აქ უკვე გაეწვლო ორკთა მცირერიცხოვან რაზმს, რომელსაც იგი ემალებოდა, თუმცა მათ ტყვე არ ჰყოლიათ და წინ სწრაფად მიიწევიდნენ: შესაძლოა, მონინავე რაზმის წევრები იყვნენ, რომელთაც ანგბანდში შეტყობინება მიჰქონდათ. ამ ახალმა ამბავმა ბელეგი უიმედობაში ჩააგდო; რადგან ხვდებოდა, რომ ტეიგლინის გადასალახების გამოვლის შემდგომ ნანახი კვალი, რომელიც დასავლეთისკენ უხვევდა, სწორედ ორკთა იმ დიდი დაჯგუფებისა იყო, რომელიც ნამდვილი ორკული მანერით გამოირჩეოდა, საკვების მოსაპოვებლად დათარეშობდა და ყველაფერს ძარცვავდა. შესაძლოა, ახლა ისინი ანგბანდისაკენ „ვინრო მინების“ გავლით მიდიოდნენ, სირიონის გრძელი ხეობით, შორეული დასავლეთის მხრიდან. თუ ყველაფერი სწორედ ამგვარად იყო, მაშინ მისი ერთადერთი იმედი ბრითიახის ფონთან დაბრუნება, ხოლო შემდგომ ჩრდილოეთით, ტოლ-სირიონამდე მიღწევა იყო. როდესაც ძლივძლივობით შეეგუა ამ აზრს, სწორედ მაშინ მოესმა სამხრეთიდან ტყის გავლით მომავალი რაზმის ხმაური; ხის ტოტებს მიღმა მიმალული უთვალთვალებდნენ მგლების გარემოცვაში ზღაზვნით მომავალ მორგოთის მსახურებს, ნადავლითა და ტყვეებით დამძიმებულებს. უცებ ტურიონი დაინახეს, რომლისთვისაც ხელები შეებორკათ და მათრახის ცემით მიდევნიდნენ. მაშინ ბელეგმა უამბო

ტაურ-ნუ-ფუინში შემოსვლის მიზეზი; ხოლო გუინდორი ცდილობდა გადაერწმუნებინა, ეუბნებოდა, რომ ტურინს ვერაფერში დაეხმარებოდა და რომ ისინი საშინელი ტანჯვის გარდა, ვერაფერს მიიღებდნენ. თუმცა ბელეგი მაინც არ აპირებდა ტურინის მიტოვებას და მიუხედავად საკუთარ გულში არსებული უიმედობისა, გუინდორს იმედის ნაპერწკალი გაუღვივა და ერთად ჩაუდგნენ კვალში ორკებს, მანამ სდიეს, ვიდრე ტყის დასალიერს არ მიაღწიეს და შემალლებულზე არ გავიდნენ, იქიდან გზა თავდაღმა ეშვებოდა, ანფაუგლითის შიშველი გორაკებისკენ. ერთი გადახრიოკებული ველისკენ, შორეთიდან გამოჩრილი თანგოროდრიმის მწვერვალთა ფონზე ორკებმა ბანაკი დასცეს. გარშემო მგლები დაიყენეს გუშაგებად. თვითონ კი ქეიფსა და ღრეობას მიეცნენ თავიანთ ნაყაჩაღარზე. შემდეგ, აწამეს რა ტყვეები, გაღეშილნი ღრმა ძილს მიეცნენ. ამ დროს უკვე დღის სინათლეც გაიღია და უკუნი ჩამოწვა. დიდი ქარიშხალი მოვარდა დასავლეთიდან და როდესაც ბელეგი და გუინდორი ბანაკისაკენ მოიპარებოდნენ, მეხი ჩამოვარდა შორეთში.

როდესაც ბანაკში ყველა ძილს მიეცა, ბელეგმა მოიმარჯვა მშვილდი და ჩამოწოლილ სიბნელეში ებგურად მდგარი ოთხი მგელი ერთმანეთის მიყოლებით ჩუმად გამოასალმა სიცოცხლეს. შემდეგ რის ვაი-ვაგლახით შეიპარნენ ბანაკში და ხელფეხშებორკილი, ხეზე მიბმული ტურინი იპოვეს. ყველა დანა, რომელიც მწვალებლებს მისთვის ესროლათ ხეში ჩაჭედდითიყო, თვითონ კი ნაკანრიც არ ჰქონდა; თუმცა უგონოდ ეგდო, სანამ ლავისაგან გაშეშებულიყო ანდა ხანგრძლივი უძილობისაგან გონება დაჰკარგოდა. მაშინ გუინდორმა და ბელეგმა ტურინი ხიდან ჩამოხსნეს და ბანაკიდან გაათრიეს. მაგრამ იგი სატარებლად მეტად მძიმე გამოდგა, ამიტომ შორიახლოს,

ბანაკის თავზე, ციცაბო ბექობზე ამოსულ ეკლის ბუჩქებამდე მიიყვანეს. როდესაც ძირს დაანვინეს, ქარიშხალი უფრო მიუახლოვდათ, ხოლო თანგოროდრიმის თავზე ელვა გაიკლაკნა. ბელეგმა ხმალი, ანგლახელი მოიმარჯვა და ტურიანის ბორკილები გადაჭრა; თუმცა იმ დღეს ბედისწერა უფრო მჭრელი გამოდგა, რამეთუ ეოლის, ბნელი ელფის მახვილი ხელში კარგად ვერ შეიმაგრა და ტურიანს ტერფში ჩასცა.

მოულოდნელობისაგან შეშინებული და განრისხებული ტურიანი უეცრად გონს მოეგო. გაიელვა რა მის თვალებში მახვილმომარჯვებული ფიგურის სილუეტმა, ყვირილით წამოხტა, იფიქრა, ორკები კვლავ ჩემს საწამებლად მოვიდნენო; გამართული შეხლა-შემოხლის დროს იგი ანგლახელს დასწვდა და მტრად მიჩნეული ბელეგ კუთალიონი განგმირა.

თუმცა სწორედ მაშინ, როდესაც თავი გაითავისუფლა და მზად იყო, წარმოსახვით მტერს ზედ შეკვდომოდა, უეცრად მათ თავზე ძლიერად გაიელვა და მის ნათელში ძირს გართხმული ბელეგის სახეს მოჰკრა თვალი. ტურიანი გაქვავდა და დადუმდა, რადგან მიშტერებოდა რა ამ შემზარავ სიკვდილს, ნელ-ნელა ხვდებოდა, რა ჩაიდინა; და იმდენად შემზარავი გახლდათ მისი სახე ცაში გაკლაკნილი ელვის მკრთალ ნათელზე, რომ გუინდორი მინამდე დაიხარა და თავის აწევას ვერ ბედავდა.

დაბლა ბანაკში კი ორკებს ჭექა-ქუხილისა და ტურიანის მგრგვინავი ხმები შემოესმათ და გამოფხიზლებულთ აღმოაჩინეს, რომ ბანაკში აღარ იყო. თუმცა ძებნა არც უცდიათ, რადგან დასავლეთიდან მოახლოებული ქარიშხლის გამო შეძრწუნებული იყვნენ, რამეთუ ფიქრობდნენ, რომ ის დასავლელმა დიადმა მტრებმა მოუვლინეს მათ. შემდეგ ქარი ამოვარდა და კოკისპირული წვიმა დაიწყო,

ხოლო ტაურ-ნუ-ფუინის მალლობებიდან ღვარცოფი მოვარდა და თუმცა გუინდორი ტურინს თავის შველისკენ მოუწოდებდა, მას ხმა არ გაუცია, უძრავად და მდუმარედ, ცრემლდამშრალი იდგა ბნელ ტყეში მწოლი ბელეგ კუთალიონის სხეულთან, რომელიც საკუთარი ხელებით განგმირა, თანაც მაშინ, როდესაც იგი მისი მონური ბორკილების განყვეტას ცდილობდა.

გათენდა. ქარიშხალმა აღმოსავლეთით, ლოთლანის მიღმა გადაიარა, ცაზე კი შემოდგომის მზე ამოჩახჩახდა, მცხუნვარე და კაშკაშა; ორკებს ასეთი ამინდი თითქმის ისევე სძულდათ, როგორც ჭექა-ქუხილი, და რადგან უკვე დარწმუნდნენ, რომ ტურინი შორს იმყოფებოდა და მისი კვალიც დედამიწის პირიდან გადარეცხილიყო, აჩქარებით გაეშურნენ ჩრდილოეთისკენ. გუინდორმა შორიდანაც შეამჩნია ისინი, ანფაუგლითის მხრჩოლავი ქვიშების გავლით ჩრდილოეთისაკენ მიმავალნი. ისე მოხდა, რომ ხელცარიელი დაბრუნდნენ მორგოთთან და ხელიდან დაუსხლტდათ ჰურინის ვაჟი, რომელიც ჭკუაშერყეული, უგონოდ იჯდა ტაურ-ნუ-ფუინის ფერდობებზე და გულს იმაზე მეტად მძიმე ტვირთი აწვა, ვიდრე ორკთა ხუნდები იყო.

გუინდორმა ტურინი გამოაფხიზლა, რათა ბელეგის დაკრძალვაში დახმარებოდა, ის კი ისე წამოდგა, თითქოს ისევ ძილში იყო; თავთხელი სამარე გაუჭრეს ბელეგს და ბელთრონდინგთან, ურთხმლის ხისგან გამოთლილ, თავის დიდ მშვილდთან ერთად ჩაასვენეს. ურჩი მახვილი ანგლახელი კი გუინდორმა დაიტოვა, – უმჯობესია, ამ ხმალმა შური იძიოს მორგოთის მსახურებზე, ვიდრე უქმად იწვეს მიწაში; მან ასევე აიღო მელიანის საგზაო პური ლემბასი, რათა უშენ ადგილებში შეხეტებულებს ძალა შემატებოდათ.

ამგვარად აღესრულა ბელეგ მშვილდმაგარი, უერთ-გულესი მეგობარი, ყველაზე გამოცდილი მათ შორის, ვისაც კი ოდესმე ადრეულ დღეებში ბელერიანდის ტყეებში უცხოვრია. აღესრულა მისი ხელითვე, ვინც სამყაროს მიჯნებში ყველაზე მეტად უყვარდა. განცდილი მწუხარება კი ტურიანს სამუდამოდ აღებეჭდა სახეზე და აღარასდროს მოსცილებია.

სიმამაცე და ძალა მალევე განუახლდა ნარგოთრონდელ ელფს და მან ტაურ-ნუ-ფუინიდან შორს წაიყვანა ტურიანი. მაშინაც კი, როდესაც ერთად მიუყვებოდნენ გრძელ და მწუხარებით დამძიმებულ ბილიკებს, ტურიანი ხმას არ იღებდა, უმიზნოდ და უგერგილოდ მიათრევდა ფეხებს, ამასობაში კი წლის ბოლომ მოაწია და ზამთარმა შემოდგა ფეხი ჩრდილოეთის მიწებზე. გუინდორი მუდამ ტურიანის გვერდით იდგა და არასდროს ტოვებდა. ასე მიიწვედნენ წინ სირიონის დასავლეთ მიწებზე და ბოლოს, გაშლილ ველზე, ეითელ-ივრინის თვალწარმტაც ტბასთან გამოვიდნენ, იმ წყაროებთან, საიდანაც ნაროგი იღებდა სათავეს „წყვდიადის მთების“ სიღრმეებიდან. იქ კი გუინდრომა ტურიანს უთხრა:

– გამოფხიზლდი, ტურიან ჰურიანის ძევ! ივრინის ტბა ხომ უსასრულო სიცილის სავანეა. ის კამკამა შადრევნით იკვებება, რომელიც არასდროს შრება და წარწყმედისაგან თვით ულმო, წყალთა მბრძანებელი იცავს, რომელმაც ეს მშვენიერება უხსოვარ დროს შექმნა.

მაშინ ტურიანი დაიხარა და უხვად შესვა წყალი; უეცრად იგი ძირს დაემხო, ცრემლების ნიაღვარი მოსწყდა თვალებიდან და განიკურნა სიგიჟისაგან.

აქ მათ სიმღერა შეთხზეს ბელეგზე და უნოდეს მას სახელად ლაერ კუ ბელეგ, დიდი მშვილდის სიმღერა. მღეროდნენ ხმამაღლა, მიუხედავად განცდილი მწუხარები-

სა. გუინდორმა კი მას ანგლახელი ჩაუდო ხელებში. ტურინმა იცოდა, რომ მძიმე და ბასრი მახვილი იყო; თუმცა ამჯერად შავი ფერი დასდებოდა, შელახულიყო და პირი დაჰბლაგვებოდა. მაშინ გუინდორმა უთხრა:

– უცნაური მახვილია, მსგავსი შუახმელეთში არ მეგულება. იგი ისევე გლოვობს ბელეგს, როგორც შენ. მაგრამ მშვიდად იყავ; რამეთუ მე ნარგოთრონდში ვბრუნდები, ფინარფინის სამყოფელში, იქ, სადაც დავიბადე და ვცხოვრობდი, ვიდრე მწუხარება მეწეოდა. შენც ჩემთან ერთად წამოდი, ჭრილობებს მოიშუშებ და ძალებს აღიდგენ.

– ვინ ხარ? – ჰკითხა ტურინმა.

– მოხეტიალე ელფი, გაქცეული მონა, რომელსაც ბელეგი შეხვდა და დაუძმობილდა, – მიუგო გუინდორმა.

– თუმცა, ერთ დროს გუინდორი, ნარგოთრონდელი თავადის, გუილინის ძე ვიყავ, ვიდრე ნირნაეთ-არნოედიადს გავეშურებოდი, საიდანაც ანგბანდში მონად წამიყვანეს.

– მაშ, თუ ასეა, ჰურინ გალდორის ძეს ხომ არ შეხვედრიხარ, დორ-ლომინელ მეომარს? – დაეკითხა ტურინი.

– არ მინახავს, – მიუგო გუინდორმა. – თუმცა, ანგბანდში ხმები დადიოდა, რომ იგი იმ დღემდე ანბილებდა მორგოტს; და რომ მორგოტმა დასწყევლა ის და მისი შთამომავალნი.

– ამის მეც მჯერა, – მიუგო ტურინმა.

შემდეგ წამოდგნენ, უკან მოიტოვეს ეითელ-ივრინი და ნაროგის ხეობას სამხრეთით დაუყვნენ, მანამ იარეს, სანამ ელფმა მზირებმა არ შეიპყრეს და დაცულ სიმაგრეში არ წაიყვანეს ტყვეებად.

ასე მივიდა ტურინი ნარგოთრონდში.



თაზი X

ტურიანი ნარბოტრონდში

თანამოძმეებმა თავდაპირველად გუინდორი ვერ იცნეს, რომელიც ახალგაზრდა და ღონიერი წასულიყო, ხოლო უკან მოკვდავივით დაბერებული დაბრუნდა, რაც აქამდე გადატანილი წამებისა და გაუსაძლისი ყოფის ბრალი გახლდათ; ამ ყველაფერს ისიც ემატებოდა, რომ იგი დასახიჩრებული დაბრუნდა. მაგრამ ფინდუილასმა, ოროდრეთ მეფის ქალიშვილმა იცნო ის და თბილად შეეგება, რამეთუ უყვარდა და ნირნაეთში წასვლამდე დაინიშნენ კიდევაც. გუინდორსაც იმდენად ძლიერ უყვარდა იგი, რომ ფაელივრინს ეძახდა, რაც ივრინის გუბურებზე მზის სხივების ციმციმს ნიშნავს.

ასე მოვიდა გუინდორი სახლში და მისი წყალობით, ტურინიც მასთან ერთად შემოუშვეს, რადგან გუინდორმა იგი წარადგინა, როგორც ერთგული ადამიანი და უახლოესი მეგობარი დორიათელი ბელეგ კუთალიონისა. ხოლო



როდესაც გუინდორს მისი სახელი უნდა გამოეცხადებინა, ტურინმა დაასწრო და წარმოთქვა:

– მე მქვია აგარუაენი, ძე უმართისა (რაც ნიშნავს სის-
ხლისლაქებიანს, უბედოს ძეს). მონადირე გახლავართ.
ელფები მიხვდნენ, რომ ეს სახელები მან მეგობრის მოკვ-
ლის გამო შეირქვა და აღარაფერი უკითხავთ.

ანგლახელი კი მისთვის ხელახლა გადაჭედეს ნარ-
გოთრონდელმა მჭედლებმა და მათი მანქანებით შავი შე-
ფერილობის მახვილის პირზე მკრთალი ცეცხლი აღდე-
ბოდა. ამის შემდგომ ტურინს ნარგოთრონდში მორმეგი-
ლი, შავი ხმალი უწოდეს, ამ მახვილით ჩადენილ საქმეთა
შესახებ გავარდნილი ხმების გამო. თუმცა თავად ხმალს
გურთანგი, სიკვდილის რკინა უწოდა.

სიქველისა და ორკებთან ბრძოლაში დაგროვებული
გამოცდილების გამო, ტურინმა ოროდრეთის კეთილგან-
წყობა დაიმსახურა და მალე საბჭოშიც მიიღეს. ტურინს
არ მოსწონდა ნარგოთრონდელ ელფთა ბრძოლის მეთო-
დი, რაც ჩასაფრებას, მალვასა და ისრებით უჩუმრად ხო-
ცვას გულისხმობდა. მოუწოდებდა მათ, რომ დაევიწყე-
ბინათ ამგვარი ხერხი და მთელი ძალები მტრის მსახურთა
წინააღმდეგ იერიშებში დაეხარჯათ – ღია ბრძოლასა და
დევნაში. თუმცა ამ საკითხში გუინდორი მის საწინააღმ-
დეგო რჩევას იძლეოდა, ამბობდა, რომ დიდხანს იმყოფე-
ბოდა ანგბანდში და იცოდა, თუ რა შეეძლო მორგოთს და
მის განზრახვებზეც ჰქონდა წარმოდგენა.

– მცირე გამარჯვებანი საბოლოოდ შედეგს ვერ გა-
მოიღებს, – ამბობდა ის, – რამეთუ ამგვარად მორგოთი
შეიტყობს, თუ რაში მდგომარეობს მეტოქის სისუსტე და
სწორედ იქით მიმართავს ძალებს, რათა გაანადგუროს.
მხოლოდ ელფთა და ედაინთა ყველაზე ძლევა მოსილ
გაერთიანებას შეუძლია მისი ალყაში მოქცევა და ალყ-

ის დიდხანს შენარჩუნება. ეს შესაძლოა, საკმაოდ დიდხანსაც გაგრძელდეს, თუმცა მხოლოდ იმდენ ხანს რამდენიც მორგოთს მის გასარღვევად დასჭირდება; შეუძლებელია, კიდევ ერთხელ შედგეს ამგვარი კავშირი. მხოლოდ საიდუმლოშია გადარჩენილის ხსნა, სანამ ვალარები არ მოვლენ.

– ვალარები! – აღმოხდა ტურინს, – შენ მიგატოვეს, ხოლო ადამიანები შეურაცხყვეს. რა აზრი აქვს დასავლეთით, უსასრულო ზღვის გადაღმა ჩამავალი მზის ცქერას? არსებობს მხოლოდ ერთი ვალა, ვისთანაც საქმე გასარკვევი დაგვრჩა და ის მორგოთია; და თუ საბოლოოდ მაინც ვერ მოვახერხებთ მის დამარცხებას, სულ მცირე, ზიანს ხომ მაინც მივაყენებთ, ხელს ხომ მაინც შევუშლით. რამეთუ გამარჯვება გამარჯვება არს მაინც, თუნდაც მცირედი იყოს იგი. ხშირად ღირებულება, შედეგიდან გამომდინარე, არ იზომება, ამგვარად იგი უფრო მიზანშეწონილია, ვინაიდან ბოლომდე მალვა შეუძლებელი იქნება. ერთადერთი კედელი, რაც მორგოთს შეაჩერებს, ეს მის წინააღმდეგ ღიად გალაშქრებაა. თუ არაფერს მოიმოქმედებ მის შესაჩერებლად, მთელ ბელერიანდს მრავალი წელი მისი წყვდიადი შთანთქავს. მერე კი საკუთარი სოროებიდან ნელ-ნელა გამოგაძევებთ. რა მოხდება შემდეგ? გადარჩენილი საბრალო ხალხი სამხრეთითა და დასავლეთით გაიქცევა, მორგოთსა და ოსეს შორის მომწყვდეული კი ზღვის ნაპირებზე ძრწოლისაგან წელში მოიდრიკება. მიუხედავად დღემოკლეობისა, უმჯობესია, ჩვენი სიცოცხლეს გამარჯვებებს შევალიოთ, რამეთუ ამგვარად უარესი დასასრული მაინც არ გველის. შენ საუბრობ საიდუმლოებაზე და ამბობ, რომ მხოლოდ მასში ძევს ხსნა; მაგრამ განა ძალგიძს, გაუმკლავდე მორგოთის თითოეულ მზირსა და ჯაშუშს, ამოჟლიტო უკლებლივ, ისე, რომ ვერც ერთ-

მა მათგანმა ველარ მიიტანოს ცნობები ანგბანდში. ასეც რომ იყოს, მაშინაც კი შეიტყობს მორგოთი თქვენს არსებობას და იმასაც მიხვდება, თუ სად იმყოფებით. გეუბნებით თქვენ: თუმცა მოკვდავი ადამიანები ელფებთან შედარებით უამმოკლენი არიან, მაინც ურჩევნიათ ეს დრო ბრძოლაში გაატარონ, ვიდრე გაქცევასა და მალვაში. ჰურინ თალიონის უდრეკობა ეჭვშეუტანლად გმირული საქციელია და თუნდაც მორგოთმა ამგვარ საქმეთა ჩამდენი მოსპოს, იგი ვერასდროს გააქრობს მის სახსენებელს. თვით დასავლელი მეუფენიც კი პატივს მიაგებენ მას; განა ეს სამუდამოდ არ აღიბეჭდა არდას მატრიანეში, რომლის ამოშლა მორგოთსა და მანუესაც კი არ ძალუძთ?

– შენ მეტად ზეალმატებულ საკითხებზე საუბრობ, – უპასუხა გუინდორმა, – უდავო კი ის არის, რომ ელდართა შორის გიცხოვრია, მაგრამ გონება დაგბნელებია, თუ მორგოთსა და მანუეს ერთად ახსენებ, ხოლო ვალარებზე ისე ლაპარაკობ, თითქოს ელფთა და ადამიანთა მტრები ყოფილიყვნენ; რამეთუ ვალარნი არავის შეურაცხყოფენ, მით უმეტეს ილუვატარის შვილთ. შენ არც ის უწყი, რაში ხედავენ ელდარნი იმედს. წინასწარმეტყველება არსებობს ჩვენში, რომ ერთ დღეს შუახმელეთიდან, წყვდიადის გამოვლით, მაცნე მოვა ვალინორს, მანუე მოუსმენს, ხოლო მანდოსი შეიწყალებს მას. მანამდე კი, ნუთუ არ უნდა შევინარჩუნოთ ელდართა თესლი, ან თუნდაც ედაინთა? კირდანი სუფევს სამხრეთით, იქ, სადაც ხომალდები შენდება. მაგრამ რა უწყი შენ ხომალდთა, ანდა ზღვის შესახებ? საკუთარ თავსა და დიდებაზე ფიქრობ მხოლოდ და ჩვენც ასე მოქცევისკენ გვიბიძგებ. მაგრამ ჩვენ არა მარტო საკუთარ თავზე, სხვებზეც უნდა ვიფიქროთ, რამეთუ ამქვეყნად ისეთიც ბევრია, რომელიც არ იბრძვის და არც

ამ ბრძოლაში გმირულად დაცემა უნერია, ისინი კი უნდა დავიცვათ ომისა და ნგრევისგან, ვიდრე ეს ძალგვიძს.

– მაშ, თუ ასეა, გაამგზავრეთ ისინი თქვენი გემებით, სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ არის, – მიუგო ტურიანმა.

– მათ ვერ განვეშორებით, – თქვა გუინდორმა, – მხოლოდ კირდანსაც კი ძალუძს ყველა მათგანის დასავლეთით გაგზავნა, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს უნდა ვუერთგულოთ იმდენ ხანს, რამდენსაც შევძლებთ, და არა სიკვდილს ვეთამაშოთ.

– სათქმელი უკვე ვთქვი, – მიუგო ტურიანმა, – საზღვრების გმირულად დაცვა და ძლიერი დარტყმები იქ, სადაც მტერი ძალებს იკრებს; სწორედ ამაში მდგომარეობს თქვენი ხანგრძლივი თანაცხოვრების საიდუმლო. განა შეიყვარებენ ისინი ასე ტყე-ტყე მალულთ და მგლებივით ჩასაფრებულთ. განა უფრო გმირული არ არის თავზე მუზარადი მოირგოთ, ფარი მოიმარჯვოთ და მტერი მოუსავლეთში გაგზავნოთ, განა ამგვარად უფრო არ გამოირჩევით თქვენი მოდგმის ხალხისაგან? დანამდვილებით ვიცი, რომ ედაინთა ქალებს ამგვარნი არ მოვენონებოდით. ისინი თავიანთი კაცებს უკან არ ეწეოდნენ ნირნაეთ-არნოედიადის ომში წასვლის ჟამს.

– თუმცა მათ იმაზე მეტი ტანჯვა გამოიარეს, ვიდრე ბრძოლაში მონაწილეობით შეეძლოთ მიეღოთ – მიუგო გუინდორმა.

გამოხდა ხანი, ტურიანი ოროდრეთის თვალში უფრო დანინაურდა და ხელმწიფის მთავარი მრჩეველი გახდა. ხელმწიფემ კი ყოველი მის დაქვემდებარებაში გადაიყვანა; და სწორედ მაშინ ნარგოთრონდელმა ელფებმა ზურგი აქციეს მალვის მეთოდს და დიდი რაოდენობით იარაღი გამოჭედეს; ტურიანის რჩევით, ნოლდორებმა ფელაგუნდის კარიბჭიდან დიდი ხიდი გადადეს ნაროგზე, რათა

მეომრების სწრაფი გადასროლა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც ომი ნაროგის აღმოსავლეთით დაცული ველის განაპირას მიმდინარეობდა.

ნარგოთრონდის ჩრდილოეთი საზღვარი „სადავო მიწაზე“ გადიოდა, მდინარე გინგლითის, ნაროგისა და ნუათის ტყეებს შორის მოქცეულ ტრამალებში. ნენინგსა და ნაროგს შორის ორკები არ მოდიოდნენ; ამიტომ მათმა სამფლობელომ ნაროგის აღმოსავლეთით, ტეიგლინს მიალწნია და ნიბინ-ნოეგის ჭაობებამდე გაფართოვდა.

გუინდორი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან იარაღს კარგად ვეღარ ხმარობდა და უწინდებური ძალაც დაჰკარგოდა; ამასთან მოკვეთილი მარჯვენის ტკივილიც ხშირად ახსენებდა თავს. ტურიზი კი ახალგაზრდა გახლდათ, მხოლოდ ახლახან მიეღწია ზრდასრულობის ასაკს და ერთი შეხედვითაც იოლი მისახვედრი იყო, რომ ის მორუენ-ელედუენის ვაჟი გახლდათ: მალალი, შავი თმით, ფერმკრთალი კანითა და რუხი ფერის თვალებით, ყველაზე პირმშვენიერი შექნილიყო ადრეულ დღეთა ჟამს მცხოვრებ მოკვდავ კაცთა შორის. საუბრის მანერით დორიათის უძველესი სამეფოს დიდებულებს წააგავდა. თვით ელფთა შორის მყოფზეც იფიქრებდით, რომ იგი ნოლდორთა მოდგმისა იყო. იმდენად გამოცდილი გახლდათ და უზომოდ განაფული საბრძოლო ხელოვნებაში, განსაკუთრებით კი მახვილისა და ფარის ფლობაში, რომ ელფებს უძლეველად მიაჩნდათ და ამბობდნენ, რომ მხოლოდ უიღბლობა ან შორიდან ვერაგულად ნასროლი ისარი თუ შეინირავდა მას.

ამასთანავე, მას ჯუჯათა ნაჭედი აბჯარი უბოძეს, რათა უკეთ დაცული ყოფილიყო; ერთ დღეს მჭმუნვარე ხასიათზე მყოფმა საჭურველთსაცავში ჯუჯათა ნაჭედი ოქროთი მოვარაყებულ ნიღაბი იპოვა. ყოველი ბრძო-

ლის წინ სახეზე ირგებდა და მტრებიც თავზარდაცემული გაურბოდნენ.

ამგვარად ილეოდა დღენი და ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდებოდა. მიჰყვებოდა რა საკუთარ გულისთქმას, ყველას პატივისცემითა და ყურადღებით ეპყრობოდა, უწინდელი სევდა-დარდიც გადაჰყროდა გონებიდან და თანდათან მრავალთა გული მოიგო; ბევრი მას ადანედეღს, ელფკაცსაც კი ეძახდა, თუმცა ყველაზე მეტად ოროდრეთის ასულის, ფინდუილასის გული ძგერდა გამალებით, როდესაც ტურინი შორიახლოს ჩაუვლიდა, ან სასახლეში შეიხედავდა. მას ოქროსფერი თმა ჰქონდა, როგორც ეს ფინარფინის საგვარეულოსთვის გახლდათ დამახასიათებელი. ტურინსაც სიამოვნებდა მისი ყურადღება; რამეთუ თავის ხალხსა და დორ-ლომინელ ქალბატონებს აგონებდა მამამისის სახლეულიდან.

როდესაც თავდაპირველად შეხვდა ტურინს, გუინდორიც თან ახლდა; თუმცა მოგვიანებით მოძებნა და შემდგომში ერთმანეთს დროდადრო ხვდებოდნენ, – თითქოს შემთხვევით. იგი ედაინთა ამბებს დაწვრილებით გამოჰკითხავდა ხოლმე, რადგან მათ შესახებ ცოტა რამ თუ სმენოდა ან ენახა, ეკითხებოდა თავის სამშობლოსა და ხალხზე.

ტურინი ღიად უყვებოდა ყოველივეს, რაც აინტერესებდა, თუმცა საკუთარი დაბადების ადგილისა და ახლობლების სახელები არ გაუმხელია; ერთხელაც უთხრა:

– და მყავდა, ლალაითს ვეძახდი. შენ მას მაგონებ. მაგრამ ლალაითი ბავშვი იყო მხოლოდ, როგორც ყვითელი ყვავილი გაზაფხულის ამწვანებულ მდელოზე. მას რომ ეცოცხლა, ახლა ალბათ დარდი გასტანჯავდა, შენ კი დედოფალი ხარ, ოქროს ხესავით მშვენიერი; ვისურვებდი, ასეთი მშვენიერი და მყოლოდა.

– შენ კი მეფურად დიადი ხარ, – მიუგო მან, – ფინგოლფინის ქვეშევრდომ ადამიანთა მბრძანებლებივით; ვისურვებდი, ასეთი მამაცი ძმა მყოლოდა. არ ვფიქრობ, რომ აგარუაენი შენი სახელია, და არც შეგფერის, ადანედელ. მე ამიერიდან თურინს, საიდუმლოს გინოდებ.

ამის გაგონებისას ტურიანი შეკრთა, თუმცა მიუგო:

– ეს არ არის ჩემი სახელი, არც მეფე ვარ, რადგან ჩვენი ხელმწიფენი ელდარნი არიან, მე კი მათი მოდგმისა არ ვარ.

მალე ტურიანმა შეამჩნია, რომ მისი და გუინდორის მეგობრობა გაცივდა, ხოლო თუ აქამდე გრძნობდა, რომ ანგბანდისაგან მივლენილი ტანჯვა-ნამება ნელ-ნელა მოინელა, ახლა ყველაფერი შემოტრიალებულიყო და ისევ უწინდელ დარდსა და ურვას უბრუნდებოდა. ფიქრობდა, რომ ყველაფრის მიზეზი მის წინააღმდეგ წასვლა იყო; ვისურვებდი ყველაფერი უწინდებურად ყოფილიყო. – ამბობდა იგი. უყვარდა გუინდორი განეული დახმარების გამო და აგრეთვე ძლიერ ებრალებოდა. იმ ხანებში ფინდუილასის ბრწყინვალეობაც მინავლდა, მისი ნაბიჯები დამოკლდა, სახე კი მწუხარებამ შთანთქა, გაფერმკრთალდა და გაიცრიცა; ტურინს გუმანი კარნახობდა, რომ გუინდორმა მის გულს შიშები ჩაუსახლა.

სინამდვილეში ფინდუილასის გული ორად იყო გახლეჩილი, რადგან პატივს სცემდა გუინდორს, ებრალებოდა-ის და არ სურდა, თუნდაც ერთი ცრემლი მიმატებოდა მის სატანჯველს. თუმცა, მისივე სურვილის საწინააღმდეგოდ, ტურიანი სულ უფრო უყვარდებოდა და ამასთანავე, ბერენსა და ლუთიენზე ეფიქრებოდა. თუმცა ტურიანი ბერენს არ ჰგავდა! არასდროს უგრძნია მასთან უხერხულობა და მის გარემოცვაში ყოფნა ყოველთვის ახარებდა; თუმცა ისიც იცოდა, რომ ჯერ იმგვარი სიყვარულით არ

უყვარდა, როგორც თვითონ სურდა შეჰყვარებოდა. ტურიინის გული და გონება ყოველთვის სხვაგან დაქროდა, მდინარეთა გადაღმა, დიდი ხნის წინ ჩავლილ გაზაფხულთა მიჯნებზე.

შემდგომ ტურიინი ფინდილასს მიუბრუნდა და უთხრა:

– ნუ მისცემ უფლებას გუინდორს, სიტყვებით დაგაფრთხოს. იგი კვლავ ანგბანდისგან მოვლენილი სატანჯველითაა ნატანჯი. მძიმე ასატანია, როდესაც ასეთი მამაცი ხეიბრად იქცვა და უნებურად უწინდელი ძალებიც ხელიდან ეცლება. მას ნუგეში სჭირდება და ხანგრძლივი დრო განსაკურნებლად.

– კარგად ვიცი ყოველივე ეს, – მიუგო მან.

– ჩვენ კი ამ დროს მის სახელს გამარჯვებების მოსაპოვებლად გამოვიყენებთ, – განაგრძობდა ტურიინი. – ნარგოთრონდი მედგრად იდგება! ამიერიდან ველარასოდეს გაბედავს მხდალი მორგოთი ანგბანდიდან ფეხის გამოდგმას. მთელ იმედებს საკუთარ მსახურებზე ამყარებს; როგორც დორიათელი მელიანი ამბობს, ისინი მორგოთის საცეცები არიან; ჩვენ კი მათ მოვჩიხთ, მანამ მოვჭრით, სანამ თავის კლანჭებს უკან არ წაიღებს. ნარგოთრონდი გაუძლებს!

– შესაძლოა, – მიუგო მან, – შესაძლოა, გადავიტანოთ განსაცდელი, თუ სანადელს მიაღწევ. მაგრამ თავს მოუფრთხილდი, ტურიინ; გული მიმძიმდება, როდესაც ბრძოლაში მიდიხარ, რამეთუ მეშინია, ვაითუ, ნარგოთრონდი დაობლდეს!

ამის შემდგომ ტურიინმა გუინდორი მოძებნა და დაელაპარაკა:

– გუინდორ, ძვირფასო მეგობარო, შენ კვლავ უკან, მწუხარებაში ეშვები; ნუ დანებდები! რამეთუ შენი კურნებ-

ის საიდუმლო აქ, შენს თანამოძმეთა გვერდით, ფინდუილასის ნათელქვეშ ყოფნაშია.

მაშინ გუინდორი ტურიანს მიაშტერდა, თუმცა ხმა არ ამოუღია, მხოლოდ სახე მოღრუბვლოდა.

– რად მიმზერ ამგვარად? – ჰკითხა ტურიანმა. – ბოლო დროს, შენი თვალები უცნაურად მიცქერენ. რით დაგამწუხრე? ვიცი, შენს რჩევას წინ აღვუდექი; მაგრამ განა ადამიანმა იმგვარად არ უნდა გამოხატოს ყოველი, ვითარცა ფიქრობს და სწორად მიაჩნია, ყოველგვარი პიროვნული ზრახვების გარეშე? ვისურვებდი, ერთ აზრზე ვმდგარიყავით; რამეთუ შენი დიდი ვალი მაძევს და ამას არასდროს დავივიწყებ.

– ვითომ? – მიუგო გუინდორმა, – რაც უნდა მოხდეს, შენმა რჩევებმა და მოქმედებებმა უკვე შეცვალა ჩემი სამშობლო და ჩემი ხალხი. შენი წყვილიანი აწევს მათ. როგორ უნდა ვიყო გახარებული, როდესაც ყოველი შენ შემოგწინრე?

ტურიანმა მისი სიტყვების ვერა გაიგო რა, თუმცა გუმანი კარნახობდა, რომ გუინდორმა მოიძულა იგი მეფის გულის მოგებისა და მისთვის მინოდებული რჩევების გამო.

გუინდორი კი ტურიანის წასვლის შემდგომ მარტო დარჩა და ბნელ ფიქრებში ჩაიძირა. სწყევლიდა მორგოტს ასეთი სატანჯველის მოვლინების გამო, რომელიც არასდროს შორდებოდათ, საითაც უნდა წასულიყვნენ.

– ახლა კი საბოლოოდ დავიჯერე, – ამბობდა ის, – დავიჯერე ანგბანდში მოარული ხმებისა, რომ მორგოტმა დასწყევლა ჰურიანი და მთელი მისი მოდგმა. შემდეგ წავიდა, ფინდუილასი მოძებნა და უთხრა: – ვხედავ მწუხარება და ეჭვი ტვირთად შემოგწოლია. ბოლო დროს ხშირად მენატრები და ვგრძნობ, რომ თავს მარიდებ. თუმცა მიზეზს არ მეუბნები, მე მაინც ვხვდები ყოველს. ფინარფინ-

ის გვარის ქალბატონო, ნუ მისცემ სევდას უფლებას ჩვენ შორის დაივანოს. მორგოთმა ჩემი ცხოვრება გააცამტვერა და მხოლოდ შენ დარჩი, ვინც გულმხურვალედ მიყვარს. მაგრამ თუ გული სხვაგან გენევა, არ დაგაკავებ, რამეთუ შენთვის უკვე შეუფერებელი ვარ; და აღარც ჩემს ვაჟკაცობასა და სიტყვას აქვს ფასი.

მაშინ ფინდილასი აქვითინდა.

– ჯერ ნუ სტირი! – მიუგო გუინდორმა. – მაგრამ გაფრთხილდი, ვინძლო ამის მიზეზიც მოგეცეს. არ ეგების, ილუვატარის უფროსი შვილნი უმცროსებთან შეუღლდნენ; ეს არც ბრძნული არს, რამეთუ ისინი ჟამმოკლენი არიან და მალე წავლენ, ჩვენ კი სამყაროს აღსასრულამდე ქვრივობაში დაგვტოვებენ. ბედი ყველას ტანჯვას მიუვლენს, თუნდაც ერთხელ ან ორჯერ, ყველას ის სასჯელი შეხვდება, რომლის მიზეზსაც ჯერაც ვერავინ ჩასწვდა. ეს ადამიანი ბერენი ვერ იქნება, თუნდაც მასავით სამართლიანი და მამაცი იყოს. საშინელი ხვედრი ამძიმებს მას. საშინელი ბედისწერა. ნუ გაიზიარებ მის ბედს! და თუ მაინც ასე მოიქცევი, სიყვარული სიმწარედ გექცევა და სიკვდილის პირას მიგიყვანს. გამიგონე! ესე არს, რამეთუ შესაძლოა, მას აგარუაენს, ძეს უმართისას ვუნოდებთ, მაგრამ ნამდვილი სახელი მისი ტურიანია, ძე ჰურიანისა, რომელიც მორგოთს ანგბანდში ჰყავს დატყვევებული, ხოლო მთელი მისი მოდგმა დაწყევლილია. ნუ შეიტან ეჭვს მორგოთ ბაუგლირის ძლევა მოსილებაში, განა იგი ნათლად არ არის ჩემზე აღბეჭდილი?

მაშინ ფინდილასი წამოიმართა და მას დედოფლური მზერა მიაპყრო.

– შენი თვალები ჩამქრალია, გუინდორ, – მიმართა მას. – ველარ ხვდები, რა ხდება. ორმაგი სირცხვილი უნდა ვჭამო, თუ ყოველივეს ნათელს მოვფენ? რამეთუ მიყვარხარ,

გუინდორ, და გულს მიმდულრავს ფიქრი, რომ ეს სიყვარული საკმარისი არ არის. სხვაგვარი, დიდი სიყვარული ენვია ჩემს გულს, რომელსაც ვერსად გავექცევი. არ ვეძებდი მას და დიდხანს გულშიაც ვიკლავდი. და თუ შენი ჭრილობები ჩემთვისაც მტკივნეულია, ჩემიც შეიწყნარე. ტურინს არ ვუყვარვარ და არც არასდროს შემეყვარება.

– ამას იმიტომ ამბობ, – უთხრა გუინდორმა, – რომ ბრალეულობა წარხოცო მისგან, რამეთუ გიყვარს. რად დაგეძებს მუდამ, შენთან დიდ დროს რად ატარებს და რატომ გშორდება ყოველთვის მოლიმარი?

– იმიტომ, რომ მასაც სჭირდება ნუგეში, – მიუგო ფინდუილასმა. – ის ახლობლებს მოწყვეტილი და დაობლებულია. ორთავეს თქვენი საფიქრალი გაქვთ, მაგრამ მე როგორ მოვიქცე? განა საკმარისი არ არის, ჩემი გრძნობების შესახებ რომ გამოგიტყდი? თუმცა ალბათ მაინც ფიქრობ, რომ ასე განზრახ ვიქცევი და გატყუებ.

– არა, ქალი ამგვარ საკითხზე იოლად ვერ მოიტყუება, – მიუგო გუინდორმა. – ისევე, როგორც ვერ ნახავ ისეთს, ვინც იოლად უარყოფს, რომ უყვარს, თუკი ეს წრფელი სიყვარულია.

– თუ ჩვენ სამში რომელიმე უიმედოა, ეს მე ვარ: მაგრამ არა საკუთარი სურვილით. თუმცა რას იტყვი საკუთარ ბედისწერასა და ანგბანდში მოარულ ხმებზე? რას იტყვი სიკვდილსა და ნგრევაზე? დიადია ადანედელი ამ სამყაროს მატრიანეში, ხოლო მისი ძლევა მოსილება ერთ შორეულ დღეს მორგოთსაც მისწვდება.

– ქედმაღალია იგი, – მიუგო გუინდორმა.

– თუმცა შეიწყნარებელიც, იმავდროულად, – დაამატა ფინდუილასმა. – ჯერაც არ გამოუმულავნებია ბოლომდე თავისი ძალები, თუმცა მას სიბრალული მაინც გულს უგმირავს და ამას ვერც ვერასდროს უარყოფს. შესაძლოა,

სწორედ სიბრალულზე გადის მისი გულისკენ მიმავალი ერთადერთი გზა. მაგრამ მას მე არ ვებრალეები. მწუხარებაში მაცხოვრებს, თითქოს მისთვის ერთდროულად დედაც ვყოფილიყავ და დედოფალიც.

შესაძლოა, ფინდუილასი ჭეშმარიტებას ღალატებდა და ელდართა მახვილი მზერით ყოველივეს ჭკრეტდა, თუმცა ტურიანი, არ იცოდა რა, ფინდუილასსა და გუინდორს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების ამბავი, უფრო მეტი სითბოთი ეპყრობოდა მას, როდესაც მოწყენილს ხედავდა. ერთხელაც კი ფინდუილასმა უთხრა:

– თურინ ადანედელ, რად მიმაღავ შენს ნამდვილ სახელს? შენი ნამდვილი ვინაობაც რომ მცოდნოდა, ნაკლები პატივითა და სიყვარულით მაინც არ მოგეპყრობოდი, თუმცა უმჯობესი იქნებოდა უკეთესად გამეგო შენი სანუხარი.

– ამით რისი თქმა გსურს? – უთხრა მან, – ვის მიაწერ ჩემს ვინაობას?

– ტურინს, ჩრდილოელთა წინამძღოლის, ჰურიანის ძეს.

როდესაც ტურინმა ფინდუილასისაგან დაწვრილებით შეიტყო ყოველი, რისხვას ვერ მალავდა და გუინდორს ასე უთხრა:

– ყოველთვის სიყვარულით მოგიხსენიებდი განუელი დახმარებისა და გადარჩენისათვის, მაგრამ ახლა უკეთური საქმე მიყავ, მეგობარო, ჩემი ნამდვილი სახელის გამოაშკარავებით თავს წყევლა დამატებე, რომელსაც აქამდე გავურბოდი.

გუინდორმა კი უპასუხა:

– წყევლა შენს სახელში კი არა, შენში ძევს.

იმ ხანებში, როდესაც ყველას სული მოეთქვა და იმედებით აღვსილიყო, როდესაც მორმეგილის გმირობების წყალობით, მორგოთი სირიონის დასავლეთით სვლას ვე-

ღარ აგრძელებდა და როდესაც ტყეებში სიმშვიდე სუფევდა, მორუენმა საბოლოოდ დატოვა დორ-ლომინი და თავის ქალწულთან, ნიენორთან ერთად თინგოლის დარბაზებისკენ მიმავალ გრძელ გზას დაადგა. იქ მისულს კი ახალი სანუხარი ელოდა, რამეთუ ტურიზი წასული დაუხვდა, ხოლო მის შესახებ არავითარი ცნობა არ მოსულიყო დორიათში მას შემდეგ, რაც დრაკონის მუზარადი სირიონის დასავლეთ მიწებიდან გაუჩინარებულყო. მორუენი ნიენორთან ერთად დორიათში დარჩა, როგორც მელიანისა და თინგოლის სტუმარი და შესაბამისი პატივითაც ეპყრობოდნენ.

:

www.PDF.ChiaturaINFO.GE



თავი XI

ნარგოთრონდის დაცემა

იმ გაზაფხულზე, როდესაც ტურინის ნარგოთრონდში მოსვლიდან ხუთი წელი მიილია, ორი ელფი მოვიდა. გელმირსა და არმინასს უწოდებდნენ თავიანთ თავს და ფინარფინის გვარიდან იყვნენ; განაცხადეს, რომ ნარგოთრონდის მბრძანებლისთვის შეტყობინება უნდა გადაეცათ. იმხანად ტურინი გასცემდა ბრძანებას ნარგოთრონდის სამხედრო ძალებზე და ყოველგვარ საომარ საკითხებსაც ის განაგებდა, შესაბამისად, მეტად მკაცრი და გოროზი გამხდარიყო და ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც ეწადა ან სწორად თვლიდა. ამგვარად, ორივე მას მიჰგვარეს, თუმცა გელმირმა თქვა:

– ჩვენ მხოლოდ ოროდრეთს, ფინარფინის ძეს დაველაპარაკებით.

ხოლო, როდესაც ოროდრეთი მოვიდა, გელმირმა მას უთხრა:

– მეუფეო, ჩვენ ანგროდის ხალხი ვართ და ნირნაეთის

ბრძოლის შემდგომ დიდხანს დავხეტილებდით, თუმცა, ბოლო დროს კირდანის მმართველობის ქვეშ ვცხოვრობთ სირიონის შესართავებთან. ერთ დღესაც მან გვიხმო და თქვენთან წამოსვლა დაგვავალა, რამეთუ თვით ულმო, წყალთა მბრძანებელი გამოეცხადა და გააფრთხილა იმ დიდი საფრთხის შესახებ, რომელიც ნარბოთრონდს უახლოვდება.

თუმცა ოროდრეთი წინდახედული გახლდათ და ასე უპასუხა:

– მაშ, თუ ასეა, ჩრდილოეთიდან რად მოხვედით? ან იქნებ სხვა დავალებაც გქონდათ შესასრულებელი?

მაშინ არმინასმა მიუგო:

– დიახ, მბრძანებელო. ნირნაეთის შემდგომ, გამუდმებით დავეძებ ტურგონის დაფარულ სამეფოს, თუმცა ვერსად მივაკვლიე; ამ კვლევა-ძიებაში კი ვშიშობ, რომ დიდი ხანია მათთვის შეტყობინების გადაცემა დავაგვიანე. კირდანმა გამოგვგზავნა და სანაპიროს გემებით მოვუყვებოდით, სწრაფად და სხვათაგან მალულად, ბოლოს, დრენგისტის ყურეში გადმოვედით ხმელეთზე. თვითონ ზღვის ხალხშიც შეგვხვდა რამდენიმე, რომელიც როგორც მაცნე გასულ წლებში ტურგონის დავალებით წამოსულა სამხრეთისკენ. მათი სიტყვაძუნნობის მიუხედავად, მაინც მენიშნა, რომ ტურგონი ჩრდილოეთში სუფევს და არა სამხრეთში, როგორც ბევრს ჰგონია. თუმცა ვერც მინიშნებას და ვერც მოარულ ხმას მივაკვლიეთ იმის შესახებ, რასაც ვეძებდით.

– რად დაეძებთ ტურგონს? – ჰკითხა ოროდრეთმა.

– ნათქვამი არს, რომ მისი სამეფო ყველაზე დიდხანს გაძლებს მორგოთის წინააღმდეგ, – უპასუხა არმინასმა. ეს სიტყვები კი ოროდრეთს ავის მომასწავებლად ენიშნა და ხასიათი წაუხდა.

– მაშ, ნულარ აყოვნებთ ნარგოთრონდში, – უთხრა მან, – რამეთუ ტურგონის შესახებ აქ ახალს ვერაფერს შეიტყობთ. არ მჭირდება იმის შეხსენება, რომ ნარგოთრონდს ხიფათი უახლოვდება.

– ნუ ბრაზობთ, ხელმწიფევ, – მიუგო გელმირმა, – თუ თქვენს შეკითხვას გულახდილად ვუპასუხებთ. ჩვენი მოგზაურობა ამ მიწებზე უნაყოფო არ გამოდგარა, რამეთუ თქვენ მიერ ყველაზე შორს გაგზავნილ მსტოვართაგან მიუწვდომელი მხარენი გამოვიარეთ; გადმოვკვეთეთ დორ-ლომინი და ერედ-უეთრინის მისადგომები, გამოვიკვლიეთ სირიონის გადმოსასვლელები და დავზვერეთ მტერთა ბილიკები. უამრავ ორკსა და უწმინდურ არსებას დაუვანია ამ მხარეებში და საურონის კუნძულთან დიდი ოდენობით იკრიბებიან.

– ვიცი ყოველივე ეს, – უთხრა ტურინმა, – თქვენი მოტანილი სიახლენი ჩემთვის დრომოჭმულია. თუ კირდანს სურდა ჩვენთვის რამე შეეტყობინებინა, ეს გაცილებით ადრე უნდა გაეკეთებინა.

– ბოლოს და ბოლოს, მბრძანებელო, ახლა მაინც მოისმინეთ ეს შეტყობინება, – უთხრა გელმირმა ოროდრეთს, – მოისმინეთ წყალთა მეუფის სიტყვები! ამგვარად უბრძანა მან კირდანს: „ჩრდილოეთის ბოროტებამ წაბილწა სათავენი სირიონისა და ძალები ჩემი წყლებიდან უკან იხევენ. თუმცა უარესი ჯერაც არ მომხდარა. ამგვარად, მოახსენე მეუფეს ნარგოთრონდისას: „დაახშვე კარიბჭენი ციხესიმაგრისანი და გარეთ არ გამოხვიდე. ხმამალალ მდინარეში მოისროლე ქვანი შენი ესრეთ საამაყონი, რამეთუ მცოცავმა ბოროტებამ სიმაგრეში შემოსასვლელ გზას ვერ მიაგნოს“.

ეს სიტყვები მეტად ბურუსით მოცული ეჩვენა ოროდრეთს და როგორც აქამდე ხდებოდა, რჩევის საკითხა-

ვად ტურინს მიუტრიალდა. თუმცა ტურინი მაცნეებს არ ენდობოდა და მათ დამცინავად მიუგო:

– ნეტავ, რა იცის კირდანმა ჩვენი ომის შესახებ, მაშინ, როცა მასზე მეტად ახლოს ვიმყოფებით მტერთან? დაე, მეზღვაურებმა თავიანთ ხომალდებს მიხედონ! ხოლო, თუ წყალთა მეუფეს ჩვენთვის რჩევის მოცემა სწადია, დაე, ეს უფრო ცხადად და გარკვევით მოახერხოს. სხვა მხრივ კი უმჯობეს არს, ყოველი ბრძოლაში გამობრძმედილი მეომარი ერთად შეკრიბოს და ღიად ეკვეთოს მტერს, ვიდრე თვითონ მოგვდგომიან კარზე.

მაშინ გელმირმა ქედი მოიდრიკა ოროდრეთის წინაშე და თქვა:

– მე ყოველივე მოგახსენეთ, მბრძანებელო, რაც დავალებული მქონდა, – შემდეგ კი პირი იბრუნა და წავიდა.

თუმცა არმინასმა ტურინს უთხრა:

– შენზე ამბობენ, რომ ჰადორის გვარისა ხარ, მართალია?

– მე აგარუაენი ვარ, ნარგოთრონდის შავი მახვილი, – უპასუხა ტურინმა. – თქვენი სიტყვაძუნნობით, როგორც ჩანს, მეტს მიაღწიეთ, მეგობარო არმინას. კარგია, რომ საიდუმლო ტურგონისა თქვენგან დაფარულია, თორემ მალე ალბათ ანგბანდამდეც მიაღწევდა. კაცის სახელი მისი საკუთრება არს და თუკი ძე ჰურიინისა, როდესაც დამალვას ცდილობს, შეიტყობს, რომ ის გაეცი, დაე მორგოთმა წაგათრიოს ანგბანდში და ენა ამოგგლიჯოს.

არმინასი შეაცბუნა ტურინის რისხვამ; თუმცა გელმირმა უთხრა:

– ჩვენ მას არ გავთქვამთ, აგარუაენ. განა დახურულ კარს მიღმა არ ვლაპარაკობთ, იქ, სადაც საუბარი უფრო ღია უნდა იყოს? არმინასმა კი, ვგონებ, იმიტომ გკითხა, რომ ვინც ზღვასთან ახლოს ცხოვრობს, ყველასთვის

ცნობილია, როგორ უყვარს ულმოს ჰადორის შთამომავ-
ალნი, ზოგი ამბობს, რომ ჰუორსა და მის ძმას ერთხელ
დაფარულ სამეფოშიც შეუღწევიათ.

– ასეც რომ იყოს, ის ამაზე არავისთან ისაუბრებდა,
არც ვინმე აღმატებულთან და არც მდაბიოსთან, მათ
შორის, არც თავის მცირეწლოვან ვაჟს უამბობდა რაიმეს
მომხდარის შესახებ, – უპასუხა ტურიმა. – ასე რომ, არ
მჯერა, რომ არმინასი ამას იმისთვის მეკითხება, ტურ-
გონზე რომ რაიმე შეიტყოს. არ ვენდობი ამგვარ ფლიდ
მაცნეთ.

– ეგ უნდობლობა შენთვისვე შეინახე, – ბრაზით მიუ-
გო არმინასმა. – გელმირმა არასწორად წარმომაჩინა. მე
იმიტომ გკითხე, რომ ეჭვი შევიტანე იმაში, რაც აქ ეჭვი-
უტანლად სჯერათ; რამეთუ მცირედით ჰადორის ნათე-
სავთ მიგამსგავსე, თუნდაც სხვა გვარ-სახელს ატარებდე.

– და რა იცი მათ შესახებ?

– ჰურიანი მინახავს, – უპასუხა არმინასმა. – მისი წინა-
პარნიც. ხოლო დორ-ლომინის უკაცრიელ ალაგებში
ტუორს შევხვდი, ჰურიანის ძმის, ჰუორის ძეს; იგი თავის
წინაპრებს ჰგავს, შენ კი არა.

– შესაძლოა, ასეც არის, – უთხრა ტურიმა, – მიუხე-
დავად იმისა, რომ ტუორის შესახებ აქამდე არაფერი მს-
მენია. მაგრამ თუ ჩემი თმა მუქი არს და არა ოქროსფერი,
ამით არაფერი მაკლდება, რამეთუ არც პირველი შვილი
ვარ და არც უკანასკნელი, რომელიც დედას დაემსგავსა;
ამ სამყაროში მორუენ ელედუენმა მომავლინა, ბეორის
გვარისამ და ბერენ კამლოსტის ნათესავმა.

– მე შავსა და ოქროსფერს შორის განსხვავებაზე არ
მითქვამს, – მიუგო არმინასმა. – თუმცა ჰადორის შთამო-
მავალთ თავისებური მანერები აქვთ, მათ შორის ტუორ-
საც. რამეთუ თავაზიანნი არიან, ყოველთვის ყურად იღე-

ბენ კეთილ რჩევას და დასავლელ მეუფეთა რიდი აქვთ. შენ კი, როგორც ვატყობ, ან საკუთარი გონების კარნახით მოქმედებ, ან მხოლოდ შენი ხმლისა. ქედმაღლურად საუბრობ და მე გეუბნები, აგარუაენ მორმეგილ, თუ ასე განაგრძობ, ბედისწერა შენი იმგვარი არ იქნება, როგორსაც ჰადორისა და ბეორის ხალხი ეძიებს.

– ის ისედაც ყოველთვის განსხვავდებოდა, – მიუგო ტურინმა. – და თუნდაც ასე იყოს, ვალდებული ვარ, მორგოთის სიძულვილი ტვირთად ვზიდო მამაჩემის პატივსაცემად, თუმცა ამასთან ერთად, რა ვალდებული ვარ, ვითმენდე ქირდვასა და ავის მაუნყებელ სიტყვებს ომით დაფრთხალისაგან, თუნდაც იგი მეფეთმეფობას იჩემებდეს? ნადით, დაიხიეთ უკან, უსაფრთხო ნაპირებისაკენ!

მაშინ გელმირი და არმინასი დაეხსნენ და სამხრეთისაკენ გაუყვნენ გზას; მიუხედავად ტურინის დაცინვისა, ისინი სიხარულით დაელოდებოდნენ თავიანთ თანამოძმეებთან ერთად ბრძოლის ჟამს. მხოლოდ იმიტომ მიდიოდნენ, რომ ულმოს უშუალო ბრძანებით, კირდანისაგან დავალებული ჰქონდათ, უკან დაბრუნებულიყვნენ და ნარგოთრონდისა და მისი წარმოგზავნილი შეტყობინების ამბავი ჩაეტანათ. ოროდრეთი კი ძლიერ შენუხებული ჩანდა მაცნეთა მოტანილი ამბის გამო. თუმცა ხასიათი უფრო მეტად ტურინს დაუმძიმდა, ის არავითარ შემთხვევაში არ აპირებდა ყურად ელო მაცნეთა რჩევები და რა თქმა უნდა, არც დიდი ხიდის დანგრევას აპირებდა, თუნდაც ამგვარად ულმოს განზრახვას სწორად მიმხვდარიყო.

მაცნეთა გამგზავრებიდან მცირე ხანში, ჰანდირი, ბრეთილის მბრძანებელი, ძლეულ იქნა, რადგან ორკები შეიჭრნენ მის მიწებზე ტეიგლინის გადასალახების გასათავისუფლებლად, რათა იქიდან, სამომავლოდ, თავისუფ-

ფლად მიეტანათ იერიშები. ჰანდირმა მათ ბრძოლა გაუმართა, თუმცა ბრეთილელმა ადამიანებმა ვერ გაუძლეს და უკან დახევა დაიწყეს თავიანთი ტყეებისკენ. ორკებმა მათ აღარ მისდიეს, რადგან იმ დროისთვის თავიანთ დასახულ მიზანს მიაღწიეს და ძალების შემოკრება დაიწყეს სირიონის გადასასვლელებზე.

იმა წლის შემოდგომით, იხელთა რა დრო, მორგოთმა ნაროგის მოსახლეობას დიდი ლაშქარი მიუსია, რომელსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამზადებდა. გლაურუნგმა, დრაკონთა მამამ, გადმოკვეთა ანფაუგლითი, სირიონის ჩრდილოეთ ხეობებში მოვიდა და ენით აღუწერელი სიავე ჩაიდინა. ორკთა დიდ არმიას გაუძლვა ერედ-უეთრინის ჩრდილქვეშ და ეითელ-ივრინი წაბილწა, იქიდან კი ნარგოთრონდის სამეფოში შეაბიჯა და გადანვა ტალათ-დირნენი, ნაროგსა და ტეიგლინს შორის მდებარე დაცული დაბლობი.

მაშინ ნარგოთრონდის მეომრები გამოვიდნენ. მაღალი და შემზარავი იყო იმ დღეს ტურინი, ხოლო მებრძოლებს მხნეობა შეემატათ, როდესაც იგი ოროდრეთ მეფის მხარდამხარ გამოიჭრა. თუმცა იმაზე გაცილებით დიდი იყო მორგოთის ლაშქარი, ვიდრე ამას ჯაშუშები აღწერდნენ, მხოლოდ ტურინს თუ შეეძლო თავისი ჯუჯური ნილბით უშიშრად შეხვედროდა გლაურუნგის გამოჩენას.

ელფებმა უკან დაიხიეს და ტუმჰალადის ველზე დამარცხდნენ, სწორედ იქ განქარდა, მეომრებთან ერთად, ნარგოთრონდელთა სიამაყეც. ოროდრეთი ბრძოლის წინა ხაზზე დაეცა, ხოლო გუინდორი ძე გუილინისა სასიკვდილოდ დაიჭრა. ტურინი მივიდა მის დასახმარებლად და დაინახეს თუ არა, ყველამ პირი იბრუნა. ხელში აიტაცა გუინდორი, ტყეში გაიქცა და იქ ბალახზე დაანვინა.

მაშინ გუინდორმა ტურინს უთხრა:

– დაე, ერთის ზიდვამ მეორისა გამოისყიდოს! თუმცა ავის მომტანი გამოდგა ჩემი მცდელობა, შენი კი ამაო, რამეთუ სხეული ჩემი უკვე შორს არს განკურნებისგან და მე უნდა დავტოვო შუახმელეთი. მიუხედავად შენდამი სიყვარულისა, მე მაინც ვწყევლი იმ დღეს, როს ორკთაგან დაგიხსენი. თუმცა შენი სიმამაცისა და ქედუხრელობის გამო, მაინც უნდა მიყვარდე და უნდა იცოცხლო, რათა ნარგოთრონდი მცირე ხნით მაინც გადარჩეს. ახლა კი, თუ ჩემდამი სიყვარული შეგრჩენია, დამტოვე! ნარგოთრონდისკენ გასწი და ფინდუილასი გადაარჩინე. ამას გეტყვი უკანასკნელად: მარტოდმარტო დგას იგი შენსა და შენს ბედისწერას შორის, და თუ მის გადარჩენას ვერ შეძლებ, ბედისწერა მაინც შეძლებს შენს პოვნას. მშვიდობით!

ტურინი სასწრაფოდ გაეშურა ნარგოთრონდისაკენ. ყველა შემოიკრიბა, ვინც კი შემოხვდა. როდესაც გზად მიდოდა, ძლიერი ქარისგან ხეთაგან ფოთლები ცვიოდა, რადგან შემოდგომა სასტიკ ზამთარში გადადიოდა. თუმცა გლაურუნგი და ორკები უკვე ელოდებოდნენ, რამეთუ ტურინის მიერ გუინდორის წაყვანით დრო მოიგეს და მოულოდნელად მოვიდნენ, ვიდრე დარჩენილი მეომრები შეიტყობდნენ ტუმჰალადის ველზე მომხდარ ამბებს. ტურინის ბრძანებით ნაროგზე აგებულმა ხიდმა იმ დღეს დათვური სამსახური გაუწია მათ, რამეთუ მეტად მყარი და გამძლე იყო და ადვილად ვერ დაანგრევდნენ. მტერმა ისარგებლა და ღრმა მდინარე მისი საშუალებით გადმოკვეთა, ხოლო გლაურუნგი ცეცხლსავსე მოადგა ფელაგუნდის კარიბჭეს, გადანვა და შიგნით შეაბიჯა.

მაშინაც კი, როდესაც ტურინი მოვიდა, ნარგოთრონდი საშინელი აღსასრულის პირას იდგა. ორკებს ყველა ამოეხოცათ ან განედევნათ, ვისაც კი ხელში იარაღი ეჭირა.

მთლად გადაექოთებინათ მთავარი დარბაზი და პალატები, ნადავლს აგროვებდნენ, დანარჩენს კი ანადგურებდნენ. ის ქალნი და ქალწულნი, რომლებიც ცეცხლსა და სიკვდილს გადარჩენილიყვნენ, გაერეკათ და კარიბჭის წინ, პარმალზე მოეგროვებინათ, რათა ანგბანდში მონებად წაესხათ. ამ ნგრევისა და უბედურების ჟამს მოაღწია ტურიანმა და არავის შეეძლო წინ აღდგომოდა მას. ვერც ვერავინ შეძლებდა, რამეთუ ყველა ძირს დასცა, ხიდი გადაიარა და ტყვეებისაკენ გზა გაიკაფა.

აქ კი მარტო აღმოჩნდა, რადგან ყველა დასამალავად გაქცეულიყო, ვინც კი აქამდე უკან მოჰყვებოდა. სწორედ ამ დროს გლაურუნგი გამოვიდა ფელაგუნდის კარიბჭეთაგან და ტურიანსა და ხიდს შორის განვა. შემდეგ უეცრად მასში ჩაბუდებულმა ავმა სულმა მისი ხმით დაილაპარაკა: „მოგესალმები, ჰურიანის ძევ. კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა!“

მაშინ ტურიანი შედგა და მისკენ გაიწია, თვალებში ცეცხლი უკვესავდა, ხოლო გურთანგის პირს ალი მოსდებოდა. მაგრამ გლაურუნგმა შეიკავა რისხვა, ფართოდ გაახილა გველის თვალები და ტურიანისკენ მიმართა მზერა. ტურიანმა უშიშრად გაუყარა თვალი თვალში და ხმალი შემართა; მაგრამ მაშინვე დრაკონის შემზარავი გრძნეულების ზეგავლენის ქვეშ მოექცა და გაშეშდა. დიდხანს იდგნენ ასე უძრავად და უხმოდ ფელაგუნდის დიდი კარიბჭის წინ. ბოლოს, გლაურუნგმა ამოიდგა ენა და დასცინა ტურიანს:

– მუდამ მრუდი არს გზები შენი, ჰურიანის ძევ, – თქვა მან. – უმადურო შვილობილო, აბრაგო, შემმუსვრელო მეგობრისა, მომპარავო სიყვარულისა, მიმთვისებელო ნარგოთრონდისა, უგუნურო მეთაურო და ნათესავთა მიმტოვებელო. ვითარცა მონანი, სილატაკესა და გაჭირვება-

ში ცხოვრობენ დედა შენი და და შენი დორ-ლომინსა შინა. შენ უფლისწულივით შემოსილხარ, ისინი კი ძონძებში გახვეულან. შენ გამო საზღაურს იხდიან, შენ კი მათი არა განაღვლებს რა. რარიგ გაიხარებს მამა შენი, როდესაც შეიტიცობს, ასეთი შვილი ჰყოლია, და შეიტიცობს კიდევაც.

ტურინი გლაურუნგის გრძნეულებით გაშეშებულიყო, თუმცა მისი სიტყვები ესმოდა, თავის თავს მძულვარებით დამახინჯებულ სარკეში უმზერდა და ეზიზღებოდა ყოველივე, რასაც ხედავდა.

მაშინ, როდესაც გლაურუნგის თვალები მის გონებას სტანჯავდა და განძრევა არ შეეძლო, დრაკონისაგან ნიშანმოცემულმა ორკებმა ტყვეები წარეკეს, გვერდით ჩაუარეს ტურინს და ხიდზე გადავიდნენ.

მათ შორის ფინდილასიც იყო, ხელებს იქნევდა ტურინისკენ და მის სახელს გაიძახოდა. მაგრამ ვიდრე მისი ხმა ტყვეთა ოხვრა-ვაებაში არ ჩაიძირა და ჩრდილოეთის გზებზე არ მიწყდა, გლაურუნგმა ტურინი არ გაათავისუფლა. აქედან მოყოლებული იგი ვერასდროს იშორებდა იმ ხმებს და მუდამ ჩაესმოდა.

მაშინ გლაურუნგმა მოულოდნელად მოაშორა მას მზერა და დაელოდა; ტურინი ნელა შეინძრა, თითქოს ავი სიზმრიდან გამოაღვიძესო. ხოლო შემდგომ, მოეგო რა გონს, დრაკონისაკენ გაიწია. გლაურუნგმა გადაიხარხარა, და უთხრა:

– თუ სიკვდილი გნადია, სიამოვნებით მოგკლავ, თუმცა ეს მხოლოდ მცირედით თუ დაეხმარება მორუენსა და ნიენორს. ყურიც კი არ ათხოვე ელფ-ქალწულის ძახილს. ნუთუ სისხლით კავშირსაც ამგვარად უარყოფ?

თუმცა ტურინმა კვლავ ამოაგო მახვილი და თვალში აძგერა მას. გლაურუნგი კი უეცრად დაიგორგლა, მის თავზე კოშკივით წამოიმართა და წარმოთქვა:

– არა! შენ ყველაზე მამაცი ხარ მათ შორის, ვისაც კი გადავყრივარ. ტყუის ის, ვინც ამბობს, რომ მტერთა სიმამაცეს პატივს არ მივაგებთ. აჰა, იხილე! თავისუფლებას გიბოძებ. ნადი შენს ახლობლებთან, თუკი ეს ძალგიძს. გასწი! თუკი ელფი ან ადამიანი მაინც გადარჩება, ვინც ამ დღეთა თქმულებებს შემოინახავს, ის შენს სახელს აუგად მოიხსენიებს, თუ ამ ძღვენზე უარს იტყვი.

მაშინ კვლავ დრაკონის გრძნეულების ქვეშ მყოფმა ტურიანმა იფიქრა, რომ მტერმა მოწყალება მოილო და შეიბრალა იგი, დაიჯერა გლაურუნგის სიტყვები, პირი იბრუნა და ხიდი სწრაფად გადაკვეთა. მაგრამ ნავიდა თუ არა, გლაურუნგმა მის ზურგს უკან ღვარძლიანად ჩაილაპარაკა:

– გასწი, ჰურიანის ძევ, დორ-ლომინისკენ! თუმცა ვინ იცის, იქნებ კვლავ ორკებმა დაგასწრონ მისვლა. და თუ ფინდუილასის გამო შეყოვნდები, მაშინ ველარასდროს იხილავ მორუენსა და ნიენორს; და ისინი დაგწყევლიან შენ.

ტურიანი უკვე ჩრდილოეთის გზას მიუყვებოდა, გლაურუნგმა კი კიდევ ერთხელ ჩაიციხა, რადგან წარმატებით შეასრულა თავისი ბატონის დავალება. შემდეგ კმაყოფილი შებრუნდა, ცეცხლი გადმოანთხია და ირგვლივ ყველაფერი გადანვა.

ორკები კი, რომლებიც ძარცვა-გლეჯით იყვნენ დაკავებული, გარეთ გაყარა და ნაძარცვი უკანასკნელ ძვირფასეულობამდე ჩამოართვა. შემდეგ ხიდი დაანგრია და ნაროგის ზვირთებში გადაუძახა; როდესაც თავი დაცულად დაიგულა, ფელაგუნდის მთელი ძვირფასეულობა შიდა დარბაზში მოხიკა, ზედ განვა და მცონარებას მიეცა.

ტურიანი კი სწრაფად მიემართებოდა ჩრდილოეთისკენ, ნაროგსა და ტეიგლინს შორის მდებარე, ახლა უკვე გაუდაბურებულ მიწებზე. სუსხიანი ზამთარი ჩამოსული-

ნარბოთრონდის დაცემა

ყო ჩრდილოეთიდან მასთან შესახვედრად; იმ წელს ზამთარი ნაადრევად, შემოდგომის გასვლამდე დადგა, ხოლო გაზაფხული გვიან მოვიდა და თან სუსხი მოიყოლა. მიდიოდა და ყურში ჩაესმოდა ფინდუილასის ვაება, ის ტყეებიდან და ბორცვებიდან გაიძახოდა მის სახელს და ენით აღუწერელ სატანჯველში აგდებდა. თუმცა მისი გული გახელეებული იყო გლაურუნგის ტყუილებისგან და ხედავდა რა გონებაში, როგორ წვავენენ ჰურიინის სახლს ან როგორ ანამებდნენ მორუენსა და ნიენორს, წინ მიიწევდა შეუჩერებლივ.





თავი XII

ტურიანის დაბრუნება დორ-ლომინში

მოჩქარემ და გრძელი გზით დაღლილმა (ათი ეჯი შეუსვენებლივ განვლო) ზამთრის პირველ ყინვასთან ერთად, ბოლოს და ბოლოს, მიაღწია ივრინის გუბურებს, სადაც ადრე განიკურნა. თუმცა იქაურობა ჭაობად ქცეულიყო, ასე რომ, უნინდებურად წყურვილსაც ველარ მოიკლავდა.

როდესაც ეს ადგილები დატოვა და დორ-ლომინისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა, ჩრდილოეთის მხრიდან თოვლის კორიანტელი წამოვიდა. გზა კი სახიფათო და ცივი გამოდგა. ოცდასამი წელი გასულიყო ამ ბილიკების გამოვლიდან, თუმცა მაშინ იმდენად მწუხარე იყო მისი ყოველი ნაბიჯი, რომელიც მორუენისგან აშორებდა, რომ სამუდამოდ გულზე აღბეჭდოდა ეს გზა.

ასე და ამგვარად, თავის ბავშვობის მინებზე დაბრუნდა. ირგვლივ ყველაფერი გაუკაცრიელებული და გაუდაბურებული დახვდა. ხალხი ცოტალა შემორჩენილიყო, არასტუმართმოყვარენი გამხდარიყვნენ და აღმოსავლე-

ტურიზის დაბრუნება დორ-ლომინში

ლთა მოუხეშავ ენაზე მეტყველებდნენ, უწინდელი კი მონათა და მტერთა ენად შერაცხილიყო. ამიტომ ტურიზი ფრთხილად გადაადგილდებოდა, თავზე ჩაჩი წამოეხურა და კრინტს არ ძრავდა. ასე მივიდა იმ სახლამდე, რომელსაც ეძებდა. ის კი დაცარიელებული იდგა, შიგ სიბნელეს დაევიანა, ხოლო ახლომახლო სულიერის ჭაჭანება არ იყო, რამეთუ მორუენი იქ არ დახვდა, ხოლო უცხოტომელ ბროდას (რომელმაც აერინი, ჰურიზის ნათესავი ქალი, ძალდატანებით შეირთო ცოლად) სახლი თავის საკუთრებად გამოეცხადებინა, დარჩენილი სურსათ-სანოვაგე კი წაელო და მსახურებიც თან წაეყვანა. ბროდას საცხოვრისი ყველაზე ახლოს იდგა ჰურიზის ძველ სახლთან. ხეტიალისა და დარდისგან დაქანცული ტურიზი კი სწორედ იქ მივიდა და თავშესაფარი ითხოვა. დიდად გაუმართლა, რადგან იქ კიდევ შემორჩენილიყვნენ ძველებურად გულკეთილი ადამიანები. ცეცხლთან დასვეს, მსახურთა და მასავით პირქუშ და გადაქანცულ მწირებს შორის; და მან იქაურობის ამბები გამოიკითხა.

უეცრად სიჩუმემ დაისადგურა, ზოგიერთი კი, ვინც მას აღმაცერად უყურებდა, გვერდიდან ჩამოეცალა. თუმცა ერთმა მოხუცმა მანანწალამ, რომელიც ყავარჯენს ეყრდნობოდა, ხმა ამოიღო:

– თუ ძველ ენაზე საუბარს აპირებ, ბატონო, ხმადაბლა ილაპარაკე, ხოლო ცნობებს ნურავის დაეკითხები. ვგონებ, არ გსურთ, გაგამათრახონ ან ჯაშუშობისთვის ჩამოგახრჩონ, რადგან შესაძლოა, ორივეს გამოჰკრა ხელი შენი იერის გამო, რომლითაც, ასე ვთქვათ, – ის უფრო ახლოს მიჩოჩდა ტურიზთან და ხმადაბლა უთხრა ყურში, – ძლიერ წააგავხარ მათ, ვინც ჰადორს მოჰყვა ოქროს ხანის ჟამს, სანამ თავები მგლის ტყავით შეიმოსებოდნენ.

აქ ჯერ კიდევ იმყოფებიან მსგავსნი, თუმცა მათხოვრებად და მონებად იქცნენ და რომ არა ქალბატონი აერინი, ისინი ვერც სითბოსა და ვერც ულუფას ეღირსებოდნენ. შენ საიდან ხარ და რა ამბები მოგიტანია?

– აქ ერთ დროს ქალბატონი სახლობდა, სახელად მორუენი, – მიუგო ტურინმა. – დიდი ხნის წინათ მის სახლში ვცხოვრობდი. დიდხანს მოვეშურებოდი აქეთ, თბილი დახვედრის მოლოდინით, თუმცა არც კერია დამხვდა და აღარც ხალხი.

– უკვე მრავალ წელზე მეტია, აქ აღარავინ არის, – უპასუხა მოხუცმა. – თუმცა საზარელი ომის შემდგომ მცირედი მაინც ცხოვრობდა იმ სახლში; რამეთუ მორუენი უძველეს ხალხთა შთამომავალი იყო – გეცოდინება, რომ ის ჩვენი ბატონის, ჰურიანის ქვრივი გახლდათ, გალდორის ძისა. ვერაფერს უბედავდნენ, რადგან მისი შიში ჰქონდათ. მშვენიერი იყო დედოფალივით და ამაყი, ვიდრე სევდამ არ დარია ხელი. გრძნეულ ცოლს უწოდებდნენ და თავს არიდებდნენ. „გრძნეული ცოლი“ კი, გასაგებ ენაზე, სხვა არაფერია, თუ არა „ელფთა მეგობარი“. მიუხედავად ამისა, მაინც ძარცვავდნენ. ის და მისი ქალიშვილი შიმშილისაგან დაოსდებოდნენ, რომ არა ქალბატონი აერინი. იგი ჩუმად ეხმარებოდა მათ და, ამის გამო, როგორც ამბობენ, მისი ანგარებიანი და ხეპრე ქმარი, ბროდა, ხშირად სცემდა ხოლმე.

– მთელი ეს წლები ამგვარად ცხოვრობდნენ? – იკითხა ტურინმა, – რა ბედი ეწიათ, დაიღუპნენ თუ მონებად გაიხადეს? ან იქნებ ორკებმა იმსხვერპლეს?

– დანამდვილებით არავინ იცის, – მიუგო მოხუცმა. – თუმცა ის ქალიშვილთან ერთად აქაურობას გაეცალა. ბროდამ კი ყველაფერი გაძარცვა და მიისაკუთრა, რაც კი რამ დარჩა. ძალლიც არ დატოვა, ხოლო დარჩენილი ადამი-

ანები მონებად გაიხადა, გარდა ჩემნაირებისა, რომლებიც მათხოვრებად იქცნენ. მრავალი წელი ვმსახურობდი მასთან – მე, ერთ დროს შეძლებული სადორ ცალფეხა. რომ არა ტყეში ის წყეული ცული, ახლა დიდ გორასამარხში ვინვებოდი. მახსოვს ის დღე, როდესაც ჰურინის ბიჭი გაამგზავრეს, და ისიც, თუ როგორ ქვითინებდა; ისევე როგორც მორუენი, მისი წასვლისას. ამბობენ, რომ მან დაფარული სამეფოსკენ გასწია. – ამ დროს მოხუცმა ენაზე იკბინა და ტურინს ეჭვიანი მზერით შეხედა, – ბებერი ვარ და რაღაცებს წამოვროშავ ხოლმე, – უთხრა მას, – არ მომისმინოთ! თუმცა სასიამოვნოა საუბარი ძველ ენაზე მასთან, ვინც უწინდებური მანერით მეტყველებს. შავბნელი დრო დამდგარა და ადამიანს სიფრთხილე მართებს. ყველა ტკბილად მოუბარი როდია გულკეთილი.

– ნამდვილად ასეა, – მიუგო ტურინმა, – ჩემი გული დამძიმებულია. მაგრამ თუ შიშობ, რომ ჩრდილოელთა ან აღმოსავლელთა ჯაშუში ვარ, მაშინ სიბრძნე ცოტათი მაინც შეგმატებია, უწინდელთან შედარებით, სადორ ლაბადალ.

მაშინ მოხუცმა შორიდან შეათვალიერა იგი, შემდეგ კი აკანკალებული ხმით უთხრა:

– გარეთ გავიდეთ! იქ უფრო ცივა, თუმცა მეტად უსაფრთხოა. მე და შენ, აღმოსავლელთა დარბაზის კვალობაზე, ზედმეტად ხმამაღლა ვლაპარაკობთ. ეზოში რომ გავიდნენ, მან ტურინს მოსასხამში ჩაავლო. – შენ ამბობ, რომ დიდი ხნის წინათ იმ სახლში ცხოვრობდი. მბრძანებელს ტურინ, რატომ დაბრუნდი? თვალები ამეხილა და სმენა დამიბრუნდა, ბოლოს და ბოლოს. მამაშენის ხმა გაქვს. მხოლოდ პატარა ტურინი მეძახდა ლაბადალს. ამას ცუდი განზრახვით არ სჩადიოდა: ჩვენ მაშინ ლალი მეგობრები ვიყავით. რას დაეძებს იგი აქ? ცოტანი დავრჩით, თანაც

მსცოვანნი და უიარალონი. საფლავში მწოლიარენიც კი ჩვენზე ბედნიერი არიან.

– საომარი განზრახვით არ მოვსულვარ, – უთხრა ტურინმა, – თუმცა კი შენმა სიტყვებმა მსგავსი სურვილი გამიღვივა. მაგრამ ეს მოიცდის. ამჟამად მე მხოლოდ ქალბატონი მორუენისა და ნიენორის გამო მოვედი. რა შეგიძლია მიაშობო მათზე, ოღონდ სწრაფად?

– მხოლოდ მცირედი, – მიუგო სადორმა. – საიდუმლოდ გაემგზავრნენ ისინი. ამბობდნენ, თითქოს ბატონმა ტურინმა უხმოო; რადგან ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ ამ წლების განმავლობაში იგი სახელოვანი გახდებოდა, ხელმწიფე ანდა დიდებული რომელიმე სამხრეთის ქვეყნისა. თუმცა, როგორც ჩანს, ყოველივე ამგვარად არ მომხდარა.

– მთლად ასეც არ ყოფილა ყოველი, – უპასუხა ტურინმა. – ადრე დიდებული ვიყავ სამხრეთის მხარეში, მიუხედავად იმისა, რომ ახლა მოხეტიალედ ვქცეულვარ. თუმცა მე არ მიხმია მათთვის.

– მაშ, არც კი ვიცი, რა გითხრა, – მიუგო სადორმა, – მაგრამ ქალბატონ აერინს ეცოდინება, ეჭვიც არ მეპარება. მან კარგად უწყოდა დედაშენის ყოველი განზრახვა.

– როგორ მივიდე მასთან?

– ამის შესახებ არა ვიცი რა, თუმცა შესაძლოა, მას დიდ ტანჯვად დაუჯდეს, თუ კარიბჭესთან ფეხქვეშათელილთა მოდგმის უბედურ მანანწალასთან ერთად შენიშნეს, თუნდაც დაძახილზე ერთი ნაბიჯიც გადმოდგას წინ. ხოლო ისეთ დახეულ-დაკონკილს, როგორიც შენ ხარ, მთავარ დარბაზში არავინ შეუშვებს, მანამდე შეიპყრობენ აღმოსავლელელები და გაამათრახებენ, ან კიდევ უარესს უზამენ.

მაშინ განრისხებულმა ტურინმა შეჰყვირა:

ტურიზის დაბრუნება დორ-ლომინში

– იქნებ სულ არ ვაპირებ ბროდას სასახლეში შესვლას, მაინც გამამათრახებენ? მაშ, მოდი და იხილე!

ამის შემდგომ სასახლისკენ აიღო გეზი, ხოლო ჩაჩი უკან გადაიგდო. ყველანი აქეთ-იქით მოისროლა, ვინც კი გზად გადაეღობა და საფიხვნოსთან აესვეტა, სადაც სასახლის ბატონი, მისი მეუღლე და სხვა აღმოსავლელი დიდებულები ისხდნენ. მაშინ ზოგიერთი წამოხტა, რათა შეეპყრო იგი, თუმცა ყველა ძირს დაანარცხა და შეჰყვირა:

– ნუთუ, ამ სასახლეს მმართველი არ ჰყავს, ან იქნებ ორკთა მფლობელობაშია? სად არის აქაურობის ბატონ-პატრონი?

მაშინ ბროდა რისხვით წამოიშარა.

– სასახლე ჩემს განკარგულებაშია, – თქვა მან.

მაგრამ სანამ სხვა რამესაც იტყოდა, ტურიზმა დაასწრო:

– თუ ასეა, განა არ გსმენია იმ ზრდილობის წესზე, რომელსაც შენს მოსვლამდე აქ პატივს სცემდნენ? ნუთუ ახლა წესად არს, კაცთა უფლება მისცენ ლაქიებს, თავიანთ ცოლთა ნათესავთ უღირსად მოეპყრნან? ისეთებს, როგორც მე ვარ და რომელსაც სასწრაფო შეტყობინება აქვს გადასაცემი ქალბატონი აერინისათვის? თავისუფლად შემოვიდე თუ იმგვარად, როგორც მომიხერხდება?

– შემოდი, – გამოსცრა დაბლვერილმა ბროდამ; აერინს კი ფერი დაეკარგა.

მაშინ ტურიზი საფიხვნოს წინ დადგა და ქედი მოიხარა.

– პატიებას გთხოვთ, ქალბატონო აერინ, – თქვა მან, – რამეთუ შემოგეჭერთ, მაგრამ ჩემი შეტყობინება საჩქაროა და მის გამო დიდი გზა გამოვიარე. მე დორ-ლომინის ქალბატონსა და ნიენორს, მის ქალიშვილს დავეძებ, თუმცა მისი სახლი ცარიელი და გაძარცული დამხვდა. რა შეგიძლიათ მიაშობოთ?

– არაფერი, – მიუგო ძლიერი შიშით შეპყრობილმა აერინმა, რამეთუ ბროდა მას ავად უმზერდა.

– შენი სიტყვების არ მჯერა, – უთხრა ტურიანმა.

მაშინ ბროდამ წინ წაინია და რისხვით ანთებულს წითელმა ფერმა გადაჰკრა.

– საკმარისია! – შეჰყვირა მან. – სად გაგონილა ჩემს ცოლს, ჩემ თვალწინ უპატივცემულოდ ეპყრობოდე ვი-
ლაც მდაბიოთა ენაზე მოლაპარაკე მათხოვარი? არ არსებობს დორ-ლომინის ქალბატონი. რაც შეეხება მორუენს, იგი მონათა მოდგმისა იყო და იმგვარად გაიქცა, როგორც ეს მონათ სჩვევიათ. შენც ასევე მოიქცევი და თან სწრაფად, თუ ხეზე ჩამოხრჩობას ამჯობინებ?

უეცრად ტურიანი მისკენ გადახტა, შავი ხმალი იშიშვლა, ბროდას თმაში მისწვდა და თავი უკან გადაანევირა.

– განძრევა არავინ გაბედოს, – თქვა მან, – თორემ ეს თავი საკუთარ მხრებს დაეხსნება! ქალბატონო აერინ, კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, იმის გამოც, რომ ამ ყიამყრალმა თავმა სიავის გარდა სხვა არაფერი მოგიტანათ. მაგრამ ახლა ხმა ამოიღე და ნუ უარმყოფ! განა ტურიანი არა ვარ, დორ-ლომინის მბრძანებელი? შეიძლება გიბრძანო?

– მიბრძანე, – მიუგო მან.

– ვინ გაძარცვა მორუენის სახლი?

– ბროდამ, – იყო პასუხი.

– როდის წავიდა ის და რომელ მხარეს?

– წელიწადისა და სამი თვის წინ, – უპასუხა აერინმა, – ბატონი ბროდა და სხვა აღმოსავლელნი მას ძლიერ ავიწროებდნენ. დიდი ხნის წინათ დაცული სამეფოდან უხმეს; და ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა წასულიყო, რამეთუ იქამდე მიმავალი გზები, როგორც ამბობდნენ, სამხრეთელი შავი ხმლის სიქველის წყალობით, თავისუფალი იყო

ბოროტების მსახურთაგან; თუმცა ახლა ყველაფერი დასრულდა. იგი იქ თავის ვაჟს დაეძებდა, რომელიც ელოდებოდა. და თუ ეს შენ ხარ, მაშინ ვშიშობ, მუხთლად წარმართულა ყოველი.

მაშინ ტურიზმა მწარედ გაიცინა.

– მუხთალი, მუხთალი? – შეჰყვირა. – დიახ, მუდამ მუხთალი იყო წუთისოფელი: ისეთივე მუხთალი, ვითარცა მორგოთია. – და უეცრად შავმა ჯადომ შეანჯღღრია; თვალები ღია დარჩა, ხოლო გლაურუნგის გრძნეულებამ თავისი უკანასკნელი ძაფებისგან გაათავისუფლა, და მიხვდა იგი, როგორ გააცურეს. – განა მწარედ არ მოგცუვდი, რამეთუ აქ უღირსი სიკვდილისთვის მოვსულვარ, მაშინ როცა ნარგოთრონდის კარიბჭის წინ შემეძლო, ღირსეულად შევხვედროდი აღსასრულს? – და სასახლის გარეთ, ბნელ ღამეში ფინდუილასის ოხვრა შემოესმა.

– აქ პირველი მე არ შევხვდები აღსასრულს, – შესძახა მან. შემდეგ დასწვდა ბროდას და გამოუთქმელი ტკივილითა და რისხვით ძალამოცემულმა მალლა ასწია ის და ისე შეანჯღღრია, თითქოს ძალლი სჭეროდა ხელში. – მორუენი მონათა მოდგმისად მოიხსენიე, არა? ლაჩართა ნაშიერო, ქურდო, მონათა მონავ! – ამის შემდეგ ბროდა თავისსავე მაგიდისკენ მოისროლა ყველა იმ აღმოსავლელის თვალწინ, რომელიც მასთან საბრძოლველად წამომდგარიყო. დავარდნის დროს ბროდას კისერი მოსტყდა; შემდეგ ტურიზი წინ გამოიჭრა და სიცოცხლეს კიდევ სამი კაცი გამოასალმა, იქვე უიარალოდ რომ მობუზულიყო. სასახლეში აღიაქოთი ატყდა. სხვა აღმოსავლელებმა, რომლებიც იქვე ისხდნენ, მის წინააღმდეგ გაბრძოლება დააპირეს, მაგრამ უკვე უამრავ დორ-ლომინელ უხუცესს მოეყარა თავი, მრავალი წლის განმავლობაში მათ ცხოველებით

ეპყრობოდნენ, მაგრამ ახლა აჯანყების ყიჟინას სცემდნენ. მალე სასახლეში დიდი შეხლა-შემოხლა გაიმართა. მართალია, მონებს მხოლოდ სამზარეულოს დანები ეჭირათ, მსხვერპლი მაინც დიდი იყო ორივე მხრიდან. ბოლოს, ტურიანი მათ შორის ჩადგა და დარბაზში დარჩენილი უკლებლივ ყველა აღმოსავლელი ამოხოცა.

შემდეგ იქვე სვეტს მიეყრდნო და სული მოითქვა, ხოლო რისხვით ანთებულ თვალებზე მტვრისფერმა გადაჰკრა. ამ დროს მოხუცი სადორი მიხობდა მასთან და მუხლებზე შემოჰხვია ხელები, რადგან სასიკვდილოდ დაჭრილიყო.

– სამჯერ შვიდი და მეტი წელი ველოდი ამ ჟამს, – თქვა მან. – მაგრამ ახლა წადი, წადი, ბატონო! წადი და უკან აღარ დაბრუნდე, სანამ საკმარის ძალებს არ შემოიკრებ. ისინი მთელ ქვეყანას შეყრიან შენ წინააღმდეგ. მრავალი გაიქცევა სასახლიდან. წადი, თორემ აღსასრულს აქ შეხვდები. მშვიდობით! – ეს თქვა თუ არა, მოსხლტა და სული განუტევა.

– სიკვდილისპირულ ჭეშმარიტებას ლაღადებდა, – თქვა აერინმა. – უკვე შეიტყვე, რაც უნდა გაგეგო. ახლა კი სწრაფად გაეცალე აქაურობას! მაგრამ პირველად მორუენთან წადი და დაამშვიდე, თორემ აქ დატრიალებულს ძნელად თუ გაპატიებ. თუმც უკუღმართად წავიდა ჩემი ცხოვრება, შენ მაინც ყველაზე უარესი, სიკვდილი მოიტანე შენი ძალმომრეობით. უცხოტომელნი ამ ღამეს ძმრად ამოგვადენენ. წინდაუხედავია შენი ქმედებანი, ჰურიანის ძევ, თითქოს იმ ბავშვად დარჩი, რომელსაც ოდესღაც ვიცნობდი.

– მხდალი ყოფილხარ, აერინ, ინდორის ასულო, უწინდელივით, როდესაც დეიდას გეძახდი, შენ კი ქოფაკი ძაღლისა გეშინოდა, – მიუგო ტურიანმა. – შენ უფრო სათ-

ტურინის დაბრუნება დორ-ლომინში

ნო სამყაროსთვის ხარ გაჩენილი. თუმცა, წამოდი! მორუ-
ენტან მიგიყვან.

– იმაზე მაღალი თოვლი დაჰფენია მინას, ვიდრე მე
ვარ, – უპასუხა მან. – შენთან ერთად უდაბურ ადგილებში
უფრო იოლად მოვკვდები, ვიდრე სასტიკ აღმოსავლელ-
თა გარემოცვაში. ველარ შეძლებ იმის გამოსწორებას,
რაც ჩაგიდენია. გასწი! დარჩენით უარესს იზამ და ამო
მოქმედებით მორუენსაც უარესად დააზარალებ. წადი,
გემუდარები!

მაშინ ტურინმა თავი დაუკრა, გაბრუნდა და დატოვა
ბროდას სასახლე; თუმცა ყველა აჯანყებული, ვისაც კი
ძალები შერჩენოდა, უკან გაჰყვა. მთებისკენ გაიქცნენ,
რადგან ბევრმა მათგანმა უწყოდა ტყე-ლრეში მიმავალი
ბილიკები, და ისინი ლოცავდნენ თოვლს, რომელიც მათ
ნაკვალევს შლიდა.

ამგვარად, ნადირობა მალევე შეწყდა. ადამიანები ძალ-
ლებითა და ცხენებით სამხრეთის მაღლობებს შეერივნენ.
როდესაც უკან მოიხედეს, წითელ ნათებას მოჰკრეს თვა-
ლი, შორს, მათ ზურგს უკან დატოვებულ მინებზე.

– მათ სასახლეს ცეცხლი წაუკიდეს, – თქვა ტურინმა. –
ნეტავ, რად ჩაიდინეს ეს?

– მათ? არა, ბატონო, ვფიქრობ, ეს ქალბატონმა გაა-
კეთა, – თქვა ერთმა, სახელად ასგონმა. – ბევრ იარაღ-
მომარჯვებულ კაცს არასწორად ესმის მოთმინებაცა და
სიმშვიდეც. მან ჩვენზე მეტი გააკეთა და მეტი მსხვერპლი
გაიღო. მხდალი არ ყოფილა. საბოლოოდ, მოთმინებამაც
მიაღწია თავის საზღვრებს.

ისინი, ვისაც გამძლეობა გააჩნდა და ზამთართან გამ-
კლავება ძალუძდა, ტურინთან დარჩნენ და გაჰყვნენ უც-
ნობ ბილიკებზე, რომლებიც მთებში მდებარე თავშესა-
ფრამდე მიდიოდა, გამოქვაბულამდე, რომლის შესახებ

კარგად უწყოდნენ ავაზაკებმა და დევნილებმა; ადგილზე მისულთ ადრე გადანახული და დამალული საკვებიც დაუხვდათ. მოიცადეს, სანამ თოვა შეწყდა. შემდეგ მას საკვები მისცეს და იმ ბილიკზე დააყენეს, რომელსაც იშვიათად იყენებდა ვინმე და რომელიც სამხრეთში, სირიონის ხეობისაკენ მიდიოდა, იქით, სადაც ჯერ არ მოეთოვა. ისინი მას ქვემოთ მიმავალ ბილიკებზე გამოეთხოვნენ.

– დროებით, დორ-ლომინის მბრძანებელო, – უთხრა ასგონმა. – არ დაგვივინყოთ. ამიერიდან დევნილებად ვიქეცით; ხოლო მგელთა მოდგმისანი, შენი გამოჩენის გამო, უფრო სასტიკნი გახდებიან. ამგვარად, წადი და უკან არ დაბრუნდე, ვიდრე აქეთ ისეთი ძალით არ გამოსწევ, რომელიც ჩვენს დახსნას შეძლებს. მშვიდობით!





თაზი XIII

ტურინის მოსვლა ბრეთილში

ტურინი სირიონს დაღმა მიუყვებოდა, გონებაში ყველაფერი არეოდა, რადგან თუ აქამდე მხოლოდ ორი მწარე არჩევანი ჰქონდა, ამიერიდან მათ რიცხვს მესამეც მიმატებოდა და თავისი ჩაგრული თანამოძმენი, რომელთაც უწინდელზე უარესი უბედურება დაატეხა თავს, ახლა მის იმედად იყვნენ. ერთადერთი ის ანუგეშებდა, რომ მორუენი და ნიენორი კარგა ხნის მისულები უნდა ყოფილიყვნენ დორიათში, და რომ შავი ხმლის სიქველის დამსახურებით, მათი გზა ხიფათებისგან თავისუფალი იყო. გონებაში ამბობდა: „უკეთეს ადგილას სად წავიყვანდი მათ, ნუთუ დროულად მოვედი? თუ მელიანის სარტყელი გაირღვევა, სამყაროს აღსასრულიც მოაწევს. უკეთესია, ყოველივე ისე დავტოვო, როგორც არის; რამეთუ ჩემი რისხვისა და დაუფიქრებლობის გამო, სადაც კი მივალ, ყველგან უბედურებას ვთესავ. დაე, მელიანმა შეიფაროს ისინი! მე კი

მათ შევეშვები და თუნდაც მცირე ხნით, დავტოვებ სიმშვიდეში, წყვდიადისგან შორს“.

ფინდილასის მოძებნა კი ტურიანს დაუგვიანდა. ერედ-უეთრინისპირა ტყეებში დაეძებდა, ცხოველივით გაველურდა და სმენად იქცა; ჩრდილოეთით, სირიონისკენ მიმავალი ყველა ბილიკი გამოიკვლია, თუმცა უკვე დაგვიანებული იყო, რადგან თოვლსა და წვიმას ყველანაირი კვალი წაეშალა და გადაერეცხა. თუმცა სწორედ მაშინ, როცა ტურიანი ტეიგლინს დაღმა მიუყვებოდა, ბრეთილის ტყეში მცხოვრებ ჰალეთის ხალხს გადაეყარა. ომიანობის გამო მათი რიცხვი ძლიერ შემცირებულიყო და უმეტესწილად შეუმჩნევლად ცხოვრობდნენ მესრით შემოსაზღვრულ დასახლებაში, ღრმა ტყეში, ამონ-ობელზე. იმ ადგილს ეფელ ბრანდირი ეწოდებოდა, რადგან ბრანდირი, ძე ჰანდირისა, იყო იმჟამად მათი მბრძანებელი მას შემდეგ, რაც მამამისი მოკლეს. ბრანდირს კი ომი არ იზიდავდა, რადგან ბავშვობაში უბედობა შემთხვეოდა და დაკოჭლებულიყო; ხასიათით მეტად დარბაისელი გახლდათ, ტყე ლითონზე მეტად უყვარდა და ხმელეთის ცოცხალ ქმნილებებთან მოპყრობაში უფრო გახლდათ განსწავლული, ვიდრე სხვა სიბრძნეებში.

თუმცა ზოგიერთი ტყის მკვიდრი საზღვრებთან კვლავ ორკთა დევნით იყო დაკავებული; და სწორედ მაშინ, როდესაც ტურიანი მოვიდა, აყალმაყალი შემოესმა. სწრაფად გაეშურა მათკენ და ხეებს შორის უჩუმრად მიმავალმა, ორკებით გარშემორტყმული ადამიანთა მცირე ჯგუფი დაინახა. ისინი სასოწარკვეთით იცავდნენ თავს, ზურგით დამდგარიყვნენ მდელოზე გვერდიგვერდ ამოზრდილი და გადახლართული ხეების ქვეშ; თუმცა ორკები მათ რიცხოვნობრივად სჭარბობდნენ და გაქცევის შესაძლებლობა თითქმის არ ჰქონდათ, თუ მშველელი არ გამოჩნდებოდა.



ამ დროს ტყის სიღრმეში, ყველასგან მალულად ტურიზი ახმაურდა, მიწას ფეხებს სცემდა და ლენვა-მტვრევის ხმებს ექოდ ავრცელებდა, ბოლოს კი ხმამაღლა შეჰყვირა, თითქოს მრავალ ადამიანს მოუძლოდა წინ:

– ჰაჰ! აი, ვიპოვეთ ისინი! ყველანი მომყევით! ახლავე გამოდით და გაჟღიბეთ!

დამფრთხალმა ორკებმა უკან მიიხედეს და ამ დროს ტურიზი გამოიჭრა, თან ხელს იქნევდა, თითქოს უკან მომავალთ უხმობსო, ხოლო გურთანგის პირი ისე ვარვარებდა, გეგონებოდა, ხელში ცეცხლი უპყრიაო. ორკები ზედმეტად კარგად იცნობდნენ იმ ხმაღს და სანამ ტურიზი მათ შორის გაერეოდა, უმეტესობა დაიქსაქსა და გაიქცა. მაშინ ტყის ხალხი მისკენ წამოვიდა და მას შეუერთდა. ერთად გადევნეს ორკები მდინარისკენ, ცოტამ თუ მოახერხა მისი გადალახვა. ბოლოს, მდინარის კალაპოტთან შეჩერდნენ და დორლასმა, ტყის კაცთა წინამძღოლმა წარმოთქვა:

– მეტად სწრაფი ყოფილხართ, ბატონო; მაგრამ ხალხი კი ნელი გყოლიათ.

– არა, – თქვა ტურიზმა, – ჩვენ ყველა ერთად მოვრბოდით, როგორც ერთი ადამიანი და მეტად ველარ დავიყოფოდით.

მაშინ ბრეთილელმა ადამიანებმა გაიცინეს, და თქვეს:

– რა ვუყოთ მერე, ერთი ასეთი ვაჟკაცი ბევრ სხვას ჯობნის. შენს ვალში ვართ, მაგრამ ვინ ხარ და აქ რას აკეთებ?

– ჩემს ხელობას მივდევი, ორკებს ვხოცავ. – მიუგო ტურიზმა. – იქ ვიდებ ბინას, სადაც ჩემი ხელობა მიმიყვანს. მე ტყის ბინადარი ველური კაცი ვარ.

– მაშ, თუ ასეა, წამოდი და ჩვენთან ერთად იცხოვრე, – უთხრეს მათ. – რადგან ჩვენც ტყის ბინადარნი ვართ და

შენნაირი გამოცდილი ადამიანი გამოგვადგებოდა. სიბარულით მიგიღებთ!

მაშინ ტურიანმა უცნაური მზერა მიაპყრო მათ და უთხრა:

– ნუთუ ყველა მზად არის, დამითმინოს მათ სახლთა თავზე ჩამონოლილი წყვილის გამო? თუმცა, მეგობრებო, მე კვლავ ნუხილისმომგვრელი დავალება მაქვს შესასრულებელი: ფინდუილასი, ოროდრეთის ასული უნდა ვიპოვო, ან სულ მცირე, რაიმე ცნობა მაინც უნდა შევიტყო მის შესახებ. აფსუს! უამრავი კვირა გამოხდა მას შემდეგ, რაც ნარგოთრონდიდან წაიყვანეს. თუმცა, ძიება მაინც უნდა განვაგრძო.

მაშინ მას სიბრაღულით გადმოხედეს, ხოლო დორლასმა უთხრა:

– ნულარ დაეძებ! რამეთუ ორკთა რაზმი მოვიდა ნარგოთრონდიდან, ტეიგლინის გადასალახებისკენ მიინევენენ, დიდი ხნის წინათ ვიყავით მათ შესახებ გაფრთხილებულნი: ისინი ზანტად მოძრაობდნენ, რადგან დიდი რაოდენობით ტყვეებს მოერეკებოდნენ. მაშინ ვიფიქრეთ, რომ საერთო ომში ჩვენი მცირედი წვლილი შეგვეტანა და ორკთა რიგებში არეულობა მოვანყვეთ. ყველა ის მშვილდოსანი დავიხმარეთ, რომელიც შევკრიბეთ, და ვიმედოვნებდით, რომ ამით ზოგიერთ ტყვეს მაინც დავიხსნიდით. მაგრამ ვაი, რომ ვერა! როდესაც მათ თავს დავესხით, გულღრძო ორკებმა პირველივე ტყვე ქალი გამოასალმეს სიცოცხლეს, ხოლო ოროდრეთის ასული შუბით ხეზე მიაჭედეს.

ტურიანი სასიკვდილოდ დაჭრილივით გაშეშდა.

– ეს საიდან იცით? – აღმოხდა მას.

– სანამ მოკვდებოდა, დამელაპარაკა, – უთხრა დორლასმა, – ისე შემომცქეროდა, თითქოს მის პოვნას ცდილობდა, ვისაც მოელოდა. შემდეგ კი თქვა:

ტურიზის მოსვლა ბრეტილში

– მორმეგილი. უთხარით მორმეგილს, რომ ფინდუილასი აქ იყო. ამის მეტი აღარა უთქვამს რა. მისი უკანასკნელი სიტყვების გამო იქვე დაგვკრძალეთ, სადაც აღესრულა. ტეიგლინის ნაპირას განისვენებს იგი. დიახ, ეს ამბავი ერთი თვის წინ მოხდა.

– წამიყვანეთ იქ, – თქვა ტურიზმა; წაუძღვნენ მას ტეიგლინის გადასალახებთან მდებარე პატარა ბორცვაკისკენ. იქ მისული კი ძირს დაემხო და წყვდიადი გადაეფინა, ყველამ იფიქრა, რომ სული განუტევა. დორლასმა დახედა მას, შემდეგ თავის ხალხს მიუტრიალდა და თქვა:

– გვიანია! მეტად შესაბრალისი შემთხვევაა. თუმცა შეხედეთ, აქ თვით მორმეგილი წევს, ნარგოთრონდის ძლევა მოსილი სარდალი. მისი ხმლით უნდა გვეცნო, როგორც ორკებმა იცნეს დანახვისთანავე...

მართალი იყო იგი, რადგან სამხრეთელ შავ ხმალს სახელი შორს გავარდნოდა, თვით ტყეთა სიღრმეებშიც კი.

ასე და ამგვარად, მოწინებით აიტაცეს იგი ხელში და ეფელ-ბრანდირში წაასვენეს. ბრანდირი გარეთ გამოვიდა მათთან შესახვედრად და დიდად გაუკვირდა, როცა მათი მოტანილი საკაცე იხილა, ხოლო როდესაც სუდარა გადააძრო, ტურიზმა ჰურიზის ძის სახე დაინახა და წყვდიადი შემოაწვა გულზე.

– ოჰ, სასტიკო ჰალეთის ხალხო! – წამოიძახა მან, – რად გამოიხმეთ უკან ამ ადამიანის სიკვდილი? ბევრი გიმრომიათ კაცთა უკანასკნელი წყევლის აქ მოსატანად.

თუმცა ტყის მკვიდრთ უპასუხეს:

– არა, ეს ნარგოთრონდელი მორმეგილია, ძლევა მოსილი ორკთამჟღეტელი. დიდ დახმარებას გაგვიწევს, თუკი იცოცხლებს. ესეც რომ არა, განა მწუხარებით დაკოდილი ადამიანი გზაზე ლეშივით დაგდებული უნდა მიგვეტოვებინა?

– არ უნდა დაგეტოვებინათ, რა თქმა უნდა, – თქვა ბრანდირმა, – ბედისწერა ამას არ დაუშვებდა. შემდეგ ტურიანი თავის სახლში წაიყვანა და მასზე იზრუნა.

გაზაფხული დგებოდა, როდესაც ბოლოს და ბოლოს, ტურიანმა წყვილიაღს თავი დააღწია. გამოიღვიძა და მზით განათებული მწვანე კვირტები იხილა. მაშინ ჰადორის მოდგმის სიმამაცემ მასშიც გამოიღვიძა, წამოდგა და თავის გულში თქვა: „ყოველი ჩემი ნამოქმედარი, განვლილი დღეების მსგავსად, ბნელით იყო მოცული და ბოროტებით აღსავსე. მაგრამ დადგა ახალი დღე. აქ დავრჩები, სიმშვიდეში. უარყოფ საკუთარ სახელსა და ნათესავთ და ამგვარად, მოვიტოვებ წყვილიაღს ზურგს უკან, ანდა მათ გულებს აღარ დავამძიმებ, ვინც მიყვარს“.

ამგვარად, ახალი სახელი დაირქვა და იწოდა ტურამბარად, რომელიც უზენაეს ელფთა ენაზე იშიფრებოდა, როგორც „ბედისწერის მბრძანებელი“; ასე განაგრძო ცხოვრება ტყის ხალხთან. ძლიერ შეიყვარეს იგი, მისივე თხოვნით, მისი ძველი სახელი დაივიწყეს და ისე ეპყრობოდნენ, როგორც ბრეთილში შობილს. თუმცა მიუხედავად სახელის შეცვლისა, ის საკუთარ თავს ვერ შეცვლიდა, ვერ დაივიწყებდა მორგოთის მსახურთაგან მის თავს დატრიალებულ უწინდელ უბედურებებს; ხშირად შემოიკრებდა ხოლმე იქაურ თანამოაზრეებს და ორკებზე სანადიროდ მიდიოდა. ბრანდირს ეს დიდად არ სიამოვნებდა, რადგან იმედოვნებდა, რომ საკუთარ ხალხს სიფრთხილითა და მალვით გადაარჩინდა.

– მორმეგილი აღარ არსებობს, – ეუბნებოდა იგი, – თუმცა მაინც გაფრთხილდი, ვინძლო ტურამბარის სიმამაცემ იგივე შურისგება აღმოაცენოს ბრეთილში.

ტურიანმა შავი ხმალი გვერდზე გადადო და ბრძოლებში აღარ გამოუყენებია, მის მაგივრად მშვილდსა და შუბს


ხმარობდა. არ დაუშვებდა, ორკებს ტეიგლინის გადასალ-
ახებით თავისუფლად ესარგებლათ და იმ საფლავის შო-
რიახლო ებოგინათ, სადაც ფინდუილასი განისვენებდა.
ჰაუდ-ენ-ელეთი ეწოდა მას, „ელფი ქალწულის სამარხი“
და მალე ორკები მიხვდნენ, რომ იმ ადგილის შიში უნდა
ჰქონოდათ და გარიდებოდნენ.

დორლასმა ტურამბარს უთხრა:

– შენ სახელი გადაირქვი, თუმცა კვლავ შავი ხმალი
ხარ; განა მოარული ხმები ჭეშმარიტებას არ ლაღადებდ-
ნენ, როდესაც მას ჰურინ დორ ლომინელის, ჰადორის
გვარის მბრძანებლის ვაჟად მოიხსენიებდნენ?

ტურამბარმა კი უპასუხა:

– ეგ მეც მსმენია. მაგრამ ნუ გაამხელ ამას, გემუდარე-
ბი, თუ ჩემი მეგობრობა გნადია.





თავი XIV

მორუენისა და ნიენორის გამგზავრება ნარგოთრონდში

როდესაც გაუსაძლისმა ზამთარმა გადაიარა, ნარგოთრონდიდან ახალი ცნობები მოვიდა დორიათში, ვინაიდან ვინც განსაცდელს გაუმკლავდა და უდაბურ ადგილებში ზამთარს გადაურჩა, თავშესაფრის სათხოვნელად თინგოლს მიადგა. საზღვრის მცველებმა ხელმწიფეს მიჰგვარეს ისინი. ზოგი ამბობდა, – მტერმა ჩრდილოეთისკენ დაიხია, გლაურუნგი კი ფელაგუნდის დარბაზებს დაეპატრონაო; ასევე, ამბობდნენ, მორმეგილი დაიღუპა და დრაკონმა მოაჯადოვა იგი და ახლაც იქ დგას გაქვავებულიო. თუმცა ყველა აცხადებდა, რომ ნარგოთრონდში მთელი ეს დრო იცოდნენ, რომ შავი ხმალი სხვა არავინ იყო თუ არა ტურიანი, ჰურიან დორ-ლომინელის ძე.

ძლიერ შეშინდნენ მორუენი და ნიენორი და მწუხარებაში ჩაცვივდნენ. მორუენმა თქვა:

– ამგვარი ეჭვების გაღვივება მორგოთის ნამოქმედარს წააგავს! შესაძლოა, სიმართლე ვერც გავიგოთ. ან-

მორუენისა და ნინოლის გამგზავრება ნარბოთრონდში

და განა ვიცით ყველაზე უარესი რა გველის და რის გადა-
ტანა მოგვიწევს?

თინგოლს ძლიერ სურდა უფრო მეტი შეეტყო ნარ-
გოთრონდის ბედზე და უკვე გუნებაშიც ჰქონდა იქით
გაეგზავნა ვინმე, ვინც უჩუმრად შეძლებდა ქალაქამდე
მისვლას, თუმცა სჯეროდა, რომ ტურინი დაილუპა, ან მი-
სი შველა შეუძლებელი იყო, სჯეროდა, რომ იმ სამნუხარო
წამს შეესწრებოდა, როდესაც მორუენი ყოველივეს შეი-
ტყობდა. ამგვარად, მორუენს უთხრა:

– მეტად საჭირობოროტო შემთხვევა არს, დორ-ლო-
მინის ქალბატონო, და დაფიქრებად ღირს. მსგავსი ეჭ-
ვები შესაძლოა, მართლაც მორგოთს დაეთესოს, რათა
წინდაუხედავი საქციელისკენ გვიბიძგოს.

თავგზააბნეული მორუენი ატირდა:

– წინდაუხედავი, მბრძანებელო! თუ ჩემი ვაჟი ტყეში
მშვიერი დაეხეტება, თუკი ხელფეხშებორკილი გდია, თუკი
მისი გვამი დაუმარხავია, მაშინ დაე, ვიყო წინდაუხედავი!
ერთ წამსაც კი არ დავკარგავ და მის მოსაძებნად წავალ.

– დორ-ლომინის ქალბატონო, – მიმართა თინგოლმა.
– ჰურინის ძე ამას ყველაზე ნაკლებად ისურვებდა. იგი
ახლა ფიქრობს კიდევაც, რომ ძლიერ გაუმართლა, როს
აქ მოხვედით, მელიანის მფარველობის ქვეშ და არა სხვა-
გან. რამეთუ ტურინისა და ჰურინის გულისთვის ვერ და-
ვუშვებდი, ამგვარი განსაცდელის ჟამს გარე-გარე გეხე-
ტიალათ.

– ტურინი განსაცდელისგან ვერ იხსენ, ახლა კი
ცდილობ, მისგან განმაშორო, – შეჰყვირა მორუენმა, – მე-
ლიანის მფარველობის ქვეშ! დიახ, ვითარცა ტყვე სარტყ-
ლის მიჯნებში. დიდხანს ვყოყმანობდი, სანამ აქ შემოვა-
ბიჯე, ახლა კი მწარედ ვნანობ ჩემს საქციელს.

– ცდები, თუ ამგვარად ფიქრობ, დორ-ლომინის ქალბატონო, – მიუგო თინგოლმა, – ეს იცოდე: საზღვრები ღია არს. თავისუფლად შემოაბიჯე, თავისუფლად შეგიძლია დარჩე, ანდა – წახვიდე.

მაშინ მელიანი, რომელიც უსიტყვოდ იჯდა, ალაპარაკდა:

– ნუ წახვალ, მორუენ! ჭეშმარიტება თქვი: ეჭვი მორგოთისა არს. თუ წახვალ, მაშინ მის წადილს აღასრულებ.

– მორგოთის წადილი ვერ აღმიდგება წინ, რომ ჩემს ახლობელთა ძახილს გამოვექომაგო. – უპასუხა მორუენმა, – მაგრამ თუ ჩემ გამო ღელავ, მბრძანებელო, მაშინ რამდენიმე მეომარი მათხლე.

– მე ვერას გიბრძანებ, – მიუგო თინგოლმა, – თუმცა ჩემი ხალხისათვის განკარგულების მიცემაში თავისუფალი ვარ. ისინი მხოლოდ მაშინ წამოვლენ, როცა საჭიროდ ჩავთვლი.

მაშინ მორუენს აღარა უთქვამს რა, მხოლოდ ატირდა და იქაურობას გაეცალა. თინგოლს გული დაუმიძიდა, რადგან ფიქრობდა, რომ მორუენს აზრს ველარ შეაცვლევინებდა; და მელიანს ჰკითხა, თავისი ძალის გამოყენებით ხომ ვერ შეაჩერებდა მას.

– ბოროტი ძალის წინააღმდეგ მეტსაც მოვიმოქმედებ, – უპასუხა მან, – თუმცა, ვინც წამსვლელია, მისი წასვლის წინააღმდეგ ვერას გავაწყობ, ეს უკვე შენი საქმეა. თუ ფიქრობ, რომ უნდა დარჩეს, მის შესაჩერებლად ძალა გამოიყენე, თუმცა შესაძლოა, ამით ჭკუიდან შეირყეს.

მორუენი კი ნიენორთან წავიდა და უთხრა:

– მშვიდობით, ჰურიანის ასულო. ჩემი ვაჟის საძებნელად მივემართები, ან მის შესახებ რაიმე ამბის შესატყობად, რამეთუ დიდი ხანია, უფრო ნაყოფიერი ვერაფერი მოიმოქმედეს აქ, თუმცა უნდა ვიჩქარო, სანამ გვიან არ არის. დამელოდე, იქნებ დავბრუნდე კიდევ.

მორშენისა და ნიენორის გამგზავრება ნარბოთრონდში

შეშინებული და დამწუხრებული ნიენორი შეეცადა გადაეფიქრებინა, თუმცა მორუენმა არაფერი უპასუხა და თავისი ოთახისკენ გაეშურა; და როდესაც გათენდა, ცხენი წაიყვანა და წავიდა.

თინგოლმა ბრძანება გასცა, არავის შეეჩერებინა იგი, არც დაებრკოლებინა. მაგრამ წავიდა თუ არა მორუენი, მან ყველაზე გულადი და გამოცდილი მეომრები შემოიკრიბა საზღვრის მცველთაგან და სათავეში მაბლუნგი ჩაუყენა.

– სწრაფად დაედევნეთ, – უთხრა მათ, – თუმცა არ აგრძნობინოთ, რომ უკან მიჰყვებით. მხოლოდ მაშინ გამოჩნდით, თუ რამე საფრთხე დაემუქრება; და თუ უკან არ დაბრუნდა, მაშინ ისე დაიცავით, როგორც შეძლებთ. რამდენიმე თქვენგანი შორს უნდა წავიდეს და გზები დაზვეროს.

ასე გაგზავნა თინგოლმა მეომართა იმაზე დიდი ჯგუფი, ვიდრე ეს თავიდან ჰქონდა ჩაფიქრებული. ათი შეჭურვილი მეომარი, რომელიც სამარაგო ცხენზე ამხედრებულიყო, კვალში ჩაუდგა მორუენს, ის კი სამხრეთით წავიდა, მთელი მხარე გადაიარა და სირიონის ნაპირებთან, ტუილითის გუბურების შორიახლო გამოვიდა; მერე შეჩერდა, რადგან სირიონი წყალუხვი და სწრაფი დაუხვდა, მან კი არ იცოდა, რა გზით წასულიყო. ამგვარად, მცველების გამოჩენის საჭიროებაც შეიქნა; მორუენმა უთხრა მათ:

– თინგოლი ჩემს შეჩერებას აპირებს თუ მოგვიანებით მიგზავნის დახმარებას, რაზეც თავდაპირველად უარი განაცხადა?

– ერთიც და მეორეც, – უპასუხა მაბლუნგმა. – დაბრუნდები?

– არა, – მიუგო მორუენმა.

– მაშინ მომიწევს დახმარების ხელი გამოვიწოდო, – უთხრა მახლუნგმა. – თუმცა ეს არ მნადია. ფართო და ღრმა არს აქ სირიონი და სახიფათო გადასალახავად, როგორც ადამიანისათვის, ასე მხეცისთვისაც.

– მაშ მეორე ნაპირზე გადამიყვანე იმ გზით, რომელსაც ელფები იყენებენ მდინარის გადასაკვეთად, – უთხრა მორუენმა, – თუ არადა, მის გადაცურვას შევეცდები.

ამგვარად, მახლუნგი მას ტუილითის გუბურებისაკენ გაუძღვა. იქ კი, აღმოსავლეთ ნაპირზე, ბორანსადგომები დახვდათ, ნაკადულებსა და ლელიანს შორის დამალული და მეომრებით კარგად დაცული; რადგან ამ გზებით მაცნეები მიმოდინდნენ თინგოლსა და მის ნარგოთრონდელ ნათესავთ შორის. მოიცადეს, სანამ ვარსკვლავები არ აენთნენ, ხოლო შემდეგ თეთრ ნისლში განთიადამდე იარეს. და როდესაც მზე წითლად ამოცურდა ლურჯი მთების თავზე და ძლიერმა დილის ქარმა მობერვისას ნისლი გაფანტა, მცველები დასავლეთ ნაპირზე გადავიდნენ და მელიანის სარტყელი დატოვეს.

დორიათელი მაღალი ელფები გახლდნენ ისინი, რუხ ფერად შემოსილიყვნენ, ხოლო აბჯარზე მოსასხამი შემოეცვათ.

ბორნიდან ადევნებდა მათ თვალს მორუენი, თუ როგორ უხმაუროდ მიაბიჯებდნენ, შემდეგ კი უეცრად შეჰყვირა და უკანასკნელ თანამგზავრზე მიუთითა.

– საიდან მოდის? – თქვა მან. – მე სამჯერ ათი მახლდით, ვილაც კი მარტო მიგიტოვებიათ.

მაშინ ყველანი უკან მიტრიალდნენ და იხილეს ოქროსფერ თმაზე მოთამაშე მზის სხივები, რამეთუ ნიენორი იყო იგი. მონაბერ ქარს მისი ქუდი გაეტაცა. ასე გამოაშკარავდა, რომ უკან მიჰყვებოდა იგი მათ და როდესაც მდინარ-

მორშენისა და ნიენორის გამგზავრება ნარგოთრონდში

ის გადაკვეთა დაინყეს, შეუერთდა. ყველანი შეშფოთებულნი იყვნენ, ხოლო ყველაზე მეტად მორუენი.

– უკან დაბრუნდი! დაბრუნდი! გიბრძანებ! – გაიძახდა იგი.

– თუ ჰურინის ცოლს შეუძლია ყოველი რჩევის წინააღმდეგ წავიდეს ახლობელთა გამო, – თქვა ნიენორმა, – მაშინ იგივე ძალუძს ჰურინის ასულსაც. გლოვა მინოდე, მაგრამ არ ვაპირებ ერთდროულად ვიგლოვო მამაც, ძმაცა და დედაც. შენლა დამრჩი მათგან და ყველაზე მეტად მიყვარხარ. და თუ არაფრისა გეშინია, მაშინ მეც უშიშარი ვარ.

სინამდვილეში მცირედი შიში მაინც იკითხებოდა მის სახესა და ნაკვთებზე. მაღალი და ძლიერი ჩანდა; რადგან მეტად გამორჩეული აღნაგობის გახლდნენ ჰადორის გვარის ჩამომავალნი. ელფთა რუხი მოსასხამიც იმდენად შეენოდა, რომ მცველთაგან ვერავინ გაარჩევდა, მხოლოდ ცოტათი დაბალი იყო მათთან შედარებით.

– რა ჩაიფიქრე? – ჰკითხა მორუენმა.

– იქ წამოვალ, სადაც შენ წახვალ, – მიუგო ნიენორმა.

– ეს გადანყვეტილება თვითონ მივიღე. მსურს, მელიანის მფარველობის ქვეშ დავბრუნდეთ, რამეთუ არა არს ბრძნული უგულებელყოთ მისი რჩევა. და თუ სხვაგვარად გნადია და წინ განსაცდელი გველის, მაშინ მეც შენთან ერთად წამოვალ.

სინამდვილეში, ნიენორი იმ იმედით მოვიდა, რომ მასზე ლელვისა და მისდამი სიყვარულის გამო დედა დაუფერებდა და უკან გაჰყვებოდა; მორუენს კი ველარ გაეგო, როგორ მოქცეულიყო.

– რჩევის უგულებელყოფა სხვა რამეა, – უთხრა მან, – ხოლო დედის სიტყვის შეუსმენლობა კი სხვა. ახლავე უკან გაბრუნდი!

– არა, – თქვა ნიენორმა, – დიდი ხანია, ბავშვი აღარ ვარ. ჩემი სურვილები და განზრახვანი მაქვს, თუმცა შენს წინააღმდეგ არასდროს წავსულვარ. შენთან ერთად მოვდივარ, თუნდაც დორიათში, მის მმართველთა პატივისცემის ნიშნად; და თუ იქ არა, მაშინ დასავლეთისკენ. სადაც წახვალ, მეც იქ წამოვალ და ამისათვის ძალ-ღონეს არ დავიშურებ.

მაშინ მორუენმა მის რუხ თვალებში ჰურიანის უდრეკობა დაინახა და აღელდა, თუმცა სიამაყეს ვერ გადააბიჯა, არ შეეძლო (მხოლოდ ტკბილი სიტყვებით შემოიფარგლა) საკუთარ შვილს უკან გაჰყოლოდა, პირი ებრუნა ისე, თითქოს მოსიყვარულე მოხუცი ყოფილიყო.

– მე მივდივარ, როგორც მქონდა ჩაფიქრებული, – მიუგო მან. – შეგიძლია, ჩემთან ერთად წამოხვიდე, თუმცა ეს ჩემს სურვილს ეწინააღმდეგება.

– დაე, იყოს ასე, – თქვა ნიენორმა.

მაშინ მამლუნგმა თავისიანებს უთხრა:

– ნამდვილად რჩევათა შეუსმენლობის ბრალია და არა სიმამაცის ნაკლებობისა, რომ ჰურიანის ახლობლებს სხვებისთვის უბედურება მოაქვთ! ასე დაემართა ტურიანსაც; თუმცა მისი წინაპრები სხვაგვარად იქცეოდნენ. ახლა კი ყველა გაურჩებულა, რაც არ მომწონს. ეს დავალება იმაზე უფრო საშიშია, ვიდრე მგელზე ნადირობა. რას გავანყობთ?!

უკვე ნაპირზე გადმოსულ და მოახლოებულ მორუენს მოესმა მის მიერ წარმოთქმული ბოლო სიტყვები.

– ისე მოიქეცი, როგორც ხელმწიფემ დაგავალა, – უთხრა მან, – ეძიე ცნობები ნარგოთრონდისა და ტურიანის შესახებ, რამეთუ ეს გზა ერთად ამისთვის გამოვიარეთ.

– ჯერ კიდევ გრძელი და სახიფათო გზა გვიძევს წინ, – მიუგო მამლუნგმა, – თუ უფრო შორს აპირებ წასვლას,

მორუენისა და ნიენორის გამგზავრება ნარგოთრონდში

მაშინ აუცილებლად ცხენზე უნდა შეჯდე, მხედართა შორის უნდა იარო და მათი გზიდან არ გადაუხვიო.

ასე და ამგვარად, მთელი დღის განმავლობაში წინ მიიწევდნენ, ნელა და უჩუმრად გადაკვეთეს ლელიანისა და ჯუჯა ტირიფების მხარე და მიადგნენ რუხ ტყეს, რომელიც თითქმის მთლიანად ფარავდა ნარგოთრონდის სამხრეთ დაბლობს. მთელი დღე დასავლეთით იარეს, თუმცა ვერა იხილეს რა, გარდა გაველაკებული მხარისა და ვერც ვერაფერი გაიგონეს, რადგან აქაური მინები მდუმარებას მისცემოდნენ, რაც მახლუნგისათვის იმის მანიშნებელი იყო, რომ იმ არემარეზე შიშის აჩრდილი იწვა. სწორედ იმ გზით ისარგებლა ერთ დროს ბერენმა, ამის შემდგომ კი ტყეები მონადირეთა უხილავი თვალებით გაივსო; ახლა ნაროგის ხალხი სადღაც გამქრალიყო, ხოლო ორკები, როგორც ჩანდა, სამხრეთში ასე შორს შემოხეტებას ვერ ბედავდნენ. იმ ღამით რუხ ტყეში დაბანაკდნენ, თუმცა არც ცეცხლი და არც რაიმე სინათლე აუნთიათ.

მომდევნო ორი დღის განმავლობაში წინ მიიწევდნენ. სირიონის დატოვებიდან მესამე დღე იწურებოდა, როდესაც დაბლობს მიადგნენ და უფრო და უფრო მიუახლოვდნენ ნაროგის აღმოსავლეთ ნაპირს. თუმცა ისეთ მოუსვენრობას შეეპყრო მახლუნგი, რომ მორუენს ემუდარებოდა, გზა აღარ გაეგრძელებინათ. ამაზე მას გაეცინა და უთხრა:

– ვხედავ, დიდად გაიხარებდი, თუ თავს მალე დაგვადნევდი, თუმცა ცოტა კიდევ უნდა მოგვითმინო. უკვე იმდენი გამოვიარეთ, რომ შიშით შეპყრობილნი უკან ველარ ვიბრუნებთ პირს.

მაშინ მახლუნგმა შეჰყვირა:

– ერთდროულად ჯიუტიცა ხარ და უგუნურიც. იმის მაგივრად, რომ დაგვეხმარო, ხელს გვიშლი ცნობების შეგროვებაში. ახლა კი მისმინე! მე არა მხოლოდ შენ გვერ-

დით ყოფნა მიბრძანეს, არამედ ძალისაებრ შენი დაცვაც, და დაგიცავ კიდევ აუცილებლად. ხვალ ამონ-ეთირისაკენ გაგიძღვებით, მსტოვართა ბორცვისკენ, რომელიც შორს არ ძევს აქედან. იქ კი მცველთა გარემოცვაში იქნებით და ვერსად წახვალთ სანამ მე არ ვბრძანებ.

ამონ-ეთირი ბორცვივით შემალლებულ მინაყრილს წარმოადგენდა, რომელიც ფელაგუნდის ბრძანებით, დიდი შრომის შედეგად წამომართეს კარიბჭის წინ გაშლილ დაბლობზე, წაროგიდან აღმოსავლეთით, ერთი ლიგის დაშორებით. მასზე ხეებიც გაეშენებინათ, თუმცა გვირგვინი მოშიშვლებული იყო, იქიდან ყველა იმ გზის დანახვა შეიძლებოდა, რომელიც წარგოთრონდის დიდი ხიდისკენ და მისი მიმდებარე მიწებისკენ მოემართებოდა. ბორცვს გვიან დილით მიადგნენ და მასზე აღმოსავლეთის მხრიდან ავიდნენ. იქიდან მალალი ფაროთისკენ გაიხედეს, რომელიც მდინარის გადაღმა მკრთალი და გაძარცული ჩანდა, მაბლუნგმა ელფისებური მზერით დაინახა წარგოთრონდის პარმალეები ხეობის აღმოსავლეთ ციცაბოებზე, ხოლო ბორცვის კედელში შავი ხვრელივით მოჩანდა ფელაგუნდის კარიბჭენი. თუმცა ჩამიჩუმი არ ისმოდა არსაიდან, არც მტრის ნიშანწყალი იყო სადმე და არც დრაკონის, გარდა გადამწვარი არემარისა იმ კარიბჭის ირგვლივ, რომელიც ავბედით ჟამს თვითონვე ჩამოუბამს ფელაგუნდს. ყოველი სიმშვიდეში ჩაძირულიყო ფერმიხდილი მზის ქვეშ.

ასე და ამგვარად, როგორც თქვა, მაბლუნგმა უბრძანა ცხენოსნებს, რომ მორუენი და ნიენორი ბორცვის თავზე გაეჩერებინათ და არსად გაეშვათ, სანამ თვითონ არ დაბრუნდებოდა, ან რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდებოდა; ხოლო თუ მართლაც ასე წავიდოდა საქმე, მაშინ ცხენოსნებს მორუენისა და ნიენორის გარშემო წრე უნდა

მორშენისა და ნიენორის გამგზავრება ნარგოთროდში

შეეკრათ და რამდენადაც შეეძლოთ, სწრაფად გასცლოდნენ იქაურობას, ერთ-ერთი კი აღმოსავლეთით დორიათისკენ მიმავალ გზაზე უნდა დაწინაურებულიყო, რათა ცნობები ჩაეტანა და დახმარება ეთხოვა.

შემდეგ მახლუნგმა რაზმის დანარჩენი წევრები იხმო და ისინი ბორცვიდან ჩაფოფხდნენ, შემდგომ დასავლეთით მდებარე მინდვრებისკენ აიღეს გეზი, სადაც ხეები გამეჩხერდა, აქ ისინი დაწალიკდნენ და თითოეულმა გაბედულად, თუმცა მარტომ განაგრძო გზა ნაროგის ხეობისაკენ.

თავად მახლუნგმა შუა გზა აირჩია, ხიდისკენ მიმავალი, და როდესაც მის მეორე მხარეს გავიდა ყოველივე განადგურებული დაუხვდა; ღრმა მდინარე შორეულ ჩრდილოეთში მოსული წვიმების გამო გავეშებით მოედინებოდა, მასში ჩაყრილ ლოდებს ასკდებოდა, ქაფდებოდა და ღრიალებდა.

გლაურუნგი განოლილიყო იქვე, მთავარი შესასვლელის ჩრდილში, რომელიც მონგრეული კარიდან შიდა დარბაზებისაკენ მიემართებოდა, მას დიდი ხნის წინ გაეგო მზვერავთა შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ შუახმელეთში მხოლოდ რამდენიმე თვალს თუ შეეძლო მათი შემჩნევა. ჰოდა, მისი გრძნეული თვალი არწივისაზე მახვილი და ელფებზე შორსმჭვრეტელი გახლდათ; ისიც კარგად იცოდა, რომ ზოგიერთი უკან დარჩა და ამონ-ეთირის შიშველ თხემზე იცდიდა.

ასე რომ, როდესაც მახლუნგი ლოდებს შორის მიძვრებოდა და გავეშებული მდინარისგან წაღებული ხიდის ნანგრევებზე გადასვლას ცდილობდა, გლაურუნგი გარეთ გამოვიდა, ცეცხლი გადმოანთხია და მდინარისკენ ჩახოხდა, მაშინვე ხმამაღალი შიშინი გაისმა ირგვლივ და ოხშივარი ავარდა. მახლუნგი და მის უკან მომავალნი

დამაბრმავებელ ნისლსა და მყრალ სუნში შთაინთქნენ. უმეტესობამ გაქცევით უშველა თავს და როგორც მოიმხრეს, ისე ცდილობდნენ გზის გაგნებას მსტოვართა ბორცვისკენ. ხოლო როდესაც გლაურუნგმა ნაროგზე გადაიარა, მაბლუნგი განზე გადგა, ლოდის ქვეშ განვა და იქვე დარჩა, რამეთუ გრძნობდა, დავალება ჰქონდა შესასრულებელი. ახლა უკვე კარგად იცოდა, რომ გლაურუნგი ნარგოთრონდს დაჰპატრონებოდა, თუმცა ასევე დავალებული ჰქონდა, ჰურიანის ვაჟზეც შეეტყო რაიმე, თუკი მოახერხებდა; ამგვარად, გული გაიმაგრა და გადანყვიტა, როგორც კი გლაურუნგი წავიდოდა, მდინარე მაშინვე გადაეკვეთა და ფელაგუნდის დარბაზები გადაეჩხრიკა. ფიქრობდა, რომ მორუენისა და ნიენორის უსაფრთხოებისთვის ყველაფერი გააკეთა: ეგონა, ისინი გლაურუნგის მოახლოებას შეამჩნევდნენ, და უსწრაფესად გასწევდნენ დორიათისკენ.

გლაურუნგმა მაბლუნგს გვერდით ჩაუარა და ნისლში გაცურდა თავისი უკიდევანო სხეულით; თუმცა სწრაფად მიაღწევდა, რამეთუ ძლევამოსილი გველი გახლდათ და თან, მეტად მოქნილიც. მის უკან დარჩენილმა მაბლუნგმა დიდი გაჭირვებით გადალახა ნაროგი; ამ დროს ამონ-ეთირის თავზე მყოფთ დაინახეს მომავალი გლაურუნგი და ძლიერ შეძრწუნდნენ. მაშინვე ცხენებზე მოუნოდეს მორუენსა და ნიენორს და უყოყმანოდ აღმოსავლეთით წასასვლელად მოემზადნენ, როგორც დავალებული ჰქონდათ. მაგრამ როდესაც დაბლობისაკენ დაშვება იწყეს, ავმა ქარმა დაუბერა და შორიდან ჯანლი მოიტანა, თან ისეთი სიმყრალე მოიყოლა, რომელსაც ცხენიც ვერ გაუძლებდა. მალევე, ნისლით დაბრმავებული და დრაკონის სიმყრალით გაშმაგებული ცხენები უმართავნი გახდნენ და გავეშებულები აქეთ-იქით გაიქცნენ. მცველ-

მორშენისა და ნიენორის გამგზავრება ნარკოთრონდში

ებიც დაიფანტნენ და ხეებს ეხეთქებოდნენ, ანდა ამაოდ ცდილობდნენ ერთმანეთის მოძებნას. ცხენების ჭიხვინისა და მხედართა ყვირილის ხმებმა გლაურუნგის ყურამდე მიაღწია, და იგი მეტად ნასიამოვნები დარჩა.

ერთ-ერთი ელფი მხედარი ნისლში მიეხეტებოდა, როდესაც მოულოდნელად შორიახლოს მიმავალი ქალბატონი მორუენი დაინახა. გავეშებულ ბედაურზე ამხედრებული რუხი მოჩვენება, ნიენორის სახელს გაიძახოდა და ამის შემდეგ აღარავის უნახავს იგი.

როდესაც მხედრებს დამაბრმავებელი შემზარაობა დაატყდათ თავს, ნიენორის ცხენი გაშმაგდა, წაიბორძიკა და მხედარი ძირს გადმოაგდო. ნიენორი რბილად ჩავარდა ბალახებში და დაზიანებას გადაურჩა, თუმცა როდესაც ფეხზე წამოდგა, მიხვდა, რომ მარტო დარჩენილიყო, ნისლში დაკარგული, ცხენისა და მეგზურების გარეშე. თუმცა უსასოობაში არ ჩავარდნილა და გონებას მოუხმო; ხმებისა და გადაძახილების მიმართულებით სიარული უსარგებლო იყო, რადგან ისინი ყველა მხრიდან ისმოდა, თანაც დროთა განმავლობაში ხმები სუსტდებოდა. კვლავ ბორცვის თხემისკენ წასვლა ამჯობინა; ფიქრობდა, რომ მახლუნგი აუცილებლად იქ მივიდოდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მისმა ცხენოსნებმა იქაურობა დატოვეს.

ასე და ამგვარად, ვარაუდით მავალი ბორცვის ძირს მიადგა, რომელიც უკვე ხელის განვდენაზე იყო, რადგან იქიდან მიწის ზედაპირი მალლდებოდა; ფრთხილად აუყვა აღმოსავლეთიდან ამავალ ბილიკს და რაც უფრო მალლა ადიოდა, ნისლი უფრო და უფრო იფანტებოდა, ბოლოს მზის შუქზე გავიდა და ბორცვის შიშველ თავს მიადგა. შემდეგ წინ გადადგა ნაბიჯი და დასავლეთით გაიხედა. იქვე, მის წინ გლაურუნგის უზარმაზარი თავი წამო-

მართულიყო, ის მანამდე ამოხობებულიყო ბორცვზე, თუმცა სხვა მხრიდან. და სანამ ამას გააცნობიერებდა, გლაურუნგს ავსულჩაბუდებულ თვალებში ჩახედა და მათი შემზარაობა იხილა, მბრძანებელ მორგოთის შავბნელი გრძნეულებით სავსე.

უტეხი გახლდათ ნება და გული ნიენორისა და წინააღმდეგობის განევა სცადა; თუმცა გლაურუნგმა შინაგანი ძალა გამოიხმო მის წინააღმდეგ.

– რას დაეძებ აქ? – ჰკითხა მას.

მან კი დაბნეულმა პასუხა:

– ჩემს ძმას დავეძებ მხოლოდ, ტურინს, რომელიც მცირე ხნით იმყოფებოდა აქ, თუმცა ვგონებ, უკვე მკვდარია.

– არა გამიგია რა, – მიუგო გლაურუნგმა. – იგი აქ დარჩა, რათა ქალნი და სხვა სუსტი ქმნილებანი დაეცვა. თუმცა, როდესაც მოვედი, მიატოვა ისინი და გაიქცა. მკვებარა და ლაჩარი არს. ამგვარს რად დაეძებ?

– ცრუობ, – უთხრა ნიენორმა. – სხვა თუ არაფერი, ჰურიანის შვილები ლაჩარნი მაინც არ არიან. ჩვენ შენი არ გვეშინია.

მაშინ გლაურუნგმა ჩაიციხა, რადგან მისი რისხვის წინაშე ჰურიანის ასული გამოაშკარავდა.

– მაშ თუ ასე არს, ბრიყვნი ყოფილხართ ორთავე, შენც და შენი ძმაც, – მიუგო მან. – და ამო არს ეგ თქვენი კვებნაც, რამეთუ გლაურუნგი ვარ!

შემდეგ თვალი თვალში გაუყარა და ნიენორს ლიბრი გადაეკრა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მზე დააბნელესო და ირგვლივ ყველაფერი ბინდბუნდში ჩაინთქა; ნელ-ნელა დიდი წყვდიადი ჩამოწვა მის თავზე და მხოლოდ სიცარიელე იყო იმ წყვდიადში – აღარაფერი იცოდა, აღარაფერი ესმოდა და აღარ ახსოვდა.

მორშენისა და ნიენორის გამგზავრება ნარგოთრონდში

დიდხანს იკვლევდა მახლუნგი ნარგოთრონდის დარბაზებს, ირგვლივ გამეფებულ სიბნელესა და სიმყრალეში; თუმცა ვერც ერთ ცოცხალ არსებას ვერ მიაკვლია: არაფერი ჩანდა, გარდა ძვლებისა და მის ძახილსაც არავინ გამოხმაურებია. ბოლოს, ადგილის შემზარაობითა და გლაურუნგით დაზაფრულმა გადანყვიტა უკან, კარიბჭისკენ დაბრუნებულიყო. მზე დასავლეთით გადანვერილიყო და ამონ-ეთირის ჩრდილი მკრთალად ეფინა პარმალებსა და გავეშებულ მდინარეს; ამ დროს მოშორებით დრაკონის შემადრწუნებელი სხეული შენიშნა. რთული და სახიფათო იყო აჩქარებითა და შიშით ნაროგს გადაღმა დაბრუნება; როგორც იქნა, მიაღწია აღმოსავლეთ ნაპირს და როდესაც გლაურუნგი მიუახლოვდა, მდინარის კალაპოტიდან ნაპირზე გახობდა და დაიმალა. ზანტი და ფრთხილი შექნილიყო; რადგან მასში ცეცხლი მთლიანად მინავლებულიყო, დიდი ძალები წართმეოდა და სიბნელეში დასვენებასა და ძილს ლამობდა. წვალებით გადაკვეთა წყლები და როგორც უზარმაზრი გველი, ისე ახობდა კარიბჭისაკენ, ფერფლში ამოგანგლული მისი მუცელი კი მინაზე კვალს ტოვებდა.

მაგრამ სანამ შიგნით შევიდოდა, უკან, აღმოსავლეთისკენ მოიხედა და მისი პირიდან მორგოთის ხარხარი გაისმა, ხმადაბალი, თუმცა შემზარავი. მისი ღვარძლიანი ექო შორეული ჯურღმულებიდან ამოიტყორცნა და ეს ხმა, ცივი და სუსტი, ამეტყველდა:

– ვითარცა დაზაფრული, განოლილხარ მდინარის პირას, მახლუნგ უძლეველო! ამაოდ რბოდი თინგოლის პარმალებზე. გაეშურე ბორცვისკენ და იხილე, თუ რა მოჰყვა გადანყვიტილებას შენსას!

შემდეგ გლაურუნგი ბუნაგში შეძვრა, მზე კი წითლად ჩაესვენა და ნაცრისფერმა საღამომ სუსხი მოიტანა მიმ-

დებარე მიწებზე. თუმცა მაბლუნგი მაინც ჩქარობდა ამონ-ეთირზე დაბრუნებას და როდესაც მის თავზე აძვრა, აღმოსავლეთით ცის კაბადონზე ვარსკვლავები აკიაფდა. მათ ფონზე კი რუხი გაშეშებული ფიგურა იხილა, თითქოს ქვისგან გამოექანდაკებინათ, ასე იდგა ნიენორი და არა ესმოდა რა და არც პასუხს იძლეოდა. მაგრამ, როდესაც მაბლუნგმა ხელი ჩასჭიდა, შეინძრა და მიანიშნა, აქედან წამიყვანეო; და სანამ ხელი ეკიდა, მიჰყვებოდა, ხოლო როცა უშვებდა ისევ ერთ ადგილას ქვავდებოდა.

უსაზღვრო გახლდათ მაბლუნგის მწუხარება და გაურკვევლობა; თუმცა სხვა არჩევანი არ ჰქონდა, ნიენორი აღმოსავლეთით უნდა წაეყვანა ყოველგვარი დახმარებისა და მეგზურის გარეშე. ასე დატოვეს მათ ის ადგილი და სიზმარში მოსიარულესავით გააბიჯეს ღამედაფენილ დაბლობზე. ხოლო როდესაც ინათა, ნიენორი წაბორძიკდა, დაეცა და ძირს უძრავად იწვა; მაბლუნგი კი მის გვერდით ჩამოჯდა და უიმედობამ მოიცვა.

– ტყუილად არ მაშინებდა ეს დავალება, – ამბობდა ის, – რამეთუ, როგორც ჩანს, უკანასკნელი იქნება. ამ უბედური ადამიანის შვილთან ერთად შევხვდები აღსასრულს უდაბურ მხარეში და ჩემს სახელსაც აუგად მოიხსენიებენ დორიათში: თუ იქ ოდესმე მიაღწევს ცნობები ჩემ შესახებ. ნამდვილად ყველა მკვდარია, მხოლოდ ის გადარჩენილა, თუმცა ვაი ამ გადარჩენას.

ამ ყოფაში იპოვა ისინი სამმა გადარჩენილმა თანამგზავრმა, რომელიც ნაროგიდან გამოქცეულიყო გლაურუნგის გამოჩენის ჟამს. დიდი ხნის ხეტიალის შემდგომ, ნისლი რომ გაიფანტა, კვლავ ბორცვზე დაბრუნებულიყვნენ და როცა იქ არავინ დახვდათ, უკან სახლისკენ გაემართნენ. საბედნიეროდ, მაბლუნგს გადააწყდნენ და ერთად გაეშურნენ ჩრდილოეთისა და დასავლეთის ბილიკებით,

მორუენისა და ნიენორის გამგზავრება ნარგოთრონდში

რადგან სამხრეთის მხრიდან დორიათში მიმავალი გზა არ არსებობდა, ხოლო ნარგოთრონდის დაცემის შემდგომ ბორანსადგომთა მცველებს აკრძალული ჰქონდათ ვინმე შემოეშვათ, გარდა დორიათიდან მომავლებისა.

ნელა მიდიოდნენ, ისე, თითქოს ჭირვეული ბავშვი მიჰყავდათ თან. თუმცა, რაც უფრო შორდებოდნენ ნარგოთრონდს და უახლოვდებოდნენ დორიათს, ნიენორს ძალები უბრუნდებოდა, ახლა უკვე საათობით შეეძლო დამჯერედ ევლო ხელჩაკიდებულს, თუმცა მისი ფართოდ გახელილი თვალები კვლავ ვერაფერს ხედავდა, მის ყურებს არაფერი ესმოდა და პირიც უტყვი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ, როგორც იქნა, დორიათის დასავლეთ საზღვრებს მიუახლოვდნენ, ტეიგლინის სამხრეთით გამოვიდნენ, რადგან სირიონის გადაღმა, თინგოლის სამეფოს საზღვრების გადალახვა და ესგაღდუინის შენაკადის სიახლოვეს, დაცულ ხიდთან გამოსვლა განეზრახათ. აქ კი მცირე ხნით შეჩერდნენ; ნიენორი ბალახებზე დაასვენეს, ამ ხნის განმავლობაში მან პირველად დახუჭა თვალები და თითქოს ძილს მიეცა. მაშინ ელფებმაც დაისვენეს მცირე ხნით, ყველაზე ფრთხილებმაც კი ყურადღება მოადუნეს. სწორედ ამ დროს დაესხათ ორკ-მონადირეთა რაზმი, რომლის მსგავსიც მრავლად დაეხეტებოდა იმ მხარეში. იქამდე მიდიოდნენ, სადამდეც ბედავდნენ. უეცრად, შუა თავდასხმის დროს, ნიენორი ბალახებიდან წამოხტა, თითქოს ღამით განგაშის ზარით გაღვიძებული და კივილით შევარდა ტყეში. მაშინ ორკები მოტრიალდნენ და დაედევნენ, მათ კი ელფები ჩაუდგნენ კვალში. უცნაური ცვლილება მომხდარიყო ნიენორში და ყველა უკან ჩამოიტოვა, ისე მიქროდა, როგორც შველი ხეებს შორის, ხოლო სირბილისას გაშლილ თმას მონაბერი ქარი უწენავდა. მაბლუნგი და მისი მეგზურები ორკებს

მალევე დაეწივნენ, ყველანი ამოჟლიტეს და გზა განაგრძეს, თუმცა იმ დროისათვის ნიენორი აჩრდილივით გაუჩინარებულიყო, ვერანაირი თვალი ვეღარ იპოვიდა მას, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩრდილოეთ მხარე გადააქოთეს და მრავალი დღე ეძებეს.

ბოლოს, მაბლუნგი დორიათში დაბრუნდა, მწუხარებითა და სირცხვილით მოდრეკილი.

– თქვენს მონადირეთ ახალი წინამძღოლი სჭირდება, ბატონო, – უთხრა ხელმწიფეს, – რამეთუ მე უღირსი ვარ.

თუმცა მელიანმა მიუგო:

– ასე არ არის, მაბლუნგ. შენ ყველაფერი იღონე, რაც შეგეძლო, ვერც ერთი სხვა ხელმწიფის მსახური ვერ შეძლებდა ამდენს. თუმცა უბედობამ შენზე აღმატებულ ძალებთან შეგაჭიდა, იმაზე აღმატებულთან, ვისაც კი დღეს შუახმელეთში დაუვანია.

– მე შენ ცნობათა შესაგროვებლად გაგგზავნე და ეს დავალება შეასრულე, – უთხრა თინგოლმა. – შენი ბრალი არ არის, რომ ისინი, ვისზეც ცნობებს აგროვებდი, ახლა ვეღარას შეისმენენ. სამწუხაროა, რომ ჰურიანის მოდგმას ასეთი აღსასრული ერგო. მსგავსი ბედისწერა შენი ხვედრი არ არის.

არა მხოლოდ ნიენორი დაიარებოდა უგონოდ ტყე-ღრეში, მორუენიც დაკარგული იყო. არც მაშინ და არც შემდგომ არავითარი ცნობა არ მისულა მათ შესახებ არც დორიათში და არც დორ-ლომინში. მაბლუნგი კი მაინც არ ისვენებდა, მცირე რაზმთან ერთად გაემართა ველურ ალაგებში და სამი წლის განმავლობაში დაეხეტებოდა ერედ-უეთრინიდან სირიონის სათავეებამდე, რათა დაკარგულთა შესახებ რაიმე ნიშნისთვის ან ცნობისთვის მაინც მიეგნო.



თავი XV

ნიენორი ბრეთილში

ნიენორი კი ტყეში მირბოდა, რადგან ზურგში მდევართა ყვირილის ხმები ეწოდა. გზად ტანსაცმელი შემოიხია, სირბილისას იხევდა და ნაფლეთებს ტოვებდა, სანამ მთლიანად არ გაშიშვლდა; მთელი დღე იმ მხეცივით ირბინა, რომელსაც მონადირენი გულის გახეთქამდე მისდევენ და შეჩერებისა და სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევენ. თუმცა სადამო ხანს სიგიჟემ უეცრად გადაუარა. წუთით შედგა, გაოგნებულებით, შემდეგ კი გაუსაძლისი გადაღლილობისგან გული შეუნუხდა და გვიმრებში მოიცელა. იქ ძველ გვიმრებსა და საგაზაფხულოდ ახალ გამოფოთლილ კვირტებს შორის დანვა და უგონოდ დაეძინა.

როდესაც დილით გამოელვიდა, მზის შუქის დანახვისას ისე გაიხარა, თითქოს ქვეყნიერებაზე პირველად აეხილა თვალი; ყველაფერი, რასაც ირგვლივ ხედავდა, მისთვის ახალი და უცხო იყო, რამეთუ მის უკან მხოლოდ წყვდიადი

ჩამონოლილიყო, საიდანაც უნინდელი ცხოვრების ვერც ერთმა მოგონებამ ვერ გამოაღწია, არ იყო გამოძახილი ერთი სიტყვისაც კი. მხოლოდ შიშის აჩრდილი აღბეჭდოდა გონებაში, ფრთხილი გახდა და მუდამ დამალვას ლამობდა: თუ რაიმე ხმა შემოესმებოდა ან ჩრდილი დააფრთხობდა, მაშინვე ხეზე აცოცდებოდა ციყვივით ან ბურქებში მელიასავით მიიმალებოდა. აქედან მოყოლებული, მუდამ ფოთლებიდან იჭვრიტებოდა მორცხვი თვალებით, სანამ გზის გაგრძელება არ გადაწყვიტა.

იმ გზით განაგრძო სვლა, რომლითაც მოვიდა და მდინარე ტეიგლინს მიადგა. წყურვილი კი მოიკლა, მაგრამ საკვები ვერ იპოვა, არც იცოდა, როგორ მოეპოვებინა ის, ამიტომ მშვიერი და მცვივანი დარჩა. და რადგანაც მდინარის გადასწვრივ ხეები მოჩანდა და თან ბნელოდა, გადაკვეთა იგი და ტყეში ამოზრდილ მწვანე ბორცვზე წამოწვა; რამეთუ მეტად დაქანცულიყო, თანაც ეშინოდა, რომ უკან დადევნებული წყვდიადი წამოეწეოდა და ისევ შთანთქავდა, ხოლო მზე უნინდებურად ბნელში გაეხვეოდა.

ამჯერად შავი ქარიშხალი უბერავდა სირიონიდან, ჭექა-ქუხილითა და კოკისპირული წვიმით დამძიმებული; ნიენორი კი დაზაფრული, მოკუნტული იწვა მიწაზე და მახეში გაბმული ველური ცხოველივით გატრუნული იცქირებოდა, შავი წვიმა კი შიშველ ტანზე გამეტებით სცემდა.

ისე მოხდა, რომ იმ დროს ბრეთილის ტყის ბინადრებმა ჩაიარეს, ისინი ორკთა თავდასხმის მოსაგერიებლად იმყოფებოდნენ ტეიგლინის გადასალახებთან, ახლა კი თავშესაფრისკენ მიიჩქაროდნენ, რომელიც ახლოს ეგულებოდათ; ამ დროს ცაზე ელვა გაიკლაკნა და ჰაუდ-ენელეთი თეთრად განათდა. მაშინ ტურამბარი, რომელიც მათ წინამძღოლობდა, შედგა, თვალებზე ხელი აიფარა და შეაჟრჟოლა, რადგან თითქოს მოეჩვენა, რომ მკვდარი

ქალწულის აჩრდილს მოჰკრა თვალი, რომელიც ფინდუილასის სამარხზე იწვა.

ერთ-ერთი კაცი საფლავისაკენ გაიქცა და მას მოუხმო:

– აქეთ, ჩემო ბატონო! აქ ყმანვილქალი წევს და ის ცოცხალია!

მაშინ ტურინი მივიდა და ხელში აიყვანა იგი, მისი გალუმპული თმიდან წყალმა ჩამოჟონა, ქალმა თვალები დახუჭა, აცახცახდა და გაძალიანება არ უცდია.

შემდეგ გაკვირვებულმა, თუ რატომ იწვა ის აქ შიშველი, მოსასხამი შემოახვია და ტყეში მდგარ სამონადირეო ქოხში წაიყვანა. იქ ცეცხლი გააჩაღეს და ქალი პლედით დაათბუნეს. ხოლო როდესაც თვალი გაახილა, შეათვალიერა ისინი; და როდესაც ტურამბარზე შეაჩერა მზერა, ნათელი გადაეფინა სახეზე და ხელი გაუწოდა, თითქოს სიბნელეში როგორც იქნა; ის ეპოვოს, ვისაც ეძებდა და ამით შვება ეგრძნოს. ტურამბარმა ხელი მოჰკიდა, გაუღიმა და უთხრა:

– ახლა კი, ქალბატონო, ხომ ვერ გვეტყვით თქვენს სახელსა და წარმომავლობას, და თუ რა უბედურება დაგატყდა თავს?

მას კი ხელი აუკანკალდა, სიტყვაც არ დაუძრავს და აქვითინდა; მაშინ მეტად აღარ შეუწუხებიათ, სანამ დამშეულმა მთლიანად არ შეჭამა ის საჭმელი, რაც უნილადეს. და როდესაც სული მოითქვა, ამოიხვნეშა, ხელი კვლავ ტურამბარს დაუბრუნა, მან კი უთხრა:

– ჩვენთან უსაფრთხოდ ხარ. შეგიძლია, ამ ღამით აქ მოისვენო, დილით კი ჩვენს სამშობლოში წაგიყვანთ, შორეულ ტყეში. მაგრამ უნდა ვიცოდეთ შენი სახელი და წარმომავლობა, იქნებ ვიპოვოთ შენი ახლობლები და ცნობები მივანოდოთ შენ შესახებ. არ გვეტყვი?

თუმცა მას არც ამჯერად გაუცია პასუხი და ისევ აქვითინდა.

– ნუ იღელვებ! – მიუგო ტურამბარმა, – შესაძლოა, შენი ამბავი მოსაყოლად სევდიანია, მაგრამ სახელს დაგარქმევ, ნინიელს – თვალცრემლიან ასულს გინოდებ.

ამ დროს მან თავი ასწია, ხელი გაარხია და წარმოთქვა:

– ნინიელი. ეს იყო მისი პირველი სიტყვა, მას შემდეგ, რაც წყვდიადს თავი დააღწია და ამიერიდან მუდამ ამ სახელით მიმართავდნენ ტყის მკვიდრნი.

დილით ნინიელი ეფელ-ბრანდირისკენ წაიყვანეს. გზასულ ციცაბო აღმართზე მიდიოდა, ვიდრე იმ ადგილამდე არ მიაღწიეს, სადაც კელებროსის სწრაფი დინება უნდა გადაეკვეთათ. ხის ხიდი გაედოთ ზედ, ხოლო მის ქვეშ ლოდებიდან გადმომსკდარი მდინარე უამრავ აქაფებულ საფეხურად იღვრებოდა ღრმა ქვიან გუბურაში; ჰაერს მთლიანად წყლის შხეფები ავსებდა. წყალვარდნილის თავში ფართოდ გაშლილი კორდი იყო და მასზე არყის ხეები იზრდებოდა, ხიდის ბოლოდან კი ორი მილის მანძილზე ტეიგლინის ხეობის ხედები იშლებოდა. აქ მუდამ გრილოდა და ზაფხულობით, შორ გზაზე მიმავალ მოგზაურებს შეეძლოთ დაესვენათ და ცივი წყლით ყელი გაესველებინათ. დიმროსტი ეწოდებოდა ამ წყალვარდნილს, იგივე წვიმიანი საფეხურები, თუმცა ამ დღის შემდეგ სხვა სახელი დაერქვა, „მოცახცახე წყლები“; რადგან, როდესაც ტურამბარმა და მისმა ხალხმა აქ შეისვენეს, მალევე ნიენორს შესცივდა და კანკალმა აიტანა, მათ კი მისი არც გათბობა შეეძლოთ და არც ნუგეშისცემა. ამგვარად, გზა განაგრძეს; მაგრამ სანამ ეფელ-ბრანდირში მივიდნენ, ნინიელი უკვე სიცხისგან ბოდავდა.

დიდხანს იავადმყოფა. ბრანდირმა კურნების ხელოვნებაში მთელი თავისი ცოდნა გამოიყენა, ტყის მკვიდრი ქალები კი დღედაღამ დარაჯობდნენ. მას მაინც ტურამბარის სიახლოვე ამშვიდებდა, ამ დროს ძილში მაინც აღარ

ოხრავდა; იმავდროულად, ირგვლივ მყოფნი ამჩნევდნენ, რომ ავადმყოფობის დროს, მიუხედავად მისი სავალალო მდგომარეობისა, სიტყვაც არ დასცდენია არც ელფთა და არც ადამიანთა ენაზე. და როდესაც ნელ-ნელა მომჯობინდა, გამოიღვიძა და ჭამაც დაიწყო, როგორც ჩვილ ბავშვს, ისე ასწავლეს საუბარი ბრეთილელმა ქალებმა.

სწრაფად ითვისებდა ენას და ეს ისე ძლიერ ახარებდა, როგორც მას, ვინც მცირედს მაგრამ მისთვის მეტად ღირებულ საუნჯეს იპოვის, რომელიც აქამდე დაკარგული ეგონა. და როდესაც დროთა განმავლობაში იმდენი სიტყვა ისწავლა, რომ მეგობრებთან თავისუფლად ემეტყველა, წარმოთქვა:

– რა ეწოდება ამ ნივთს? რამეთუ წყვდიადში მისი სახელი დავკარგე.

ხოლო როდესაც უფრო მეტი შეიტყო, გადანყვიტა, ბრანდირის სახლი მოეძებნა; რადგან მონდომებული გახლდათ უფრო მეტი გაეგო ცოცხალ ქმნილებათა შესახებ, მან კი მათზე ბევრი არაფერი იცოდა; მას შემდეგ ერთად დადიოდნენ ბალებსა და მინდვრებში.

თანდათან ბრანდირს შეუყვარდა იგი. როდესაც მომჯობინდა, ხელით ეფერებოდა დაკოჭლებულ ფეხზე და ძმას უწოდებდა, მისი გული კი ტურამბარს ეკუთვნოდა, მხოლოდ მისი გამოჩენისას ეფინებოდა ღიმილი სახეზე და მხოლოდ მაშინ იცინოდა, როდესაც ის ხუმრობდა.

ოქროსფერი შემოდგომის საღამოს ერთად ისხდნენ, ხოლო მზე ბორცვის მეორე მხარეს ჩადიოდა და ეფელ ბრანდირის სახლებს აბრჭყვიალებდა. ირგვლივ სიჩუმე გამეფებულიყო. მაშინ ნინიელმა უთხრა მას:

– შენ გარდა, ყველას და ყველაფრის სახელი შევიტყვე. შენ რას გეძახიან?

– ტურამბარს, – უპასუხა მან.

შემდეგ შეჩერდა, ისე, თითქოს რაღაცის გამოძახილს აყურადებდა, და თქვა:

– ეს რამეს ნიშნავს, თუ მხოლოდ სახელია შენი?

– ეს ნიშნავს, – უთხრა ტურინმა, – ნყვდიადის მბრძანებელს. რამეთუ მეც, ნინიელ, შენსავით ნყვდიადი გამოვიარე, სადაც ბევრი ძვირფასი რამ დავკარგე; თუმცა, ვფიქრობ, ყოველი უკან დარჩა.

– და შენც ჩემებრ გაექეცი მას, ხოლო შემდეგ ამ მშვენიერ ტყეს შეეფარე? – ჰკითხა მან, – როდის დააღწიე მას თავი, ტურამბარ?

– დიახ, – უპასუხა. – უკვე მრავალი წელია, გამოვექეცი. ზუსტად ისე, როგორც შენ. რამეთუ სიბნელე სუფევდა ირგვლივ, ნინიელ, მაგრამ როდესაც მოხვედი ნათლით აივსო ყოველი. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რასაც ამდენი ხანი ამაოდ ვეძებდი, თავისი ნებით მოვიდა ჩემთან, – და როდესაც სახლისკენ ბინდში მიაბიჯებდა, თავისთვის ლაპარაკობდა: – ჰაუდ-ენ-ელეთი! მწვანე სამარხიდან მოვიდა. იქნებ ეს ნიშანია, მაგრამ როგორ გავშიფრო იგი?

ასე მიიწურა ოქროსფერი წელიწადი და მშვიდი ზამთარი დადგა, შემდეგ კი კიდევ ერთი ნათელი წელი დაიწყო. მშვიდობამ დაისადგურა ბრეთილში, ტყის ხალხი სინყნარეში ცხოვრობდა და სამშობლოდან აღარ გადიოდა, ამიტომ მიმდებარე მიწათა ბედ-ილბალზე ცნობებს ველარ იღებდა. ამ დროს კი ორკებმა სამხრეთით იწყეს ჩამოსვლა, გლაურუნგის მიერ მიტაცებული სამფლობელოსკენ, ზოგი მსტოვრად გაგზავნეს დორიათის საზღვრებთან, ისინი ტეიგლინის გადასალახებზე ჩუმად გადადიოდნენ და დასავლეთით, მდინარის გადაღმა ტყეში ღრმად შესვლასაც ბედავდნენ.

ამგვარად, ნინიელი ბოლომდე გამოჯანმრთელდა, დამშვენდა და მხნეობა შეემატა. ტურამბარს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო და ცოლობა სთხოვა. ნინიელი გახარე-

ბული იყო, თუმცა როდესაც ბრანდირმა ამის შესახებ შეიტყო, გულმა რეჩხი უყო და უთხრა:

– ნუ აჩქარდები! ჩემზე ცუდს ნუ იფიქრებ, თუ მოცდას გირჩევ.

– შენ უკეთური განზრახვით არასდროს არაფერს ჩაიდენ, – მიუგო მან, – მაგრამ რად მაძლევ ამგვარ რჩევას, ბრძენო ძმაო?

– ბრძენი ძმა? – უპასუხა მან. – უმჯობესი იყო გეთქვა, კოჭლი ძმაო, უსიყვარულო და შეუყვარებელი. თუმც ვერ მივმხვდარვარ ამის მიზეზს. და მაინც, ბნელი აწევს მაგ ადამიანს, და ეს მაშინებს.

– სიბნელე ნამდვილად იყო, რამეთუ თვითონ მიაბო ამის შესახებ, მაგრამ წყვილადს თავი დააღწია. ისევე, როგორც მე. რად არ იმსახურებს სიყვარულს? მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობს, განა ერთ დროს დიდებული სარდალი არ იყო, რომლის დანახვისას მტერი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა?

– ვინ გიაბო ყოველივე ეს? – ჰკითხა ბრანდირმა.

– დორლასმა, – მიუგო მან. – განა ეს სიმართლე არ არის?

– სიმართლე არს ჭეშმარიტად, – უთხრა ბრანდირმა, მაგრამ მის მიმართ ცუდად იყო განწყობილი, რადგან დორლასი ხალხის იმ ნაწილს ედგა სათავეში, ვინც ორკებთან ომის მოსურნე იყო. იმავდროულად, მაინც მიზეზობდა, რომ ნინიელი შეეყოვნებინა, – სიმართლეა, თუმცა არასრული, რამეთუ ნარგოთრონდის სარდალი იყო იგი, თუმცა წარმომავლობით ჩრდილოეთიდან არის და (როგორც ამბობდნენ) ჰურინ დორ-ლომინელის ვაჟია, ომის მოსურნისა, ჰადორის შტოდან. – ამ დროს ბრანდირმა შეამჩნია, რომ სახელის ხსენებისას ბნელი გადაეფინა ნინიელის სახეს. შემდეგ კვლავ განაგრძო. – ნამდვილად

ასეა, ნინიელ, და შესაძლოა, კიდევაც ფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან, კვლავ ომისკენ გაუნწევს გული და აქედან გადაიხვეწება. და თუ ასე მოხდა, როგორ გგონია, როდემდე გაუძლებ ყოველივე ამას? გაფრთხილდი, რამეთუ ვშიშობ, თუ ტურამბარი კვლავ ომში წავიდა, არა ის, არამედ მისი აჩრდილი გახდება მბრძანებელი.

– გამიჭირდება შეგუება, – მიუგო ნინიელმა, – თუმცა ამის ატანა დაუქორწინებლად უფრო გამიჭირდებოდა. თანაც, შესაძლოა, ცოლმა მისი შეკავება და წყვდიადის შეჩერება უკეთ მოახერხოს. მიუხედავად ამ სიტყვებისა, ის მაინც ააფორიაქა ბრანდირის ნათქვამმა და ტურამბარს ემუდარებოდა, ცოტა ხნით კიდევ შეეცადათ. ის კი გაკვირვებული და იმედგაცრუებული იყო; და როდესაც ნინიელმა მოუყვა, რომ ბრანდირმა ურჩია ამგვარად მოქცევა, ძლიერ გაბრაზდა.

როდესაც მომდევნო გაზაფხული მოვიდა, მან უთხრა ნინიელს:

– დრო გადის. საკმარისად ვიცადეთ, ლოდინი აღარ ძალმიძს. ისე მოიქეცი, როგორც გული გკარნახობს, ნინიელ, ძვირფასო. მე კი არჩევანის წინაშე ვდგავარ: ან კვლავ ტყეში უნდა წავიდე საომრად, ან შენზე ვიქორწინო და ომს სამუდამოდ დავემშვიდობო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ორკები ჩვენს სახლს დაეცემიან და შენ დასაცავი მეყოლები.

დიდად გაიხარა ნინიელმა და ერთგულება შეჰფიცა მას. იმა წლის შუაზაფხულს იქორწინეს; დიდი წვეულება გამართა ტყის ხალხმა და ერთი კოხტა სახლიც აჩუქა მათ, ამონ-ობელზე მათთვის აეშენებინათ. აქ ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ, თუმცა ბრანდირს ეს არ ახარებდა და რაც დრო გადიოდა, მის გულს ბნელი სულ უფრო ეფინებოდა.



თავი XVI

გლაურუნგის მოსვლა

გლაურუნგის ძლიერებამ და სისასტიკემ სისრულეს მიაღწია, ქონი მოედო, გარშემო ორკნი შემოიკრიბა და როგორც მეუფე-გველეშაპი, ისე მბრძანებლობდა. მთელი ნარგოთრონდის სამეფო მის განკარგულებაში იყო. სანამ ის წელიწადი და ტურინის ტყის ხალხთან ცხოვრების დროის მესამედი მიიღეოდა, მან თავდასხმები დაიწყო მათ მიწებზე, სადაც მცირე ხნით სიმშვიდეს მისცემოდნენ; გლაურუნგმა და მისმა ბატონმა კარგად უწყოდნენ ბრეთილის ტყეში მცხოვრებ თავისუფალ ადამიანთა, იმ სამი შტოს უკანასკნელ წარმომადგენელთა შესახებ, რომელთაც ჩრდილოეთის მრისხანება არად ჩააგდეს. ამის მოთმენას კი ისინი არ აპირებდნენ; რამეთუ ამგვარი გახლდათ მორგოთის მიზანი, დაემორჩილებინა მთელი ბელერიანდი, გადაეჩხრიკა მისი ყოველი კუთხე-კუნჭული, რათა არც ერთ სოროსა თუ სამალავში არ დარჩენილიყო ისეთი, ვინც არ დაემონებოდა.

ასე რომ, გამოიცნობდა თუ არა გლაურუნგი ტურიანის ადგილსამყოფელს, და მიხვდებოდა თუ არა დანამდვილებით, საით გაექცა ის ბოროტების ავ თვალს, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამეთუ საბოლოოდ ამო იქნებოდა ბრანდირის გადანყვეტილება და ტურამბარს მხოლოდ ორი არჩევანი დარჩებოდა: უმოქმედოდ ჯდომა, სანამ არ იპოვიდნენ და ვირთხასავით არ გამოათრევდნენ სოროდან, ან საომრად წასვლა და ამით თავის გამოაშკარავება. და როდესაც ორკთა მოახლოების შესახებ პირველმა ცნობებმა მიაღწია, ეფელ-ბრანდირში, მან ნინიელის მუდარა შეისმინა და არ გამოჩენილა. ასე უთხრა:

– ჩვენს სახლს ჯერ არ დასხმიან თავს, რაგვარადაც შენ დამპირდი. ამბობენ, ბევრნი არ არიან. დორლასის თქმით, ამგვარი იერიშები შენს გამოჩენამდეც მრავლად იყო და აქაურნი უმკლავდებოდნენ.

მაგრამ ტყის ხალხთა საქმე ცუდად მიდიოდა, ვინაიდან ეს ორკები წყეული ჯიშისა იყვნენ, სასტიკნი და მოხერხებულნი; რა თქმა უნდა, მათი მოსვლის მიზეზი ბრეთილის ტყის აოხრება გახლდათ და არა, უწინდებურად, ტყის განაპირას მბრძანებლის დავალებების შესრულება, ანდა მცირე რაზმებად ნადირობა. ამგვარად, დორლასმა და მისმა მეომრებმა დიდი დანაკარგით დაიხიეს უკან, ორკებმა კი ტეიგლინი გადმოლახეს და ტყეებს შეესივნენ. ტურამბართან მივიდა დორლასი, ჭრილობები უჩვენა და უთხრა:

– ხედავთ, ბატონო, რა მოგვიტანა ყალბმა მშვიდობამ, მოხდა ის, რისიც მეშინოდა. განა თვითონვე არ გვთხოვე, თქვენად მიგულეთ და არა უცხოტომელადო? ეს უბედურება თქვენც ხომ გეხებათ? რამეთუ ველარსად დავიძალებით, თუ ორკები ღრმად შემოვლენ ჩვენს მიწებზე.



ტურამბარი წამოდგა, კვლავ ხელში აიღო ხმალი, გურთანგი და საომრად გაემართა; ხოლო როდესაც ტყის ხალხმა ეს დაინახა, მხნეობა შეემატათ და მის გარშემო შემოიკრიბნენ. ათას კაცზე მეტი მოგროვდა. ტყეებში გავიდნენ სანადიროდ, ყველა შემოპარული ორკი ამოხოცეს, ხოლო მათი გვამები ტეიგლინის გადასალახებთან ხეებზე დაკიდეს. და როდესაც ახალი რაზმი მოვიდა, ისინი მახეში გააბეს. ტყის ხალხთა რიცხოვნობითა და შავი ხმლის მრისხანებით დაბნეულნი აქეთ-იქით დაიფანტნენ და მრავლად იქნენ ამოჟლეტილი. შემდეგ დიდი კოცონი დაანთეს, მორგოთის დახოცილ მებრძოლთა გვამები დაახვავეს და ცეცხლს მისცეს ისინი. მათი შურისძიების კვამლი შავად აიჭრა ზეცაში და ქარმა ის დასავლეთით გაფანტა. თუმცა რამდენიმე გადარჩენილმა მაინც მიაღწია ნარგოთრონდს და ცნობები ჩაიტანა.

გლაურუნგის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა; თუმცა ცოტა ხნის შემდგომ დამშვიდდა და ყოველივე მოსმენილი ანონ-დანონა. უშფოთველად გაილია ზამთარი, ხალხი კი ამბობდა:

– დიდება ბრეთილელ შავ ხმალს, რამეთუ ყველა ჩვენი მტერი უკუაქცია.

ნინიელიც გულდამშვიდებული და ტურინის სახელმთხოვეჭილობით გახარებული გახლდათ. ის კი ფიქრებს მოეცვა და თავისთვის ამბობდა: „კამათელი გაგორებულია. ახლა გამოცდის ჯერი მოვიდა, როდესაც ჩემი ქმედებანი ან წაღმა იბრუნებს, ან უკულმა. აღარსად წავალ. ტურამბარად დავრჩები, ჩემი ნებითა და სიმტკიცით გადავწონი ჩემს ბედისწერას, ან არადა ბნელში ჩავინთქმები. მაგრამ რაც უნდა მოხდეს, გლაურუნგს მაინც მოვკლავ“.

თუმცა მაინც მოუსვენრობას შეეპყრო და გამოცდილი კაცნი დაგზავნა მსტოვრებად შორეულ მხარეებში.

რადგანაც ახლა თავად გასცემდა ბრძანებებს, როგორც ბრეთილის მმართველი, თუნდაც სინამდვილეში ასე არ ყოფილიყო. ბრანდირს უკვე აღარავინ უსმენდა.

იმედებით აღსავსე გაზაფხული დადგა და შრომაში გართულმა ხალხმა სიმღერაც შემოსძახა. იმ გაზაფხულს ნინიელი დაფეხმძიმდა, რის შემდეგაც მისუსტდა, გაფერმკრთალდა და მთელი მისი ბედნიერებანი განქარდა. მცირე ხანში უცნაური ცნობები მოიტანეს ტეიგლინის გადაღმა მყოფმა კაცებმა, რომ ნარგოთრონდამდე მდებარე გაშლილ დაბლობზე ტყეთა დიდი ნაწილი გადაბუგული იყო. ყველას უკვირდა, როგორ უნდა მომხდარიყო ასეთი რამ.

თუმცა ამის შემდგომ კიდევ მრავალი ცნობა მოვიდა: თითქოს ცეცხლი თანდათან ჩრდილოეთისკენ ინაცვლებდა, რაც აშკარად გლაურუნგზე მიანიშნებდა, რადგან მას ნარგოთრონდი დაეტოვებინა და კვლავ გარეთ გამოსულიყო ახალი დავალების შესასრულებლად. მაშინ ყველა ბრწყინვალე ანდა მიამიტი ამბობდა: „მისი ლაშქარი განადგურებულია, ახლა კი ჭკუა ეყო და უკან, ჩრდილოეთისკენ იხევს, საიდანაც მოვიდა“. ზოგიც ამბობდა: „იმედი ვიქონიოთ, რომ გვერდს აგვივლის“. მაგრამ ტურამბარი ასეთი ფუჭი იმედებით არ გახლდათ სავსე და მან კარგად იცოდა, რომ დრაკონი მის მოსაძებნად მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ნინიელის გულისათვის თვალთმაქცობდა, დღითი დღე უფრო მეტს ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო; ამასობაში გაზაფხული ზაფხულმა ჩაანაცვლა.

ერთ დღესაც ორი დაზაფრული ადამიანი დაბრუნდა ეფელ-ბრანდირში, ისინი ამბობდნენ, რომ თვით დიადი გველი იხილეს საკუთარი თვალებით.

– სიმართლეს გეუბნებით, მბრძანებელო, – ამბობდნენ ისინი, – იგი პირდაპირ ტეიგლინისკენ მოინევს და გზიდან

არ უხვევს. გადაბუგული მინების შუაგულში იწვა, მის გარშემო კი ხეები ხრჩოლავდა. დიდი გაჭირვებით თუ გაუძლებს კაცი მის სიმყრალეს. ნარგოთრონდისკენ უამრავი ლიგის მანძილზე მის მიერ გათელილი მინდვრების ზოლი მოჩანს, ვფიქრობთ, ეს ზოლი არსად უხვევს და პირდაპირ ჩვენკენ მოიწევს. რა შეგვიძლია მოვიმოქმედოთ?

– მცირედი, – თქვა ტურამბარმა. – ამ მცირედის გაკეთება ადრევე ფიქრად მქონდა. ცნობები, რომელიც თქვენ მოიტანეთ ჩემში იმედის ნაპერწკალს უფრო აღვივებს, ვიდრე შიშისას; რადგან თუ ის ნამდვილად აქეთ მოდის, როგორც თქვით, და გზად არსად უხვევს, მაშინ ერთი დავალება მაქვს გულადთათვის. კაცნი კი შეცბუნდნენ, რადგან მეტი აღარაფერი უთქვამს; თუმცა მისმა უდრეკობამ მაინც ყველას მხნეობა შემატა.

მდინარე ტეიგლინი კი იმგვარად მიედინებოდა, ვითარცა სჩვეოდა დასაბამიდან. იგი ერედ-უეთრინიდან ისევე სწრაფად რბოდა, როგორც ნაროგი, თუმცა თავდაპირველად დაბალი სანაპიროებით, გადასალახებიდან კი სხვა შენაკადებით ძალმოცემული მოაგელვებდა ტალღებს ერთი ფუტი სიმაღლის ხეობაში, რომელზეც ბრეთილის ტყეები შეფენილიყო. შემდეგ ღრმა ხრამში გადიოდა, აქეთიქიდან უზარმაზარი კლდეები კედლებივით აღმართულიყო, ხოლო მათ ფეხებთან მომწყვდეული მდინარე კი დიდი სისწრაფითა და ხმაურით მორბოდა. სწორედ იმ ბილიკზე, რომელზეც გლაურუნგი განოლილიყო, კელებროსის შენაკადთან ახლოს, ჩრდილოეთით, ერთი ღარტაფი მდებარეობდა, მეტად ღრმა, თუმცა, იმავდროულად ძალიან ვიწრო. ამგვარად, ტურამბარმა სამი გულადი მამაკაცი გაგზავნა მდინარის ნაპირებთან, რათა დრაკონის მოძრაობისთვის თვალი ედევნებინათ; თვითონ კი ნენ-გირითის მაღალი ჩანჩქერისკენ გაემართა, რათა სიახლეები იო-

ლად შეეტყო, რამეთუ ამ ადგილიდან შორეული მიწების კარგად დათვალიერება შეიძლებოდა.

თავდაპირველად ტყის მამაკაცთ ერთად მოუყარა თავი ეფელ-ბრანდირში და დაელაპარაკა მათ:

– ბრეთილელნო, განსაცდელი მოგვდგომია კარს და მხოლოდ სიმამაცეს ძალუძს სიკვდილი აგვარიდოს. ამ შემთხვევაში მრავალრიცხოვნობა არას გვარგებს, ამიტომ ხერხს უნდა მივმართოთ და გამართლების იმედი ვიქონიოთ. თუ ყველანი ავდგებით, ხელში იარაღს ავიღებთ და დრაკონს შევებრძობებით, რაგვარც ორკთა წინააღმდეგ მოვიქეცით, სიკვდილის გარდა სხვა ხვედრს არ უნდა ველოდეთ, ამით კი შვილთა ჩვენთა და ცოლთა ჩვენთა დაუცველად დავუტყვევებთ. გეუბნებით, ნუ დარჩებით, აქედან წასასვლელად მოემზადეთ, რამეთუ ოდეს გლაურუნგი მოვა, აქაურობის მიტოვება, დაწალიკება და შორს გადახვენა მოგიწევთ; შესაძლოა, ზოგიერთი გადარჩეს კიდევაც და ცხოვრება განაგრძოს. გლაურუნგი აქაურობას ცეცხლს მისცემს, თუკი ამის შესაძლებლობა მიეცემა, და არავის დატოვებს ცოცხალს, ვისაც კი მიაგნებს; თუმცა, არც ამის შემდგომ დარჩება აქ, რამეთუ ნარგოთრონდში ძევს მთელი მისი საგანძური, იქ არს უვრცესი დარბაზი, სადაც ძალუძს უსაფრთხოდ იწვეს და ქონი მოიდოს.

დალონდნენ კაცნი და სასონარკვეთას მიეცნენ, რადგან ენდობოდნენ ტურამბარს და მისგან უფრო დამაიმედებელ სიტყვებს ელოდნენ. თუმცა მან განაგრძო:

– არა, ეს ყველაზე უარესი სურათია. ასე არასდროს მოხდება, თუ ჩემი ჩანაფიქრი აღსრულდება და ბედიც არ გვიმუხთლებს. რამეთუ არ მჯერა, რომ დრაკონი უძლეველ არს, თუმცა წლებია ძალა და სისასტიკე მისი მატულობს. ცოტა რამ მსმენია მასზე. მისი ძლიერება არა მისი

სხეულის შემზარავ ძალაშია, არამედ იმ ბოროტ სულში, რომელიც მასში ბინადრობს. ახლა კი თქვენც მოისმინეთ ის, რაც ადრეულ ასაკში, როცა მეცა და უმრავლესი თქვენგანიც ბავშვები ვიყავით, მომისმენია მათგან, ვინც ნირნაეთს იბრძოდა. იმ ბრძოლაში ჯუჯები აღუდგნენ მას და ბელეგოსტელმა აზაგჰალმა ისე ღრმად ჩასცა მახვილი, რომ უკან ანგბანდში გაიძურნა. მე კი უფრო მჩხვლეთავი და უფრო გრძელი ეკალი მაქვს, ვიდრე ეს აზაგჰალის ხანჯალი იყო.

ამის თქმა იყო და გურთანგი ამოაგო ქარქაშიდან ტურამბარმა და თავს ზემოთ შემართა. ხოლო იქ მყოფთ, რომელნიც მას შესცქეროდნენ, მოეჩვენათ თითქოს ცეცხლის ალი ტურამბარის ხელიდან რამდენიმე ფუტის სიმაღლეზე იფრქვეოდა. მაშინ ხმამაღლა შესძახეს:

– შავი ეკალი ბრეთილისა.

– ბრეთილის შავი ეკალი. – თქვა ტურინმა, – დაე, ძრწოლით ავსებდეს მას. ეს იცოდეთ: ამგვარი არს დრაკონის ხვედრი (და ნათქვამია, ხვედრი მთელი მისი ჯიშისა), რომ რაც უნდა მტკიცე იყოს მისი რქოვანი ჯავშანი, თუნდაც რკინაზე გამძლეც, მაინც გველის მუცლით უნდა იხობოს მიწაზე. ამგვარად, ბრეთილელნო, რადაც უნდა დამიჯდეს, გლაურუნგის მუცელი უნდა ვიპოვო. ვინ წამოვა ჩემთან ერთად? მხოლოდ რამდენიმე ძლიერად შეჭურვილი და გულადი მამაკაცი მჭირდება.

მაშინ დორლასმა გადმოდგა წინ ნაბიჯი და თქვა:

– შენ გვერდით მიგულე, მბრძანებელო: რამეთუ მტრის ლოდინს, მასთან მყისიერ ბრძოლას ვარჩევ.

თუმცა მის მოწოდებას სხვები არ გამოხმაურებოდნენ, რადგან გლაურუნგის შიშით იყვნენ შეპყრობილი, ხოლო მსტოვართა ნანახმა და მონაყოლმა ამბავმა შიში კიდევ უფრო გაუმძაფრათ. მაშინ დორლასმა შეუძახა:

– მომისმინეთ, ბრეთილის შვილნო, ახლა უკვე კარგად დავინახეთ, რომ ბრანდირის განკარგულება ამ ავი დროებისთვის შეუფერებელი გამოდგა. ჩვენი ხსნა მალვაში არ არის. რატომ არ შეიძლება, სხვამ დაიკავოს ჰანდირის ძის ადგილი, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჰალეთის საგვარეულოს შერცხვენა იქნებოდა? მაშინ ბრანდირმა, რომელიც მმართველისთვის განკუთვნილ საბჭოს უმაღლეს სავარძელზე იჯდა და ვერავინ ამჩნევდა, თავი დამცირებულიად იგრძნო და გამწარდა; რამეთუ ტურიანმა დორლასს შენიშვნა არ მისცა.

თუმცა ჰუნთორი, ბრანდირის ნათესავი ადგა და განაცხადა:

– უგვანადმოიქეცი, დორლას, რადგან ამგვარი სიტყვებით შენი მბრძანებელი შეარცხვინე, რომლის კიდურებს უბედობის გამო არ ძალუძს გულის წადილს მიჰყვეს. გაფრთხილდი, ვინძლო ერთ დღეს შენც იგივე დაგემართოს! და ვით შეიძლება განაცხადო, რომ არჩევანი მისი უსარგებლო იყო, თუკი არც არავის უღია ყურად? თქვენ კი როგორც ვასალნი, არად აგდებდით რჩევებს მისას. გეუბნებით, გლაურუნგი მოგვადგება, ისევე როგორც აქამდე ნარგოთრონდს მიადგა, რამეთუ ჩვენმა ქმედებებმა გვიმუხთლა, ვითარცა ის შიშობდა. მაგრამ ვიდრე უბედურება დატრიალებულა, თქვენის ნებართვით, ჰანდირის ძეო, მათ გავყვები ჰალეთის საგვარეულოს სახელით.

მაშინ ტურამბარმა თქვა:

– სამი სრულიად საკმარისი იქნებოდა! ორთავეს წაგიყვანთ. მაგრამ, მბრძანებელო, მე თქვენი შეურაცხყოფა სულაც არ მსურს. აი, რას გეტყვით! სწრაფად უნდა ვიაროთ, ხოლო ჩვენი ამოცანის შესრულებას ძლიერი ფეხები დასჭირდება. მიმაჩნია, რომ ადგილი თქვენი თქვენს

ხალხთან არს. რამეთუ ბრძენი და მკურნავი ბრძანდებით, და შესაძლოა სულ მალე სწორედ რომ სიბრძნისა და კურნების საჭიროება გაჩნდეს.

მიუხედავად იმისა, რომ კარგი ნათქვამი იყო, ამ სიტყვებმა უფრო მეტად გაახელა ბრანდირის გული და ასე უთხრა ჰუნთორს:

– მაშ, ნადი, თუმცა არა ჩემი ნებართვით, რამეთუ წყვილი აწევს ამ ადამიანს და ეს წამოწყება უბედურებას შეგამთხვევთ.

ტურამბარი წასვლას ჩქარობდა; და როდესაც ნინიელთან გამოსამშვიდობებლად მივიდა, ის აქვითინებული შემოეხვია.

– ნუ წახვალ, ტურამბარ, გევედრები! – ამბობდა ის, – ნულარ გამოიწვევ იმ ბნელეთს, რომელსაც თავი დააღწიე! არა, არა, ისევ გაიქეცი და მეც შენთან ერთად, შორს წამიყვანე!

– ნინიელ, უძვირფასესო, – უპასუხა მან, – ჩვენ ველარსად გავიქცევით. ამ მინაზე გავეხირეთ. თუნდაც წავიდე და გასაჭირში მივატოვო ყველა, ვისაც დავუძმობილდი, შენი უდაბურ ტყე-ღრეში წაყვანა მომიწევს, რაც შენი და ჩვენი შვილის განირვა იქნებოდა. ათასი ეჯი, გვაშორებს სხვა ქვეყანამდე, რომელიც ჩვენგან მიუწვდომელ ჩრდილებში ჩაძირულა. თუმცა გული გაიმაგრე, ნინიელ. რამეთუ ამას გეტყვი: შენ და მე დრაკონი ვერას დაგვაკლებს, ვერც რომელიმე ჩრდილოეთიდან მოგზავნილი მტერი.

მაშინ ნინიელმა ქვითინი შეწყვიტა და დადუმდა, თუმცა როდესაც შორდებოდნენ, ცივად ეამბორა.

შემდეგ ტურამბარი დორლასთან და ჰუნთორთან ერთად გაეშურა ნენ-გირითისკენ, როდესაც იქამდე მიაღწიეს, მზე დასავლეთისკენ იხრებოდა და ჩრდილები დაგრძელებულიყო. ადგილზე ორი მსტოვარი ელოდებოდათ.

– არც ისე დროულად მოხვედით, ბატონო, – მიმართეს მათ. – რადგან დრაკონი წინ მოიწევდა და როდესაც წამოვედით ის უკვე ტეიგლინის პირას, ქარაფთან მოსულიყო და გარშემო მიწებს ათვალიერებდა. იგი ლამლამობით გადაადგილდება და მანამდე უნდა მივაყენოთ დარტყმები, ვიდრე განთიადი მოაწევს.

ტურამბარმა კელებროსის წყალვარდნილიდან გადაიხედა, მზე უკვე ჩასასვლელად ემზადებოდა ხოლო მდინარის მიმდებარედ შავი კვამლი ამოწვერილიყო.

– დასაკარგი დრო აღარ გვაქვს, – თქვა მან. – თუმცა ცნობები სასიკეთოა. რამეთუ ვშიშობდი, რომ ის მიმდებარე მიწების გამოკვლევას დაიწყებდა და თუ ჩრდილოეთით, დაბლობების გავლით ძველისძველ გზას გაუყვებოდა და ტეიგლინის გადასალახებს მიადგებოდა, მაშინ ჩვენი იმედები ფუჭი აღმოჩნდებოდა. თუმცა აშკარა არს, რომ რაღაც მზვაობრული რისხვა და ღვარძლი აიძულებს პირდაპირ აქეთ გამოსწიოს. – მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა, უკვირდა და ერთი ფიქრი დასტრიალებდა: „ნუთუ შესაძლებელია ამგვარი ბოროტი არსება, ორკებივით გადასალახზე გადასვლას თავს არიდებდეს? ჰაუდ-ენ-ელეთი! ნუთუ კვლავ ფინდუილასი ძევს ჩემსა და ჩემს ბედისწერას შორის?“

შემდეგ მოუტრიალდა თანამებრძოლთ და უთხრა:

– წინ გვიძევს ეს ამოცანა. ცოტაც უნდა მოვიცადოთ, რამეთუ ზედმეტი სიჩაუქეც ისეთივე დამლუპველი გამოდგება ჩვენთვის, როგორც სიზანტე. როდესაც ბინდი მოაწევს, უჩუმრად ჩავიპარებით, ტეიგლინისკენ. მაგრამ გაფრთხილდით! რამეთუ ყურთასმენა გლაურუნგისა ისეთივე მახვილია, როგორც მზერა მისი და ორთავე დამ-

ღუპველია. თუ მდინარემდე შეუმჩნევლად მივალწიეთ, ღარტაფში ჩავძვრებით, წყალს გადავკვეთთ და ასე გავალთ იმ ბილიკზე, რომელზეც ის გამოივლის.

– კი მაგრამ, ამ გზით როგორ გამოივლის, – თქვა დორლასმა, – შესაძლოა, მოქნილია, მაგრამ იმავდროულად დრაკონია და როგორ შეძლებს იმგვარად დაეშვას კლდეებიდან, რომ მისი სხეულის ერთი ნაწილი მალლა მიცოცავდეს, დანარჩენი კი დაბლა ეშვებოდეს? და თუ ამას მაინც მოხერხებს, ამ დროს გაშმაგებულ წყალში დგომით, რას მოვიგებთ?

– შესაძლოა, ეს მოახერხოს კიდეც, – უპასუხა ტურამბარმა, – და თუ ასე იქნა, ცუდად წაგვივა საქმე. მაგრამ ჩემი იმედები, მის შესახებ არსებულ ჩემს ცოდნას ემყარება, ასევე იმ ადგილისას, სადაც ახლა იმყოფება, ვფიქრობ, განზრახვა მისი სხვაგვარია. კაბედ-ენ-არასის კბოდესთან მოდის, რომელზედაც ერთხელ, ვითარცა შენ თქვი, ჰალეთის მონადირეთაგან გამოქცეული ირემი გადაევლო. იგი იმდენად უზარმაზარია, რომ ვფიქრობ, შეეცდება პირდაპირი გზით გადავიდეს მეორე მხარეს. ჩვენი იმედიც სწორედ ამას ემყარება და მას უნდა მივდიოთ.

დორლასის გული ამ სიტყვებში ჩაიძირა; რამეთუ სხვებზე უკეთ იცნობდა ბრეთილის ყოველ კუთხე-კუნჭულს, კაბედ-ენ-არასი კი ნამდვილად პირქუში ადგილი გახლდათ. მის აღმოსავლეთ მხარეს სალი კლდე აღმართულიყო, დაახლოებით ორმოცი ფუტი სიმაღლისა, კლდე შიშველი იყო, თუმცა მის თავზე ხეები იზრდებოდა. მეორე ნაპირი კი ნაკლებად ციცაბო და მაღალი გახლდათ, ხეებითა და ბუჩქებით დაფარული, მათ შუაში კი, ლოდებს შორის, მდინარე სწრაფად მოედინებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გულად და ფეხმაგარ ადამიანს შეეძლო, დღისით მდინარის გადა-

კვეთა ეცადა, ღამით ეს სახიფათო იყო. თუმცა ასე გად-
ანყვიტა ტურინმა და მის წინააღმდეგ წასვლა არ ღირდა.

ამგვარად, როდესაც დაბინდდა, დაიძრნენ. პირდა-
პირ დრაკონისკენ არ წასულან, ჯერ გადასალახებისკენ
მიმავალ ბილიკს გაუყვნენ; და სანამ ძალიან შორს გავი-
დოდნენ, ვინრო ბილიკით კვლავ სამხრეთისკენ გადაუხ-
ვიეს და ტეიგლინის თავზე მდებარე, ბინდით მოცულ
ტყეში შევიდნენ, ასე უახლოვდებოდნენ კაბედ-ენ-არ-
ასს. ნაბიჯ-ნაბიჯ მავალნი დროდადრო შედგებოდნენ და
აყურადებდნენ, საშინელი დამწვრობის სუნი და სულის
შემხუთავი სიმყრალე აწუხებდათ. თუმცა სამარისებურ
სიჩუმეს დაევანა ირგვლივ და ჰაერიც არ იძვროდა.

მათ წინ პირველი ვარსკვლავები აკიაფდა აღმოსავლე-
თის ცაზე, ხოლო მქრქალი სვეტები კვამლისა დასავლეთ-
ით მინავლებულ მზის შუქზე უძრავად აღმართულიყო.

ტურამბარი წასულიყო, ნინიელი კი ქვასავით უძრავად
იდგა; თუმცა ბრანდირი მივიდა მასთან და უთხრა:

– ნინიელ, ნუ ფიქრობ უარესზე, სანამ ამის საბაბი არ
მოგეცემა. განა მე მოცდა არ გირჩიე?

– მართალია, – უპასუხა მან. – თუმცა ახლა რა შვებას
მომცემს? რამეთუ სიყვარული შესაძლოა არსებობდეს,
მაგრამ მას დაუოჯახებლობა სტანჯავდეს.

– ეგ ვიცი, – მიუგო ბრანდირმა. – თუმცა დაქორწინე-
ბაც დიდი ვერაფერი შვებაა.

– არა, – უთხრა ნინიელმა, – უკვე ორი თვეა, მის შვილს
მუცლით ვატარებ და ამის გამო, მისი დაკარგვით გა-
მონვეული შიში სულაც არ არის უფრო მძიმედ ასატანი.
მე არ მესმის შენი!

– არც მე მესმის საკუთარი თავის, – თქვა მან, – თუმ-
ცა, მაინც შიში მიჰყრობს.

– რა ნუგეშისმცემელი ხარ! – შესძახა მან, – მაგრამ ბრანდირ, მეგობარო, დაოჯახებული ვიქნები თუ დაუოჯახებელი, დედა თუ ქალწული, ჩემი შიში მაინც გაუსაძლისია. ბედისწერის მბრძანებელი შორს გაემართა, რათა საკუთარი ბედისწერა გამოიხმოს და როგორ ვიჯდე და ველოდო ცნობათა ზანტ დინებას, გინდაც სასიკეთო იყოს ისინი, გინდა ავის მომასწავებელი? ამ ღამით შესაძლოა დრაკონს შეხვდეს, რამ უნდა შემაყოვნოს, ანდა როგორ გადავიტანო ეს შემზარავი წუთები?

– არ ვიცი, – მიუგო მან, – თუმცა, როგორმე ეს ჟამი გადაივლის, შენთვისაც და მათ ცოლთათვისაც, ვინც მას გაჰყვა.

– დაე, მოიქცნენ ისინი ისე, როგორც სწადიათ! – შესძახა. – მე კი წასვლას ვლამობ. მანძილი ვერ დამაშორებს ჩემი მბრძანებლის გასაჭირისგან. წავალ და ჩემით მოვიძიებ ცნობებს!

ბრანდირს მოთმინება დაუკარგა მისმა სიტყვებმა და შეჰყვირა:

– მაგას ვერ იზამ, რადგან მე არ დაგანებებ. ამით ჩემს გეგმებს არევ. თუ უბედურება მოხდა, მანძილი, რომელიც თქვენ შორისაა, შესაძლოა გაქცევაში დაგეხმაროს.

– თუ უბედურება დამატყდება თავს, არ გავიქცევი, – მიუგო მან. – შენი სიბრძნე უკვე უსარგებლოა და ვერც მე დამაკავებ.

და ის ბრეთილელების წინაშე გამოვიდა, ისინი კვლავ ეფელის გაშლილ მდელოზე შეკრებილიყვნენ. და შესძახა:

– ბრეთილელნო! მე აქარ დავიცდი. თუ ჩემი მბრძანებელი დამარცხდება, ყველა იმედი ამაო იქნება. ცეცხლი გადანვავს თქვენს მიწასა და ტყეს, ყოველი თქვენი სახლელი ფერფლად იქცევა და ვერავინ, ვერავინ გადარჩე-

ბა. მაშ, რატომ გავჩერდე აქ? მივდივარ, რათა ცნობები მოვიძიო და მივიღო ის, რასაც ბედი მიწყალობებს. ყველას, ვინც ამგვარად ფიქრობს, შეუძლია, ჩემთან ერთად წამოვიდეს!

ბევრს სურდა მასთან ერთად წასვლა: დორლასისა და ჰუნთორის ცოლებს, რამეთუ ისინი, ვინც უყვარდათ, ტურამბარს გაჰყოლოდნენ: ზოგს ნინიელისადმი სიბრალულისა და მასთან დამეგობრების სურვილის გამო; ზოგიერთიც დრაკონის შესახებ მოარულ ხმებს აჰყოლოდა და თავისი გამბედაობითა თუ უჭკუობით (ცოტა რამ თუ იცოდნენ ბოროტების შესახებ) ფიქრობდა, რომ უცნაურსა და დიდებულ სანახაობას იხილავდა. რამეთუ იმდენად დიდი წარმოდგენა ჰქონდათ შავ ხმალზე, არ სჯეროდათ, რომ გლაურუნგი მის დამარცხებას შეძლებდა. ამგვარად, ისინი სწრაფად გაეშურნენ. უამრავი ადამიანი ისეთ ხიფათში იგდებდა თავს, წარმოდგენაც რომ არ ჰქონდათ; თითქმის შეუსვენებლად და ფრთხილად იარეს და ღამის დადგომასთან ერთად, ბოლოს და ბოლოს, მიაღწიეს ნენ-გირითს. მცირე ხანი გასულიყო მას შემდეგ, რაც ტურამბარს იქაურობა დაეტოვებინა. მაგრამ ღამე ცივი მრჩეველი გამოდგა და ბევრმა ინანა კიდევ თავისი დაუდევრობა; და როცა იქ დარჩენილ მსტოვართაგან შეიტყვეს, რამდენად ახლოს მოსულიყო გლაურუნგი და როგორ უიმედოდ ცდილობდა ტურამბარი მასთან გამკლავებას, ძრწოლამ აიტანა ისინი და უფრო შორს წასვლა ვეღარ გაბედეს. ზოგიერთი კაბედ-ენ-არასს გაჰყურებდა შეძრული, თუმცა იქ არაფერი იხედებოდა და არც არაფერი ისმოდა გარდა წყალვარდნილთა გამყინავი ხმებისა.

მაშინ ნინიელი განმარტოვდა. დაბნეულობას მოეცვა იგი.

როდესაც ნინიელი და მისი ჯგუფი წავიდნენ, ბრანდირმა დარჩენილთ მიმართა:

– ხედავთ, ვითარ შეურაცხმყვეს, ყოველი ბრძანებულება ჩემი უგულვებელყვეს! აირჩიეთ სხვა წინამძღოლი: რამეთუ უარს ვამბობ მმართველობაზეც და ხალხზეც. დაე, ტურამბარი იყოს თქვენი ბატონი, რამეთუ მთელი ჩემი უფლებამოსილებანი მიიტაცა. ნურავინ მომძებნის ამიერიდან, ნურც რჩევის საკითხავად და ნურც განსაკურნებლად!

და მან დაამსხვრია თავისი კვერთხი. თავისთვის კი გაიფიქრა: „უკვე აღარაფერი დამრჩენია გარდა ნინიელისადმი ჩემი სიყვარულისა: ამიტომ სადაც ის წავა, ჭკუაზე შემცდარი თუ გონზე მყოფი, მეც იქით გავყვები. ამ ბნელ დროებაში, რთულია მომავალი განჭვრიტო, თუმცა იქნებ ისეც მოხდეს, რომ თუ სადმე გადავეყარე, ბოროტებას ავარიდო“.

ხანჯალი შეიბა წელზე, რასაც უნინ იშვიათად აკეთებდა, აიღო ყავარჯენი, როგორც შეეძლო, ისე სწრაფად გავიდა ეფელის კარიბჭიდან და სხვებს გადევნებული, კოჭლობით დაუყვა გრძელ გზას ბრეთილის დასავლეთ დასალიერამდე.



თაზი XVII

გლაურუნგის აღსასრული

როგორც იქნა, ცისქვეშეთი ღამის საბურველში გაეხვია, ტურამბარი და მისი მეგზურები კაბედ-ენ-არასთან მივიდნენ და დიდად გაიხარეს, როდესაც მდინარის გრუხუნის ხმა გაიგონეს; მიუხედავად იმისა, რომ იგი მათ განსაცდელს უმზადებდა, ირგვლივ ყოველგვარ ხმაურს ფარავდა. შემდეგ დორლასი სამხრეთით გაუძღვა მგზავრებს, კლდე-კლდე და ნაბიჯ-ნაბიჯ იწყეს ხრამში ჩასვლა; თუმცა აქ დორლასი შედრკა, რამეთუ უამრავი ლოდი და ქვა ეყარა მდინარეში, მათზე წყალი გავეშებული რბოდა და ირგვლივ ყველაფერს იტაცებდა.

– ნამდვილად სიკვდილისკენ მივემართებით, – თქვა დორლასმა.

– სიკვდილისკენაც და სიცოცხლისკენაც ეს ერთადერთი გზაა, – უთხრა ტურამბარმა, – და შეყოვნება ძალებს ვერ შეგვმატებს. ასე რომ, მომყევით! პირველი ნავიდა და სიმამაცისა თუ ბედის წყალობით მეორე ნაპირზე გა-

დავიდა, უკუნ სიბნელეში შემოტრიალდა, რათა დაენახა, თუ ვინ გადმოვიდოდა შემდეგი. ბნელი ფიგურა იდგა მის გვერდით. – დორლას? – მიმართა მას.

– არა, ეს მე ვარ, – უპასუხა ჰუნთორმა. – ვგონებ, დორლასმა გადმოსვლა გადაიფიქრა. ვინაიდან შესაძლოა მამაკაცს ბრძოლა არ აშინებდეს, მაგრამ სხვაგვარი შიში უღრღნიდეს გულს. ალბათ აკანკალებული ზის გაღმანაპირზე: მიეზლო იმ სიტყვების გამო, მბრძანებელს რომ აკადრა.

ტურამბარმა და ჰუნთორმა მცირე ხნით შეისვენეს, თუმცა ლამის დადგომასთან ერთად შეამცივნათ, რადგან ორივენი გალუმპული იყვნენ. ამიტომ სასწრაფოდ დინების გასწვრივ, ჩრდილოეთით მიმავალი ბილიკის ძებნა დაიწყეს, იქით, საითაც გლაურუნგი იმყოფებოდა. ლარტაფი თანდათან შევიწროვდა და შიგ სიბნელემ იმატა. და როდესაც ბილიკს მიჰყვებოდნენ, თავს ზემოთ მკრთალი შუქის ციალი შენიშნეს, ისე, თითქოს ცეცხლი ღვივისო, სულ მალე კი ხვნიშა შემოესმათ ფხიზლად მძინარე დიდი გველეშაპისა. შეეცადნენ, ზემოთ ამავალი გზა ეპოვათ და კბოდეს მიახლოებოდნენ, რამეთუ სწორედ ახლა იყო ყველაზე შესაფერისი დრო, მტერი დაუცველად გამოეჭირათ. თუმცა იმდენად აუტანელი გახლდათ მისგან მომავალი სიმყრალე, რომ თავბრუ დაესხათ და ფეხი დაუცდათ, ხის ფესვებს ჩაჭიდებულებს გული აერიათ. ყოველგვარი შიში გადაავიწყდათ, მხოლოდ ტეიგლინის ხახადაფჩენილი ხრამი ამოსცქეროდათ დაბლიდან შემზარავად.

მაშინ ტურამბარმა უთხრა ჰუნთორს:

– სულ ამაოდ გავანიავეთ ისედაც მცირედი ძალები, ამიტომ სანამ არ შევიტყობთ, სად გადაივლის გველეშაპი, მანამდე მალლა აბობლების მცდელობა უსარგებლოა.

– თუმცა როდესაც გვეცოდინება, – უთხრა ჰუნთორმა, – თუ სად გაივლის გველეშაპი, მაშინ დროც აღარ გვექნება ხრამიდან ამოსასვლელად.

– მართალია, – მიუგო ტურამბარმა. – მაგრამ მაშინ, როცა ყველაფერი გამართლებაზეა, ჩვენც იმავეს იმედი უნდა ვიქონიოთ. ამგვარად, შეჩერდნენ და მოიცადეს. ხევის თავზე თეთრი ვარსკვლავი აკიაფდა, რომელიც შორეთიდან ამოცურდა და მკრთალი ზოლი დააჩნია ზეცას; შემდეგ ტურამბარი ნელა ჩაიძირა შემზარავ სიზმარში. ეზმანა, თითქოს თავის ნება-სურვილს ჩასჭიდებოდა, თუმცა შავი ზვირთები ისრუტავდა და კიდურებს უღრღნიდა.

უეცრად საზარელი ხმაური მოისმა, ხოლო ხრამის კედლები შეზანზარდა და ექო გამოსცა. ტურამბარმა გამოიფხიზლა და ჰუნთორს შეუძახა:

– ის ამოდრავდა. მოანია ჟამმა. ძლიერად აძგერე, რამეთუ სამის კაცის ძალით ორმა უნდა დავარტყათ.

ასე დაიწყო გლაურუნგის შეტევა ბრეთილზე; ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ტურამბარი იმედოვნებდა, რამეთუ დრაკონი ზანტად მიხობდა კბოდესთან და გვერდზე არ გაუხვია, პირდაპირ უფსკრულზე გადასახტომად მოემზადა, რათა ჯერ წინა კიდურები გადაეტანა მეორე მხარეს, შემდგომ – სხეულის დანარჩენი ნაწილი. შიშს უშვებდა წინ. პირდაპირ მათ თავზე გადასვლას არ ლამობდა და ჩრდილოეთით გახობდა რამდენიმე ბიჯით. ძირს მყოფთ იხილეს მოკიაფე ვარსკვლავთა შორის გამოჩრილი უზარმაზარი ჩრდილი მისი თავისა, დაფჩენილი ხახა და ცეცხლის ექვსი ენა. შემდეგ ცეცხლი გადმოაფრქვია, ისე, რომ მთელი ხევი მენამულმა ალმა გაანათა, ხოლო კლდეებიდან მუქი ჩრდილები წამოიშალა დანაცრული და ჰაერში კვამლად გაბნეული ხეებისა. სიმბ-

ურვალისგან მდინარეში ლოდები დაიმსხვრა. შემდეგ დაიგორგლა, წინ გასტყორცნა თავისი სხეული, მეორე ნაპირზე კლდეს ჩაებლაუჭა ძლიერი ბრჭყალებით და ტანის გადაზიდვას შეუდგა.

ახლა კი სისწრაფისა და გამბედაობის გამოჩენის დრო დადგა, მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლს გადაურჩნენ, რადგან ისინი ზუსტად ბილიკთან არ იმყოფებოდნენ, ადგილამდე მაინც უნდა მისულიყვნენ, სანამ გლაურუნგი ამ გადასაჩეხს გადაკვეთდა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა მცდელობა დაგვიანებული იქნებოდა. ტურინმა არად ჩააგდო მოსალოდნელი ხიფათი, კლდეზე გაცოცდა, რათა მიესწრო და ზუსტად მის მუცელქვეშ მოქცეულიყო; მაგრამ იმდენად საზარელი გახლდათ სიმხურვალე და სიმყრალე ურჩხულისა, რომ წაბარბაცდა და კიდევ გადავარდებოდა, რომ არა ჰუნთორი, რომელიც უკან მიჰყვებოდა და მაშინვე ხელი წაავლო მკლავში და შეაკავა.

– გაბედული კაცი ხარ! – უთხრა ტურინმა, – მოხარული ვარ, რომ შენ წამოგიყვანე შემწედ! თუმცა, როდესაც ამას ამბობდა, დიდი ქვა მოსწყდა ზემოდან, ჰუნთორს თავში მოხვდა და მდინარეში გადააგდო. ამგვარად აღესრულა ის, რომელიც სიმამაცით არავის ჩამოუვარდებოდა ჰალეთის გვარში. მაშინ ტურამბარმა შეჰყვირა:

– აფსუს! წყევლად ქცეულა ჩემ ჩრდილქვეშ სიარული! რისთვის ვითხოვე მეგ ზურები? მაინც სულ მარტო დარჩი, ოი, მბრძანებლო ბედისწერისა, შენ ხომ იცოდი, რომ ყოველივე ასე მოხდებოდა. ახლა კი მარტომ იბრძოლე!

შემდეგ გამოიხმო მთელი თვისი ძალები და სიძულვილი გველეშაპისა და მისი მბრძანებლისადმი. თავს ისე გრძნობდა, თითქოს სულსა და სხეულში მისთვის აქამდე უცნობი ძლიერება აღმოეჩინოს. ლოდიდან ლოდზე ადიოდა, ფესვიდან ფესვზე ადგამდა ფეხს და ასე ააღწია კლდ-

ის ქიმამდე, ბოლოს კი ერთ ხმელ ხეს მოეჭიდა, რომელიც ზედ უფსკრულის პირას გამოზრდილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ღერო გადამწვარი ჰქონდა, ფესვებით მაინც მყარად იდგა მიწაზე. და როდესაც თავის შემაგრებას ცდილობდა, დრაკონის სხეულის შუა ნაწილი მის თავზე მოთ აღმოჩნდა, თითქმის მის თავთან ირწეოდა მთელი სიმძიმით, სანამ გლაურუნგი მუცელს მაღლა აითრევდა. ფერმკრთალი და დაღარული იყო მისი სხეულის ქვედა მხარე, მონაცრისფრო ლორწოთი დაფარული, რომელშიც სხეულიდან გამონადენი ყოველგვარი სიბინძურე ჩანებებულებოდა; და ის სიკვდილის სუნად ყარდა. მაშინ ტურამბარმა ბელეგის შავი ხმალი მოიმარჯვა, მთელი ძალ-ლონით და სიძულვილით შემართა, და მომაკვდინებელი, გრძელი და გაუმაძღარი მახვილი ვადამდე უგმირა მუცელში.

იგრძნო რა, სასიკვდილო ტკივილი, გლაურუნგმა ისე ძლიერად დაიღრიალა, რომ მთელი ტყე შეზანზარდა, ხოლო ნენ-გირითის გუშაგები ძრწოლამ აიტანა. დარტყმისგან არაქათგამოცლილი ტურინი ძირს დავარდა, მახვილის ვადა კი ხელიდან გაუცურდა და დრაკონს მუცელში ღრმად ჩაესო; გლაურუნგი გაუსაძლისი ტკივილებისაგან მოიხარა და ხრამის მეორე მხარეს გადაათრია თავისი სხეული. იქ კი დაიკრუნჩხა, აკივლდა, დაიგორგლა აგონიაში მყოფი, დიდი ფართობი გადათელა, ბოლოს კი, იმ ცეცხლსა და ბულში, მიწაზე განერთხა და დადუმდა.

ხის ფესვებს მოჭიდებული ტურამბარი ერთხანს გაოგნებული იყო და ძლივს გამოერკვა. თავის თავს შეუძახა და უკან ჩასვლა იწყო. ხან ჩაცურდებოდა, ხანაც მიხობავდა და ასე ჩააღწია მდინარემდე. კიდევ ერთხელ ჩაიგდო ხიფათში თავი და მისი გადაცურვა სცადა, ამჯერად ხელებსაც იხმარდა და ოთხით მიაპობდა დინებას წყლის შხეფებით დაბრმავებული, სანამ, ბოლოს და ბოლოს, მე-

ორე ნაპირზე არ გავიდა. ფრთხილად აუყვა კლდეებზე იმავე ბილიკს, რითიც დაეშვა. ბოლოს კი იმ ადგილზე გავიდა, სადაც მომაკვდავი დრაკონი გამხლართულიყო. შეუბრალებლად უყურებდა დაკოდილ მტერს და სიხარულით აღვსილიყო.

ინვა ხახადაფრენილი გლაურუნგი, ცეცხლი მასში მთლიანად მინავლებულიყო, გრძნეული თვალები დაეხუჭა. მთელი სხეულით გაშლილიყო და ცალ მხარეს დახვეულიყო, ხოლო გურთანგი ვადამდე შესობოდა მუცელში. მაშინ ტურამბარმა ძალა და გამბედაობა მოიკრიბა, რამეთუ მიუხედავად იმისა, რომ დრაკონი ჯერ კიდევ სუნთქავდა, ხმალი მაინც უნდა ამოეძრო მისი მუცლიდან, ვინაიდან თუ ადრე მას დიდად აფასებდა, ახლა ნარგოთრონდის მთელ საგანძურს, ერთად აღებულს ერჩივნა. გამართლდა სიტყვები, რომელიც მისი გამოჭედვისას ითქვა, – დიდი იქნებოდა თუ მცირე, ვერავინ გადურჩებოდა ამ მახვილის კბენას.

ასე და ამგვარად, მიადგა თავის მტერს, მუცელზე დაადგა ფეხი და გურთანგის ვადა მოზიდა, მთელი ძალით ამოსწია, რათა ამოეძრო, თან ნარგოთრონდში მის ნათქვამ სიტყვებს გამოაჯავრა:

– სალამი, გველო მორგოთისა! მოხარული ვარ, რომ კვლავ შევხვდით! ახლა კი მოკვდი და ჩაინთქი წყვდიადსა შინა! იგემე შურისძიება, ტურინ ჰურინის ძისა!

შემდეგ ხმალი ამოჰგლიჯა მუცლიდან. და მაშინვე შავი სისხლი გადმოიფრქვა შიგნეულიდან, ხელზე შეესხა ტურინს და შხამიანმა სისხლმა ხორცი ისე დაუნვა, რომ ტკივილისაგან შეჰყვირა. ამ დროს გლაურუნგი შეინძრა, ავი თვალები გაახილა და ისეთი მძულვარე მზერა მიაპყრო ტურამბარს, რომ ეგონა, ეს-ეს არის ისრით დამჭრესო; დამწვრობის ტკივილითა და დრაკონის მზერით გაბრუე-

ბულს გული წაუვიდა და მკვდარივით დაეცა გველეშაპის გვერდით, ხმალი კი ქვეშ მოიყოლა.

გლაურუნგის ღრიალის ხმამ ნენ-გირითზე მყოფთა ყურამდეც მიაღწია და ძრწოლით აღავსო ისინი. და როდესაც გუშაგებმა მოშორებით ნგრევა და ცეცხლი იხილეს, რაც დრაკონის აგონიის შედეგი იყო; ეგონათ, რომ მან გადათელა და ამოხოცა ყველა, ვინც თავს დაესხა. მაშინ ინატრეს, რომ მანძილი, რაც დრაკონისაგან აშორებდათ უფრო დაგრძელებულიყო. თუმცა ვერ ბედავდნენ იმ მაღლობის დატოვებას, სადაც შეკრებილიყვნენ, რადგან ახსოვდათ ტურამბარის სიტყვები, რომ თუ გლაურუნგი გადარჩებოდა, პირველ რიგში, ეფელ-ბრანდირს მიადგებოდა. ასე რომ, დაფეთებულები აკვირდებოდნენ მის მოძრაობას და არავინ იყო მათ შორის იმდენად მამაცი, რომ დაბლა ჩასულიყო და მომხდარ ბრძოლაზე ცნობები მოეპოვებინა. ნინიელი კი უძრავად იჯდა და ვერაფრით აჩერებდა აცახცახებულ ხელ-ფეხს, რამეთუ რაჟამს გლაურუნგის ღრიალი შემოესმა, მკერდში გული ჩაჰფერფლოდა და კვლავ წყვილიადის მოახლოება ეგრძნო.

ასეთ მდგომარეობაში მიაკვლია მას ბრანდირმა, როგორც იქნა, გადმოეწვლო კელებროსის ხიდი და ჩამორჩენით მავალი ძლიერ დაქანცულიყო. მთელი გზა მარტო მოდიოდა, კოჭლობით, ყავარჯენზე დაყრდნობილი. მისი სახლიდან ამ ადგილამდე, სულ მცირე, ხუთი ეჯი მაინც იქნებოდა. ნინიელზე დარდმა მოიყვანა აქ, ხოლო როდესაც ადგილზე მოსულმა სიახლეები შეიტყო, ის სწორედ იმგვარი გამოდგა, რისიც ეშინოდა.

– გველეშაპმა მდინარე გადმოკვეთა, – აუწყა ხალხმა. – შავი ხმალი უცილობლივ მკვდარია, ისევე როგორც, ყველა, ვინც მას ახლდა.

გლაურუნგის აღსასრული

შემდეგ ბრანდირი ნინიელთან მივიდა, ხვდებოდა მის სატკივარს და ძლიერ ეცოდებოდა, თუმცა გულში ფიქრობდა: „შავი ხმალი მკვდარია, ნინიელი კი – ცოცხალი“. და შეაჟრჟოლა, რადგან ნენ-გირითის წყლების სიცივე იგრძნო. შემდეგ მოსასხამი გაიძრო და ნინიელს მოახურა, თუმცა სიტყვებს ვერ პოულობდა, რომ მისთვის რამე ეთქვა. ნინიელიც არაფერს ამბობდა.

დრო გადიოდა, ხოლო ბრანდირი კვლავ მის გვერდით იჯდა. ღამეს უჭვრეტდა და აყურადებდა, თუმცა ვერაფერს ხედავდა და არაფერი ესმოდა, გარდა ნენ-გირითის წყლების ხმაურისა. და გაიფიქრა: „ალბათ გლაურუნგი წავიდა და ახლა უკვე ბრეთილშია“. მეტად აღარ ებრალებოდა თავისი ხალხი – ბრიყვნი, რომელთაც არად ჩააგდეს მისი სიტყვა და შეურაცხევეს. „დაე, მიადგეს დრაკონი ამონ-ობელს, მაშინ გასაქცევი დროც მოგვეცემა, და ნინიელს აქედან წავიყვან“. თუმცა, საით უნდა წასულიყვნენ, ზუსტად არ იცოდა, რამეთუ თვითონ ბრეთილის საზღვრებს არასდროს გასცილებოდა.

შემდეგ, როგორც იქნა, დაიხარა, ნინიელს მხარზე შეეხო და უთხრა:

– დრო იწურება, ნინიელ! წავიდეთ! დროა. თუ ნებას მომცემ, მე გაგიძღვები!

მაშინ უსიტყვოდ წამოდგა ნინიელი და ხელი ჩასჭიდა მას, შემდეგ ერთად გადაიარეს ხიდი და ტეიგლინის გადასალახებისკენ მიმავალ ბილიკს დაუყვნენ. მათ, ვინც ლანდებივით ბნელში მიმავლებს მოჰკრეს თვალი, ვერ იცნეს ისინი და ყურადღება არ მიაქციეს. როდესაც მდუმარე ხეთა ქვეშ მცირე მანძილი გაიარეს, მთვარე ამოცურდა ამონ-ობელის თავზე და ტყის კორდებს მკრთალი შუქი დააფინა. ნინიელი შეჩერდა და ბრანდირს უთხრა:

– ეს არის გზა?

მან კი უპასუხა:

– ვინლა დაეძებს გზას, როდესაც ბრეთილში ყოველგვარი იმედი გადაწურულია. სხვა გზა არ დაგვრჩენია, მხოლოდ დრაკონისაგან გასაქცევი. და უნდა გავიქცეთ, სანამ გვიანი არ არის.

ნინიელმა კი გაკვირვებით შეხედა და უთხრა:

– განა ჩემს მასთან წაყვანას არ ლამობდი? თუ მომატყუე? შავი ხმალი იყო ჩემი მეუღლეცა და სიყვარულიც და მხოლოდ მისკენ მიმავალ გზაზე ვივლი. სხვას რას ელოდი? ახლა კი ისე მოიქეცი, როგორც გნადია, მე კი უნდა ვიჩქარო.

და სანამ ბრანდირი უსიტყვოდ გაშეშდა ერთ ადგილზე, ის წავიდა. ბრანდირმა კი შორიდან დაუძახა:

– მოიცადე, ნინიელ! მარტო ნუ წახვალ! არც კი უწყი, ნინ რა გელოდება. შენთან ერთად წამოვალ!

თუმცა მან არ შეისმინა მისი სიტყვები და სწრაფად გაეცალა იქაურობას, სისხლი უდუღდა, რომელიც აქამდე ყინულად ქცეულიყო; და მიუხედავად იმისა, რომ ბრანდირი უკან მიჰყვებოდა, ვერ დაენია. მაშინ დასწყევლა მან ბედი და სისუსტე თავისი; უკანაც ვეღარ გაბრუნდებოდა.

ზეცაში თეთრად ამობრწყინებულ მთვარეს ცოტადა აკლდა გავსებამდე. ნინიელი მალლობიდან დაეშვა, მდინარისაკენ. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, ეს მიდამოები უკვე ენახა და შიშის გრძნობა ეუფლებოდა, რამეთუ ტეიგლინის გადასალახებს უახლოვდებოდა. იქ ჰაუდ-ენ-ელეთი ფერმკრთალად აღმართულიყო მთვარის შუქზე, ხოლო მის გარშემო შავი ჩრდილები განოლილიყო; შემზარავი შიში მოდიოდა სამარხიდან.

მაშინ შებრუნდა და კივილით გაიქცა სამხრეთით, მდინარეს ჩაუყვა. სირბილისას მოსასხამი გაიხადა და გადააგდო, თითქოს ამით, იმ წყვედიადის მოშორებას ლამ-

ობდა, ყველგან თან რომ სდევდა; შიგნიდან კი მთლიანად თეთრებში შემოსილიყო და როდესაც ხეთა შორის მიქროდა, ანათებდა. ამიტომ ბექობზე გადმომდგარმა ბრანდირმა იოლად შეამჩნია იგი და მიტრიალდა, რათა მისთვის გზა მოეჭრა, თუკი მოახერხებდა; ბედად, სწორედ იმ ვინრო ბილიკს მიაკვლია, რომლითაც მანამდე ტურინმა ისარგებლა, თუმცა ბილიკი მიმონგრეული იყო და უფრო დამრეცად ეშვებოდა სამხრეთით, მდინარისკენ. ბოლოს, როგორც იქნა, კვლავ მიუახლოვდა მას, მაგრამ როდესაც ეძახდა, ის ყურს არ უგდებდა, ანდა არ ესმოდა, და კვლავ აგრძელებდა გზას; ასე თანდათან მიუახლოვდნენ ისინი კაბედ-ენ-არასის ახლოს მდებარე ტყეს და გლაურუნგის ტანჯვა-წამების ადგილს.

ულრუბლო მთვარე დასავლეთისკენ ინაცვლებდა და ცივად და გამჭვირვალედ ანათებდა. როდესაც გლაურუნგის მიმონგრეულ ადგილს მიადგა, ნინიელმა ლეში და მთვარის შუქზე განათებული მისი რუხი მუცელი დაინახა. მის გვერდით ადამიანი იწვა. ნინიელმა დაივიწყა შიში, მხურვალე და მხრჩოლავ ალიაქოთში შევარდა და ტურამბარს მიადგა. პირქვე ეგდო იგი და ხმალი ქვეშ მოეყოლებინა, თეთრ შუქზე მისი სახე მკვდარივით გაფითრებული მოჩანდა. მაშინ დაემხო ნინიელი, ქვითინებდა და კოცნიდა მას. ეჩვენებოდა, რომ სუსტად სუნთქავდა, თუმცა ფიქრობდა, რომ ეს ფუჭი იმედი იყო და თავს იტყუებდა, რადგან ცივი იყო ის, არ იძვროდა და არც პასუხს სცემდა. როდესაც ეალერსებოდა მისი გაშავებული ხელი შენიშნა, რომელიც თითქოს დამწვარს წააგავდა და საკუთარი ცრემლით ჩამოხანა, შემდეგ სამოსლის ნაკუნნი ჩამოიხია და ხელი შეუხვია. თუმცა, არც მის შეხებაზე განძრეულა ტურამბარი, ის კი კვლავ კოცნიდა და ეძახდა:

– ტურამბარ, ტურამბარ, დამიბრუნდი! გაიგონე ჩემი ძახილი! გაიღვიძე! რამეთუ ეს მე ვარ, ნინიელი. გველეშაპი მკვდარია, მკვდარი და მე მარტო ვარ შენ გვერდით.

თუმცა ის მაინც არაფერს პასუხობდა. ბრანდირს შემოესმა მისი ქვითინი, რადგან უკვე ნაოხარის კიდეს მოსდგომოდა; მაგრამ როდესაც ნაბიჯი გადმოდგა ნინიელისკენ, – გაშეშდა. რამეთუ ნინიელის მოთქმის გაგონებისას, გლაურუნგი ბოლოჯერ გამოძრავდა და შეაჟრჟოლა; შემდეგ ოდნავ გაახილა მძულვარე თვალები და მათში მთვარე აირეკლა. მძიმედ სუნთქავდა და ენა ამოიდგა:

– სალამი, ნიენორ, ასულო ჰურიანისა. ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს, ვიდრე აღსასრულის ჟამი მოაწევდეს. მომილოცავს, რამეთუ, ბოლოს და ბოლოს, იპოვე შენი ძმა. იცნობდე ამიერიდან მას: ბნელში დამმლახვრელს, მტერთა რისხვას, მეგობართა გამწირავსა და ნათესავთა თავს დატეხილ წყევლას, ტურინ ჰურიანის ძეს! მაგრამ შენ მის ნამოქმედართაგან ყველაზე ავბედითს მუცლით დაატარებ.

გაოგნებული იდგა ნიენორი, გლაურუნგმა კი სული დალია. მის სიკვდილთან ერთად, გრძნეულებაც აეხსნა მას და დაკარგული მეხსიერება აღუდგა დასაბამიდან იმ დღემდე. ის ყველაფერიც მშვენივრად ახსოვდა, რა გადახდა ჰაუდ-ენ-ელეთიდან ნამოყვანის შემდგომ და მთელი სხეული აუკანკალდა შიშითა და გამოუთქმელი მწუხარებით. ყოველივე ეს მოისმინა რა ბრანდირმა, გულშეღონებული ხეებს უკან მიიმალა.

შემდეგ უეცრად ნიენორი წამოიძვართა, ფერმიხდილი იდგა, ვითარცა აჩრდილი მთვარის შუქზე, ტურინს დახედა და შეჰყვირა:

– მშვიდობით, ოჰ, ორმაგად საყვარელო! ა, ტურინ ტურამბარ ტურუნ ამბარტანენ! ბედისწერის მბრძანებელო, ბედისწერისგანვე ძლეულო! ოჰ, რა ბედნიერი ხარ, რომ სული განუტევე!

შემდეგ მწუხარებითა და საშინელებით თავგზაარეული, მოსწყდა ადგილს და გაიქცა; ბრანდირი კი ბორძიკით დაედევნა და შესძახა:

– მოიცადე! მოიცადე, ნინიელ!

წუთით შეჩერდა იგი და გაშტერებული თვალებით მოიხედა უკან.

– მოვიცადო? – აღმოხდა, – მოვიცადო? მუდამ ეს იყო შენი მოწოდება. იქნებ ჯობდა, დამეჯერებინა! მაგრამ უკვე ძალიან გვიანია. აღარ ძალმიძს მეტხანს შუახმელეთში გაჩერება. – და სწრაფად გაშორდა მას.

მალევე მიადგა კაბედ-ენ-არასის კბოდეს. იქ კი შედგა, ხმაურთან მდინარეს ჩახედა და შეჰყვირა:

– მდინარევ, მდინარევ! წაიყოლე ნიენორ ნინიელი, ასული ჰურინისა. იგლოვე, მგლოვიარე ქალიშვილი მორუენისა! წამიყვანე და ზღვას შეუერთე ჩემი სხეული!

ეს თქვა და მაშინვე კბოდედან გადაეშვა. ბნელმა უფსკრულმა ჩაყლაპა მისი თეთრი სხეული, მისი ვაების ამოძახილი კი მდინარის ღრიალში ჩაიკარგა.

ტიეგლინის წყლები აგრძელებდა დინებას, მაგრამ კაბედ-ენ-არასი აღარ არსებობდა: კაბედ-ნაერამართი, შემზარავი ბედის ნახტომი უნოდა მას ხალხმა და ამიერიდან ასე მოიხსენიებდნენ; რამეთუ ირემიც კი აღარ ხტებოდა მასზე, ყოველი ცოცხალი ქმნილება ერიდებოდა იმ ადგილს და აღარც ადამიანები მიდიოდნენ მის კიდესთან. უკანასკნელი ადამიანი, რომელმაც მის უბედურებას შეავლო თვალი ბრანდირი გახლდათ, ძე ჰანდირისა. და მან შეძრწუნებულმა იბრუნა პირი, შედრკა და მიუხედავად იმისა, რომ სძულდა თავისი სიცოცხლე, ამგვარად მისი დასრულება ვერ გაბედა. შემდეგ ფიქრებით ტურინ ტურამბარს მიუბრუნდა და აღმოხდა:

– ველარ გამიგია, მძულხარ თუ მებრალები? მა-

გრამ უკვე მკვდარი ხარ. არ ვარ ვალდებული მადლობა გადაგიხადო, რამეთუ ყოველივე წამართვი, რაც მქონდა და რაც შესაძლოა, მქონოდა. თუმცა ჩემი ხალხი შენთან ვალშია. უმჯობესი იქნება, ეს ჩემგან შეიტყონ.

ამგვარად, უკან, ნენ-გირითისაკენ გაბრუნდა კოჭლობით, უსიამოდ აუქცია გზა დრაკონის ნაოხარს და როდესაც კვლავ ციცაბო ბილიკზე ასვლა დაიწყო, ერთ კაცს მიაკვლია, რომელიც ხეთა შორის მიმალულიყო და მის დანახვაზე უკან დაეხია, თუმცა ჩამავალი მთვარის მკრთალ ნათებაზე მაინც მოახერხა უცნობისთვის თვალი შეეველო.

– ჰე, დორლას! – შესძახა მან, – რა ამბები გაქვს? როგორ გამოაღწიე ცოცხალმა? ან ჩემს ნათესავს რა ბედი ენია?

– არაფერი ვიცი, – პირქუშად მიუგო დორლასმა.

– ძალზე უცნაურია, თქვა ბრანდრიმა.

– თუ მაინც გსურს, გეტყვი, – განაგრძო დორლასმა, – შავმა ხმალმა ბნელში ტეიგლინის გადალახვა დაგვაავალა. უცნაურია, მაგრამ მე ვერ შევძელი. ნაჯახით ხელში უფრო გაბედული ვარ, ვიდრე სხვა დროს. თხის ჩლიქებით არ გავჩენილვარ.

– გამოდის, ისინი შენ გარეშე წავიდნენ დრაკონთან საბრძოლველად? – ჰკითხა ბრანდრიმა. – რა მოხდა მას შემდეგ, რაც წყალი გადაიარეს? სხვა თუ არაფერი, ყველაზე ახლოს მაინც იქნებოდი და შენიშნავდი ყოველივეს.

მაგრამ დორლასი დუმდა, მხოლოდ ბრანდირს მიმტერებოდა ზიზღით. მაშინ ბრანდირი მიხვდა ყოველივეს – ამ ადამიანმა მიატოვა თანამებრძოლები და ახლა თავლაფდასხმული ტყეში იმალებოდა.

– შემირცხვენისხარ, დორლას! – მიმართა მას. – შენ ხარ მიზეზი ყოველი უბედურებისა: შენ აქეზებდი შავ ხმალს

და გველემშაპის რისხვა დაგვატეხე, ჩემი სახელი ლაფში გასვარე, ჰუნთორი სასიკვდილოდ გაიმეტე და შემდეგ ლაჩარით ტყეში გაიქეცი! – როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა, ერთმა აზრმა გაუელვა თავში და გაცოფებულმა შესძახა: – რატომ არაფერი გვაცნობე? ამით მაინც შეგეძლო გეცადა შენი ცოდვების გამოსწორება. ასე რომ მოქცეულიყავი, არც ქალბატონი ნინიელი წავიდოდა მათ მოსაძებნად, აღარც გველემშაპს შეხვდებოდა და ახლა ცოცხალი იქნებოდა. მეჯავრები, დორლას!

– ეგ სიძულვილი შენთვის შეინახე! – უთხრა დორლასმა. – ის ისევე ჩირად ფასობს, როგორც შენი განკარგულებანი. მე კი ვისურვებდი, ორკები მოსულიყვნენ და საფრთხობელასავით დაეკიდეთ შენსავე ბაღში და ეგ სახელიც, ლაჩარი, შენთვის დამითმია!

ამასთან მისი მოთმინების ფიალა აივსო და ბრაზმორეულმა, მუშტი მოუღერა ბრანდირს და იქვე დაამთავრა სიცოცხლეც, სანამ თვალთაგან მოულოდნელობით აღბეჭდილი გამოხედვა გაუქრებოდა, ბრანდირმა ხანჯალი ამოაგო და სასიკვდილო დარტყმა მიაყენა მას. შემდეგ მცირე ხნით აკანკალებული იდგა, სისხლის დანახვით გულშეღონებული; ბოლოს სატევარი ჩააგო, გატრიალდა და წელში მოხრილი, ყავარჯენზე დაყრდნობით გაუყვა გზას.

როდესაც ბრანდირმა ნენ-გირითს მიაღწია, მკვდარივით გაფითრებული მთვარე გაუჩინარდა და ბნელმა გაფანტვა იწყო. აღმოსავლეთს განთიადი მოადგა. შემდრკალმა ადამიანებმა, რომლებიც კვლავ ხიდთან იდგნენ, განთიადზე მათკენ მომავალი რუხი აჩრდილი იხილეს, ზოგიერთმა გაოცებით შეუძახა მას:

– სად იყავი? ხომ არ გიპოვია იგი? რამეთუ ქალბატონი ნინიელი წავიდა.

– დიახ, ის წავიდა. წავიდა, წავიდა, რათა უკან აღარა-

სოდეს დაბრუნდეს! მაგრამ მე მოვედი და ცნობები მოგიტანეთ. ყური მომიგდეთ, ბრეთილელო ხალხო, და შემდეგ თქვენვე განსაჯეთ, მოგისმენიათ თუ არა ამბავი მსგავსი იმისა, რასაც ახლა გიამბობთ! გველემაპი მკვდარია, თუმცა მასთან ერთად ტურიინიც აღესრულა. ეს კი კარგი ამბებებია: დიახ, ორთავე ნამდვილად კარგია.

მაშინ ხალხი აბუტბუტდა, ვერ გაეგო, რას ამბობდა და ზოგიერთმა გიჟადაც ჩათვალა. მაგრამ ბრანდირმა შეჰყვირა:

– ბოლომდე მომისმინეთ! ნინიელიც მკვდარია, უმშვენიერესი ნინიელი, რომელიც გიყვარდათ და რომელიც მეც ყველაზე მეტად მიყვარდა ამქვეყნად. ირმის ნახტომად წოდებული ქარაფიდან გადახტა იგი და ტეიგლინის ხახამ შთანთქა. იგი აღარ არის და წყეულიმც იქნას დღის სინათლე. სიკვდილამდე კი ეს შეიტყო: ჰურიანის შვილები იყვნენ ისინი ორთავე, და-ძმა. მორმეგილი ერქვა მას, ტურამბარი კი თვითონ დაირქვა, რათა საკუთარი წარსული დაემალა ტურიანს, ძეს ჰურიანისას. მას კი ნინიელს ვუნოდებდით, რამეთუ არც მისი გარდასული ცხოვრების შესახებ ვუნყოფდით რამე – ნიენორი რქმევია ჰურიანის ასულს. ბრეთილში მოიყოლეს თავიანთი შავბნელი ბედისწერის აჩრდილი და აქვე უნიათ ხვედრმაც. ველარასდროს გათავისუფლდება მწუხარებისგან ეს მიწები. ამიერიდან მას ბრეთილს აღარ ვუნოდებთ, არც ჰალეთრიმების მიწებს, მხოლოდ სარხ-ნია-ხინ-ჰურიანი ერქმევა მას, ჰურიანის შვილთა სამარხი!

და თუმცა ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყვნენ, როგორ მოხდა ეს ბოროტება, ხალხი ატირდა, ზოგიერთმა კი თქვა:

– ტეიგლინში არს სამარხი ძვირფასი ნინიელისა, იქვე იქნება განსასვენებელი ტურიანისაც, ყველაზე მამაცისა ადამიანთა შორის. ჩვენი მხსნელი ღია ცის ქვეშ უპატრონოდ ვერ ეგდება. ნავიდეთ, მოვძებნოთ.



თავი XVIII

ტურიინის აღსასრული

როდესაც ნიენორი გაიქცა, ტურიინი ამოდრავდა, მოეჩვენა, თითქოს წყვდიადს გარეთეს მოდამისი ხმა, თითქოს შორეთიდან ეძახდა; გლაურუნგის სიკვდილის შემდეგ შავბნელი ძილ-ბურანიდან გამოერკვა და დაქანცულობისაგან ჩაისუნთქა ჰაერი, ამოიოხრა და გამოელვია, გურთანგის ჩასთვლიმა. თუმცა განთიადის მოახლოებასთან ერთად, ძლიერმა სუსხმა მოუჭირა და გამოელვია, გურთანგის ვადა იგრძნო სხეულის ქვეშ და მალევე გამოფხიზლდა. ღამე გადიოდა და ჰაერში დილის სუნთქვა იგრძნობოდა; უეცრად წამოხტა ფეხზე, გაახსენდა რა თავისი გამარჯვება და შხამისგან დადაგული ხელი. მაღლა ასწია ის და როდესაც თვალი შეავლო, გაოცდა, რამეთუ თეთრი ქსოვილის ნაგლეჯით ჰქონდა გადახვეული, ის ჯერ კიდევ ველი იყო, ხოლო დამწვრობა როგორღაც დამცხრალი-; და მან ჩაილაპარაკა:

– ნეტავ, ვინ იყო ის, ვინც მინამლა და მაინც დამტოვა ამ სიცოცხეში, უბედურებასა და სიმყრალეში? ნეტავ, რა მოხდა?

შემდეგ დაიყვირა, თუმცა არავინ გამოეხმაურა. ბნელი და პირქუში ჩანდა ირგვლივ ყოველივე და სიკვდილის სუნად ყარდა. დაიხარა, მახვილი აიღო, მრთელი იყო იგი, ოღონდ მქრქალად ანათებდა.

– საზიანო გამოდგა გლაურუნგის შხამი, – ჩაილაპარაკა ტურინმა. – მაგრამ შენ ჩემზე ძლიერი ხარ, გურთანგო. მისი სისხლი მთლიანად შენ შესვი, შენ გეკუთვნის ეს გამარჯვება. თუმცა ნავიდეთ! შემწე უნდა ვეძიო. ჩემი სხეული დაუძლურებულა და ძვლებში სისუსტეს ვგრძნობ.

შემდეგ ზურგი აქცია გლაურუნგს და დასალპობად დატოვა. თუმცა, რაც უფრო შორდებოდა იმ ადგილს, ნაბიჯის გადადგმა მით უფრო უჭირდა, ამიტომ გაიფიქრა: „იქნებ, ნენ-გირითზე რომელიმე მსტოვარი მელოდება, თუმც კი აჯობებდა, სახლში მალე მივსულიყავი, კვლავ ვიგრძნობდი ნინიელის ალერსიან ზრუნვასა და ბრანდირის კურნების ძალას“. და ასე, გურთანგზე დაყრდნობილმა, ბოლოს და ბოლოს, დილის გაცრეცილ სინათლეზე მიაღწია ნენ-გირითს და სანამ ხალხი მისი ცხედრის მოსაძებნად გამოემართებოდა, მათ წინაშე დადგა.

შიშისგან მათ მაშინვე უკან დაიხიეს, რადგან ტურინის მოსვენებადაკარგული სული ეგონათ, ქალებმა კივილი მორთეს და თვალებზე ხელი აიფარეს. მან კი თქვა:

– არა, ნუ სტირით, დედაკაცნო, არამედ იხარეთ! ვერ ხედავთ განა, რომ ცოცხალი ვარ? განა მე არ დავამარცხე დრაკონი, რომლის შიშითაც ძრწოდით?

მაშინვე ბრანდირისკენ მიტრიალდნენ და შეუძახეს:

– უგუნურო, რა ამბავი მოგვიროშე მისი სიკვდილის

შესახებ. განა ტყუილად გინოდეთ გიჟი? – მაშინ ბრანდირი შეკრთა, ტურინს მიაჩერდა დამფრთხალი თვალებით და ხმა ვერ ამოიღო.

მაგრამ ტურინმა უთხრა მას:

– ეს შენ იყავ, რომელმაც ხელზე მიმკურნალა? მადლობას გიხდი. თუმცა შენი ცოდნა ველარ ყოფილა მონოდების სიმალლეზე, თუ გულწასული მკვდრად მიმინჩიე. – შემდეგ კი ხალხს მიუტრიალდა და თქვა: – ნუ მოიხსენიებთ მას ამგვარად, რამეთუ თვითონ ხართ უგუნურნი. რომელი თქვენგანი მოიქცა უკეთესად? სხვა თუ არაფერი, მას სიმამაცე ეყო და ბრძოლის ველამდე მოვიდა, სანამ თქვენ აქ ქვითინებდით! თუმცა ჰანდირის ძევ, მო, მიაბზე! კიდევ ბევრი რამის შეტყობა მსურს. რატომ ხართ აქ შენ და ის ხალხი, რომლებიც ეფელში დაგტოვეთ? განა არ კმარა თქვენი ნდობის მოსაპოვებლად ის, რომ თქვენ გამო განსაცდელის გამოვლა მიწევს? ნინიელი სად არის? ვიმედოვნებ, ისიც არ წამოგიყვანიათ და ისევ იქ არის, სადაც დავტოვე, ჩემს სახლში, ნამდვილ მეომართა შემწეობის ქვეშ. და როდესაც ხმა არავინ ამოიღო: – მიდით, გამეცით პასუხი, სად არის ნინიელი? – შეჰყვირა მან. – რამეთუ მის ნახვას ვისურვებდი უპირველეს და პირველს სწორედ მას ვუამბობ იმ ლამის ამბებს.

მაგრამ ყველამ თვალი აარიდა მას, ბოლოს ბრანდირმა თქვა:

– ნინიელი აქ არ იმყოფება.

– მაშ, ძალიან კარგი, – მიუგო ტურინმა. – მაშინ ჩემი სახლისკენ გავეშურები. არის სადმე ცხენი, რომ წამიყვანოს? ჯალამბარი აჯობებდა, ბრძოლამ ძალები გამომაცალა.

– არა, არა! – უთხრა ბრანდირმა გულისკანკალით. – ცარიელია სახლი შენი. არც იქ იმყოფება ნინიელი. ის მოკვდა.

თუმცა ერთ-ერთმა ქალმა, დორლასის ცოლმა, რომელსაც ის თვალში დიდად არ მოსდიოდა, გამგმირავი ხმით შესძახა:

– ყურს ნუ დაუგდებ, ბატონო. ყვირილით მოვარდა, თქვენი სიკვდილი გვამცნო და მას სასიკეთო ამბავი უწოდა. თქვენ კი ცოცხალი ხართ. რატომ უნდა დავუჯეროთ მის ტყუილებს ნინიელის ბედის შესახებ, თითქოს დაიღუპა, ან უარესი მოხდა?

მაშინ ტურიანმა ბრანდირისკენ გაიწია:

– მაშ, ჩემს სიკვდილს სასიკეთო ამბავი უწოდებ? – აღმოხდა, – დიახ, სწორედ შენ აქეზებდი მას ჩემ წინააღმდეგ, კარგად ვუნცი ეს. ახლა კი მკვდარიაო, ამბობ. და რა არის ამაზე უარესი? კიდევ რა სისაძაგლე შეგითხზავს მაგ ბოლმით სავსე გულით, ფეხმრუდო? მძულვარე სიტყვებით ჩვენი დახოცვა განგიზრახავს, რადგან სხვა იარაღი არ გაგაჩნია?

მაშინ ბრაზმა განაგდო სიბრალული ბრანდირის გულიდან და შესძახა:

– გიჟი? არა, ეს შენ გაგიჟდი შავი ბედისწერის მატარებლო, შავო ხმალო! და – ეს გამოყეყეჩებული ხალხი. მე არ ვცრუობ! ნინიელი მკვდარია, მკვდარია, მკვდარი! ტეიგლინში ეძიე!

მაშინ ტურიანი ცივად შედგა.

– შენ საიდან უნცი? – გამოსცრა ხმადაბლა. – საიდან რომავ ამ ტყუილს?

– ვიცი, რამეთუ საკუთარი თვალით ვიხილე, როგორ გადახტა. – უპასუხა ბრანდირმა. – ხოლო ტყუილებში შენ უფრო განაფული ხარ. შენგან გარბოდა იგი, ტურიან ჰურიანის ძევ, როდესაც კაბედ-ენ-არასის კბოდედან გადაეშვა, რათა აღარასოდეს ენახე. ნინიელი! ნინიელი? არა, უფრო სწორად, ნიენორ ჰურიანის ასული.

ამის გამგონე სწვდა მას ტურინი და შეანჯღრია, რამეთუ მიხვდა, რომ ბედისწერის მარდი ფეხები წამოსწეოდა ისევ, თუმცა შიშითა და რისხვით გახელებული მისი გული დანებებას არ აპირებდა, სასიკვდილოდ დაჭრილი ველური მხეცივით, რომელიც მზად არის, ახლომახლო ყველა დაგლიჯოს, სანამ სულს განუტევებდეს.

– დიახ, მე ტურინი ვარ, ჰურინის ძე, – ყვიროდა ის. – დიდი ხანია, რაც ამას მიხვდი. მაგრამ ჩემი დის, ნიენორის შესახებ არაფერი უნცი. არაფერი! ის დაცულ სამეფოში ცხოვრობს და უსაფრთხოდ არის. ყოველივე ეს შენი საძაგელი გონებით შეთხზე, რათა ჩემი ცოლი ჭკუიდან შეშალო და გსურს, იგივე ბედი მენიოს მეც. ყავარჯნით მოარული ბოროტება ხარ, რომელსაც სიკვდილისკენ მიმავალ გზაზე, ჩვენს კვალდაკვალ გამოდევნება მოუნადინებია.

თუმცა ბრანდირმა მოიშორა იგი.

– ხელი აღარ მახლო! – უთხრა მას. – შეწყვიტე ეგ ბოღვა. ის, ვისაც შენს მეუღლედ მოიხსენიებ, მოვიდა რათა ენამლა შენთვის, მაგრამ მის ძახილს არ გამოეხმაურე, შენს მაგივრად კი სხვამ უპასუხა, გველემაჰმა გლაურუნგმა, რომელმაც ორივენი მოგაჯადოვათ და აღსასრულამდე მიგიყვანათ. ამგვარად უთხრა მას, სანამ მოკვდებოდა: „ნიენორ, ჰურინის ასულო, ესე არს ძმა შენი, რისხვა მტერთა, გამწირავი მეგობართა, წყევლად დატეხილი ნათესავთა ზედა“. – შემდეგ უეცრად უცნაური სიცილი მოაწყდა ბრანდირს. – ამბობენ სიკვდილის პირას მყოფი ადამიანები ჭეშმარიტებას იძახიანო, – ამოიროხროხა მან. – თურმე დრაკონსაც იგივე სჩვევია. ტურინ ძევ ჰურინისა, წყევლად დატეხილო ნათესავთა და ყოველთა შემწეთა შენთა ზედა.

მაშინ ტურინმა ხელი ჩაავლო გურთანგს და ავმა ნათებამ გაიელვა მის თვალეში.

– საკუთარ თავზე რას გვეტყვი, ფეხმრუდო? – ნელა წარმოთქვა მან. – ნეტავ ვინ გაუმხილა მას ჩემ ზურგს უკან ჩემი ნამდვილი სახელი? ვინ მიაგდო იგი დრაკონის მძულვარების პირისპირ? ვინ იდგა მის გვერდით და ვინ დაანება სიკვდილი? ვინ გამოიქცა აქეთ, რათა ეს უბედურება სასწრაფოდ ყველასთვის ეცნობებინა? ახლა კი ვინ შემომცქერის განწირული თვალებით? ნამდვილად სიმართლეს ამბობენ ადამიანები სიკვდილის წინ? ჰოდა, თუ ასეა, სწრაფად ამოთქვი ყველაფერი.

მაშინ ბრანდირი, წაიკითხა რა საკუთარი აღსასრული ტურიანის სახეზე, უძრავად დადგა და არ შემკრთალა, მიუხედავად იმისა, რომ ყავარჯნის გარდა ხელში არაფერი ეჭირა; შემდეგ კი თქვა:

– მოსათხრობად გრძელი ამბავია ის, რაც მოხდა და თანაც, უკვე თავი მომაბეზრე. ცილს მწამებ, ჰურიანის ძევ. განა გლაურუნგის სიტყვები ცილისწამებაა? თუ მომკლავ, მაშინ ყველასთვის გაცხადდება, რომ მას ტყუილი არ უთქვამს. თანაც, მე არ მეშინია სიკვდილის, რამეთუ ნინიელის მოსაძებნად გავეშურები, იმის, ვინც მიყვარდა და ვინ იცის, იქნებ ზღვის გაღმით კვლავ ვიხილო იგი.

– ნადი, ეძიე ნინიელი! – შეჰყვირა ტურიანმა. – მაგრამ არა, შენ იქ გლაურუნგს შეხვდები და ერთად შეთხზავთ ახალ-ახალ სიყალბეს. გველთან ერთად დაიძინებ, შენს სულიერ ძმასთან და წყვდიადშიც ერთად ამოლპებით!

შემდეგ შემართა გურთანგი, ბრანდირს აძგერა და სიცოცხლე მოუსწრაფა. ხალხმა ყოველივე ეს არ შეიმჩნია, ხოლო როდესაც ტურიანი გაბრუნდა და ნენ-გირითიდან წავიდა, დაზაფრულები უკანმოუხედავად გაიქცნენ.

ტურიანი კი ჭკუიდან შემცდარივით მიდიოდა ტყეში, წყევლიდა შუახმელეთსა და ადამიანთა სიცოცხლეს, თან ნინიელს დასტიროდა. თუმცა როდესაც მწუხარებით გა-

მონვეულმა სიგიჟემ გადაუარა, მცირე ხნით გაჩერდა და თავის ნამოქმედარზე დაფიქრდა, და საკუთარი გაუაზრებელი ამოძახილის ხმა გაიგონა: „ის დაცულ სამეფოშია და უსაფრთხოდ არის!“. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება ნანგრევებად ჰქცეოდა, გადანყვიტა, იქით წასულიყო; რამეთუ გლაურუნგის სიცრუენი ყოველთვის გზას უმრუდებდა მას. ამგვარად, წამოდგა და ტეიგლინის გადასალახებისკენ გასწია, და როდესაც ჰაუდ-ენ-ელეთს ჩაუარა შესძახა:

– მწარედ მომეზლო, ჰოი, ფინდუილას! დრაკონისთვის ყური არ უნდა მეგდო. მირჩიე რამე, როგორ მოვიქცე!

და როდესაც ამას იძახდა, მძიმედ შეიარაღებულმა თორმეტმა მონადირემ გადმოკვეთა ტეიგლინი, ელფები იყვნენ; და როდესაც მიუახლოვდნენ, ერთ-ერთი იცნო, რამეთუ მაბლუნგი იყო იგი, თინგოლის მონადირეთა მეთაური. მაბლუნგი შეძახილით მიესალმა მას:

– ტურინ! როგორც იქნა, შევხვდით ერთმანეთს. დაგეძებდი და მიხარია, რომ ცოცხალს გხედავ, თუმცა წლებს შენზე მძიმე კვალი დაუჩნევია.

– მძიმე! – თქვა ტურინმა. – დიახ, მძიმე ვითარცა მორგოთის ფეხები. თუ სიმართლეს ამბობ, მაშინ უკანასკნელი ყოფილხარ შუახმელეთზე, ვისაც ჩემი ცოცხლად ხილვა ახარებს. რას მივანერო ყოველივე ეს?

– ყოველთვის დიდი პატივისცემით სარგებლობდი ჩვენ შორის, – უპასუხა მაბლუნგმა, – და მიუხედავად იმისა, რომ უამრავი განსაცდელი გამოიარე, მაინც მალეღვებს შენი ბედი. დავინახე, როგორ მოემართებოდა გლაურუნგი და ვიფიქრე, მან აღასრულა ვერაგული ჩანაფიქრი და ჩრდილოეთში, თავის მბრძანებელთან ბრუნდება-მეთქი. თუმცა შემდეგ ბრეთილისკენ იბრუნა პირი, იმავდროულად, ამ მხარეში მოხეტიალეთაგან შევიტყვე, რომ ნარ-

გოთრონდის შავი ხმალი კვლავ გამოჩენილიყო და რომ ორკები ამის გამო საზღვრებთან მოახლოებას სიკვდილივით უფრთხოდნენ. მაშინ შიშმა შემიპყრო და ვთქვი: „აფსუს! გლაურუნგი იმას აპირებს, რასაც მისი ორკნი ვერ ბედავენ – ტურიანის მოძებნას“. ამიტომ რაც შეიძლებოდა სწრაფად გამოვემართე აქეთ, რათა გამეფრთხილებინე და დაგხმარებოდი.

– სწრაფად მოსულხართ, თუმცა არც იმდენად სწრაფად, – მიუგო ტურიანმა, – გლაურუნგი მკვდარია.

მაშინ ელფებმა გაკვირვებით შეხედეს მას და უთხრეს:

– შენ გველესაპი განგმირე! ამიერიდან შენი სახელი მუდამ ხოტბაშესხმული იქნება ელფთა და ადამიანთაგან!

– არ მანაღვლებს. – თქვა ტურიანმა. – რამეთუ ჩემი გულიც განგმირულია. თუმცა რადგან დორიათიდან მოსულხართ, ცნობებიც გექნებათ ჩემს ახლობლებზე. რამეთუ დორ-ლომინში ყოფნისას მიაშბეს, რომ ისინი დაცულ სამეფოში წამოსულან.

ელფებმა პასუხი არ გასცეს, თუმცა მაბლუნგმა განელილად მიუგო:

– დიახ, ეს დრაკონის მოსვლის წინა წელიწადს მოხდა, თუმცა, ვაი, რომ ამჟამად ისინი იქ აღარ იმყოფებიან.

მაშინ ტურიანის გული თითქოს გაჩერდა, მოესმა რა, ბედისწერის ნაბიჯების ხმა, ბედისწერა მანამ აგრძელებდა მის დევნას, სანამ აღსასრულის პირას არ მიიყვანდა.

– განაგრძე! ოლონდ სწრაფად!

– შენს საძებნელად ტყეში გამოემართნენ, – უთხრა მაბლუნგმა. – ჩვენი რჩევის წინააღმდეგ წავიდნენ. ნარგოთრონდისკენ გამოსწიეს, როდესაც გაიგეს, რომ შავი ხმალი შენ იყავი; მაგრამ გლაურუნგი მოადგათ და მცველები დაიფანტნენ. ამ დღის შემდეგ მორუენი აღარავის უნახავს, ნიენორი კი მისი გრძნეულებით გონებადაბინდული

და გაველურებული ტყეში ირემივით გარბოდა, შემდეგ დაიკარგა.

მაშინ ელფებისთვის მოულოდნელად, ტურიზმა გულის გამგმირავი ხმით გადაიხარხარა:

– განა, მასხრობა არ არის? – აღმოხდა მას. – ოჰ, მშვენიერო ნიენორო! დორიათიდან დრაკონთან გაქცეულა, მისგან კი ჩემთან. რაოდენ ტკბილია სათნოება იღბლისა! კენკრასავით ჟღალი იყო იგი, მუქი ფერის თმით; პატარა და კოხტა, ვითარცა ელფი ბავშვი, ის არავისში აგერეოდათ.

ძლიერ გაოცდა მაბლუნგი და უთხრა:

– რალაც გეშლება. ასეთი არ იყო შენი და. მაღალი იყო, ლურჯი თვალებითა და მშვენიერი ოქროსფერი თმით, იერსახით ძლიერ წააგავდა მამამისს. შენ ის არ გინახავს!

– არ მინახავს, არ მინახავს, არა, მაბლუნგ? – ამოიძახა ტურიზმა. – რად არ მოხდა ასე! ხედავ, დავბრმავდი! განა, არ იცოდნი? ბრმა ვარ, ბრმა, ბავშვობიდან მორგოთის შავბნელ ნისლში ხელის ცეცებით დავეხეტები! ახლა კი დამტოვე! გასწი, წადი! დაბრუნდი დორიათში, დაე, ზამთარმა დააზროს ის! წყეულიმც ყოფილა მენეგროთი! და წყეულიმც იყოს თქვენი შემწეობა! ეს არის ერთადერთი, რაც მსურს. ახლა კი ღამე მიახლოვდება!

ქარზე უსწრაფესად გაეცალა მათ, ისინი კი ერთბაშად შიშმა და განცვიფრებამ მოიცვა. მაგრამ მაბლუნგმა თქვა:

– ბევრი შეუცნობელი და შემზარავი რამ მომხდარა, რასაც ვერ ჩავწვდებით. მოდი უკან მივყვეთ და მხარში ამოვუდგეთ, როგორც შეგვეძლება: რამეთუ იგი ამ ქვეყნისა აღარ არის, ჭკუიდან შეცდა.

მაგრამ ტურიზი უკვე საკმაოდ შორს იმყოფებოდა, კაბედ-ენ-არასთან მისულიყო და უძრავად იდგა; მდი-

ნარის ბლავილი მოესმოდა და დაინახა, რომ შორიახლოს ხეები მთლიანად გადამხმარიყო, ხოლო მათი დამჭკნარი ფოთლები მიწაზე მჭიმუნვარედ ეფინა, ისე, თითქოს ზაფხულის მაგივრად ზამთარი იდგა.

– კაბედ-ენ-არასი, კაბედ-ნაერამართი! – შესძახა მან. – მე ვერ წავბილწავ იმ წყლებს, რომელშიც ნინიელი განიბანა, რამეთუ ყოველი ჩემი ქმედებანი ავი გამოდგა, უკანასკნელი კი ყველაზე მეტად.

შემდეგ ამოაგო ხმალი ქარქაშიდან და შესძახა:

– სალამი, გურთანგო, რკინავ სიკვდილისა, მხოლოდ შენ შემომრჩი! განა, ვინ არის შენი მბრძანებელი, ან ქვე-შევრდომობ, გარდა იმისა, ვისაც ხელთ უპყრიხარ? შენ არ შეგაკრთობს არავის სისხლი. რას იტყვი, ტურინ ტურამბარზე? გამომასალმებ სიცოცხლეს უსწრაფესად?

და საპასუხოდ მახვილიდან ცივი ხმა აჟღერდა:

– დიახ, მე შევსვამ შენს სისხლს, რათა დავივიწყო ჩემი მბრძანებლის, ბელეგისა და უსამართლოდ მოკლული ბრანდირის სისხლის გემო. სწრაფად მოგიღებ ბოლოს.

მაშინ ტურინმა მახვილის ვადა მიწას დააბჯინა, გურთანგის წვერზე წამოეგო და შავმა ხმალმა სიცოცხლე მოუსწრაფა.

მაბლუნგი მოვიდა და მკვდარი გლაურუნგის ამაზრზენ ლეშს დახედა, შემდეგ კი ტურინი დაინახა და გული მოეწურა. ნირნაეთ-არნოედიადში ნანახ ჰურიანისა და მის ნათესავთა სულისშემძვრელ ბედისწერაზე დაფიქრდა. ამ დროს ნენ-გირითზე მყოფი ხალხი ჩამოვიდა, რათა დრაკონისთვის თვალი შეეველოთ და როდესაც იხილეს, თუ რა ბედი ეწია ტურინ ტურამბარს, ცხარე ცრემლით ატირდნენ. ელფები საბოლოოდ მიხვდნენ, თუ რაზე ესაუბრებოდა ბოლოს მათ ტურინი და გაოგნდნენ. შემდეგ მაბლუნგმა მწარედ ამოთქვა:



– მეც წვლილი მიმიძღვის ჰურიანის შვილების ბედისწერის აღსრულებაში. ჩემმა სიტყვებმა იმის სიკვდილი დააჩქარა, ვინც ასე მიყვარდა.

შემდეგ ტურიანი მაღლა ასწიეს და დაინახეს, რომ მისი ხმალი შუაზე გადამტყდარიყო. ასე განადგურდა ყოველი, რაც მას უკავშირდებოდა.

ყველამ მიიღო მონაწილეობა ფიჩხის მოგროვებაში, კოცონი დაანთეს და დრაკონის გვამი დაწვეს, სანამ შავ ფერფლად არ იქცა, ხოლო ძვლები მტვრად. გახრიოკდა ეს ადგილი და აღარასოდეს აღარაფერი იზრდებოდა ზედ. ტურიანს კი დიდი ყორღანი აღუმართეს იმ ადგილას, სადაც დაიღუპა, გურთანგის ნამსხვრევებიც მასთან ერთად დაკრძალეს. და როდესაც ყველა საქმე განასრულეს, ელფთა და ადამიანთა მენესტრელებმა სამგლოვიარო გალობა შეთხზეს, რომელიც ტურამბარის სიტყველესა და ნინიელის სილამაზეს ხოტბას ასხამდა. უზარმაზარი ლოდი აღმართეს მის სამარხზე და ზედ დორიათელთა ელფური რუნებით ამოტვიფრეს:

ტურიან ტურამბარ დაბნირ ბლაურუნბა

ქვემოთ კი მიაწერეს:

ნიენორ ნინიელი

თუმცა ის იქ არ განისვენებდა, არც არავინ უწყოდა, საით წაიღო ტეიგლინის ცივმა დინებამ მისი სხეული.

აქ მთავრდება ამბავი ჰურიანის შვილებისა, ბელერიანდის სიმღერათაგან ყველაზე ვრცელის.

ტურიანისა და ნიენორის სიკვდილის შემდგომ, მორგოთმა ჰურიანი გაათავისუფლა, რათა ბოლომდე დამტკბარიყო თავის უბოროტეს განზრახვათა აღსრულებით.

ბევრი იხეტიალა მან და ბოლოს, ბრეთილის ტყეს მიაღწია. ტეიგლინის გადასალახების გამოვლის შემდგომ, ერთ საღამოს, იმ ადგილს მიადგა, სადაც გლაურუნგი დანვეს. იქვე, კაბედ-ნაერამართის პირას დიდი ქვა აღმართულიყო. რაც შემდეგ მოხდა, სხვაგან არის მოთხრობილი.

მაგრამ ჰურიანს ქვისთვის არ შეუხედავს, რამეთუ უწყობდა, რა იყო ამოტვიფრული მასზე; მისმა თვალებმა სხვა რამ შეამჩნია: იგი მარტო არ იმყოფებოდა. ქვის ჩრდილში ვიღაც იჯდა, მუხლებადე მოხრილი. როგორც ჩანდა, უამთაგან გატეხილი, ვიღაც უმინანყო მანანნალა, იმდენად დაქანცული, რომ მისი მოსვლაც კი არ შეუმჩნევია. თუმცა ძონძები, რომელიც ეცვა, ქალბატონის შესამოსლის ნაგლეჯები გახლდათ. დიდხანს იდგა ჰურიანი უსიტყვოდ. მანანნალამ დაფლეთილი ქუდი მოიხადა და თავი ნელ-ნელა მალლა ასწია, ისე, თითქოს მგელი ყოფილიყოს, დევნით ქანცგამწყდარი და დამშეული. ჭალარა იყო, ნვეტიანი ცხვირით, კბილები ჩამტვრეოდა, გაძვალტყავებული ხელით გულმკერდთან მოსასხამს იფხაჭნიდა და უეცრად მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. მაშინ ჰურიანმა იცნო იგი; მიუხედავად იმისა, რომ გაშმაგებული და შიშით შეპყრობილი იყურებოდა, ისეთი სინათლე გამოსჭვიოდა მისი თვალებიდან, რომ ვერ გაუძლებდი – ელფური სინათლე, რომლის გამოც მას ერთ დროს თიკუნი შეარქვეს, ელედუენი, ყველაზე ამაყი ქალბატონი ადრეულ დღეებში მცხოვრებ ადამიანთაგან.

– ელედუენ, ელედუენ! – შესძახა ჰურიანმა; ის კი წამოიმართა, წაიბორძიკა და ჰურიანის მკლავებში ჩაესვენა.

– როგორც იქნა, მოხვედი, – მიუგო მან. – დიდხანს გელოდებოდი.

– ბნელით მოცული გზებით ვიარე, ვცდილობდი, მალე მომეღწია. – უპასუხა ჰურიანმა.

– მაგრამ დაიგვიანე, – თქვა მან, – ძალიან დაიგვიანე. ისინი აღარ არიან.

– ვიცი, – უთხრა ჰურინმა. – მაგრამ შენ ხარ.

– ვაი, ამ ყოფნას, – მიუგო მან, – ძალები გამომეცალა. მზესთან ერთად წავალ. ისინი აღარ არიან. – და მის მოსასხამს ჩააფრინდა. – მცირე დრო დარჩა, თუ იცი, მიაშვეროგორ იპოვეს მათ ერთმანეთი.


მაგრამ ჰურინმა არაფერი უპასუხა, ასე იჯდა ქვასთან და მკლავებში მორუენი ეწვინა. მეტი აღარაფერი უთქვამთ. მზე ჩაესვენა, მორუენმა ამოიოხრა, ხელზე ხელი მოუჭირა და სიმშვიდემ მოიცვა. ჰურინი მიხვდა, რომ მან სული განუტევა.



გენეალოგიები


წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE



მეორის სავგარეული

ბიოლოგიური სისტემები



დანიართები

1. უკველეს თქმულებათა ევოლუსია

ეს ურთიერთდაკავშირებული, თუმცა დამოუკიდებელი ამბები, სათავეს ვალართა, ელფთა და ადამიანთა, ვალინორის და დიადი მიწების ვრცელი და კომპლექსური ისტორიიდან იღებს; „დაკარგული ამბების“ მიტოვებიდან ერთი წლის თავზე, სანამ ის საბოლოო სახეს მიიღებდა, მან პროზაული ნაწარმოების წერა შეწყვიტა და ვრცელი პოემის შექმნაზე დაიწყო მუშაობა – „ტურინი, ძე ჰურინისა და დრაკონი გლორუნდი“, შემდგომში კი გადამუშავებულ ვერსიას სახელი შეუცვალა და „ჰურინის შვილები“ უწოდა. ეს მოხდა 1920-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ის ლიდსის უნივერსიტეტში ასწავლიდა. იმ პოემის დასაწერად დაიხმარა ძველი ინგლისური ალიტერაციული სტილი („ბეოვულფისა“ და სხვა ანგლოსაქსური პოემების წერის სტილი), რომელიც თანამედროვე ინგლისურის ძირითად ნიმუშებს მოარგო, ხოლო საწყისი სტროფის გადმოცემის ფორმა ძველ ინგლისელ პოეტებზე დაკვირვებით განავითარა: ამ ოსტატობის ხარჯზე მან გადმოცემის სხვადასხვა ფორმის დიდებული მანერა შეიმუშავა. მაგალითისთვის საკმარისია *სახლისკენ მიმავალი ბეორტნოთის დრამატული დიალოგი*, ან პელენორის მინდვრებზე დაცემულ მეომართათვის შეთხზული ელეგია. „ჰურინის შვილები“ იმავე ალიტერაციულ სტილში დაწერილ ყველაზე ვრცელ პოემას წარმოადგენს, რომელიც ორი ათასზე მეტ სტროფს ითვლის; თუმცა იმ მოცულობით იმდენად მასშტაბური იყო, რომ როდესაც დრაკონის ნარგოთრონდზე თავდასხმამდე მივიდა, წერა შეწყვიტა. „დაკარგული ამბები“ რომ ასეთ სტილში ბოლომდე გასრულებულიყო, კიდევ უამრავი სტროფის დაწერა იქნებო-

და საჭირო. მეორე ვერსია კი, რომლის თხრობაც უფრო მალე შეწყდა, პირველზე ორჯერ დიდი მოცულობისაა და მისი მიტოვების მიზეზიც იგივეა.

„დაკარგული ამბების ნიგნში“ გადმოცემული ალიტერაციული პოემის ის ნაწილი, სადაც ჰურიანის შვილების ამბავია მოთხრობილი, საგრძნობლად გავრცობილი და დამუშავებულია. გამორჩეულია ის მონაკვეთი, რომელშიც უზარმაზარი მიწისქვეშა ციხე-ქალაქი ნარგოთრონდი და მის დაქვემდებარებაში მყოფი ვრცელი მიწები ჩნდება (საკვანძო ელემენტი, არა მარტო ტურიანისა და ნიენორის ლეგენდაში, არამედ მთლიანად შუახმელეთის ისტორიაში), ნარგოთრონდელ ელფთა მამულების აღწერილობა უძველესი სამყაროს „მშვიდობის ხელოვნებათა“ იშვიათი მაგალითია. ასეთი აღწერილობები ცოტა გვხვდება და თხრობაში აქა-იქაა გაბნეული. სამხრეთისკენ მიმავალი ტურიანი და მისი მეგზური (ამ ნიგნის მიხედვით, გუინდორი) ნარგოთრონდის ახლომახლო მდებარე მიწებს წააწყდებიან, იქაურობა მიტოვებული ჩანს:

*ასე მიადგნენ მხარეს ნაფერებს,
ყვავილით მოსილ მშვენიერ მდელოთ,
მიაბიჯებდნენ და თვალს ავლებდნენ,
ხალხთაგან დაცლილ ნაროგის გაზონს.
დარწყული კვლები თუ რუ-ბორცვები,
ტყით დაჩრდილული ყანა თოხებით,
აქ ნაყოფდამპალ ხეხილის ბალებს,
გადავლებოდა სქელი ბალახი.
ხეთა და ბალახთ მოჭხედეს მგზავრებს,
ჩუმად თვალნი და ყურნი მიაპყრეს,
და თუმც ზენიტის მზე ფოთლებს ჰკბენდა,
სუსხიან მიწას ფეხს ძლივს ადგამდნენ.*

დანართები

ასე მიადგნენ ისინი ნაროგის ხეობაში მდებარე ნარგოთრონდის კარიბჭეს.

პირქუშად აწვდილ ბორცვთა კალთებზე,
გავეშებული რბოდა მდინარე,
იქ, სადაც ხე-ბუჩქს ჩაკარგულ პარმალს,
ებრძოლებოდა ქარი მძვინვარე,
კლდოვან კედელის შავბნელ კუთხეში
იმზირებოდა კარიბჭე დიდი,
და მის სვეტებზე ქვის კარის ფრთები
ანჯამებს აწვა მძიმე ტვირთივით.

როდესაც ისინი ელფებმა შეიპყრეს, თითქოს სხვა სამყაროში შეიყვანეს, რომლის შესასვლელი კარიც მათ ზურგს უკან დაიხშო:

შეზანზარდა და დაიგრუხუნა, გუგუნ-გრიალით დაიდრა ნელა;

გაიტკაცუნა მეხთა ტკრციალით უზარმაზარმა ტანმძიმე კარმა,

დახურვა იწყო გრგვინვით, გრუხუნით, ქუხილის დარად დაიხშიანა,

ჩაიკეტა და ხმა მისი მჭექი ბნელ დარბაზებში ექოდ გავარდა.

სინათლე გაქრა, უკუნში გაჰყვნენ გრძელ და ქარიან, ნაავდრალ ბილიკს,

მცველებს მისდევდნენ ხელის ცეცებით, როს მკრთალი ცეცხლი გამოკრთა ლამპრის.

სუსტი ჩურჩული, ხმაშენყობილი, მრავლად შეყრილი უცნობი ხალხის

მიმოისმოდა, როს მიილტოდნენ მალლა აზიდულ ქერქვეშ, ნათალ ქვის.

გასცდნენ ერთ ტალანს და უცაბედად, გაოცებისგან
ბიჯიც ვერ წარდგეს,

აჰა, იხილეს უხმო ყრილობა, მათ დასახვედრად მდ-
გარი ელფების,

უტყვი ლოდინით დამდგართ, ათასებს, ბინდში გაჩრილი,
წარბშეუხრელი თმენით მოსილი, გადმოჰყურებდნენ
ქვის გუმბათები.

თუმცა ამ წიგნში, „ჰურიანის შვილებში“ მოთხრობილ
ამბავში მხოლოდ ეს არის ნათქვამი (გვ. 177): „შემდეგ
წამოდგნენ, უკან მოიტოვეს ეითელ-ივრინი და წაროგის
ხეობას სამხრეთით დაუყვნენ, მანამ იარეს, სანამ ელფ-
მა მზირებმა არ შეიპყრეს და დაცულ სიმაგრეში არ წაი-
ყვანეს ტყვეებად. ასე მოვიდა ტურიანი წარგოთრონდში“.

როგორ მოხდა ყოველივე ეს? შევეცდები, ამ შეკითხ-
ვაზე პასუხი ქვემოთ მოგახსენოთ:

შესაძლებელია, დანამდვილებით ითქვას, რომ მა-
მარემმა ალიტერაციული პოემა ტურიანის შესახებ ამ სახ-
ით ლიდსში ყოფნის დროს დაასრულა, ხოლო 1924 წლის
მინურულს ან 1925-ის დასაწყისში – მიატოვა. თუმცა
საკითხავია, რატომ დატოვა უცნობი ამდენი დეტა-
ლი. რასაც მერე მიუბრუნდა, ის ცნობილია: 1925 წლის
ზაფხულში მან ახალი პოემის წერა დაიწყო, სრულიად
განსხვავებული მანერით, რვამარცვლიანი გარითმუ-
ლი სტროფებით, სახელწოდებით „ლეითიანის სიმღე-
რა „გამოხსნა ტყვეობიდან“. ასე წამოიწყო კიდევ ერთი
ამბის შეთხზვა, რომელიც მოგვიანებით, სხვა ამბებთან
ერთად, 1951 წელს აღწერა, როგორც უკვე მოგახსენ-
ეთ, სრულად დამუშავებული, დამოუკიდებელი და იმ-
ავდროულად „ვრცელ ამბავთან“ დაკავშირებული, რად-
გან „ლეითიანის სიმღერის“ მთავარი თემა ბერენისა და

ლუთიენის ლეგენდა იყო. ხსენებულ, სიდიდით მეორე პოემაზე მან ექვსი წელი იმუშავა და 1931 წელს, მას შემდეგ რაც უკვე დაწერა 4000-ზე მეტი სტრიქონი, ისიც მიატოვა. „ჭურინის შვილებივით“, რაც დასრულებული და დამოუკიდებელია, ის პოემაც „დაკარგულ ამბებში“ მოთხრობილი ბერენისა და ლუთიენის ამბის არსებითი წინამორბედი.

როდესაც „ლეითიანის სიმღერა“ იქმნებოდა, 1926 წელს, იმავე პერიოდში მან შექნა „მითოლოგიის ჩანახატი“ რ.ვ. რეინოლდსისთვის, რომელიც მისი მასწავლებელი გახლდათ ბირმინგემში, მეფე ედუარდის სახელობის სკოლაში, „რათა განემარტა ისტორიული საწყისები ტურინისა და დრაკონის ალიტერაციული პოემის განვითარებისა“. არსებული მოკლე ხელნაწერი, რომელიც სულ რაღაც ოც გვერდს მოიცავს, დაწერილია შეჯამების სახით, თხრობა გადმოცემულია ახლანდელ დროში და მოკლე ფორმით; თუმცა ის ასეთი სახითაც უკვე „სილმარილიონის“ მომავალი ვერსიების არსებით საწყისს წარმოადგენდა (მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელწოდებით ჯერ არ მოიხსენიებოდა). თუმცა მითოლოგიის მონახაზის ერთ ტექსტში ჩატევის მიუხედავად, ტურინის ამბავს მასში მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება – და სახელწოდებაც „მითოლოგიის ჩანახატი“, გამორჩეულად „ჭურინის შვილებთან“ მიმართებით, თავისთავად მიუთითებს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

1930 წელს გაცილებით მეტი ნაშრომი შეიქმნა, „ქუენტა-ნოლდორინუა“ (ნოლდორთა ისტორია: ვინაიდან ნოლდორების ისტორია „სილმარილიონის“ უმთავრესი შემადგენელი ნაწილია), იგი მთლიანად „ჩანახატებიდან“ ჰქონდა აღებული. თავდაპირველი ტექსტის საგრძნობი განვრცობის და დასრულებული სახის მიცემის მიუხედავად, მამაჩე-

მი „ქუენტას“ მაინც შემაჯამებელ ნაშრომად, გაცილებით ვრცელი ნარატივის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა, როგორც ეს მის მიერვე შერჩეული სახელწოდებიდანაა ნაჩვენები, რომელშიც იგი ამბობს, რომ ეს იყო „დაკარგული ამბების“ წიგნიდან აღებული [ნოლდორთა] მოკლე ისტორია“.

ყურადსაღებია ისიც, რომ იმ დროისთვის „ქუენტა“ (თუნდაც იმდაგვარი ღარიბული აგებულებით) წარმოადგენდა „გამოგონილი სამყაროს“ მთლიან ამბავს. ეს არ იყო პირველი ეპოქის ისტორია, როგორადაც შემდეგ იქცა, ვინაიდან არც მეორე და არც მესამე ეპოქა, არც „ნუმენორი“, არც „ჰობიტი“ და რასაკვირველია, არც „ბეჭედი“ არსებობდა. ამბავი დიადი ბრძოლით სრულდება, როდესაც მორგოთს სხვა ღმერთები (ვალარები) ამარცხებენ და „სამყაროს მიჯნებთან, უსასრულო სიბნელეში შემავალი კარიბჭიდან სიცარიელეში მოისვრიან“; მამაჩემი „ქუენტას“ ბოლოს წერს: „ასეთია დასასრული სამყაროს დასავლეთის ჩრდილოეთი მხარის გარდასულ დღეთა ამბებისა“.

ამგვარად, ცოტა უცნაურია, რომ 1930 წელს დაწერილი „ქუენტა“ „სილმარილიონის“ ერთადერთი დასრულებული ტექსტი („ჩანახატის“ შემდგომ) იყო მათ შორის, რაც კი დაუნერია; თუმცა, როგორც ხშირად ხდებოდა, გარეგანმა ფაქტორებმა მისი შემოქმედების განვითარებაზეც მოახდინეს გავლენა. 1930-იან წლებშივე „ქუენტას“ მოჰყვა ახალი შესანიშნავი ხელნაწერი, სახელწოდებით „ქუენტა-სილმარილიონი“, „სილმარილთა ამბავი“. ეს იყო, ან უნდა ყოფილიყო გაცილებით ვრცელი, ვიდრე მისი წინამორბედი „ქუენტა-ნოლდორინუა“, თუმცა ნაშრომის არსი, როგორც მითების და ლეგენდების შემკრების (დასრულებული სახით მოცემული, სრულიად განსხვავებული ბუნების და მასშტაბების) სულაც არ იყო დაკარგული და

კიდევ ერთხელ არის ახსნილი თავფურცელში: „ქუენტა-სილმარილიონი?“ ეს არის მცირე ამბავთა კრებული, რომელიც უამრავ ძველ თქმულებას მოიცავს; ვინაიდან მოცემული მონათხრობი ძველ დროს ეხება, მათში კვლავ შეხვდებით ელდარებს დასავლეთიდან და უფრო ვრცლად გადმოცემულ ისტორიებსა და სიმღერებს“.

შესაძლებელია, რომ „სილმარილიონის“ მამაჩემისეული აღქმა წარმოიშვა იმ გარემოებიდან, რომელსაც შეგვიძლია ვუნოდოთ „ქუენტას ფაზები“, რომლის შევსება 1930 წელს დაიწყო და კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა, თუმცა შემდგომმა შევსებამ და დამატებებმა ნარატივი ახალ საფეხურზე აიყვანა, სანამ საბოლოოდ დაკარგავდა შემაჯამებელი ნარკვევის სახეს. თუმცა ძველი სახე შეინარჩუნა, დამახასიათებელი ნათალი ფორმებით. სადღაც უკვე დავწერე, რომ „სილმარილიონის“ შემოკლებული, შეკვეცილი სახე და სტილი მასში გადმოცემული დროის და პოეტურობის აღქმით, ასევე სიბრძნით „მოუთხრობელი ამბების“ დანაკლისის ძლიერ შეგრძნებას ტოვებს. მაშინაც კი, როდესაც სათქმელი გადმოცემულია, მანძილი მაინც რჩება. თუმცა არ გაგვაჩნია შუალედურ ამბავზე ნარკვევის შექმნის აუცილებლობის არც წნეხი და არც შიში, ჩვენ ვერ შევხედავთ „სილმარილებს“ ისევე, როგორც „ბეჭდებს“ ვუყურებთ.

ამგვარად, „ქუენტა-სილმარილიონი“ ნაწილ-ნაწილ იწერებოდა და როგორც აღმოჩნდა, საბოლოო სახე 1937 წელს მიიღო. იმა წლის 21 სექტემბერს ჯორჯ ალენმა და ანუინმა „ჰობიტი“ გამოსცეს, ხოლო არც ისე დიდი ხნის შემდგომ, გამომცემლისგან მოწვევისას მამაჩემმა მათ უამრავი ხელნაწერი გაუგზავნა, რომელიც ლონდონში 1937 წლის 15 ნოემბერს ჩავიდა. მათ შორის იყო „ქუენტა-სილმარილიონიც“, რომლის თხრობაც ერთ-ერთი ფურცლის

შუა წინადადებაში განყდა. თუმცა მას შემდეგ, რაც ისინი გაგზავნა, თავის ჩანახატებს მიუბრუნდა, იმ ნაწილამდე, როდესაც ტურიანი დორიათს ტოვებს და ცხოვრებას აბრაგთა შორის აგრძელებს: სამეფოს საზღვრებთან მიმავალი გზად ყველა უსახლკარო და უიმედო ხალხს იკრებს, ვისი მოძიებაც კი ტყეში შეიძლება, ისინი ყველას ებრძვიან, ვინც გზად შემოხვდებათ, ელფებსაც, ადამიანებსაც და ორკებსაც.

ეს გახლავთ შესავალი წიგნში მოცემული ტექსტის იმ ნაწილისა (გვ. 111), როდესაც ტურიანი აბრაგთა შორის გამოჩნდება. მამაჩემმა თხზულების ამ ეტაპამდე მაშინ მიაღწია, როდესაც „ქუენტა-სილმარილიონი“ და სხვა ხელნაწერები დაუბრუნდა; და სამი დღის შემდგომ, 1937 წლის 19 დეკემბერს, მან ალენსა და ანუინს მისწერა: „მე უკვე დავწერე პირველი თავი ახალი ისტორიისა ჰობიტების შესახებ – „ნანატრი წვეულება“. ამით კი „სილმარილიონის“ გავრცობის „ქუენტა“ ნაწილი დასრულდა ტურიანის დოარიათიდან წამოსვლის ადგილას, როცა ის ფრთებს ისხამდა“. ამ ისტორიის განვრცობა შემდგომ წლებში არ მომხდარა და დარჩა ისე, როგორც იყო 1930 წელს დაწერილი „ქუენტა“, ერთ წერტილში გაყინული, სანამ მეორე და მესამე ეპოქების ჩონჩხის შექმნის აუცილებლობა არ გაჩნდა „ბეჭდების მბრძანებლის“ წერილსა. ამ ამბის განვრცობა მიზანშეწონილი იყო უძველეს ლეგენდათა გადმოცემისთვის („დაკარგული ამბების წიგნიდან“ ალებული), ჰურიანის, ტურიანის მამის, უბედური ისტორიის აღსაწერად, მას შემდეგ, რაც იგი მორგოთმა გაათავისუფლა. და თუ როგორ დაეცა ელფთა სამეფოები, ნარგოთრონდი, დორიათი და გონდოლინი, რის შესახებაც გიმლი ლილინებს მორიას მალაროებში მრავალი ათასი წლის შემდეგ.

ლამაზი იყო ქვეყანა, მთები აწვდილი ცამდე
უძველეს დღეთა მიჯნებზე
ნგრევის ზარამდე ვიდრე,
ნარგოთრონდსა და გონდოლინს
როს ჩამოექცა ჭერი,
მეფეთ გასცურეს ზღვა ვეში,
დასავლეთს მისწვდნენ მზერით.

ეს კი ამ ამბის გვირგვინი და სასრულია: ნოლდო ელფთა საბოლოო ხვედრი მორგოთთან წინააღმდეგ ბრძოლის გრძელი გზის გავლის შემდგომ, იმ როლთან ერთად, რაც ტურინმა და ჰურინმა ითამაშეს ამ თქმულებაში; რაც ეარენდილის ამბით სრულდება, რომელმაც გონდოლინის ნგრევას დააღწია თავი.

დიდი ხნის შემდგომ, 1950-იანი წლების დასაწყისში, როდესაც „ბეჭდების მბრძანებლის“ წერა დაასრულა, მამაჩემი მთელი ენერჯითა და ენთუზიაზმით დაუბრუნდა ადრეულ დღეთა საკითხებს, რომელსაც უკვე „პირველი ეპოქის“ სახელი ერქვა. იმ წელს მან უამრავი ძველი, ხელშეუხებელი ხელნაწერი გადმოაღაგა. მიუბრუნდა რა „სილმარილიონს“, ერთ ყდაში მოაქცია „ქუენტა-სილმარილიონის“ მშვენიერი ხელნაწერები, ჩასწორებებითა და დამატებებით; თუმცა მათი გაშალაშინება 1951 წელს შეწყვიტა, სანამ ტურინის ამბამდე მიაღწევდა. 1937 წელს „ქუენტა-სილმარილიონის“ წერაც მიატოვა, როცა იშვა „ახალი ისტორია ჰობიტთა შესახებ“.

შემდგომ ის იწყებს „ლეითიანის სიმღერის“ გადასინჯვას (პოემის გართმული ვერსია, რომელიც ბერენისა და ლუთიენის ამბავს გადმოსცემს და რომელზე მუშაობაც 1931 წელს მიატოვა), რომელიც სულ მალე ახალ პოემად იქცა და უფრო სრულყოფილიც გახდა; თუმცა ნელ-ნელა

მის გადამუშავებასაც შეეშვა. წამოიწყო იმის წერა, რაც, წესით, ბერენისა და ლუთიენის პროზაულ საგად უნდა ეცეულიყო, თუმცა ეს უკანასკნელიც ასევე მიატოვა. ასე რომ, მისი წადილი – „დიდი თქმულებების“ სრულყოფა იმ ფორმით, როგორც თავად სურდა, წარმატებული მცდელობების მიუხედავად, შეუსრულებელი დარჩა.

თუმცა იმავდროულად კიდევ ერთ „დიდ თქმულებას“, „გონდოლინის დაცემას“ საბოლოოდ მიუბრუნდა, რომელიც მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლის წინ დაწერილ „დაკარგულ ამბავთა წიგნში“ შედარებით ვრცლად იყო გადმოცემული, ასევე 1930 წელს შეთხზულ „ქუენტასილმარილიონშიც“ ეთმობოდა რამდენიმე გვერდი. 1920 წელს ოქსფორდში, თავის კოლეჯში ესსეს საზოგადოების წინაშე წაკითხული უჩვეულო თხზულება მთელი თავისი მოცემულობით იმ ნარატივის წარდგენა უნდა ყოფილიყო, რომელიც ყველაზე ახლოს იდგა ამბის საბოლოო ვერსიასთან. სწორედ ის პერიოდი მიიჩნევა მისი შემოქმედების გარდამტეხ ეტაპად ადრეულ დღეთა ამბების ფორმირების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანი შემაკავშირებელი ელემენტები ტურინის ამბავსა და გონდოლინის დაცემას შორის, ძმები, ტურინის მამა ჰურიანი და ტუორის მამა ჰუორი არიან. ჰურიანმა და ჰუორმა ახალგაზრდობის ჟამს გარშემომსაზღვრელ მთებში ჩამალულ ელფთა ქალაქ გონდოლინში დადგეს ფეხი, როგორც ეს „ჰურიანის შვილებშია“ მოთხრობილი (გვ. 35); ამის შემდგომ კი ისინი ურიცხვი ცრემლის ომში კვლავ შეხვდნენ ტურგონს, გონდოლინის ხელმწიფეს, და მან უთხრა მათ: „ამიერიდან გონდოლინი დიდხანს დამალული ვეღარ დარჩება. და თუ მას მიაგნებენ, მაშინ ის დაეცემა“, – თქვა ტურგონმა. „თუ ცოტა ხანს მაინც იდგება, – მიუგო ჰურიანმა, – მაშინ იმედიც იარსებებს ადამიანთა და ელფთათვის. ახლა კი,

როდესაც სიკვდილს ჩავცქერი თვალებში, ამას გეტყვი, მეუფევ ჩემო: თუნდაც სამუდამოდ ვშორდებოდეთ ერთმანეთს და ველარასდროს ვიხილავდე შენს თეთრ კედლებს, შენგან და ჩემგან ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდება“ (გვ. 63).

ეს წინასწარმეტყველება ახდა, როდესაც ტუორი, ტურინის ბიძაშვილი, გონდოლინში მივიდა და იდრილზე, ტურგონის ასულზე იქორწინა; ვინაიდან ვაჟს ეარენდილი, „ახალი ვარსკვლავი“ დაარქვეს – „იმედი ელფთა და ადამიანთა“, რომელმაც გონდოლინიდან გაქცევა მოახერხა. „გონდოლინის დაცემის“ პროზაულ საგაში, რომლის წერასაც, სავარაუდოდ, 1951 წელს შეუდგა, მამამ გადმოსცა ტუორისა და მისი ელფი მოძმის, ვორონუეს მოგზაურობის ამბავი; უდაბურ ადგილებში მავალთ, ტყიდან ყვირილი შემოესმათ: და როდესაც შეიცადეს, მისი წიალიდან ვილაც გამოვიდა, მათ წინ ახოვანი კაცი იდგა, შეჭურვილი, შავად შემოსილი და ხმალშემართული; ისინი გაოცდნენ, რადგან ხმალსაც შავი ფერი გადაჰკრავდა, თუმცა მის პირზე ცივი ნათება ელვარებდა. ეს კაცი ტურინი გახლდათ, ნარგოთრონდის ნგრევას გამოქცეული; მაგრამ ტუორსა და ვორონუეს მისთვის ხმა არ გაუციათ, როდესაც ჩაუარა, და „მათ არა უწყოდნენ რა, ნარგოთრონდის დაცემის შესახებ, არც ის იცოდნენ, რომ ის ტურინი იყო, ძე ჰურიინისა, შავი ხმალი. ამგვარად, ეს მხოლოდ წუთით მოხდა, მას შემდეგ კი აღარასდროს გადაკვეთილა მათი გზები“.

ახალ თქმულებაში, რომელიც გონდოლინს შეეხებოდა, მამაჩემმა ტუორი გარშემომსაზღვრელი მთების უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა, საიდანაც დაფარული ქალაქი და მის გარშემო გადაჭიმული მთელი დაბლობი მოჩანდა; აქ კი, სამწუხაროდ, შეჩერდა და თხრობა აღარასდროს

გაუგრძელებია. ამგვარად, გონდოლინის დაცემის დასრულებაც ასევე ვერ მოახერხა; მის შემდგომ ხედვებში კი აღარც ნარგოთრონდზეა რაიმე ნახსენები და აღარც გონდოლინზე.

სხვაგან უკვე ვახსენე, რომ დიდი „ჩარევისა“ და „ბეჭდების მბრძანებლის“ ამბების გასრულების შემდგომ, როგორც ჩანს, ის კვლავ მიუბრუნდა ადრეულ დღეთა ისტორიებს იმ სურვილით, რომ უფრო განეგრცო თქმულებები, რომელთა გადმოცემა დიდი ხნის წინ, დაკარგულ ამბავთა წიგნში დაიწყო. „ქუენტა-სილმარილიონის“ დასრულება მიზნად რჩებოდა; თუმცა „დიდი თქმულებების“ ბოლომდე მიყვანა, რომელიც საწყისი ფორმებისგან განსხვავებით, უფრო გავრცობილი იყო და რომელიც ბოლო თავების შესავსებად იქნა გამოყენებული, ვერ მოხერხდა“. ხსენებული შენიშვნა „ჰურიანის შვილებთან“ მიმართებითაც ყურადსაღებია; თუმცა, ამ მხრივ, მამაჩემმა მეტის გაკეთება შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ვერასდროს მოახერხა გავრცობილი ამბის ძირითადი ნაწილისათვის საბოლოო სახე მიეცა.

როდესაც იგი კვლავ მიუბრუნდა „ლეითიანის სიმღერასა“ და „გონდოლინის დაცემას“, „ჰურიანის შვილებზე“ მუშაობა დაიწყო, ოღონდ არა ტურიანის ბავშვობით, არამედ უფრო გვიანი ამბებიდან, მისი საუბედურო თავგადასავლის კულმინაციიდან, ნარგოთრონდის დამხობიდან. ეს ტექსტი ამ წიგნში მოცემულია ტურიანის დორ-ლომინში დაბრუნებიდან (გვ. 204) მის სიკვდილამდე. თუ რატომ მოიქცა მამაჩემი ასე და რატომ უღალატა ჩვეულ მანერას, ყველაფერი კვლავ დასაწყისიდან მოეთხრო, ჩემთვის უცნობია. თუმცა ამ მხრივაც, მან თავის ქალაქებში უფრო მოგვიანებით შექმნილი უამრავი დაუთარილებელი ხელნაწერი დატოვა, სადაც ამბები გადმოცემულია ტურიანის

დაბადებიდან, ნარგოთრონდის დაცემამდე, ადრინდელ ვერსიათა გადავსებული ფორმითა და აქამდე უცნობ ნარატივში მათი გაშლით.

ყველაზე დიდი გარდატეხა, იმ ნაშრომის შექმნის თვალსაზრისით, „ბეჭდების მბრძანებლის“ გამოცემიდან მომდევნო წლებში მოხდა, იმ პერიოდში მისთვის „ჭურინის შვილები“ უძველეს დღეთა დასასრულის დომინანტ ამბად იქცა და დიდი ხნის განმავლობაში მისი ფიქრები აქეთ იყო მიმართული.

თუმცა მისთვის რთული იყო, თქმულების მოცულობის, პერსონაჟებისა და სიუჟეტის განვრცობის პარალელურად, ნარატივი ჩამოეყალიბებინა; და ერთ ვრცელ ნაწყვეტში კიდევაც ჩანს, შეკონინებული, დაუკავშირებელი ესკიზებისა და მშრალი სიუჟეტის ნაერთი.

მიუხედავად ამისა „ბეჭდების მბრძანებლის“ შემდგომ, თავისი საბოლოო სახით, „ჭურინის შვილები“ გამოგონილი შუახმელეთის შესახებ უმნიშვნელოვანეს თხზულებას წარმოადგენს; ტურინის ცხოვრება და გარდაცვალება ისეთი დამაჯერებლობითა და უშუალობითაა გადმოცემული, რთულია მისი მსგავსი შუახმელეთში მცხოვრებ ხალხში მოიძებნოს. ამიტომ ხელნაწერთა მრავალხნიანი გულდასმით შესწავლის შემდგომ, შევეცადე, ამ წიგნში თანამიმდევრული თხრობა გადმომეცა, დასაწყისიდან და დასასრულამდე, ამიტომ პროლოგიდან ყველა ის ელემენტი მოვაშორე, რომელიც ამ გაგებით ავთენტური არ იყო.

2. ტექსტის შედგენის თაობაზე

საუკუნის მეოთხედზე მეტი ხნის წინ გამოქვეყნებულ „დაუსრულებელ მოთხრობებში“ მე გადმოვეცი ამ ამბის სრული ვერსიის ნაწილი, ცნობილი როგორც „ნარნი“, ჰურიანის შვილების ელფური სახელწოდების, ნარნი-ი-ხინ-ჰურიანის შემოკლებული ვარიანტი. მაგრამ ეს მხოლოდ დიდი და ურთიერთგანსხვავებული შემადგენლობით სავსე წიგნის ელემენტი არ გახლდათ. თუმცა ტექსტი ნაწარმოებისთვის დამახასიათებელ უმთავრეს არსს მოკლებული იყო; რადგან მე გამოვტოვე არსებითად მნიშვნელოვანი ბევრი მონაკვეთი (ერთ-ერთი მათგანი კი ძალზედ ვრცელიც), სადაც ნარნის და მანამდე „სილმარილიონში“ მოცემული, შედარებით მოკლე ტექსტი ერთმანეთს ძლიერ ჰგავდა, ანდა მე გადავწყვიტე, რომ შეუძლებელი იყო მათგან განსხვავებული „ვრცელი“ ტექსტის შექმნა.

აქ მოცემული „ნარნი“ მრავალმხრივ განსხვავებულია, იმავე ამბის „დაკარგულ ამბებში“ მოყვანილი ტექსტიგან, მისი ნაწილი აღებულია იმ აუარება ხელნაწერიდან, რომლის შესწავლასაც წიგნის გამოქვეყნების შემდგომ შევუდექი. ყველაფერმა ამან განსხვავებულ დასკვნებამდე მიმიყვანა ტექსტების არსსა და მათ თანამიმდევრობაზე, მეტადრე კი ლეგენდის ძალიან დამაბნეველ განვითარებაზე თავში „ტურიანი აბრაგთა შორის“. „ჰურიანის შვილების“ ამ ახალი ვერსიის აღწერასა და განხილვას ქვემოთ შევეცდები.

ყოველივე ამაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის გამოქვეყნებული „სილმარილიონის“ თავისებურ სტატუსს; რადგან, როგორც უკვე ვახსენე პირველ დანართში, მამჩემმა „სილმარილიონის“ წერა ერთ-ერთ თავთან შეწყვიტა (ტურიანის აბრაგად გახდომისა და დორიანის დატოვე-

ბის მონაკვეთი) და 1937 წელს „ბეჭდების მბრძანებელზე“ მუშაობას შეუდგა. ან უკვე გამოქვეყნებული ნამუშევრის წერის დროს დიდად წამადგა „ბელერიანდის ჩანაწერები“, პირველწყაროს სახელწოდებით „წელთა მათიანე“, მაგრამ იგი წარმატებული ვერსიების წყალობით გაიზარდა და ჩანაწერების სახით, „სილმარილიონის“ ხელნაწერთა პარალელურად გაიშალა და უფრო განივრცო მორგოთის მიერ ჰურიანის გათავისუფლებით, მას შემდეგ, რაც ტურინი და ნიენორი დაილუპნენ.

ამგვარად, პირველი მონაკვეთი, რომელიც უგულებელვყავი „დაუსრულებელ მოთხრობებში“ გადმოცემულ ნარნი-ხინ-ჰურიანში, გახლავთ ახალგაზრდა ჰურიანისა და ჰუორის გონდოლინში მოგზაურობის აღწერა; ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ეს ამბავი „სილმარილიონში“ უკვე მოთხრობილი იყო (გვ. 35). თუმცა, სინამდვილეში, მამაჩემმა ორი ვერსია დანერგა: ერთი მათგანი მომართული იყო „ნარნის“ თხზულებაში კვანძის გახსნისკენ, იმავდროულად, ძალიან ჰგავდა „ბელერიანდის ჩანაწერებისეულ“ ვერსიას, თუმცა განსხვავება იყო მოცულობაში. „სილმარილიონში“ ორივე ტექსტზე დაყრდნობით ვიხელმძღვანელე, ამ წიგნში კი „ნარნის“ ვერსია გამოვიყენე.

მეორე მონაკვეთი, რომელიც „ნარნის“ „დაუსრულებელი მოთხრობების“ ვარიაციიდან ამოვავდე, იყო ურიცხვი ცრემლის ომის ქრონიკები. ეს იმავე მიზეზით მოხდა; და აქაც მამაჩემს ორი ვერსია ჰქონდა ერთი „ჩანაწერებისეული“, ხოლო მეორე, შედარებით გვიანდელი, თუმცა „ჩანაწერების“ ტექსტთან ადაპტირებული. ხსენებული მეორე თხზულება, დიდი ბრძოლის შესახებ, ამკარად მოიაზრებოდა „ნარნის“ შემადგენელ ნაწილად (ტექსტი დასათაურებულია, როგორც „ნარნი II“, ე.ი. „ნარნის მეორე კარი“), ის ასე იწყება (გვ. 56 – ამავე წიგნში): „მხოლოდ

იმაზე შევაჩერებთ ყურადღებასა და თხრობას, თუ რა გადაიტანა ჰადორის საგვარეულომ, განსაკუთრებით კი ჭურინ მედგარის შვილებმა“. აქედან გამომდინარე, ჩანანერებიდან მხოლოდ დასავლეთის ბრძოლის აღწერა და ფინგონის გვარის დამხობა აიღო; თხზულების ამგვარი გამარტივებითა და შემცირებით, მან ჩანანერებისეული ბრძოლის მონაკვეთის გადმოცემის მიმართულებას სახე უცვალა. „სილმარილიონის“ შექმნის დროს, რასაკვირველია, ჩანანერებით ვხელმძღვანელობდი, თუმცა გარკვეული მახასიათებლები „ნარნის“ ვერსიიდანაც გადმოვიღე; თუმცა ამ წიგნში მხოლოდ ის ტექსტი გამოვიყენე, რომელსაც მამაჩემი „ნარნის“ მთლიანი ამბისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევდა. ტურინის დორიათში მისვლის ადგილიდან ტექსტი იცვლება და „დაუსრულებელ მოთხრობებში“ ასახული ამბისგან განსხვავებულია. უმეტესად მოუხეშავი წერილობითი ფორმები, მოიაზრება ერთი და იმავე თხზულების განსხვავებული ელემენტებით გაჯერებულ, სხვადასხვა მიმართულებით განვრცობილ მოთხრობებად, ამ შემთხვევაში მკაფიო შესაძლებლობა არსებობს სხვადასხვა კუთხით დავაკვირდეთ, როგორ არის გაშლილი პირველწყარო. დავფიქრდი, რომ „დაუსრულებელ მოთხრობებში“ მოცემული ტექსტის შედგენისას ჩემს თავს იმაზე მეტი თავისუფლება მივანიჭე, ვიდრე საჭიროება მოითხოვდა. ამ წიგნში მე ხელნაწერები გადავსინჯე და ტექსტი ბევრ ადგილას აღვადგინე, ასევე აღვადგინე თავდაპირველი სიტყვები და შესავალი წინადადებები, ანდა მოკლე აბზაცები, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლიდი. შევასწორე არსებული ხარვეზები და ასე შეიქმნა თავდაპირველი ტექსტის სხვადასხვა ვარიანტი.

რაც შეეხება თხზულებაში ტურინის ცხოვრების იმპერიოდისეულ სტრუქტურას, როდესაც დორიათიდან

გამოქცეულმა აბრაგებთან ერთად თავი ამონ-რუდს შეაფარა, მამაჩემს ამ მონაკვეთის შესადგენად განსხვავებული ელემენტების გამოყენება სურდა: ტურინის გასამართლება თინგოლის მიერ; თინგოლისა და მელიანის ძღვენი ბელეგს; აბრაგთა გამოჩენილი სისასტიკე ბელეგის მიმართ ტურინის არყოფნისას; ტურინისა და ბელეგის შეხვედრები. მან ეს ელემენტები ერთმანეთის მიყოლებით, არსობრივად აკინძა და სხვადასხვა კონტექსტის დიალოგი-მონაკვეთები დაურთო. თუმცა, გაუჭირდა მათი სიუჟეტური მიზანწყობის გამოკვეთა – „რათა გამოერკვია, თუ რა მოხდა სინამდვილეში“. მაგრამ მას შემდეგ, რაც შევისწავლე უამრავი ხელნაწერი, ჩემთვის ნათელია, რომ მან დამაკმაყოფილებელი აგებულება გადმოგვცა თხზულებისა იმ მონაკვეთამდე, სადაც წერა შეწყვიტა; იმავეს თქმა შეგვიძლია ტექსტის იმ ვარიანტზე, რომელიც „სილმარილიონშია“ შეტანილი – თუმცა ერთი განსხვავებით, „დაუსრულებელ მოთხრობებში“ გვხვდება რიგით მესამე ჩავარდნა: ამბავი წყდება იმ ადგილას, როდესაც ბოლოს და ბოლოს, ბელეგი ტურინს აბრაგთა შორის პოულობს, თუმცა დორიათში დაბრუნების თაობაზე აზრს ვერ აცვლევინებს (გვ. 133 – ახალ ტექსტში), და მერე აღარც ჩანს, სანამ აბრაგები ჩია-ჯუჯას არ გადაეყრებიან. ამ ჩავარდნის გამოსასწორებლადაც „სილმარილიონს“ მივმართე, იქ კი არაფერია, მხოლოდ – ამბავი იმაზე, თუ როგორ გამოემშვიდობა ბელეგი ტურინს და მენეგროთში დაბრუნდა, „სადაც თინგოლისაგან ანგლახელი მიიღო საჩუქრად, ხოლო მელიანისაგან – ლემბასი“. სინამდვილეში მამაჩემი ამას ეწინააღმდეგებოდა; ვინაიდან, თუ „რა მოხდა სინამდვილეში“ გახლავთ ის, რომ თინგოლმა ბელეგს ანგლახელი სამსჯავროს შემდეგ უბოძა, როდესაც პირველად გაეშურა მის საძებნელად. მოცემულ ტექსტში

ხმლის ჩუქება სწორედ ამ დროს ხდება, ხოლო ლემბასზე კი ლაპარაკიც არ არის. მოგვიანებით, როდესაც ტურიანის პოვნის შემდგომ ბელეგი მენეგროთში ბრუნდება, რა თქმა უნდა, იქ ხმალზე საუბარი უკვე ზედმეტია და მხოლოდ მელიანის ძღვენზეა გამახვილებული ყურადღება.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის, რომ თხრობიდან ამოვიღე ორი მონაკვეთი, რომელიც „დაუსრულებელ მოთხრობებშია“ გადმოცემული, თუმცა, არსებული თხზულებისათვის უადგილოდ მივიჩნე: ეს მონაკვეთებია: ამბავი იმისა, თუ როგორ გადაეცა დრაკონის მუზარადი დორ-ლომინელ ჰადორს და საეროსის წარმომავლობის ამბავი. როდესაც ხელნაწერებს ვეცნობოდი, შემთხვევით გადავანყდი იმ ფაქტს, რომ მამაჩემმა სახელი საეროსი უარყო და ჩაანაცვლა ორგოლით, რომელიც „ენობრივი მიზეზით“ ემთხვევა ძველინგლისურ სიტყვა „ორგელს“, რაც *სიამაყეს* ნიშნავს. თუმცა მიმაჩნია, რომ საეროსის სახელის უკუგდება უკვე დაგვიანებულია.

„დაუსრულებელ მოთხრობებში“ არსებული გამორჩენა, ახალ ტექსტში (გვ. 136) ასეა შევსებული: *ინყება ჯუჯა მიმის შესახებ თავით და გრძელდება თავებში – მშვილდისა და მუზარადის მინა, ბელეგის აღსასრული, ტურიანი ნარგოთრონდში და ნარგოთრონდის დაცემა.*

იმ ნაწილთან ბევრი საერთო აქვს თავდაპირველ ხელნაწერებში გადმოცემულ „ტურიანის საგას“. „სილმარილიონში“ გადმოცემული იმავე ისტორიის ის მონაკვეთები კი, რომელიც თანხვედრაში არ მოდის მასთან, „დაუსრულებელ მოთხრობებში“ „ნარნის“ დანართებსა და ამ ნიგნის ტექსტშია მოცემული. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ სწორედ ეს იყო მამაჩემის განზრახვა, როდესაც „დიდი თქმულებების“ თხრობას გაასრულებდა, შემცირებული მასშტაბებით გადაეტანა ეს ამბები ე.წ. *სილმარილ-*

იონის მოდელში. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ვერ მოხერხდა; ამიტომ უკვე ოცდაათ წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ, ჩემს თავზე ავიღე ის უცნაური საქმე, რაც თვითონ ვერ მოასწრო: ამ ამბის „სილმარილიონის“ ბოლო ვერსიის მიხედვით ასახვა, თუმცა „ნარნის“ ვრცელ ვერსიაზე დასესხებით. ეს გახლავთ „სილმარილიონის“ 21-ე თავი.

ამგვარად, წიგნის ტექსტი, რომელიც „დაუსრულებელ მოთხრობებში“ გაჩენილ უფსკრულს ავსებს, ნასაზრდოებია იმავე წყაროდან, რომლიდანაც „სილმარილიონისეული“ შესაბამისი მონაკვეთი, თუმცა ორთავე, თავისებურად, სხვადასხვა მიზანს ემსახურება. ჩვენს ტექსტშიც ასევეა, აქ უკეთ არის გაკვლეული ხელნაწერებისა და ჩანახატების ლაბირინთი და მისი ბილიკები. ბევრი თავდაპირველი ხელნაწერი, რომელიც „სილმარილიონში“ არ შევიდა ან მხოლოდ მცირე ვერსიადაა წარმოდგენილი, კვლავ ხელმისაწვდომი რჩებოდა, თუმცა რადგან „სილმარილიონისეულ“ ვერსიაზე დასამატებელი აღარაფერი იყო (როგორც ეს „ბელერიანდის ჩანახატებიდან“ ნასესხებ ბელეგის სიკვდილის ამბის შემთხვევაში მოხდა), მისი სიტყვასიტყვით გამეორება გამოდიოდა.


შესაბამისად, რადგანაც ერთმანეთთან უნდა დამეკავშირებინა მოუწესრიგებელ ჩანახატთა მონაკვეთები და მათ შორის ხიდი გამედო, თხრობა დაცლილია მოულოდნელი „აღმოჩენებისგან“, მხოლოდ მცირედით შეიმჩნევა აქ მოთხრობილ ვრცელ ვერსიაში. თხზულების ტექსტი ცოტათი ხელოვნურიცაა, რადგან სხვანაირად, ალბათ, შეუძლებელიც იქნებოდა, მით უმეტეს, როდესაც არსებული ხელნაწერები არსებული ისტორიის განვითარების განგრძობას წარმოადგენს. ის მოუწესრიგებელი ჩანახატები, რომლებიც ამბის უწყვეტი სტრუქტურის განვითარებას ემსახურება, ადრეულ წლებში შეიქმნა. მაგალ-

ითისტვის, ავილოთ თავდაპირველი ტექსტი ტურიანისა და აბრაგთა რაზმის ამონ-რუდის ბორცვზე მისვლის შესახებ, სადაც სამალავს მიაგნეს და ბანაკი მოიწყვეს, ასევე დორ-კუართოლის ის მცირეხნიანი წარმატება, რომელიც მანამდე დაინერა, სანამ ჩია-ჯუჯის შესახებ რაიმე იდეა გაჩნდებოდა; და რა თქმა უნდა, სრულ ვერსიაში ბორცვის გვირგვინქვეშ დამალული მიმის სახლის აღწერილობა მანამ ჩნდება, სანამ თხრობაში მიმი შემოვა.

ტურიანის დორ-ლომინში მისვლის ამბავი, რომელსაც მამაჩემმა დასრულებული სახე მისცა, მცირედით განსხვავდება „დაუსრულებელ მოთხრობებში“ მოცემული იმავე ამბისგან, თუმცა არსებობს ორიმნიშვნელოვანი დეტალი კაბედ-ენ-არასზე გლაურუნგზე თავდასხმის დროს, სადაც მე თავდაპირველი სიტყვები ჩავანაცვლე და რომლის ახსნაც შესაძლებელია.

პირველი ეხება გეოგრაფიულ ფაქტორს. მოთხრობილია, რომ როდესაც ტურიანმა და მისმა მეგზურებმა ნენ-გირითი დატოვეს იმ საბედისწერო ღამეს, ღარტაფის მეორე მხარეს მწოლიარე დრაკონის მიმართულებით არ წასულან, თავდაპირველად, მათ გეზი ტეიგლინის გადასალახებისკენ აიღეს; და „სანამ ძალიან შორს გავიდოდნენ, ვინრო ბილიკით კვლავ სამხრეთისკენ გადაუხვიეს“, და მდინარის თავზე ამოზრდილი ტყის გავლით კაბედ-ენ-არასისკენ აიღეს გეზი. როდესაც მივიდნენ, როგორც ტექსტშია, „მათ ზურგს უკან პირველი ვარსკვლავები აკიაფდა აღმოსავლეთის ცაზე“ (გვ. 258).

როდესაც „დაუსრულებელი მოთხრობების“ ტექსტს ვამზადებდი, არ დავკვირვებივარ, რომ ეს მართებული არ იყო, რადგან ისინი დასავლეთით არ მოძრაობდნენ, არამედ აღმოსავლეთით, ან გნებავთ, სამხრეთ-აღმოსავლეთით – გადასალახების სანინააღმდეგო მიმარ-



თულებით, შესაბამისად, პირველი ვარსკვლავები მათ წინ აენტებოდნენ და არა მათ ზურგს უკან.

როდესაც ამ საკითხს განვიხილავდი „ძვირფასი თვლების ომში“ (1994 წ.) დავთანხმდი შენიშვნაზე, რომ ვინრო ბილიკი ჯერ სამხრეთით მიდიოდა, ხოლო შემდეგ დასავლეთისკენ, რათა ტეიგლინამდე მიეღწია. თუმცა ახლა ეს ნარმოუდგენლად მეჩვენება და არც მისი თხზულებაში ასახვა იქნებოდა საფუძვლიანი, ამიტომ მივიღე გაცვლებით მარტივი გადაწყვეტილება, ნაცვლად „მათ ზურგს უკან“-ისა, დავწერე „მათ წინ“, რაც კიდევაც აისახა ახალ ტექსტში (გვ. 258).

ჩანახატის სახის რუკა, რომელიც „დაუსრულებელ მოთხრობებს“ ახლავს და რომელიც მინების მდებარეობას განსაზღვრავს, არც ისე კარგადაა ორიენტირებული. მა-მაჩემის შედგენილ ბელერიანდისა და ჩემ მიერ გადამუშავებული სილმარილიონის რუკიდან ჩანს, რომ ამონ-ობელი ზუსტად ტეიგლინის გადასალახების გასწვრივ, აღმოსავ-

ლეთით მდებარეობდა („მთვარე ამოცურდა ამონ-ობელის თავზე“ (გვ. 269), ხოლო ტეიგლინი სამხრეთ აღმოსავლეთით, ლარტაფში მიედინებოდა. ამჯერად რუკის ჩანახატი ხელახლა შევასწორე და მასზე კაბედ-ენ-არასის ზუსტი ადგილსამყოფელი დავიტანე (ტექსტში ნათქვამია რომ: „სწორედ იმ ბილიკზე, რომელზეც გლაურუნგი განოლილიყო, კელებროსის შენაკადთან ახლოს, ჩრდილოეთით, ერთი ლარტაფი მდებარეობდა, მეტად ღრმა, თუმცა იმავდროულად ძალიან ვიწრო“ (გვ. 251).

მეორე საკითხი შეეხება გლაურუნგის განგმირვის ამბავს ლარტაფის გადაკვეთისას. არსებობს ამის ჩანახატიც და საბოლოო ვერსიაც. ჩანახატის მიხედვით, ტურინი და მისი მეგზურები უფსკრულის მეორე მხარეს მიაღწევენ და მანამ ივლიან, სანამ კბოდეს არ მიადგებიან; აქ კი ერთი ღამით მოიცდიან. ხოლო ტურინი „ნელა ჩაიძირა შემზარავ სიზმარში. ეზმანა, თითქოს თავის ნება-სურვილს ჩასჭიდებოდა“ (გვ. 264). როდესაც გათენდა, დრაკონი „ჩრდილოეთისკენ გახობდა რამდენიმე ბიჯით“ და უფსკრულზე გადასვლას შეეცადა. ტურინი კვლავ მდინარისკენ უნდა ჩაცოცებულყო კლდიდან, იქიდან კი კვლავ – მალლა, რათა დრაკონის მუცელქვეშ მოქცეულიყო. საბოლოო ვერსიაში – ტურინსა და ჰუნთორს მხოლოდ გზის ნაწილი გაევლოთ, როდესაც ტურინმა განაცხადა რომ ძალებს კარგავდნენ იქ ძრომიალით, და სანამ შეიტყობდნენ, სად გადაივლიდა ზუსტად გლაურუნგი; „ისინი შეჩერდნენ და დაელოდნენ“. აქ არ წერია, რომ დაბლა დაეშვნენ იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდნენ. ტურინის სიზმრის მონაკვეთიც, „სადაც თავის ნება-სურვილს ჩასჭიდებოდა“, ჩანახატია ხელნაწერიდან. თუმცა შესწორებულ ვერსიაში არ ჩანს ჩაჭიდების საჭიროება, მათ შეეძლოთ დაბლა ჩასვლა და ამას უთუოდ გააკეთებდ-

ნენ და იქ დაიცდიდნენ. სინამდვილეში კი ისე მოიქცნენ, როგორც საბოლოო ტექსტშია გადმოცემული: „ისინი არ იდგნენ გლაურუნგის ბილიკზე... ტურინი მდინარის კიდის გაყოლებაზე გაცოცდა, რათა მის მუცელქვეშ მოქცეულიყო“. როგორც ჩანს, საფინალო ისტორია ატარებს უწინდელი ჩანაწერებიდან შემორჩენილ უსარგებლო შტრიხს. კავშირის შენარჩუნებისათვის, ფრაზა: „რადგანაც ისინი გლაურუნგის ბილიკზე არ იდგნენ“, ჩავანაცვლე ფრაზით: „რადგანაც ისინი ზუსტად ბილიკთან არ იმყოფებოდნენ“. ხოლო „მდინარის კიდის გასწვრივ გაცოცდა“ – „კლდეზე გაცოცდა“ (გვ. 265).

ზემოთ ხსენებული ნაკლებმნიშვნელოვანია, თუმცა ისინი გარდასულ დღეთა ლეგენდების ყველაზე თვალსაჩინო სცენებსა და გამორჩეულად დიდებულ ამბებს ცხადყოფენ.

**სახელთა ნუსხა
„ჭურინის შვილებში“**

ადანედელი – „ელფკაცი“, სახელი, რომელიც ტურინს ნარგოთრონდში უწოდეს.

აერინი – ჰურინ დორ-ლომინელის ნათესავი ქალი, რომელიც აღმოსავლელმა ბროდამ შეირთო ცოლად.

აგარუაენი – „სისხლისლაქებიანი“, სახელი რომელიც ტურინმა ნარგოთრონდში მისვლისას დაირქვა.

აინურნი – „წმინდანნი“, ილუვატარის პირველი ქმნილებანი, რომლებიც სამყაროს წარმოშობამდე არსებობდნენ – ვალარები და მაიარები (სულები იმავე ორდენიდან, მხოლოდ ნაკლებად ძლევამოსილნი).

ალგუნდი – დორ-ლომინელი კაცი, აბრაგთა რაზმის წევრი, რომელთაც ტურინი შეუერთდა.

ამონ-დართირი – მწვერვალი ერედ-უეთრინის მთაგრეხილში, დორ-ლომინის სამხრეთით.

ამონ-ეთირი – „მსტოვართა ბორცვი“, ნარგოთრონდის აღმოსავლეთით, ერთი ლიგის მოშორებით ფინროდ ფელაგუნდის ბრძანებით აღმართული დიდი მინაყრილი.

ამონ-ობელი – ბრეთილის ტყის შუაგულში აღმართული ბორცვი, რომელზედაც ეფელ-ბრანდირი იყო გაშენებული.

ამონ-რუდი – „მოტიტვლებული ბორცვი“, ეული მალლობი ბრეთილის სამხრეთით მდებარე მინებზე, სადაც მიმი ცხოვრობდა.

ანახი – გასასვლელი ტაურ-ნუ-ფუინიდან ერედ-გორგოროთის დასავლეთ დასალიერამდე.

ანდროგი – დორ-ლომინელი კაცი, აბრაგთა რაზმის მეთაური, რომელსაც ტურინი შეუერთდა.

ანფაუგლითი – „მხრჩოლავი მტვერი“, დიდი დაბლობი ტაურ-ნუ-ფუინის ჩრდილოეთით, ერთ დროს მინდვრე-

ბით დაფარული არდ-გალენი, თუმცა მორგოთმა იგი, უეცარი ცეცხლის ომის დროს, უდაბნოდ აქცია.

ანგბანდი – მორგოთის უზარმაზარი ციხესიმაგრე შუახმელეთის ჩრდილო-დასავლეთში.

ანგლახელი – ბელეგის ხმალი, თინგოლისგან ბოძებული; გადაჭედვის შემდგომ იგი ტურიანის საკუთრებაში გადავიდა და ეწოდა გურთანგი.

ანგროდი – მესამე ვაჟი ფინარფინისა, დაილუპა დაგორ ბრაგოლახის ბრძოლაში.

ანგურიელი – ეოლის მახვილი.

არანრუთი – „მეფის რისხვა“, თინგოლის მახვილი.

არდა – დედამინა

არედელი – ტურგონის და, ეოლის ცოლი.

არმინასი – ნოლდო ელფი, რომელიც გელმირთან ერთად მივიდა ნარგოთრონდში, რათა ოროდრეთი მოახლოებული საფრთხის შესახებ გაეფრთხილებინა.

აროხი – ჰურიანის რაში.

არვერნიენი – ბელერიანდის სანაპირო ზოლი სირიონის შესართავების აღმოსავლეთით; მოხსენიებულია შუაველში გაჟღერებულ ბილბოს სიმღერაში.

ასგონი – დორ-ლომინელი კაცი, რომელიც ტურიანს გაქცევაში დაეხმარა მას შემდეგ, რაც მან ბროდა მოკლა.

აზაგჰალი – ბელეგოსტელი ჯუჯების მბრძანებელი.

აღმოსავლელეები – ადამიანთა ტომები, რომლებიც ედაინებს ბელერიანდში გადმოჰყვნენ.

ახოვანთა მოდგმა – იხ. ელდარნი.

ბ

ბარად-ეითელი – „წყაროს კოშკი“, ნოლდორთა ციხესიმაგრე ეითელ-სირიონზე.

ბარაგუნდი – მორუენის მამა; ბიძაშვილი ბერენისა.

ბარაკირი – ბერენის მამა; ძმა ბრეგოლასისა.

ბარ-ენ-დანუედი – „სახლი გამოსასყიდი“, სახელი რომელიც მიმმა საკუთარ სახლს უწოდა.

ბარ-ენ-ნიბინ-ნოევი – „ჩია-ჯუჯათა სახლი“ ამონ-რუდზე.

ბარ-ერიბი – დორ-კუართოლის ციხესიმაგრე ამონ-რუდის სამხრეთით.

ბაუგლირი – „მოძალადე“, სახელი, რომლითაც მორგოს მოიხსენიებდნენ.

ბელეგი – დორიათელი ელფი, დიდი მშვილდოსანი; ტურინის მეგობარი და თანამგზავრი; ეწოდებოდა კუთალიონი, „მშვილდმაგარი“.

ბელეგოსტი – „ვეება სიმაგრე“, ლურჯ მთებში მდებარე ჯუჯათა ორი ციხესიმაგრიდან ერთ-ერთი.

ბელეგუნდი – რიანის მამა; ძმა ბარაგუნდისა.

ბელერიანდი – ადრეულ დღეებში ლურჯი მთების დასავლეთით მდებარე მიწები.

ბელთრონდინგი – ბელეგის მშვილდი.

ბეორი – ბელერიანდში მოსულ პირველ ადამიანთა წინამძღოლი; წინაპარი ბეორის საგვარეულოსი, ედაინთა სამი საგვარეულოდან ერთ-ერთის.

ბერენი – ბეორის გვარის ადამიანი, ლუთიენის სატრფო, რომელმაც სილმარილი მოიპარა მორგოსის გვირგვინიდან; ეწოდებოდა „ცალხელა“ და კამლოსტი „ხელცარიელი“.

ბნელი მეუფე – მორგოთი.

ბრაგოლახი – იხ. დაგორ-ბრაგოლახი.

ბრანდირი – ჰალეთის ხალხის მმართველი ბრეთილში, როდესაც ტურინი მივიდა; ჰანდირის ძე.

ბრეგოლასი – ბარაგუნდის მამა; დიდი პაპა მორუენისა.

ბრეგორი – ბარაჰირისა და ბრეგოლასის მამა.

ბრეთილი – ტყე მდინარე ტეიგლინსა და სირიონს შორის; ბრეთილის მკვიდრნი, ჰალეთის ხალხი.

ბრითიახი – ფონი სირიონზე, ბრეთილის ტყის ჩრდილოეთით.

ბროდა – ნირნაეთ-არნოედიადის შემდგომ ჰითლუმში შემოჭრილი აღმოსავლელი.

ბ

გალდორ მაღალი – ძე ჰადორ ოქროსთმიანისა; მამა ჰურიანისა და ჰუორისა; დაიღუპა ეითელ-სირიონში.

გამილ ზირაკი – მჭედელი ჯუჯა, ნოგროდელი ტელხარის მასწავლებელი.

გარშემომსაზღვრელი მთები – ტუმლადენის, გონდოლინის დაბლობის შემომსაზღვრელი მთები.

გაურუაითი – „მგელკაცები“, აბრაგთა რაზმი, რომელთაც ტურიანი დორიათის საზღვრის დასავლეთ ტყეებში შეუერთდა.

გელმირი (1) – ნარგოთრონდელი ელფი, ძმა გუინდორისა.

გელმირი (2) – ნოლდო ელფი, რომელიც არმინასსთან ერთად მივიდა ნარგოთრონდში, რათა ოროდრეთი საფრთხის შესახებ გაეფრთხილებინა.

გეთრონი – ტურიანის ერთ-ერთი თანამგზავრი დორიათისკენ მიმავალ გზაზე.

გინგლითი – მდინარე, რომელიც ნარგოთრონდის ჩრდილოეთით ერთვის ნაროგს.

გლაურუნგი – „დრაკონთა მამა“, მორგოთის პირველი გველეშაპი.

გლითუი – მდინარე, რომელიც ერედ-უეთრინიდან ჩამოედინება და ტეიგლინს მალდუინის შენაკადის ჩრდილოეთით უერთდება.

გლოვის წელიწადი – წელი, როდესაც ნირნაეთ-არნოედიადი გაიმართა.

გლორედელი – ჰადორის ასული, და გალდორის, ჰურინის მამისა; ბრეთილელი ჰალდირის ცოლი.

გლორფინდელი – ელფი დიდებული გონდოლინიდან.

გონდოლინი – ტურგონ მეფის დაფარული ქალაქი.

გორგოროთი – იხ. ერედ-გორგოროთი.

გორთოლი – „საზარელი მუზარადი“, სახელი, რომელიც ტურინმა შეირქვა დორ-კუართოლის მიწაზე.

გოთმოგი – ბალროგთა მბრძანებელი; ფინგონ მეფის განმგმირავი.

გრიტინრი – ტურინის ერთ-ერთი თანამგზავრი, რომელიც მას დორიათამდე მიჰყვა და სადაც გარდაიცვალა კიდევაც.

გუილინი – ნარგოთრონდელი ელფი, მამა გუინდორის და გელმირისა.

გურთანგი – „სიკვდილის რკინა“, სახელი, რომელიც ტურინმა ანგლახელს უწოდა მას შემდეგ, რაც იგი ნარგოთრონდში ხელახლა გადაიჭედა.

გუაერონი – „ქარიანი თვე“, მარტი.

გუინდორი – ნარგოთრონდელი ელფი, ფინდუილასის სატროფო, ტურინის თანამგზავრი.

დ

დაცული სამეფო – დორიათი.

დაფარული სამეფო – გონდოლინი.

დაცული დაბლობი – იხ. ტალათ-დირნენი.

დაერონი – მენესტრელი დორიათიდან.

დაგორ-ბრაგოლახი – (ასევე, ბრაგოლახი) – უეცარი ცეცხლის ომი, სადაც მორგოთმა ალყის გარღვევა მოახერხა.

დიდი გორასამარხი – იხ. ჰაუდ-ენ-ნირნაეთი.

დიადი სიმღერა – აინურთა მუსიკა, საიდანაც სამყარო წარმოიშვა.

დიმბარი – მიწები მდინარე სირიონსა და მინდებს შორის.

დიმროსტი – ნვიმიანი საფეხურები – კელებროსის წყალვარდნილი ბრეთილის ტყეში, შემდგომში ეწოდა ნენ-გირითი.

დორ-კუართოლი – „მშვილდისა და მუზარადის მიწა“, სახელი ეწოდა ტურიანისა და ბელეგის მიერ შემოერთებულ მიწებს, რომელთაც ისინი ამონ-რუდის სამალავიდან მართავდნენ.

დორიათი – თინგოლისა და მელიანის სამეფო, რომელიც მოიცავდა ნელდორეთისა და რეგიონის ტყეებს, იგი იმართებოდა მდინარე ესგალდუინის ხეობაში მდებარე მენეგროთიდან.

დორლასი – მნიშვნელოვანი ადამიანი ბრეთილის მკვიდრ ჰალეთის ხალხთა შორის.

დორ-ლომინი – მიწები ჰითლუმის სამხრეთით, ხელმწიფე ფინგოლფინის მიერ ჰადორის გვარისათვის გადაცემული სამთავრო; ჰურიანისა და მორუენის სახლი.

დორთონიონი – „ფიჭვების მხარე“, დიდი ტყიანი მაღლობი ბელერიანდის ჩრდილოეთ საზღვრებთან, შემდგომში ეწოდა ტაურ-ნუ-ფუინი.

დრენგისტი – ერედ-ლომინში, ხმაურიან მთებში შეჭრილი ზღვის გრძელი ყურე.

ე

ეხად-ი-სედრინ – (ასევე, ეხადი) „რწმენით აღსავსეთა ბანაკი“, სახელი, რომელიც მიმის სახლს ეწოდა ამონ-რუდზე.

ექთელიონი – ელფი დიდებული გონდოლინიდან.

ელაინნი – (მხ. რ. ადარი) ელფების მეგობართა სამი საგვარეულოს ხალხი.

ეითელ-ივრინი – „ივრინის წყარო“, მდინარე ნაროგის სათავე ერედ-უეთრინის მისადგომებთან.

ეითელ-სირიონი – „სირიონის წყარო“, ერედ-უეთრინის აღმოსავლეთ მხარეს; აქ მდებარეობდა ნოლდორთა ციხესიმაგრე ბარად-ეითელი.

ელდალიენი – ელფთა მოდგმა, იგივე ელდარნი.

ელდარნი – დიდი მოგზაურობის ელფები, რომელთაც ბელერიანდი დატოვეს.

ელედუენი – მორუენის მეტსახელი, „მწყაზარი ელფი“.

ეოლი – „ბნელი ელფი“, ძლიერი მჭედელი, რომელიც ნან-ელმოთში სახლობდა; ანგლახელის შემქმნელი, მამა მაეგლინისა.

ეფელ ბრანდირი – „ბრანდირის ზღუდე“, ადამიანთა დაცული დასახლება ამონ-ობელზე, ბრეთილის ტყეში; ასევე ეწოდებოდა ეფელი.

ერედ-გორგოროთი – „შემზარავი მთები“, უკიდევანო უფსკრულები, რომლის სამხრეთით ტაურ-ნუ-ფუინია გად-აჭიმული; აგრეთვე მოიხსენიება როგორც გორგოროთი.

ერედ-უეთრინი – „წყვდიადის მთები“, დიდი მთაგრეხილი, რომელიც ჰითლუმის აღმოსავლეთ და დასავლეთ საზღვრებს ქმნის.

ესგალდუინი – მდინარე დორიათში, ერთმანეთისგან აცალკევებს ნელდორეთისა და რეგიონის ტყეებს. ერთ-ვის სირიონს.

3

ვალარნი – „ძლევამოსილნი“, ძლიერი სულები, რომლებიც სამყაროში შემოვიდნენ მისი შექმნის ჟამს.

ვალინორი – დასავლეთში, დიდი ზღვის გადაღმა მდებარე ვალართა მინა.

ვარდა – უდიადესი ვალა დედოფალთა შორის, მანუეს მეუღლე.

თ

თანგოროდრიმი – „ტირანიის მთები“, მორგოთის მიერ ანგბანდის თავზე აღმართული.

თინგოლი – „რუხი მოსასხამი“, ხელმწიფე დორიათისა, რუხ ელფთა (სინდარი) უზენაესი მბრძანებელი; იქორწინა მაია მელიანზე; ლუთიენის მამა.

თორონდორი – „არწივთა მეფე“ („მეფის დაბრუნება“ კარი VI, თავი IV: „მოხუცი თორონდორი, რომელიც შუახმელეთის სიყრმის ჟამს გარშემომსაზღვრელ მთათა მიუწვდომელ მწვერვალებზე იშენებდა ბუდეებს“).

თურიანი – „საიდუმლო“, სახელი, რომელიც ტურიანს უწოდა ფინდუილასმა.

ი

იბუნი – ერთ-ერთი ვაჟი ჩია-ჯუჯა მიმისა.

ილუვატარი – „მამა ყოველი ქმნილებისა“.

ინდორი – დორ-ლომინელი კაცი, მამა აერინისა.

ივრინი – ტბა და ჩანჩქერი „წყვდიადის მთების“ ძირში, საიდანაც ნაროგი გამოედინება.

ირმის ნახტომი – იხ. კაბედ-ენ-არასი.

კ

კჰიმი – ჩია-ჯუჯა მიმის ერთ-ერთი ვაჟი, იმსხვერპლა ანდროგის ისარმა.

ლ

ლაბადალი – სადორის სახელი, ტურინის შერქმეული.

ლადროსი – დორთონიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მიწები, რომელიც ნოლდორებმა ბეორის ხალხს უბოძეს.

ლალაითი – „კისკისა“, ურუენის სახელი.

ლარნახი – ტყის ერთ-ერთი მკვიდრი ტეიგლინის სამხრეთ მიწებზე.

ლოთლანი – დორთონიონის (ტაურ-ნუ-ფუინი) სამხრეთით გადაჭიმული ვაკე.

ლოთრონი – მეხუთე თვე.

ლუთიენი – თინგოლისა და მელიანის ასული, რომელმაც ბერენის სიკვდილის შემდგომ მოკვდავად ყოფნა არჩია და მისი ბედი გაიზიარა. ეწოდებოდა ტინუვიელი, „ბინდის ასული“. ბულბული.

ლურჯი მთები – დიდი მთიანეთი (ეწოდება როგორც – ერედ-ლუინი ასევე ერედ-ლინდონი) ბელერიანდსა და ერიადორს შორის ადრეულ დღეებში.

მ

მაბლუნგი – დორიათელი ელფი, მთავარსარდალი თინგოლისა, მეგობარი ტურინისა; ეწოდებოდა „მონადირე“.

მაედროსი – უფროსი ძე ფევანორისა, დორთონიონის აღმოსავლეთით მდებარე მიწების მმართველი.

მაეგლინი – ვაჟი ეოლის, „ბნელი ელფისა“ და ტურგონის დის, არედელის; გამცემი გონდოლინისა.

მალდუინი – ტეიგლინის შენაკადი.

მანდოსი – ვალა: გარდაცვლილთა მოსამართლე და შემწე ვალინორში.

მანუე – ვალართა წინამძღოლი; უფროს ხელმწიფედ წოდებული.

მაღალი ფართი – მალლობები ნარგოთრონდის ზემოთ, მდინარე ნაროგის დასავლეთით. ასევე მოიხსენიება როგორც ფართი.

მგელკაცები – იხ. გაურუაითი.

მელიანი – მაია (იხ. აინურები დასაწყისში); დედოფალი დორიათისა, რომელსაც მან „მელიანის სარტყელად“ წოდებული, უხილავი დამცავი შემოარტყა; იგი იყო დედალუთიენისა.

მელიანის სარტყელი – იხ. მელიანი.

მელკორი – მორგოთის სახელი ქუენიურ ენაზე.

მენეგროთი – „ათასი გამოქვაბული“, მდინარე ესგალდუინზე მდებარე თინგოლისა და მელიანის დარბაზები.

მენელი – ზეცა. ვარსკვლავთა სასუფეველი.

მეთედ-ენ-გლადი – „ტყის დასალიერი“, დორ კუართოლის სიმაგრე ტეიგლინის სამხრეთ ტყის განაპირას.

მიმი – ამონ-რუდზე მცხოვრები ჩია-ჯუჯა.

მინას ტირითი – „საგუშაგო კოშკი“, ფინროდ ფელაგუნდის მიერ ტოლ-სირიონზე აგებული.

მინდები – სირიონის შენაკადი დიმბარსა და ნელდორეთის ტყეს შორის.

მითრიმი – დორ-ლომინისაგან მითრიმის მთებით გამოყოფილი, ჰითლუმის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე.

მორგოთი – უდიდესი ამბოხებული ვალა, მათ შორის ყველაზე ძლევამოსილი; მტრად წოდებული, ბნელი მეუფე, შავი ხელმწიფე, ბაუგლირი.

მორმეგილი – „შავი ხმალი“, სახელი ეწოდა ტურინს ნარგოთრონდში.

მორუენი – ასული ბარაგუნდისა, ბეორის საგვარეულოდან; მეუღლე ჰურინისა და მშობელი ტურინისა და ნიენორისა; ეწოდებოდა „მწყაზარი ელფი“ და დორ-ლომინის ქალბატონი.

მსტოვართა ბორცვი – იხ. ამონ-ეთირი.

მშვილდმაგარი – ბელეგის სახელი; იხ. კუთალიონი.

6

ნან-ელმოთი – ტყე ბელერიანდის აღმოსავლეთით, ეოლის სამყოფელი.

ნარგოთრონდი – „დიდი მიწისქვეშა ციხე-ქალაქი მდინარე ნაროგის ხეობაში“, ააშენა ფინროდ ფელაგუნდმა, შემდგომ იგი გაანადგურა გლაურუნგმა; ნარგოთრონდის სამეფოს საზღვრები ასევე ვრცელდებოდა მდინარის აღმოსავლეთითა და დასავლეთით.

ნაროგი – აღმოსავლეთ ბელერიანდის უდიდესი მდინარე, სათავეს იღებს ივრინიდან და ჩაედინება სირიონში, მის შესართავებთან ახლოს. ნაროგის ხალხი, ნარგოთრონდელი ელფები.

ნეითანი – „შეურაცხყოფილი“, სახელი, რომელიც აბრაგებთან ყოფნისას შეირქვა ტურინმა.

ნელასი – დორიათელი ელფი, ტურინის ყრმობის მეგობარი.

ნენ-გირითი – „მოცახცახე წყლები“, სახელი, რომელიც ეწოდა დიმროსტს, ბრეთილში არსებულ კელებროსის წყალვარდნილს.

ნენ-ლალაითი – ნაკადული, რომელიც ამონ-დართი-

რიდან, ერედ-უეთრინის ერთ-ერთი მწვერვალიდან, იღებს სათავეს და ჰურიანის სახლთან ჩამოედინება.

ნენინგი – მდინარე დასავლეთ ბელერიანდში, ერთვის ზღვას ეგლარესტის ნავსაყუდელში.

ნევრასტი – მხარე დორ-ლომინის დასავლეთით, ხმაურიანი მთების (ერედ-ლომინი) გადაღმა.

ნიბინ-ნოეგი, ნიბინ-ნოგრიმი – ჩია-ჯუჯები.

ნიენორი – „გლოვა“, ჰურიანისა და მორუენის ასული, და ტურიანისა (იხ. ნინიელი).

ნიმბრეთილი – არყნარი არვერნიენში; გაჟღერებულია შუაველში, ბილბოს სიმღერაში.

ნინიელი – „თვალცრემლიანი ასული“, სახელი, რომელიც ბრეთილში ტურიანმა უწოდა ნინიელს.

ნირნაეთ-არნოედიადი – „ურიცხვი ცრემლის ომი“, ასევე მოიხსენიება, როგორც ნირნაეთი.

ნოგროდი – ლურჯ მთებში მდებარე ჯუჯათა ორი ქალაქიდან ერთ-ერთი.

ნოლდორნი – აღმოსავლეთიდან ბელერიანდში წამოსული დიდი მოგზაურობის ელდართა მეორე შტო; „ბრძენნი“, „განსწავლულნი“.

ნუათის ტყე – ნაროგის ზედა წელის დასავლეთით შეფენილი ტყეები.

მ

ორლეგი – კაცი, აბრაგთა რაზმის წევრი.

ოროდრეთი – ძმა ფინროდ ფელაგუნდისა, მისი გარდაცვალების შემდგომ იგი გახდა ნარგოთრონდის მბრძანებელი; ფინდუილასის მამა.

ოსე – მაია (იხ. აინურები დასაწყისში) წყლების მბრძანებლის, ულმოს ქვეშევრდომი.

რ

რაგნირი – ჰურიანის სახლელის ბრმა მსახური დორ-ლომინში.

რეგიონი – სამხრეთი ტყე დორიათისა.

რიანი – მორუენის ბიძაშვილი; ცოლი ჰუორისა, ჰურიანის ძმისა; მშობელი ტუორისა.

რივილი – დორთონიონიდან მომავალი მდინარე, რომელიც სერეხის ჭაობებთან უერთდება სირიონს.

რუხი ელფები – სინდარნი, სახელი, რომელიც შუახმელეთში დარჩენილ ელდარებს ეწოდათ, მათ არ გადაუცურავთ ზღვა და არ უხილავთ ვალინორი.

ს

სადორი – ტყისმჭრელი, ჰურიანის მსახური კაცი დორ-ლომინში, ბავშვობაში ტურიანი დაუმეგობრდა მას და ლაბადალი შეარქვა.

საეროსი – დორიათელი ელფი, თინგოლის მრჩეველი, ტურიანის მეტოქე.

საურონის კუნძული – ტოლ-სირიონი.

სერეხი – დიდი ჭაობი სირიონის გასასვლელის ჩრდილოეთით, სადაც დორთონიონიდან დაშვებული მდინარე რივილი ჩაედინება.

სინდარინი – რუხ-ელფური, ბელერიანდელ ელფთა ენა. იხ. რუხი ელფები.

სირიონი – ბელერიანდის უდიდესი მდინარე, რომელიც ეითელ-სირიონიდან მოედინება.

სამხრეთის გზა – ტეიგლინის გადასალახების გადაკვეთით, ტოლ-სირიონიდან ნარგოთრონდისკენ მიმავალი უძველესი გზა.

ტ

ტალათ-დირნენი – „დაცული დაბლობი“, ნარგოთრონდის ჩრდილოეთით.

ტაურ-ნუ-ფუინი – „ლამის ჩრდილებით მოცული ტყე“, მოგვიანებით ეწოდა დორთონიონი.

ტეიგლინი – სირიონის შენაკადი, სათავეს იღებს „წყვიდადის მთებიდან“ და მიედინება ბრეთილის ტყის გავლით. იხ. ტეიგლინის გადასალახები.

ტელხარი – სახელგანთქმული მჭედელი ნარგოთრონდიდან.

ტელპერიონი – თეთრი ხე, უმრწემესი იმ ორ ხეთაგან, რომლებიც შუეს აფრქვევდნენ ვალინორს.

ტოლ-სირიონი – კუნძული სირიონის გასასვლელში, სადაც ფინროდმა მინას ტირითის კოშკი აღმართა; მოგვიანებით იგი საურონმა დაიპყრო.

ტუმჰალადი – ხეობა დასავლეთ ბელერიანდში, მდინარე გინგლითსა და ნაროგს შორის, სადაც ნარგოთრონდელი მეომრები დაეცნენ.

ტუმლადენი – გარშემომსაზღვრელ მთებში ჩაკარგული ველი, იქ, სადაც ქალაქი გონდოლინი იდგა.

ტუორი – ჰუორისა და რიანის ვაჟი; ბიძაშვილი ტურინისა და მამა ეარენდილისა.

ტურამბარი – „ბედისწერის მბრძანებელი“, სახელი, რომელიც ტურინმა ბრეთილელ ხალხთან ცხოვრებისას დაირქვა.

ტურგონი – მეორე ძე ფინგოლფინისა და ძმა ფინგონისა; გონდოლინის დამაარსებელი და მმართველი.

ტურიანი – ძე ჰურიანისა და მორუენისა, ჰურიანის შვილების სიმღერის მთავარი პერსონაჟი. იგი იწოდება რამდენიმე სახელით: ნეითანი, გორთოლი, აგარუაენი, თუ-

რინი, ადანედელი, მორმეგილი (შავი ხმალი), ტყის ბინადარი ველური კაცი, ტურამბარი.

ტუილითის გუბურები – ჭანჭრობებისა და ტბორების მხარე, სადაც აროსი სირიონს უერთდება.

ტყის ბინადარი ველური კაცი – სახელი, რომელიც ტურინმა ბრეთილელ ხალხთან პირველი შეხვედრისას დაირქვა.

ტყის ხალხი – ტეიგლინის სამხრეთით, ტყეებში მცხოვრებნი, რომელთაც გაურუაითები ძარცვავენ.

უ

ულდორ წყეული – აღმოსავლელთა მეთაური, რომელიც ურიცხვი ცრემლის ომში მოკლეს.

ულმო – ერთ-ერთი ძღვევამოსილი ვალა, „წყლების მეუფე“.

ულრადი – აბრაგთა რაზმის წევრი, რომელთაც ტურინი შეუერთდა.

უმართი – „უბედო“, შეთხზული სახელი, რომლითაც ტურინმა მამამისი მოიხსენია ნარგოთრონდში.

ურიცხვი ცრემლის ომი – ნირნაეთ-არნოედიადის ბრძოლა.

ურუენი – ჰურინისა და მორუენის ასული, რომელიც ბავშვობაში გარდაიცვალა; ეძახდნენ ლალაითს, „კისკისას“.

უმცროსი შვილები – ადამიანები. იხ. ილუვატარის შვილები.

უფროსი შვილები – ელფები. იხ. ილუვატარის შვილები.

ფ

ფაელივრინი – სახელი, რომელიც გუინდორმა ფინდ-უილასს შეარქვა.

ფალასი – ბელერიანდის დასავლეთ სანაპიროები.

ფეანორი – ფინუეს უფროსი ვაჟი, ნოლდორთა პირველი წინამძღოლი; ნახევარძმა ფინგოლფინისა, სილმარირილების შემქმნელი; ნოლდორთა წინამძღოლი ვალართა წინააღმდეგ აჯანყებისას, თუმცა შუახმელეთში დაბრუნებიდან მცირე ხანში იგი ბრძოლაში დაიღუპა. იხ. ფეანორის ვაჟები.

ფეანორის ვაჟები – იხ. ფეანორი. შვიდი ძე, რომლებიც აღმოსავლეთ ბელერიანდის მიწებს მართავდნენ.

ფელაგუნდი – „გამოქვაბულთა მთლელი“, სახელი მეფე ფინროდს მას შემდეგ ეწოდა, რაც ნარგოთრონდი დააარსა და, ძირითადად, მხოლოდ თვითონ იყენებდა.

ფინარფინი – ფინუეს მესამე ძე, ძმა ფინგოლფინისა და ნახევარძმა ფეანორისა; ფინროდ ფელაგუნდისა და გალადრიელის მამა. ფინარფინი შუახმელეთში არ დაბრუნებულა.

ფინდუილასი – ოროდრეთის, ნარგოთრონდის მეორე მეფის ქალიშვილი.

ფინგოლფინი – ფინუეს მეორე ძე, ნოლდორთა პირველი წინამძღოლი; ნოლდორთა უზენაესი ხელმწიფე, მისი სამყოფელი გახლდათ ჰითლუმში; მამა ფინგონისა და ტურგონისა.

ფინგონი – ფინგოლფინ მეფის უფროსი ძე და ნოლდორთა ხელმწიფე მამის გარდაცვალების შემდგომ.

ფინროდი – ფინარფინის ძე; დამაარსებელი და მმართველი ნარგოთრონდისა, ოროდრეთისა და გალადრიელის ძმა; უფრო ხშირად მას ფელაგუნდით მოიხსენიებდნენ.

ფორუეგი – დორ-ლომინელი კაცი, აბრაგთა ბანდის მეთაური, რომელთაც ტურიანი შეუერთდა.

შ

შარბჰუნდი – ასე უწოდებდნენ ჯუჯები ამონ-რუდს.

შავი მეუფე – მორგოთი.

შავი ხმალი – ტურინის სახელი ნარგოთრონდში; ასევე ერქვა ხმალსაც. იხ. მორმეგილი.

ჩ

ჩალისთავიანები – სახელი, რომლითაც აღმოსავლელები ჰითლუმში ჰადორის ხალხს მოიხსენიებდნენ.

ჩია-ჯუჯები – ჯუჯათა მოდგმა, რომლის უკანასკნელი გადარჩენილი წარმომადგენლები მიმი და მისი ორი ვაჟი იყვნენ.

ძ

ძლევამოსილნი – იხ. ვალარები.

წ

„წყვდიადის მთები“ – იხ. ერედ-უეთრინი.

ჰ

ჰადორ ოქროსთმიანი – ელფთა მეგობარი, დორ-ლომინის მბრძანებელი, ფინგოლფინ მეფის ვასალი; მამა გალდორისა, ჰურინისა და ჰუორის მამისა; დაიღუპა ეითელ-სირიონში, დაგორ-ბრაგოლახის ომის დროს. ჰადორის საგვარეულო იყო ედაინთა საგვარეულოთაგან ერთ-ერთი.

ჰალდირი – ბრეთილელი ჰალმირის ძე; ცოლად შეერთო გლორედელი, ჰადორ დორ-ლომინელის ქალიშვილი.

ჰალეთი – ქალბატონი ჰალეთი, რომელიც ედაინთა მეორე შტოს, ჰალეთრიმთა, იმავე ბრეთილელ ხალხთა წინამძღოლი გახდა, რომლებიც ბრეთილის ტყეში ცხოვრობდნენ.

ჰალმირი – ბრეთილელ ადამიანთა მბრძანებელი.

ჰანდირ ბრეთილელი – ჰალდირისა და გლორედელის ძე; მამა ბრანდირისა.

ჰარეთი – ბრეთილელი ჰალმირის და, ცოლი დორ-ლომინელი გალდორისა; ჰურიანის დედა.

ჰაუდ-ენ-ელეთი – „ელფი ქალწულის გორასამარხი“, აღმართული იყო ტეიგლინის გადასალახების სიახლოვეს, აქ განისვენებდა ფინდუილასი.

ჰაუდ-ენ-ნირნაეთი – „ცრემლთა სასაფლაო“, ანფაუგლითის უდაბნოში.

ჰირილორნი – უზარმაზარი სამღეროვანი წიფლის ხე ნელდორეთში.

ჰითლუმი – „ნისლიანი მიწა“, მხარე ჩრდილოეთში, შემოსაზღვრული წვდიადის მთებით.

ჰუნთორი – დორ-ლომინელი კაცი, ტურიანის თანამგზავრი გლაურუნგზე თავდასხმის დროს.

ჰუორი – ჰურიანის ძმა; მამა ტუორისა, ეარენდილის მამისა; ძლეულ იქნა ურიცხვი ცრემლის ომში.

ჰურიანი – დორ-ლომინის მბრძანებელი, ქმარი მორუენისა, მამა ტურიანისა და ნიენორისა; ეწოდებოდა თალ-იონი, „მედგარი“.

შენიშვნა რუპასთან დაკავშირებით

მოცემული რუკა, ძირითადად, ეფუძნება „სილმარილიონში“ დართულ რუკას, ის კი, თავის მხრივ, გადმოღებულია მამაჩემის 1930 წელს შედგენილი რუკიდან, რომელიც არასდროს შეუცვლია და ყველა ძირითადი ნაშრომისათვის იყენებდა. მის მიერ შემუშავებულ საკმაოდ დახვეწილ ფორმალურ მხარეს მთების, ბორცვებისა და ტყეების გამოსახულებით, სახე არ უცვლია.

განახლებულმა ვარიანტმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, რაც განპირობებული იყო ჩემი განზრახვით, გამემარტივებინა იგი და უფრო მომერგო „ჭურინის შვილებზე“. ამგვარად, რუკა არ ვრცელდება აღმოსავლეთით და არ მოიცავს ოსირიანდსა და ლურჯ მთებს. ასევე, ზოგიერთი გეოგრაფიული მახასიათებელიც ამოღებულია; მხოლოდ (მცირედი გამონაკლისით) ის სახელებია მონიშნული, რომლებიც ტექსტში გვხვდება.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ილუსტრაციები

- 1 ჰურიანი და ჰური გონდოლინისკენ მიჰყავთ. მთელ გვერდზე
- 2 ჰადორის საგვარეულოს მემკვიდრე
- 3 ნირნაეთ-არნოედიადში მიმავალი ჰურიანი
- 4 ფინგონის მოდგმა
- 5 ჰაუდ-ენ-ნირნაეთი, ცრემლთა სასაფლაო
- 6 საუბარი ჰურიანის და მორგოთისა. მთელ გვერდზე
- 7 ტურიანის გამგზავრება
- 8 ნელასი და ტურიანი დორიათის ტყეებში
- 9 ბელეგი მენეგროთს ტოვებს. მთელ გვერდზე
- 10 ბელეგი და ანგლახელი
- 11 აბრაგთა მიერ გარშემორტყმული ტურიანი
- 12 ლემბასი
- 13 ჩია-ჯუჯები
- 14 ამონ-რუდი. მთელ გვერდზე
- 15 ჰადორის მუზარადი, ბელეგის მშვილდი
- 16 ბელეგი ტეიგლინის გადასალახებზე
- 17 ფინდულიასი ეგებება ტურიანსა და გუინდორს
- 18 ანგლახელის გადაჭედვა. მთელ გვერდზე
- 19 გელმირი და არმინასი ნარგოთრონდის კარიბჭეს უახლოვდებიან
- 20 დრაკონის გრძნეულებით შეპყრობილი
- 21 ტურიანი დორ-ლომინში ბრუნდება
- 22 ცეცხლმოკიდებული სასახლე
- 23 ტურიანი ეფელ-ბრანდირში მიჰყავთ
- 24 ტურიანის მოსვლა ბრეთილში. მთელ გვერდზე
- 25 ჰაუდ-ენ-ელეთი, ელფ-ქალწულის გორასამარხი
- 26 მორუენისა და ნიენორის გამგზავრება
- 27 ნიენორი ტყეში
- 28 მზირები ბრეთილის მისადგომებთან
- 29 გლაურუნგის მოსვლა. მთელ გვერდზე
- 30 ტურიანი და ჰუნთორი კაბედ-ენ-არასზე გადადიან
- 31 გლაურუნგის აღსასრული
- 32 ტურიანის აღსასრული. მთელ გვერდზე
- 33 ჰურიანი და მორუენი

